# კატალოგი

აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

# აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
# საგანმანათლებლო პროგრამების

# კ ა ტ ა ლ ო გ ი

პროგრამები განხილულია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს მიერ

ქუთაისი
2022-2023 სასწავლო წელი

## აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სასწავლო პროგრამებისა და სამეცნიერო მიმართულებების ფართო სპექტრით. უნივერსიტეტის მისიას წარმოადგენს:

- ✓ მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უმაღლესი განათლების თითოეულ საფეხურზე;
- ✓ პროფესიული განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა თანამედროვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით;
- ✓ თანამედროვე და აქტუალური სამეცნიერო კვლევების წარმართვა;
- ✓ სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში რეგიონისა და ქვეყნის საზოგადოებრივი, ეკონომიკური და კულტურული განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინება;
- ✓ საზოგადოებაში ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობა.

| აკრედიტებული პროგრამები | რაოდენობა |
|---|---|
| **საბაკალავრო** | **43** |
| **სამაგისტრო** | **41** |
| **სადოქტორო** | **9** |
| **ერთსაფეხურიანი** | **3** |
| **ერთწლიანი პროგრამა** | **2** |
| **სულ** | **98** |

# სარჩევი


**საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები ..... 7**

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ..... 7

ქართული ენა და ლიტერატურა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 7

ინგლისური ენა და ლიტერატურა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 9

გერმანული ენა და ლიტერატურა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 11

ფრანგული ენა და ლიტერატურა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 13

რუსული ენა და ლიტერატურა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 15

აღმოსავლური ფილოლოგია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 17

არქეოლოგია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 20

ისტორია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 23

ფილოსოფია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 25

საშემსრულებლო ხელოვნება (მიმართულებები: ფორტეპიანო, საორკესტრო საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა) (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 27

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ..... 29

ბიზნესის ადმინისტრირება (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 29

ეკონომიკა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 31

სამართალი (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 32

მასობრივი კომუნიკაცია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 36

საჯარო მმართველობა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 38

საერთაშორისო ურთიერთობები (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 40

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ..... 42

მათემატიკა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 42

კომპიუტერული მეცნიერებები (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 44

ქიმია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 46

გეოგრაფია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 48

ბიოლოგია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 49

ეკოლოგია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 51

გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია) (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 53

ფიზიკა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 55

პედაგოგიური ფაკულტეტი ..... 57

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „დაწყებითი განათლება“ (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 57

მედიცინის ფაკულტეტი ..... 62

ფარმაცია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 62

ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 64

საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი ..... 66

სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 66

ელექტრული ინჟინერია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 68

მშენებლობა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 71

საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 73

კვების ინდუსტრიის ინჟინერია და საწარმოო პროცესების მართვა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 75

სატრანსპორტო–ლოჯისტიკური სისტემების ორგანიზაცია და მართვა ..... 77

(იხ. სასწავლო გეგმა) ..... 77

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი ..... 79

გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 79

საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 81

გამოყენებითი დიზაინი (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 84

ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიები ..... 86

(იხ. სასწავლო გეგმა) ..... 86

მოდის დიზაინი და ტექნოლოგია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 88

აგრარული ფაკულტეტი ..... 90

ტურიზმი (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 90

აგრონომია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 92

ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში ..... 98
(იხ. სასწავლო გეგმა) ..... 98
სასურსათო პროდუქტთა ტექნოლოგია და ექსპერტიზა ..... 100
(იხ. სასწავლო გეგმა) ..... 100
საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი ..... 102
მენეჯმენტი (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 102
**სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები ..... 104**
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ..... 104
ქართული ლიტერატურა (იხ.სასწავლო გეგმა) ..... 104
ქართველური ენათმეცნიერება (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 106
ინგლისური ენა და ლიტერატურა (იხ.სასწავლო გეგმა) ..... 109
გერმანული ენა და ლიტერატურა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 111
ფრანგული ენა და ლიტერატურა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 113
რუსული ენა და ლიტერატურა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 115
აღმოსავლური ფილოლოგია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 117
ხელოვნების თეორია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 120
ამერიკისმცოდნეობა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 122
ევროპის და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 124
ლინგვისტიკა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 126
საქართველოს ისტორია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 128
არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 130
კლასიკური ფილოლოგია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 134
ფილოსოფია-რელიგიის კვლევები (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 137
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ..... 139
ბიზნესის ადმინისტრირება (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 139
ჟურნალისტიკა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 141
საჯარო მმართველობა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 143
დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 145
სამართალი (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 147
ეკონომიკა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 149
ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში (ინგლისურენოვანი) ..... 150
(იხ. სასწავლო გეგმა) ..... 150
პედაგოგიური ფაკულტეტი ..... 152
განათლების მეცნიერებები (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 152
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ..... 154
მათემატიკა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 154
გეოგრაფია ..... 155
ბიოლოგია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 157
გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია) ..... 159
(იხ. სასწავლო გეგმა) ..... 159
კომპიუტერული მეცნიერებები (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 161
მედიცინის ფაკულტეტი ..... 163
ფარმაცია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 163
ბიოსამედიცინო ინჟინერია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 165
საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 168
საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი ..... 170
სატრანსპორტო ლოჯისტიკა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 170
ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია და მენეჯმენტი ..... 172
(იხ. სასწავლო გეგმა) ..... 172
მშენებლობა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 174
საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი ..... 175
გარემოს დაცვის ტექნოლოგიები (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 175
სასურსათო ტექნოლოგია ..... 177
(იხ. სასწავლო გეგმა) ..... 177
კოსტუმის დიზაინი (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 179

ფარმაცევტული პრეპარატების ტექნოლოგია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 181
აგრარული ფაკულტეტი ..... 183
ტურიზმი (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 183
აგროეკოლოგია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 185
ლანდშაფტური არქიტექტურა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 188
**სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები ..... 191**
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ..... 191
დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურა ..... 191
ფილოლოგია ..... 193
საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტი ..... 195
საინჟინრო ტექნოლოგიები და სისტემები ..... 195
საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი ..... 197
სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია ..... 197
აგრარული ფაკულტეტი ..... 200
აგრონომია ..... 200
პედაგოგიური ფაკულტეტი ..... 210
განათლების მეცნიერებები ..... 210
**ერთსაფეხურიანი ..... 212**
მედიცინის ფაკულტეტი ..... 212
სტომატოლოგია (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 212
Mediqal Doctor (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 214
დიპლომირებული მედიკოსი/PBL (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 216
**ერთწლიანი პროგრამა ..... 218**
პედადოდიური ფაკულტეტი ..... 218
მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი პროგრამა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 218
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ..... 222
ქართულ ენაში მოსამზადებელი პროგრამა (იხ. სასწავლო გეგმა) ..... 222
**სასწავლო გეგემები ..... 224**
**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ..... 547**
**საკონტაქტო ინფორმაცია ..... 550**

# საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები

## ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

### ქართული ენა და ლიტერატურა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| სტუდენტთა მომზადება ზოგადფილოლოგიური მიმართულებით; საბაზისო მოთხოვნათა შესაბამის დონეზე ქართველურ ენათმეცნიერებასა და ლიტერატურათმცოდნეობაში ცოდნის მიღება; ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის ძირითად საკითხებსა და ქართველოლოგიის ზოგად პრობლემებში გაცნობიერება; დარგის პრობლემატიკის შესასწავლად საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება; პრაქტიკული საქმიანობისათვის და მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად მომზადება. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები** | 15 ECTSკრედიტი |
| **პროგრამისათვის სავალდებულო კურსები** | 125 ECTSკრედიტი |
| **პროგრამის არჩევითი კურსები** | 40 ECTSკრედიტი |
| **დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა[1]** | 60 ECTSკრედიტი |
| სულ | 240 ECTSკრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| 1) ბაკალავრიატის კურსადმთავრებულს აქვს საბაზისო ცოდნა ქართულ ლიტერატურასა და ქართველურ ენათმეცნიერებაში. შეუძლია დარგის კომპლექსურ საკითხების გაცნობიერება ერთ მთლიან კულტურულ კონტექსტში.<br>2) აქვს საბაზისო ცოდნა: ფილოსოფიაში; ისტორიულ მეცნიერებებში; კლასიკურ ფილოლოგიაში; ენათმეცნიერების შესავალში; ლიტმცოდნეობის შესავალში; თანამედროვე ქართულ ენაში (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი), ძველ ქართულ ენაში, ქართული ენის დიალექტოლოგიაში, ქართული ენის ლექსიკოლოგიასა და სტილისტიკაში; ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში; ზოგად ენათმეცნიერებაში, ძველ ქართულ ლიტერატურაში; XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში; XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში; XX და XXI საუკუნეთა მიჯნის ქართულ ლიტერატურაში; ქართულ ფოლკლორში; რუსთველოლოგიაში; ტექსტოლოგიაში; ლიტერატურის თეორიაში; ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში. შეისწავლის უცხო ენას არანაკლებ B-1 დონეზე.<br>3) განუმტკიცებული აქვს მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნება, შეუძლია სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობა, შეუძლია ლიტერატურათმცოდნეობითი და ლინგვისტური წყაროების, ფაქტებისა და მოვლენების კრიტიკული შეფასება, ქართული ენისა და ლიტერატურის მნიშვნელოვან საკითხებზე საკუთარი პოზიციის გამოხატვა და დასაბუთება;<br>შეუძლია დარგობრივ პრობლემების განხილვა ერთ მთლიან ისტორიულ, ფილოსოფიურ და კულტურულ კონტექსტში. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები** |
| 1) შეუძლია მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება წინასწარ განსაზღვრულ მითითებათა შესაბამისად;<br>2) შეიძლია ძველი და ახალი ქართული ენის ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიის, სტილისტიკის, ქართული ლიტერატურის, ლიტერატურის თეორიის, ფოლკლორის, |

| |
|---|
| ტექსტოლოგიისა და ლიტერატურული კრიტიკის საბაზისო საკითხების გააზრება, ახალ ინფორმაციებთან დაკავშირება და სათანადოდ შეფასება;<br>3) საბაზისო ცოდნის საფუძველზე შეუძლია დარგის კომპლექსური საკითხების გამოცნობა, ჩვენება და ახსნა;<br>4) შეუძლია პრაქტიკული ხასიათის პროექტების განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;<br>შეუძლია ლიტერატურულ და ლინგვოკულტუროლოგიურ პროცესებთან დაკავშირებით გამართულ განხილვებში მონაწილეობის მისაღებად მომზადება. |
| **დასკვნის უნარი** |
| • შეუძლია ფილოლოგიის დარგში ძირითადი პრობლემების ფორმულირება, ცალკეულ თემებთან დაკავშირებით მონაცემთა ბაზის შექმნა, სისტემატიზაცია, განზოგადება, სინთეზირება და კრიტიკული ანალიზის შემდეგ სათანადოდ დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება;<br>შეუძლია შესაბამის მითითებათა საფუძველზე შესწავლილი მასალის ინტერპრეტაცია და შეჯამება დარგობრივი სფეროსათვის შესატყვის მეთოდთა გამოყენებითა და თანამედროვეობის მოთხოვნათა გათვალისწინებით. |
| **კომუნიკაციის უნარი** |
| • შეუძლია ქართული ენისა და ლიტერატურის პრობლემებთან დაკავშირებით წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის ზეპირად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ქართულ და უცხო ენებზე;<br>• შეუძლია პროფესიულ დისკუსიაში მონაწილეობა, საკუთარ შეხედულებათა პრეზენტაცია, განმარტება და დაცვა;<br>შეუძლია ქართულ და უცხო ენებზე სპეციალური მასალის მოძიება როგორც ინტერნეტით, ასევე ბიბლიოთეკებში. საჭირო ინფორმაციის შეკრება, სისტემატიზაცია და შეჯამება. |
| **სწავლის უნარი** |
| • შეუძლია დროის დაგეგმვა, ორგანიზება, პრაქტიკული მეცადინეობის დაწყებამდე გეგმის შედგენა, პრიორიტეტების გამოყოფა და საკუთარ შესაძლებლობათა შეფასება;<br>შეუძლია მიმდინარე სასწავლო პროცესის, შუალედური და ფინალური შეფასებების შედეგების შესაბამისად საკუთარი სწავლის პროცესის ადეკვატურად შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებათა დადგენა. |
| **ღირებულებები** |
| • შეუძლია პროფესიული ეთიკის დაცვა და სხვათა დამსახურების ობიექტურად და კეთილსინდისიერად შეფასება;<br>• შეუძლია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, კულტურული, მეცნიერული და სხვა სახის მოვლენებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა;<br>შეუძლია ჰუმანისტურ ღირებულებათა ფორმირების პროცესში მონაწილეობა და სწრაფვა მათ დასამკვიდრებლად. |

## ინგლისური ენა და ლიტერატურა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| პროგრამის მიზანია განუვითაროს ბაკალავრს ზოგადჰუმანიტარული აზროვნება, აღჭურვოს იგი საჭირო ფილოლოგიური კომპეტენციით, გამოუმუშაოს მას ენის ფლობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები და მისცეს საბაზისო ცოდნა ენის თეორიისა და ლიტერატურის განვითარების ეტაპებისა და პრობლემური საკითხების შესახებ. პროგრამა, აგრეთვე, მიზნად ისახავს აღჭურვოს სტუდენტი ინგლისურენოვანი სამყაროს უახლესი მახასიათებლების ცოდნით და განუვითაროს მას კულტურათაშორისი დიალოგის წარმართვის ძირითადი უნარ-ჩვევები. პროგრამა აკმაყოფილებს მზარდ მოთხოვნას მაღალი ენობრივი კომპეტენციის მქონე კვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადებაზე დასაქმების არსებული ბაზრისათვის. ამავდროულად, მყარ საფუძველს ქმნის უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად და პიროვნული განვითარებისათვის. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **პროგრამისათვის სავალდებულო კურსები** | 145 ECTSკრედიტი |
| **პროგრამისათვის არჩევითი კურსები** | 30 ECTSკრედიტი |
| **თავისუფალი კრედიტები[2]** | 5 ECTSკრედიტი |
| **დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა[1]** | 60ECTSკრედიტი |
| სულ | 240 ECTSკრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| • საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ექნება მრავალმხრივი ცოდნა ინგლისური ენისა და ლიტერატურის ისტორიაში ეპოქებისა და ლიტერატურული მიმდინარეობების ზოგად-ესთეტიკური პრინციპების გათვალისწინებით. ბაკალავრს განუვითარდება ენის ფლობის შესაბამისი დონე, დაეუფლება ინგლისური ენის პროდუქტიული და რეცეპტული უნარების სპეციფიკას ფორმალური და არაფორმალური დისკურსისათვის; გაეცნობა ინგლისური ენის თეორიის საფუძვლებს ინგლისური ენის ლექსიკოლოგიაში, თეორიულ გრამატიკასა და ენის ისტორიაში;<br>• შეისწავლის ზოგადევროპული და ამერიკული ლიტერატურის განვითარების ეტაპებს. სწავლის პროცესში მას განუვითარდება ისტორიული და ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნება, გაეცნობა ქართული, კლასიკური, ევროპული და ამერიკული ლიტერატურული ტექსტის კრიტიკულ ანალიზის საფუძვლებსა და მეთოდებს;<br>ეცოდინება ფილოსოფიის, ისტორიის, კლასიკური ფილოლოგიის განვითარების ძირითადი ტენდენციები; შეიძენს ზოგადფილოლოგიურ კომპეტენციას. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** |
| საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ თანამედროვე ფილოლოგიური კვლევების გაცნობის ფონზე ინგლისური ფილოლოგიის შესწავლის შემდეგ ბაკალავრს ექნება უნარი გაერკვეს ლიტერატურულ-შემოქმედებითსა და ლინგვოკულტუროლოგიურ პროცესებში. სტუდენტს ექნება ენის დამოუკიდებლად გამოყენების უნარი. იგი შეძლებს დაამყაროს კომუნიკაცია ინგლისურენოვან საზოგადოებასთან ენის შესაბამისი რეგისტრის გათვალისწინებით, აწარმოოს მიმოწერა, მოისმინოს და გაიაზროს თანამედროვე ინგლისური მედია- საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია, თარგმნოს ინგლისური ენიდან ქართულად, ისტორიული, ესთეტიკური და ფილოსოფიური პრინციპების გათვალისწინებით სტუდენტს ექნება მშობლიური, ზოგადევროპული და ამერიკული ლიტერატურის |

| |
|---|
| ეტაპების განვითარების და ლიტერატურის თეორიის პრობლემური საკითხების გაანალიზებისა და შეფასების უნარი. |
| **დასკვნის გაკეთების უნარი** |
| ბაკალავრს შეეძლება ინგლისური ენისა და ლიტერატურის სფეროში ძირითადი პრობლემების შესახებ წერილობითი თუ ზეპირი მსჯელობა, სისტემატიზაცია და კრიტიკული ანალიზის შემდეგ სათანადო დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება. |
| **კომუნიკაციის უნარი** |
| ბაკალავრი შეძლებს მშობლიურ და უცხოურ ენებზე თანამიმდევრულად და აკადემიურად ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, იდეები და მოახდინოს ინფორმაციის გაცვლა გასაგები ტერმინოლოგიითა და ენით როგორც წერილობით, ასევე ზეპირად. იგი შეძლებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მიიღოს საჭირო ინფორმაცია და გადასცეს თავისი ცოდნა ქართულენოვან და უცხოენოვან მსმენელს. |
| **სწავლის უნარი** |
| სტუდენტს განუვითარდება სწავლის უნარი ინდივიდუალური, წყვილური და ჯგუფური მუშაობის საფუძველზე. შეეძლება საკუთარი სასწავლო პროცესის თანმიმდევრული გააზრება, შეფასება და შემდგომი სწავლის გაგრძელებისათვის საკუთარი შესაძლებლობების განსაზღვრა, რათა შეისწავლოს ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაზისო საკითხები, გაიაზროს უახლესი ენობრივი ცვლილებები ფონოლოგიურ, ლექსიკურ, გრამატიკულ თუ ფუნქციურ დონეზე. |
| **ღირებულებები** |
| ეროვნულ ღირებულებებზე აღზრდილი ინგლისური ენისა და ლიტერატურის ბაკალავრი შეძლებს თავისუფლად წამოიწყოს კულტურული ურთიერთობა ინგლისურენოვან საზოგადოებასთან ინგლისური ენის მატარებელთა ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის გათვალისწინებით. ზოგადი ღირებულებების ფორმირების პროცესში მას შეეძლება აღნიშნული სფეროს ფასეულობების გამოყენება, სხვებისთვის გაზიარება და სხვათა მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა და დაფასება. |

## გერმანული ენა და ლიტერატურა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს გერმანული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი შემდგომი საქმიანობისა და საუნივერსიტეტო განათლების მომდევნო საფეხურისათვის (მაგისტრატურა). პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია სტუდენტისათვის ზოგადფილოლოგიური ცოდნის მიცემა, ზოგადი კომპეტენციების განვითარება. პროგრამის მიზანია, სტუდენტმა შეიძინოს პრაქტიკული უნარები, გადაწყვიტოს სხვადასხვა დარგობრივი თუ ზოგადი პრობლემური საკითხები, შეძლოს საკუთარი დასკვნის ჩამოყალიბება, გადასცეს თავისი ცოდნა ქართულენოვან და უცხოენოვან მსმენელს, შეაჯამოს შეძენილი ცოდნა და პატივი სცეს სხვათა მრავალფეროვან კულტურულ მემკვიდრეობას.

პროგრამის მიხედვით გერმანული ენის სწავლება მთლიანად შეესაბამება ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენობრივი პოლიტიკის „საერთო ევროპული რეფერენციული ჩარჩოს“ პარამეტრებს, რაც გულისხმობს ენობრივი კომპეტენციის ზრდას B.1, B.2 დონემდე პირველი საფეხურის სწავლების ფარგლებში.

საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი შეისწავლის გერმანული ლიტერატურის ძირითად საკითხებს ზოგადევროპული და ამერიკული ლიტერატურის ქრონოლოგიური განვითარების ჭრილში; გააცნობიერებს განსხვავებულ კრიტიკულ შეფასებებს; პრინციპების, თეორიებისა და კონცეფციების, დარგის ზოგიერთი გამორჩეული ან ახალი ასპექტის შესწავლას, კვლევის ძირითადი მეთოდების დაუფლებას.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **პროგრამისათვის სავალდებულო კურსები** | 120 ECTSკრედიტი |
| **ფილოლოგიური პროგრამისათვის სავალდებულო კურსები** | 25 ECTSკრედიტი |
| **პროგრამისათვის არჩევითი კურსები** | 30 ECTSკრედიტი |
| **თავისუფალი კრედიტები[2]** | 5 ECTSკრედიტი |
| **დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა[1]** | 60 ECTSკრედიტი |
| სულ | 240 ECTSკრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| ბაკალავრს აქვს „საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს“ მოთხოვნათა შესატყვისი უნარ-ჩვევები გერმანული ენის პრაქტიკულ კურსში, რაც გულისხმობს არა მარტო ზოგადი ლინგვისტური უნარების, არამედ ზოგადი კომპეტენციების განვითარებასაც. გერმანული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მოსმენილი თეორიული კურსების საფუძველზე სტუდენტი ეუფლება აუცილებელ ცოდნას გერმანული ენის თეორიაში, რომელიც მას დაეხმარება სწავლის გასაგრძელებლად ზედა საფეხურზე.<br>კურსდამთავრებული განსაზღვრული და ჩამოაყალიბებული აქვს გერმანული ლიტერატურის ისტორიაში ეპოქებისა და ლიტერატურული მიმდინარეობების ზოგად-ესთეტიკურ პრინციპები. იგი დარგის ლიტერატურას შეიმეცნებს ზოგადევროპული და ამერიკული ლიტერატურის განვითარების ჭრილში, აცნობიერებს გერმანული ლიტერატურის კომპლექსურ საკითხებს, ასევე ინტერნეტ-რესურსების, ინფორმაციის მოძიების თანამედროვე საკომუნიკაციო-ტექნოლოგიურ საშუალებების გამოყენების წესებს. ბაკალავრი ასევე განსაზღვრავს თავისი პროფესიული (ფილოლოგიური) საქმიანობის საზღვრებს. |

| |
|---|
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** |
| საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულსს აქვს ცოდნა და პრაქტიკული უნარები, გადაწყვიტოს სხვადასხვა დარგობრივი თუ ზოგადი პრობლემური საკითხები და მათ გადასაჭრელად მიმართოს სტანდარტულ თუ სპეციფიკურ მეთოდებს. მას შეუძლია ასევე პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. კურსდამთავრებული განახორციელებს ზეპირი და წერილობითი სახის კომუნიკაციას, მას შეუძლია საუბრის წარმართვა, საკუთარი აზრისა და პოზიციის დაცვა, გერმანულენოვანი სხვადასხვა სახის ტექსტის (მასმედია, მხატვრული ტექსტი, დარგობრივი ტექსტი) გაგება, ინტერპრეტაცია და წარმოდგენა.<br>თანამედროვე ფილოლოგიური კვლევების გაცნობის ფონზე გერმანული ფილოლოგიის ზოგადი საკითხების შესწავლის შემდეგ ბაკალავრ აქვს უნარი, გაერკვეს თეორიულ საკითხებში. იგი გაერკვეულია მიმდინარე ლიტერატურულ-ესთეტიკურ და ლინგვოკულტუროლოგიურ პროცესებში, მას აქვს საკუთარი ცოდნის შემოქმედებითად განვითარების სურვილი. საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი გადაწყვეტს სხვადასხვა დარგობრივ თუ ზოგად პრობლემურ საკითხს და მათ გადასაჭრელად მიმართავს სტანდარტულ, თუ სპეციფიკურ მეთოდებს. |
| **დასკვნის გაკეთების უნარი** |
| გერმანული ენისა ლიტერატურის საბაკალავრო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს შეუძლია მიღებული ცოდნის საფუძველზე სხვადასხვა თემასა და საკითხზე არსებული პრობლემების გაცნობიერება, მათი განზოგადება, ინტერპრეტაციის საფუძველზე რეზიუმირება და საკუთარი დასკვნის ჩამოყალიბება. |
| **კომუნიკაციის უნარი** |
| ბაკალავრი თანამიმდევრულად აყალიბებს იდეებს, მოსაზრებებს და ინფორმაციებს როგორც სპეციალისტთა, ასევე არასპეციალისტთათვის გასაგები ტერმინოლოგიითა და ენით, გადასცემს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით თავის ცოდნას ქართულენოვან და უცხოენოვან მსმენელს; ასევე იცავს საკუთარპოზიციებს ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში და აკეთებს წერილობით და ზეპირ პრეზენტაციას სხვადასხვა ტიპის აუდიტორიისთვის. |
| **სწავლის უნარი** |
| ინფორმაციის დიფერენცირების საფუძველზე ბაკალავრი აფასებს და აჯამებს შეძენილ ცოდნას და განსაზღვრავს დაუფლებული უნარების გამოყენების შესაძლებლობებს; ბაკალავრსშეუძლია საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. |
| **ღირებულებები** |
| ბაკალავრს შეუძლია აღნიშნული სფეროს ფასეულობების გამოყენება ზოგადი ღირებულებების ფორმირების პროცესში, ასევე სხვათა მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა და დაფასება. |

## ფრანგული ენა და ლიტერატურა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| საბაკალავრო პროგრამის მიზანია, ზოგადჰუმანიტარული და ზოგადფილოლოგიური ცოდნის შეძენის პარალელურად, მოამზადოს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი ფრანგული ენისა დალიტერატურის სპეციალისტი,აღჭურვოს იგი საჭირო ფილოლოგიური კომპეტენციით, გამოუმუშაოს მას ენის ფლობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, მისცეს საბაზისო ცოდნა ენის თეორიისა და ლიტერატურის განვითარების ეტაპებისა და პრობლემური საკითხების შესახებ. საბაკალავრო პროგრამა,ამავდროულად, მყარ საფუძველს ქმნის უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად, პიროვნული განვითარებისა და შესაბამისი კვალიფიკაციით საქმიანობისათვის. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **პროგრამისათვის სავალდებულო კურსები** | 140 ECTSკრედიტი |
| **პროგრამისათვის არჩევითი კურსები** | 30 ECTSკრედიტი |
| **თავისუფალი კრედიტები[2]** | 10 ECTSკრედიტი |
| **დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა[1]** | 60 ECTSკრედიტი |
| სულ | 240 ECTSკრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| სტუდენტი ფლობს „საერთოევროპული რეფერენციალური ჩარჩოს“ მოთხოვნათა უნარ-ჩვევებს ფრანგული ენის პრაქტიკულ კურსში, რაც გულისხმობს არა მარტო ზოგად ლინგვისტურ უნარებს - უცხო ენაზე ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციების უნარს, არამედ ზოგად კომპეტენციებსაც (წერა, მეტყველება, მოსმენა); შეუძლია სამეცნიერო დარგობრივი ლიტერატურის გააზრებას; იცის ქვეყანათმცოდნეობითი და ინტერკულტურული კლიშეები და რეალიები. ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მოსმენილი თეორიული კურსებით (შესავალი ფრანგულ ფილოლოგიაში, ლექსიკოლოგია, თეორიული გრამატიკა, ენის ისტორია) იღებს საბაზისო ცოდნას ფრანგულ ენაში.<br>კურსდამთავრებული აცნობიერებს ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში ეპოქებისა და ლიტერატურული მიმდინარეობების ზოგად-ესთეტიკურ პრინციპებს, დარგის ლიტერატურას შეიცნობს ზოგადევროპული და ამერიკული ლიტერატურის განვითარების ჭრილში, აცნობიერებს ფრანგულილიტერატურის კომპლექსურ საკითხებს. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** |
| კურსდამთავრებული ერთვება უცხო ენაზე მოსაუბრესთან დიალოგში, იღებს მონაწილეობას დებატებში, შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის განხორციელება, საუბრის წარმართვა, საკუთარი აზრისა და პოზიციის დაცვა; ფრანგულენოვანი სხვადასხვა სახის ტექსტის (მასმედია, მხატვრული ტექსტი, დარგობრივი ტექსტი) გაგება, ინტერპრეტაცია და წარმოდგენა.<br>კურსდამთავრებული წყვეტს სხვადასხვა დარგობრივ თუ ზოგად პრობლემურ საკითხებს და მათ გადასაჭრელად მიმართავს სტანდარტულ თუ სპეციფიკურ მეთოდებს, ამუშავებს პრაქტიკული ხასიათის პროექტებს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად; იყენებს ლიტერატურული კვლევის მეთოდებს ფრანგ მწერალთა ნაწარმოებების გასაანალიზებლად და ასაბუთებს, თუ როგორ რეალიზდება მხატვრულად ფრანგული ლიტერატურის ესთეტიკური პრინციპები ამ თუ იმ ეპოქის ლიტერატურულ ძეგლში. |

| |
|---|
| **დასკვნის გაკეთების უნარი** |
| ბაკალავრს შეუძლია ფრანგული ენისა და ლიტერატურის სფეროში ძირითადი პრობლემების ჩამოყალიბება, ცალკეული თემების შესახებ წერილობითი თუ ზეპირი მსჯელობა, სისტემატიზაცია და კრიტიკული ანალიზის შემდეგ დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, ასევე განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით. |
| **კომუნიკაციის უნარი** |
| ბაკალავრს შეუძლია მშობლიურსა და უცხოურ ენებზე, კონკრეტულ თემაზე და პრობლემაზე წერილობითი ანგარიშის მომზადება, ინფორმაციის ზეპირად გადაცემა, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.<br>ბაკალავრს აქვს უნარი, ფრანგული ლიტერატურის ძირითადი საკითხების მიხედვით თანამიმდევრულად და აკადემიურად ჩამოაყალიბოს იდეები, მოსაზრებები და ინფორმაციები როგორც სპეციალისტთა, ასევე არასპეციალისტთა გასაგები ტერმინოლოგიითა და ენით. ბაკალავრს შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით გადასცეს თავისი ცოდნა ქართულენოვან და უცხოენოვან მსმენელს; მოამზადოს წერილობითი და ზეპირი ანგარიშები სხვადასხვა ტიპის აუდიტორიისთვის. |
| **სწავლის უნარი** |
| ბაკალავრს შეუძლია საკუთარი სასწავლო პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად გააზრება, შეფასება და შემდგომი სწავლის გაგრძელებისათვის საკუთარი შესაძლებლობების განსაზღვრა. |
| **ღირებულებები** |
| ბაკალავრს შეუძლია აღნიშნული სფეროს ფასეულობების გამოყენება ზოგადი ღირებულებების ფორმირების პროცესში და სხვათა მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა და დაფასება. |

## რუსული ენა და ლიტერატურა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი /6000 ასტრონომიული საათი/

| პროგრამის მიზანი |
|---|
| პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს ჰუმანიტარული განათლების მქონე სპეციალისტი–ფილოლოგი რუსული ენისა და ლიტერატურის განხრით;მისცეს მას რუსული ენისა და ლიტერატურის მრავალმხრივი ცოდნა,გააცნოს მას რუსული ენისა და ლიტერატურის თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები; გამოუმუშაოს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის, რუსულ ენაზე კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, განუვითაროს მას კრიტიკული აზროვნება, რაც უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას დასაქმების საერთაშორისო ბაზარზე. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **პროგრამისათვის სავალდებულო კურსები** | 145 ECTS კრედიტი |
| **პროგრამისათვის არჩევითი კურსები** | 25 ECTS კრედიტი |
| **თავისუფალი კრედიტები[2]** | 10 ECTS კრედიტი |
| **დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა[1]** | 60 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| ➢ პროგრამის კურსდამთავრებულმა იცის რუსული სალიტერატურო ენა (მინიმუმ, B 2 დონეზე);<br>➢ გაცნობიერებული აქვს რუსული ენის ფუნქციონალური მრავალფეროვნება, მისი ფონეტიკური, გრამატიკული და სტილისტური ნორმები; აქვს წარმოდგენა რუსული ენის სისტემასა და სტრუქტურაზე;<br>➢ გააზრებული აქვს რუსული ენის კავშირი სხვა ენებთან და მისი ტიპოლოგიური თავისებურებები, იცის მისი ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა;<br>➢ იცის რუსული ლიტერატურა, მისი განვითარების ისტორია, გაცნობიერებული აქვს მისი ადგილი და როლი მსოფლიო კულტურაში, ლიტერატურული პროცესების კანონზომიერები;<br>აღჭურვილია ფილოსოფიის, კლასიკური ფილოლოგიის, ქართული ფილოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიულ მეცნიერებათა თეორიული საფუძვლების ცოდნით. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** |
| • კურსდამთავრებულს აქვს რუსულ ენაზე მეტყველების (როგორც ზეპირად, ისე წერილობით), დიალოგის წარმართვის, საკუთარი აზრის ნათლად და დეტალურად გადმოცემის უნარი;<br>• სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურის მშობლიურ და რუსულ ენაზე გამოყენების უნარი;<br>• სპეციალური ტექსტების თარგმნის უნარი როგორც რუსული ენიდან მშობლიურ ენაზე, ისე პირიქით, ასევე ამ ტექსტების რეფერირებისა და რედაქტირების უნარი;<br>• აქვს ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრული ანალიზის უნარი საზოგადოებრივ სიტუაციასა და ეპოქის კულტურასთან კავშირში;<br>კურსდამთავრებულს შეუძლია ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება ქართულ და რუსულ ენებზე, საკუთარი ცოდნის მობილიზება და მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება. |
| **დასკვნის უნარი** |
| კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს ფილოლოგიური მასალის კრიტიკულად გააზრება-გაანალიზების უნარი, მას შეუძლია ენისა და ლიტერატურის მოვლენებისა და ფაქტების დაკავშირება, |

| |
|---|
| ფილოლოგიურ პრობლემასთან დაკავშირებული განსხვავებული პოზიციების გაანალიზება და ამის საფუძველზე ლოგიკური დასკვნების გაკეთება. |
| **კომუნიკაციის უნარი** |
| აქვს რუსულ ენაზე კომუნიკაციის უნარი სამეტყველო სიტუაციის ფაქტორების ერთობლიობისა და სალიტერატურო ნორმების გათვალისწინებით როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით; დაუფლებულია საუბრის ხელოვნების საფუძვლებს. |
| **სწავლის უნარი** |
| • კურსდამთავრებულს ჩამოყალიბებული აქვს დადებითი დამოკიდებულება სწავლის პროცესისადმი, სწავლის გაგრძელების სურვილი საკუთარი ცოდნის მუდმივი თანმიმდევრული სრულყოფის მიზნით;<br>• მას შეუძლია საკუთარი კომპეტენციის გაანალიზება/შეფასება რუსული ენისა და ლიტერატურის სფეროში;<br>გამომუშავებული აქვს შესასწავლი საგნის ასათვისებლად საჭირო სტრატეგიული უნარები - დაგეგმვის, ეტაპებად დაყოფის, სირთულეების განსაზღვრის, ხარვეზების გაანალიზებისა და აღმოფხვრის. |
| **ღირებულებები** |
| • გაცნობიერებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე; მას აქვს პატივისცემის გრძნობა ჰუმანიზმის, ქართული, რუსული და ზოგადად მსოფლიო კულტურული ღირებულებების მიმართ;<br>• განვიტარებული აქვს პატივისცემის გრძნობა მასზე დაკისრებული მოვალეობის კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად შესრულების მიმართ;<br>კურსდამთავრებულს ჩამოყალიბებული აქვს პოზიტიური დამოკიდებულება თავისუფალი აზროვნებისადმი, სხვათა შეხედულებებისადმი პატივისცემის გრძნობა. |

## აღმოსავლური ფილოლოგია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| საქართველოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან (არაბული, ირანული და თურქული სამყაროები) ისტორიული და თანამედროვე მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა ჩვენი ქვეყნისათვის აღმოსავლური ფილოლოგიის დარგებს აქტუალურსა და სტრატეგიულად მნიშველოვანს ხდის.<br>აღმოსავლური ფილოლოგია (არაბული ფილოლოგია, თურქული ფილოლოგია და სპარსული ფილოლოგია) ისტორიულ-ფილოლოგიური მიმართულებების კომპლექსური დარგია, რომელიც ერთი ობიექტის – აღმოსავლეთის (ახლო აღმოსავლეთის: არაბული სამყაროს, თურქეთისა და ირანის), მისი წარსულისა და აწმყოს გარშემო ერთიანდება.<br>აღმოსავლური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს აღმოსავლური ფილოლოგიის სპეციალისტები არაბული ფილოლოგიის, თურქული ფილოლოგიისა და სპარსული ფილოლოგიის მიმართულებით; თანამედროვე ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის დონის შესაბამისად შეასწავლოს სტუდენტებს ერთ–ერთი აღმოსავლური ენა (არაბული, თურქული, სპარსული) და ლიტერატურა; მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურული, ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური ასპექტები და ქართულ-აღმოსავლური ენობრივი, ლიტერატურული და კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების თავისებურებებები.<br>ამდენად, პროგრამის ერთ–ერთი მთავარი მიზანია სტუდენტს მისცეს საჭირო უნარ–ჩევვები, შემდგომში სპეციალური თეორიული და პრაქტიკული მომზადებისათვის. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **პროგრამის სავალდებულო კურსები** | 52 ECTS კრედიტი |
| **პროგრამის არჩევითი კურსები** | 10 ECTS კრედიტი |
| **სპეციალიზაციის სავალდებულო კურსები** | 108 ECTS კრედიტი |
| **თავისუფალი კრედიტები[2]** | 10 ECTS კრედიტი |
| **დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა[1]** | 60 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| აღმოსავლური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ფლობს ფართო თეოურილ და პრაქტიკულ ცოდნას ერთ–ერთ აღმოსავლურ ენაში (არაბული, თურქული, სპარსული), ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში, იცნობს ენათმეცნიერების, ფილოსოფიისა და ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლებს; აქვს საბაზისო ცოდნა:<br>➢ ერთ–ერთი აღმოსავლური ენის ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკოლოგიაში;<br>➢ კლასიკური ფილოლოგიის საფუძვლებში;<br>➢ ლინგვისტური კომპარატივისტიკის ამოსავალი დებულებებში;<br>➢ აღმოსავლური ლიტერატურისა (არაბული, თურქული, სპარსული) და ფოლკლორის ისტორიის, გენეზისისა და ქართულ–აღმოსავლური ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ;<br>➢ აღმოსავლური (არაბული/თურქული/სპარსული) ლიტერატურული ნიმუშების ენობრივი სირთულეების შესახებ;<br>➢ თარგმანის თეორიის ზოგად პრინციპებზე; ერთ–ერთი აღმოსავლური ენიდან (არაბული, თურქული, სპარსული) ქართულად და აღმოსავლურ ენაზე წერილობითი და ზეპირი თარგმანის სპეციფიკაში. |

➢ მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის და კულტურის ისტორიის საკითხებისა და ძირითადი ტენდენციების შესახებ;
➢ ქართულ–აღმოსავლური ენობრივი, ლიტერატურული და ისტორიული კონტაქტების: ინტერფერენციის საკითხებისა და ქართულში აღმოსავლური ლექსიკის დამკვიდრების, ნასესხობათა ფონეტიკური და სემანტიკური მოდიფიკაციების შესახებ; შუა საუკუნეების ლიტერატურული კონტაქტების გენეზისისა და განვითარების ისტორიის შესახებ;
➢ კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს აღმოსავლური ფილოლოგიის დარგების (არაბული ფილოლოგია, თურქული ფილოლოგია, ირანული ფილოლოგია) მნიშვნელობა ქართული ენისა და კულტურის ისტორიის შესწავლისათვის.
➢ ისლამის ისტორიისა და სოციალური ინსტიტუტის, შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ისლამის მიმდინარეობების, ისლამური დოგმატიკისა და შარიათის ზოგად საკითხებზე;
➢ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკური სისტემების, სოციალური ასპექტებისა და თანამედროვე მდგომარეობის შესახებ პოლიტიკირი გეგრაფიის ჭრილში;
➢ ახლო აღმოსავლეთის ხალხთა რელიგიური, ეროვნული და ყოფითი თავისებურებების შესახებ;
➢ საქართველოსა და გარესამყაროსათვის ახლო აღმოსავლეთის რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

კურსდამთავრებულს შეუძლია
1) რომელიმე აღმოსავლურ (არაბული, თურქული, სპარსული) ენაზე კომუნიკაცია, ენის პრაქტიკული გამოყენება წერილობითი კორესპოდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის. მას აქვს საუბრის წარმართვის უნარ-ჩვევები.
2) შესწევს აღმოსავლური ენიდან ქართულად და პირიქით საშუალოზე რთული სხვადასხვა ტიპის ტექსტების გაგების, ანალიზის, თარგმნის, ინტერპრეტაციისა და რეპრეზანტაციის უნარი. ფლობს სათარჯიმნო პრაქტიკის უნარ–ჩვევებს;
3) ერთ–ერთი აღმოსავლური ენის (არაბული, თურქული, სპარსული) სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებზე (ერთენოვან განმარტებით, შუა საუკუნეების ენციკლოპედიური ხასიათისა და ეტიმოლოგიურ ლექსიკონებზე) მუშაობის უნარი.
4) ხელმძღვანელობის პირობებში ენობრივი და ლიტერატურული მონაცემების შერჩევის, ფორმულირებისა და გამოყენების უნარს პრობლემის გადასაჭრელად; ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარს როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის გამოყენებით;
5) შეუძლია დამოუკიდებელი ანალიტიკური უნარის გამომუშავება შესაბამის დარგობრივ სფეროში;
6) სტუდენტ აქვს ლინგვისტური კომპარატივისტიკის საფუძვლების პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
7) ლიტერატურისმცოდნეობით, ლინგვისტურ და ისტორიულ–კულტუროლოგიურ კონტექსტში დარგობრივი მონაცემების გააზრების, შეფასებისა და ანალიზის უნარი.
8) აღმოსავლური ლიტერატურული ნიმუშების ორიგინალში კითხვისა და თარგმნისა, ენობრივ სირთულეებში გარკვევის უნარები;
9) ახლო აღმოსავლეთის ხალხთა რელიგიური, ეროვნული და ყოფითი თავისებურებების გათვალსიწინება სტუდენტს დაეხმარება ენის პრაქტიკულად გამოყენებისა და სწორი წერილობითი თარგმანის შესრულებაში.

**დასკვნის უნარი**

კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს:
1) დარგობრივი ინფორმაციის: ენობრივი სტრუქტურის, ლიტერატული და ისტორიული ფაქტების, მათ შორის ქართულ–აღმოსავლური კონტაქტების ანალიზის, კრიტიკული შეფასებისა და სინთეზური მეთოდის გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი.
2) აღმოსავლური ფილოლოგიის (არაბული ფილოლოგიის, თურქული ფილოლოგიის, სპარსული ფილოლოგიის) ლინგვისტური და ლიტერატურული პრობლემის ზოგადლინგვისტური და ლიტერატურის თეორიის მონაცემების კონტექსტში გააზრების, ახსნისა და სათანადო დასკვნების გამოტანის უნარი.

3) აღმოსავლური (არაბული/თურქული/სპარსული) ენის გრამატიკისა და ლინგვისტური ტიპოლოგიის მონაცემების ზოგადფილოლოგიურ ასპექტში შეჯამების უნარი.

**კომუნიკაციის უნარი**

სტუდენტს შეუძლია

1) ჯგუფური მუშაობისას და დისკუსიაში მიღებული მონაცემების ლოგიკურად და ეფექტურად კონსტრუირება და პრეზენტაცია; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება დარგობრივ სფეროში. ერთ–ერთი აღმოსავლური (არაბული, თურქული, სპარსული) ენის ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემებისა და ინგლისური ენის ცოდნით კომუნიკაციის წარმართვა, კამათში ჩართვა და ა.შ. (ენის პრაქტიკული ფლობა). რომელიმე აღმოსავლურ ენაზე კითხვის, თარგმნის, კრიტიკული მსჯელობის წარმართვა. დისკუსიაში პროფესიული (ზოგადლინგვისტური და არაბულ/თურქულ/სპარსულ) ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა, დავალების ლოგიკურად ჩამოყალიბება და მისაღები ფორმით გადმოცემა; სიტუაციაში ადაპტირების უნარი.

2) ახლო აღმოსავლეთის ხალხთა რელიგიური, ეროვნული და ყოფითი მონა-ცემების გათვალისწინებით სიტუაციაში სწორი ორიენტაციის უნარი.

**სწავლის უნარი**

1) კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევ-რულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების სწორად დადგენა; მას აქვს საკუთარი შესაძლებლობების თვითშეფასების, ლინგვისტური და ლიტერატურული მოვლენების/პროცესების შეფასებისა და ანალიზის, ისტორიული ფაქტების განზოგადებისა და ისტორიულ კონტექსტში განხილვის, არგუმენტირების, კრიტიკული შეფასების, სამუშაო დროის დაგეგმვის, ორგანიზებისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;
2) ჯგუფში მუშაობის უნარი;
3) სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი;
4) პროფესიული კამათის უნარ-ჩვევები.

**ღირებულებები**

➢ სტუდენტი მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში პროფესიულ კამათში ეთიკის დაცვით. მას აქვს აღმოსავლური და ქართული კულტურების ერთმანეთთან მიმართების გათვალსიწინებით კომუნიკაციაში ტოლერანტული ღირებულებების განსაზღვრის უნარი.

ახლო აღმოსავლეთის ხალხებთან ურთიერთობის პროცესს ხშირად აფერხებს მათი მენტალიტეტისა და ფსიქოლოგიის, ტრადიციული ღირებულებების გაუთვალისწი-ნებლობა. აღმოსავლური ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტს ამ გარემოებათა გაითვალისწინებით შეუძლია ტოლერანტული დამოკიდებულების გამოჩენა ახლო აღმოსავლეთის მრავალფეროვანი და იმავდროულად შინაგანი მთლიანობით გამორჩეული კულტურული ტრადიციის მიმართ.

## არქეოლოგია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი არქეოლოგიაში

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| საბაკალავრო პროგრამის მიზანია ევროპულ საგანმანათლებლო სისტემაში არსებული თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით მოამზადოს უმაღლესი განათლების I საფეხურისათვის განსაზღვრული კომპეტენციებით აღჭურვილი მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები არქეოლოგიაში, რომელთაც ექნებათ სათანადო ცოდნა და შესაბამისი უნარ-ჩვევები წარმატებული საქმიანობისათვის არქეოლოგიის და ზოგადად კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მიმართულებით.<br><br>ხანიდან გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით) მიხედვით სწავლის გასაგრძელებლად მაგისტრატურაში უფრო მაღალი კვალიფიკაციის მიღების მიზნით. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **პროგრამისათვის სავალდებულო კურსები** | 130 ECTS კრედიტი |
| **პროგრამისათვის არჩევითი კურსები** | 40 ECTS კრედიტი |
| **თავისუფალი კრედიტები[2]** | 10 ECTS კრედიტი |
| **დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა[1]** | 60 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| **ბაკალავრს აქვს-**<br>✓ სფეროს ფართო ცოდნა: არქეოლოგიის საფუძვლებში (დარგის ისტორია, მთავარი პრინციპები, თეორიები, კონცეფციები); არქეოლოგიური კვლევისა და კოლექციების დაცვის მეთოდებში; საქართველოს წინაისტორიული, ანტიკური და შუასაუკუნეების ეპოქათა არქეოლოგიაში; მსოფლიოს პრეისტორიული ხანის არქეოლოგიურ კულტურებში, უძველეს არქეოლოგიურ ცივილიზაციებსა და ანტიკურ არქეოლოგიაში; საქართველოს ქალაქებსა და საქალაქო ცხოვრებაში; სამუზეუმო საქმეში; ნუმიზმატიკაში; ეთნოარქეოლოგიაში; საქართველოს მატერიალური კულტურის ძეგლების ისტორიაში; ანთროპოლოგიაში; ქართულ პალეოგრაფიაში; ფოტოფიქსაციაში.<br>✓ დაეუფლება ზოგადჰუმანიტარული ცოდნის თეორიულ საფუძვლებს ისტორიულ მეცნიერებათა შესავალსა და საქართველოს ისტორიაში; ძველი აღმოსავლეთის და ანტიკური ქვეყნების ისტორიაში; მსოფლიო კულტურაში; თეორიულ და კავკასიის ხალხთა ეთნოლოგიაში; ფილოსოფიაში; კლასიკურ და ქართულ ფილოლოგიაში. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** |
| **ბაკალავრს შეუძლია მიღებული ცოდნის გამოყენება განსაზღვრული მითითებების საფუძველზე -**<br>✓ არქეოლოგიურ სადაზვერვო და სტაციონალურ ექსპედიციებში მონაწილეობა და არქეოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენება (არქეოლოგიური ძეგლის გათხრა, საპრეპარაციო სამუშაოები).<br>✓ არქეოლოგიური არტეფაქტების პირველადი დამუშავება (ფიქსაცია, გასუფთავება-გაწმენდა, კონსერვაცია, აღწერა და საინვენტარო წიგნში გატარება).<br>✓ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფოტოფიქსაცია. |

- ✓ არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილების განსაზღვრა და კლასიფიკაცია.
- ✓ მონეტებისა და სამონეტო განძების  განსაზღვრა, იდენტიფიკაცია და დათარიღება.
- ✓ წერილობით წყაროებზე (ქართული, ძველი ბერძნული და ლათინური) მუშაობა. ელექტრონულ საძიებო რესურსებში სათანადო ინფორმაციისა და მასალების მოძიება.
- ✓ სამუზეუმო კოლექციების დაცვა და გამოფენების ორგანიზება. საექსკურსიო საქმიანობა მუზეუმებში და საქართველოს ტურისტულ ინფრასტრუქურაში შემავალ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.
- ✓ კულტურულ ფასეულობათა გამორჩევა, აღწერა და შეფასება.
- ✓ ეთნოარქეოლოგიური მასალის საფუძველზე ქართველთა თაობების მიერ შექმნილი ეთნიკური კულტურის  ელემენტთა კლასიფიცირება.
- ✓ არქეოლოგიაში კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება ხელმძღვანელის მითითებების შესაბამისად (პრაქტიკის ანგარიშის, რეფერატის ან სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციისათვის ნაშრომის მომზადება). წერის პროცესის სწორი ორგანიზება. აკადემიურ სივრცეში გამოყენებული ტექსტების გაფორმება პროფესიული სპეციფიკის გათვალისწინებით. სამეცნიერო ტექსტის შესაბამისად ფოტომასალის და პუბლიკაციების სინთეზურ მომზადებას

**დასკვნის უნარი**

**ბაკალავრს განსაზღვრული მითითებების საფუძველზე შეუძლია -**

- ✓ პრობლემურ სიტუაციაში არქეოლოგიისა და მომიჯნავე მეცნიერებათა ფარგლებში მონაცემთა მოძიება, კრიტიკულად გააზრება, განსხვავებული პოზიციების ანალიზი, წერილობითი წყაროების, სამეცნიერო ლიტერატურის და არქეოლოგიური არტეფაქტების შეჯერება და მოვლენათა ურთიერკავშირის დადგენა. ძირითადი და დამხმარე საინფორმაციო წყაროების მნიშვნელობის განსაზღვრას.
- ✓ საკუთარი საქმიანობის სფეროში (არქეოლოგია, სამუზეუმო საქმე, კულტურული მემკვიდრეობის შეფასება და პოპულარიზაცია) სათანადო მეთოდების გამოყენებით განყენებული მონაცემებისა და  სიტუაციების ანალიზი, შეფასება,  დასაბუთებული დასკვნების სახით ჩამოყალიბება და წერილობითი და ზეპირი სახით წარმოჩენა.
- ✓ თეორიული სწავლების პროცესში ან საველე პრაქტიკის დროს წამოჭრილი პრობლემის იდენტიფიცირება, მისი გადაჭრის გზების მოძიება, სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით სწორი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება.

**კომუნიკაციის უნარი**

**ბაკალავრს შეუძლია -**

- ✓ თავისი დარგის სპეციალისტებთან ან სხვა დარგის წარმომადგენლებთან საკუთარი იდეების, მოსაზრებების, აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება წერილობითი ანგარიშის მომზადების, საჯარო პრეზენტაციებისა და დისკუსიების გზით. დიალოგის წარმართვა, მეტყველების სიზუსტისა და ლოგიკურობის დაცვა.
- ✓ თანამედროვე ინფორმაციული  და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად და შემოქმედებითად გამოყენება და ახალი ტექნოლოგიების ათვისება. საოფისე პროგრამების, არქეოლოგიისა და საერთოდ კულტურული მემკვიდრეობის ელექტრონულ მონაცემთა ბაზების გამოყენება ლექციებზე, პრეზენტაციებზე, პრაქტიკული თუ ჯგუფური მუშაობის დროს და დამოუკიდებელი მუშაობის პროცესში.
- ✓ მშობლიურ და უცხო ენაზეზეპირი და წერილობითი პრეზენტაციები. საკუთარი მოსაზრებების ორიგინალურად და მწყობრად ჩამოყალიბება და გამოხატვა, არგუმენტაცია და დაცვა.

**სწავლის უნარი**

**ბაკალავრს შეუძლია -**

- ✓ სწავლისათვის (პრაქტიკულ მეცადინეობებზე, სამუშაო ჯგუფებში და დამოუკიდებელი მუშაობისათვის) საჭირო რელევანტური სტრატეგიის შერჩევა და საკუთარი კომპეტენციების შეფასება.გამოყენებული სტრატეგიის მონიტორინგი (სასწავლო პროცესის ანალიზი;

| |
|---|
| პრობლემებისგამოვლენა და მათი დაძლევის გზების განსაზღვრა). შემდგომი სწავლის საჭიროებათა დადგენა.<br>✓ შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განსაზღვრა და შეძენის სტრატეგიის გამოუშავება.<br>✓ ინფორმაციის და დროის მენეჯმენტი (დაგეგმვა, პრიორიტეტების გამოყოფა, სამუშაოს ორგანიზება). |
| **ღირებულებები** |
| **ბაკალავრს შეუძლია -**<br>✓ საქართველოს და მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა.<br>✓ პატრიოტიზმი და ქვეყნის ინტერესების დაცვა. პასუხსმგებლობა საკუთარი სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშე.<br>✓ სამყაროს მულტიკულტურალიზმისა და მრავალფეროვნების პატივისცემა. ჰუმანისტურ ღირებულებათა ფორმირების პროცესში მონაწილეობა და სწრაფვა მათ დასამკვიდრებლად საკუთარ პროფესიული კომპეტენციების გამოყენების გზით.<br>✓ არქეოლოგიის და მომიჯნავე მეცნიერებათა სფეროში სპეციფიკური პროფესიული ეთიკის დაცვა. სამეცნიერო წყაროების მეცნიერული კეთილსინდისიერებით გამოყენება, თვალსაზრისთა ობიექტური კრიტერიუმით შეფასება.<br>✓ კულტურული, ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური ტოლერანტობის ჩამოყალიბება. |

## ისტორია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი /6000 ასტრონომიული საათი/

| პროგრამის მიზანი |
|---|

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს ჩამოუყალიბოს:

- დიაქრონიულ და სინქრონულ ჭრილში საბაზისო ცოდნა საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა პერიოდების უმთავრესი მოვლენების შესახებ(ძვ.აღმოსავლეთისა და ანტიკური ქვეყნების ისტორია, შუა საუკუნეების ევროპის. ევროპა-ამერიკისა და აზიის მთავარი ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია); საქართველოს ისტორიის ცოდნა იმ რეგიონთან და ქვეყნების ისტორიების კონტექსტში, რომლებთან კავშირშიც ის ისტორიულად ვითარდებოდა;
- მოვლენების, ფაქტების, წყაროებისა და სხვადასხვა იდეურ-პოლიტიკური პოზიციებიდან შექმნილი ისტორიული გამოკვლევების კრიტიკულად განხილვისა და საკუთარი აზრის გამომუშავების უნარი; წარსულისკრიტიკულადაღქმისა დაიმ მიზეზ-შედეგობრივი კავშირებისგააზრებისუნარი რომელიც არსებობს წარსულსა და დღევანდელობას შორის;
- ეროვნულ-კულტურული იდენტობის, თვითმყოფადობისა და უნიკალური ინდივიდუალობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი ფუნქციების გააზრების უნარი; სხვადასხვა ცივილიზაციების ცოდნა-პატივისცემისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ღირებულებებში ორიენტირების უნარი.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **პროგრამისათვის სავალდებულო კურსები** | 140 ECTSკრედიტი |
| **არჩევითი კურსები** | 35 ECTSკრედიტი |
| **თავისუფალი კრედიტები[2]** | 5 ECTSკრედიტი |
| **დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა[1]** | 60 ECTSკრედიტი |
| სულ | 240 ECTSკრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| განმარტავს ისტორიის რაობას, ფუნქციებს და კვლევის მეთოდებს; განსაზღვრავს საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა პერიოდების უმთავრეს მოვლენებს დიაქრონიულ და სინქრონიულ ჭრილში; შეუძლია ისტორიული მეცნიერების კლასიფიცირება დროისა და სივრცის კატეგორიების მიხედვით; განიხილავს და იყენებს სხვადასხვა სახის ისტორიული მეთოდებსა და მიდგომებს; განსაზღვრავს და აფასებს მსოფლიო ისტორიულ პროცესში საქართველოს ადგილსა და როლს; განიხილავს და აანალიზებს ისტორიულ წყაროებს, განსხვავებულ თეორიულ მიდგომებსა და პრინციპებს; |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** |
| იყენებს ისტორიის დარგისათვის დამახასიათებელ მეთოდებს კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად; შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციების შესაბამისად კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის ამოცანებისგადაჭრა და მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია; აჩვენებს დღევანდელობაზე ისტორიულიწარსულის გავლენას, აქვს წარსულისა და თანამედროვეობის დაკავშირების უნარი; |
| **დასკვნის უნარი** |

| |
|---|
| კრიტიკულად იაზრებს ისტორიულ წყაროებს ისტორიული სინამდვილის  რეკონსტრუქციისას; აანალიზებს კონკრეტულ  მონაცემებს და აკეთებს ადეკვატურ დასკვნებს;კრიტიკულად უდგება შესაბამის ლიტერატურაში ჩამოყალიბებულ სხვადასხვა მოსაზრებებს, არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს. |
| **კომუნიკაციის უნარი** |
| კურსდამთავრებულს აქვს ზეპირი და წერილობითი ინფორმაციის მიღების, აღქმისა და წარდგენის, წერილობითი ანგარიშის მომზადებისა დაპრეზენტაციის უნარი; აწვდის ინფორმაციას სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს  როგორც ქართულ ასევე უცხო ენაზე; ფლობს სპეციალურ ტერმინოლოგიას, კამათის კულტურას, აქვს დიალოგებსა და დისკუსიებში მონაწილეობის უნარი; განსხვავებული აზრების პატივისცემისა და ჯგუფში მუშაობის უნარი; იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებს კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად. |
| **სწავლის უნარი** |
| დამოუკიდებლად შეუძლია ისტორიული მეცნიერებისა და მისი ცალკეული ქვედარგების სფეროს მონაცემების შეგროვება; მრავალმხრივ კრიტიკულად და თანმიმდევრულად აფასებს საკუთარ სწავლის შედეგებს და შესაძლებლობებს. აცნობიერებს თავისი ცოდნის ზღვარს და მზად არის შემდგომი სწავლისათვის. |
| **ღირებულებები** |
| სრულად აცნობიერებს დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების  და განვითარების მნიშვნელობას საზოგადოებრივი პროგრესის საქმეში; ესმის პიროვნების სრულყოფისათვის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და განვითარების მნიშვნელობა; პროფესიულ საქმიანობისას იცავს ეთიკის ნორმებს; ავლენს ტოლერანტობას განსხვავებული რწმენისა და შეხედულებების ადამიანთა მიმართ; პატივს სცემს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მონაწილეობს მათიდამკვიდრებისა და განვითარების პროცესში, აქვს ნაციონალური ისტორიის მნიშვნელობისა და როლის მსოფლიო-ისტორიულ პროცესში გააზრების უნარი. |

## ფილოსოფია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოსოფიაში

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი /6000 ასტრონომიული საათი/

| პროგრამის მიზანი |
|---|
| ფილოსოფიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს ჩამოუყალიბოს: ფილოსოფიის განვითარების ისტორიული ეპოქების (ანტიკური, შუასაუკუნეების, ახალი დროისა და უახლესი), ძირითად მიმდინარეობათა თეორიების, ფილოსოფიური სისტემებისა და სხვადასხვა ფილოსოფოსთა შეხედულებების, ფილოსოფიის, როგორც კულტურის ისტორიის შემადგენელი ნაწილის ცოდნა; ადამიანის ადგილისა და ღირებულებების განსაზღვრისა და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **პროგრამის სავალდებულო კურსები** | 150 ECTS კრედიტი |
| **არჩევითი კურსები** | 20 ECTS კრედიტი |
| **თავისუფალი კრედიტები[2]** | 10 ECTS კრედიტი |
| **დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა[1]** | 60 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| ფილოსოფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:<br>• განსაზღვრავს ფილოსოფიის სპეციფიკას, მის განსხვავებას კულტურის სხვა ფენომენებისაგან.<br>• ახდენს ზოგადი ცოდნის დემონსტრირებას ფილოსოფიის ისტორიის, დარგების, ძირითადი მიმართულებებისა და სკოლების ეპოქალური და პარადიგმატული საფუძვლების შესახებ;<br>• ფლობს ცოდნას სხვადასხვა ფილოსოფიური თეორიების ძირითადი ცნებების, კატეგორიებისა და კონცეპტების შესახებ;<br>• განიხილავს მნიშვნელოვანი ფილოსოფოსების ფუნდამენტურ შრომებს, მათი ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს.<br>• ადარებს დასავლური და აღმოსავლური ფილოსოფიის ძირითად ტრადიციებს. |
| **უნარი** |
| ➢ ფილოსოფიურ საკითხებთან მიმართებით წერილობითი, დებატებისა თუ ზეპირი ფორმით თანმიმდევრულად და აკადემიურად აყალიბებს აზრს, მსჯელობს არგუმენტირებულად და წამოჭრის ფილოსოფიურ საკითხებს;<br>➢ კრიტიკულად აანალიზებს, აფასებს და დიალოგს მართავს მრავლობითი საზოგადოებრივი ღირებულებების ფილოსოფიური ასპექტების გათვალისწინებით. |

| |
|---|
| ➢ იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს; საბიბლიოთეკო რესურსებს, ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებს. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| ➢ მონაწილეობს მრავლობითი საზოგადოებრივი ღირებულებების დაცვისპროცესში და იზიარებს საყოველთაო მორალის პრინციპებს;<br>➢ პროფესიულ საქმიანობისას იცავს ეთიკის ნორმებს; ავლენს ტოლერანტობას განსხვავებული შეხედულებების მიმართ;<br>➢ ავლენს ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, ადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებებს. |

## საშემსრულებლო ხელოვნება (მიმართულებები: ფორტეპიანო, საორკესტრო საკრავები, სოლო აკადემიური სიმღერა) (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი საშემსრულებლო ხელოვნებაში

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი /6000 ასტრონომიული საათი/

| პროგრამის მიზანი |
|---|
| საშემსრულებლო ხელოვნების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება რა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას მიზნად ისახავს:<br>მოამზადოს ქალაქის და რეგიონის ინტერესებიდან გამომდინარე, მუსიკოს-შემსრულებელთა კვალიფიციური კადრი ფორტეპიანოს, საორკესტრო (სიმებიანი, ჩასაბერი და დასარტყამი) საკრავების, სოლო აკადემიური სიმღერის, აკადემიური გუნდის დირიჟორობის მიმართულებებით.<br>სტუდენტს მისცეს მუსიკალური კულტურის, ჟანრებისა და ფორმების, სტილების შესახებ ცოდნა ისტორიული განვითარების ეტაპების ჭრილში და აზიაროს ეროვნულ, მსოფლიო სამუსიკო ხელოვნებას, ჩამოუყალიბოს მუსიკალური ესთეტიკური აზროვნება, სხვადასხვა ცივილიზაციების ცოდნა- პატივისცემისა და კულტურულ ღირებულებებში ორიენტირების უნარი.<br>საბაკალავრო პროგრამა საფუძველს ქმნის უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში)<br>სწავლის გასაგრძელებლად და საშემსრულებლო -შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **პროგრამის სავალდებულო კურსები** | 64 ECTS კრედიტი |
| **არჩევითი კურსები** | 30 ECTS კრედიტი |
| **თავისუფალი კრედიტები[2]** | 10 ECTS კრედიტი |
| **არჩეული მიმართულების (ფორტეპიანო; საორკესტრო სიმებიანი საკრავები; საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები; სოლო აკადემიური სიმღერა; აკადემიური გუნდის დირიჟორობა; ) სასწავლო კურსები:** | 136 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| კურსდამთავრებული:<br>შეძლებს შესაბამისი მიმართულების რეპერტუარის პროფესიულ დონეზე გააზრებასა და შესრულებას;<br>შეძლებს ანსამბლური მუსიცირების ფორმების გაცნობიერებასა და შესრულებას;<br>ექნება მუსიკის თეორიისა და მუსიკის ისტორიის საკითხების სისტემური ცოდნა;<br>ეზიარება ეროვნული მუსიკალური ფოლკლორის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს;<br>გააცნობიერებს მუსიკალური ხელოვნების საერთო სტრუქტურასა და მის ურთიერთკავშირს სხვა დარგებთან;<br>ასევე კურსდამთავრებული მიმართულების მიხედვით დაეუფლება:<br>ფორტეპიანო<br>კონცერტმაისტერისთვის დამახასიათებელ უნარ-ჩვევებს.<br>საორკესტრო სიმებიანი საკრავები<br>საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები ორკესტრში დაკვრის უნარ-ჩვევებს; |

| |
|---|
| სოლო აკადემიური სიმღერა<br>საოპერო სპექტაკლში მონაწილეობის უნარ-ჩვევებს;<br>აკადემიური გუნდის დირიჟორობა<br>გამოიმუშავებს გუნდის ორგანიზებისა და მართვის ცოდნასა და უნარს. |
| **უნარი** |
| შეძენილი ცოდნის საფუძველზე კურსდამთავრებულს<br>ექნება ახალი და უახლესი საშემსრულებლო ხელოვნების წინაშე მდგომი კომპლექსური პრობლემების დამოუკიდებლად და ორიგინალურად გადაჭრის უნარი;<br>ექნება შესასრულებელ ნაწარმოებში არსებული ნებისმიერი სირთულეების დამოუკიდებლად პროფესიულ დონეზე გადაჭრის უნარი;<br>გაანალიზებს საშემსრულებლო ხელოვანების სხვადასხავა ეპოქის ესთეტიკურ პრინციპებს და მოახდენს მათ ინტერპრეტირებას;<br>განახორციელებს საშემსრულებლო-შემოქმედებითი პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს;<br>საკუთარი შემოქმედების გააზრების და სხვათა შემოქმედებითი პროდუქციის შეფასები უნარი;<br>მუსიკოლოგიური, სანოტო ლიტერატურისა ან აუდიო-ვიზუალური მასალების ამოცნობის უნარი. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| გაითავისებს ეროვნულ და მსოფლიო კულტურის საშემსრულებლო ხელოვნების ღირებულებებს და დაიცავს მუსიკალურ და კულტურული მემკვიდრეობას.<br>გააცნობიერებს პროფესიულ პასუხისმგებლობას, გაითვალისწინებს და შეძლებს პარტნიორებთან შემოქმედებითი ურთიერთობების დარეგულებას;<br>ექნება გუნდური მუშაობის უნარი;<br>პატივს სცემს სხვათა განსხვავებულ აზრს და კორექტულად დაიცავს საკუთარი მოსაზრებებს. |

## ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## ბიზნესის ადმინისტრირება (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამის მიზანია ბიზნესის ადმინისტრირების შესახებ ფართო ცოდნის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს ბიზნეს იდეის ფორმულირებას, ბიზნეს გეგმის შედგენას, დაფინანსების წყაროების განსაზღვრა/მოძიებას და ბიზნესის ადმინისტრირებაში მონაწილეობას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| (ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები | 156 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი კომპონენტები | 24 ECTS კრედიტი |
| **დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა**[1] | 60 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| **ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებული:**<br>✓ განსაზღვრავს საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები, ბიზნესის დაფინანსების წყაროებს, ბიზნესის განვითარების როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო ტენდენციებს და შესაძლებლობებს თანამედროვე საინფორმაციო სისტემების და ტექნოლოგიების გამოყენებით;<br>✓ ხსნის ბიზნეს სფეროს ეკონომიკურ კატეგორიებს და ძირითადი მახასიათებლებს;<br>✓ კრიტიკულად იაზრებს ბიზნესის ადმინისტრირების პრინციპებსა და უახლეს ასპექტებს;<br>✓ |
| **უნარი** |
| 1. ახდენს ბიზნეს იდეის ფორმულირებას და ბიზნეს გეგმის შედგენა/წარდგენას თანამედროვე კომუნიკაციური საშუალებების გამოყენებით;<br>2. აღრიცხავს, აანალიზებს და არგუმენტირებულ დასკვნებს აკეთებს ფინანსურ, მატერიალურ და ადამიანური რესურსებს;<br>3. გეგმავს და მართავს საქონლის და მომსახურების ეფექტურ გაყიდვებს თანამედროვე ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით;<br>4. გადაწყვეტს ბიზნეს ამოცანებს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;<br><br>არკვევს, სწორ დასკვნას აკეთებს, განვითარების ალტერნატიულ გზებს სახავს და ოპტიმალურ გადაწყვეტილებას ღებულობს ბიზნეს სექტორში მიმდინარე პროცესების შესწავლის დროს; |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |

| |
|---|
| მონაწილეობს კომპანიის ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მის დადასამკვიდრებლად. |

## ეკონომიკა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ეკონომიკის ბაკალავრი

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

ეკონომიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომელთაც ექნებათ ეკონომიკის სფეროში ფართო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.
პროგრამა მიზნად ისახავს ბაკალავრს:

1. შეასწავლოს ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებები მიკრო, მაკრო, საერთაშორისო და რეგიონულ დონეებზე;
2. შესძინოს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში წარმოქმნილი ეკონომიკური პრობლემების გაანალიზების შესაბამისი კომპეტენცია;

გამოუმუშავოს ეკონომიკური მოვლენების კრიტიკული და კრეატიული გააზრების და კვლევით პროცესში მონაწილეობის უნარი.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები | 120 ECTSკრედიტი |
| თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი | 50 ECTSკრედიტი |
| ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები | 10 ECTSკრედიტი |
| თავისუფალი კრედიტები ან დამატებით პროგრამა (Minor) | 60 ECTSკრედიტი |
| სულ | 240 ECTSკრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| ხსნის ეკონომიკის თეორიულ საფუძვლებს და ეკონომიკის მიკრო, მაკრო, საერთაშორისო და რეგიონული დონეზე ფუნქციონირების კანონზომიერებებს; |
| **უნარი** |
| ➢ იყენებს ეკონომიკის თანამედროვე კონცეფციებს, თეორიებს და პრინციპებს;<br>➢ აანალიზებს ეკონომიკური პროცესების ამსახველ სტატისტიკურ მონაცემებს, თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით (SPSS, STATA და სხვ.);<br>➢ აჩვენებს გარკვეული ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის გზებს;<br>➢ აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნებს ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებზე; |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| ქმნის ეკონომიკის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, კვლევითი ხასიათის ნაშრომს ეთიკური ნორმების დაცვით. |

## სამართალი (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სამართლის ბაკალავრი

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

**სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:**

- უმაღლესი განათლების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე, კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. სტუდენტისათვის ფართო ცოდნის მიცემა სამართლის ცნების, ძირითადი ნიშნების; სამართლის პრინციპების და ფუნქციების; სამართლიანობის ცნების და სახეების; სამართლიანობის თეორიების; სამართლის, როგორც ღირებულების; სამართლის, როგორც მავალებელი და აღმჭურველი დებულებების სისტემის; სამართლის ნორმათა კონკურენციის; სამართალგანვრცობის; ნების გამოვლენათა და ხელშეკრულებათა განმარტების; ქართული სამართლის ისტორიის საფუძვლების; რომის სამართლის რეცეფციის; კერძო, საჯარო და სისხლის სამართლის უზოგადესი ცნებების და პრინციპების, საერთაშორისო საჯარო სამართლის სისტემის შესახებ.
- ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაზე მოტივირებული, რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენებით შედეგზე ორიენტირებული შესაბამისი საფეხურის იურისტის მომზადება. სტუდენტისათვის სამართლის ძირითად დარგებში კანონმდებლობის და სამართლებრივ ნოვაციათა დაუფლებაზე და პრაქტიკაში მათი გამოყენების შესაძლებლობაზე მიმართული უნარების; სამართალწარმოებაში ეფექტური ადვოკატირების ელემენტების; იურიდიული ლექსიკის, სტანდარტული იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერითი ფორმით კომუნიკაციის; დავის გადაწყვეტისას მიმდინარე საკითხების და წინააღმდეგობების გააზრების; სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილებების გაანალიზების და ადეკვატური დასკვნების მიღების უნარების გამომუშავება.
- თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების სწავლებაზე, ზოგადად, პროფესიულ ეთიკაზე, პასუხისმგებლობაზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული ღირებულებების განვითარებით, შესაბამისი საფეხურის იურისტისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება საზოგადოებრივი საჭიროებების გათვალისწინებით. სტუდენტისათვის სინთეზირებულ იურიდიულ დოქტრინაზე და იურიდიულ პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტებზე მუშაობის; იურიდიულ პრაქტიკაში სამართლებრივ ღირებულებებზე, პასუხისმგებლობაზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული ეთიკური და სოციალური საკითხების იდენტიფიცირების, გაგებისა და გადაწყვეტის უნარების გამომუშავება.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი | 24 ECTS კრედიტი |
| ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები | 159 ECTS კრედიტი |
| ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები | 127 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი არჩევითი კომპონენტი | 22 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |

**სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:**

- **აღწერს:**

I. სამართლის ძირითად არსს და სოციალურ დანიშნულებას; სამართლის წყაროებს; სამართალშემოქმედებას; ნორმატიულ სამართლებრივი აქტების სახეებს; ნორმატიული აქტის მოქმედების ფარგლებს; ნორმატიული აქტის სისტემატიზაციას; სამართლებრივ ურთიერთობას; სამართლის მოქმედების და მისი რეალიზაციის ფორმებს; სამართლის ნორმათა განმარტებას; მართლზომიერ ქცევას, სამართალდარვევას და იურიდიულ პასუხისმგებლობას; კანონიერებას და მართლწესრიგს; ეროვნული სამართლის სისტემას და კანონმდებლობის სისტემას; თანამედროვეობის სამართლებრივ სისტემებს (ოჯახების); ქართული სამართლის ისტორიულ პირდაპირ და არაპირდაპირ, საეკლესიო (კანონიკური), საერო, სახელმწიფო-სამართლებრივ (კონსტიტუციურ), სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ხასიათის წყაროებს. დარგობრივი სასწავლო კურსების ძირითად თეორიებს, წესებს, პრინციპებსა და რეგულირების თავისებურებებს, მათ შორის:

- ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ცნებას; ძირითად უფლებათა სუბიექტებს; კონკრეტულ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს; ძირითადი უფლებების დარღვევის შემოწმებას; თანასწორობის ძირითად უფლებებს; საქართველოს კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს; სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს; საქართველოს საარჩევნო სისტემის და საარჩევნო პროცესის თავისებურებებს; საქართველოს პარლამენტის სტატუსს, ლეგიტიმაციის ფარგლებს და უფლებამოსილებებს; საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის კონსტიტუციურ სტატუსს და უფლებამოსილებებს; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების წესს, შემადგენლობას და უფლებამოსილებებს; საქართველოს საერთო სასამართლოების სტრუქტურას; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს; საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართლის წყაროებს, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გამიჯვნისა და ურთიერთმიმართების მექანიზმებს; ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის ინსტიტუტებს, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებებს.
- კერძო სამართლის სისტემას; ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობის, ქმედუნარიანობის, დელიქტუნარიანობის ფარგლებს; იურიდიულ პირს და მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს; გარიგების ცალკეულ სახეებს; ნივთზე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ბატონობის პირობებს; სანივთო-სამართლებრივ, ვალდებულებით, საოჯახო და მემკვიდრეობით, შრომის სამართლის ინსტიტუტებს; სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობების (სამართალწარმოების) სუბიექტებს, სასამართლოს უწყებრივ ქვემდებარეობას და განსჯადობას, ვადებს და მხარეებს, სამოქალაქო პროცესის თავისებურებებს; საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის საკითხებს.
- სისხლის სამართლის პრინციპებს, სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლებს; დანაშაულის ჩადენის სტადიებს; სასჯელის მიზნებს და სახეებს; ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის არსს და მნიშვნელობას; ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის მარეგულირებელ სისხლისსამართლებრივ ნორმებს; სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა უფლებებს და მოვალეობებს, საპროცესო ვადებს, საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის; დანაშაულის კრიმინოლოგიურ ასპექტებს, დანაშაულთა გახსნის მეთოდიკას; მტკიცებულებათა დასაშვებობას, მტკიცებულებათა შეკრებას, შემოწმებას, შეფასებას და წარდგენას; სისხლის სამართლის საქმეზე დაცვის ქვეშ მყოფისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფის მიზნით ადვოკატის მიერ რელევანტური მტკიცებულებების მოპოვების არგუმენტებს.

საერთაშორისო საჯარო სამართლის მოქმედების სფეროს; საერთაშორისო საჯარო სამართლის, როგორც კონკრეტული საერთაშორისო სისტემის - სახელმწიფოთაშორისო სისტემის განუყოფელ ნაწილს; საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობას; საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებს და საერთაშორისო საჯარო სამართლის სუბიექტებს; საერთაშორისო ხელშეკრულების ცნებას, სტრუქტურას და ხელშეკრულების დადების თავისებურებებს; საერთაშორისო ორგანიზაციების სტრუქტურას და უფლებამოსილებებს; საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო აქტების სახეებს; დიპლომატიური და საკონსულო სამართლის ინსტიტუტებს; ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების საერთაშორისო-სამართლებრივ ასპექტებს; საერთაშორისო სახის დანაშაულს; სახელმწიფო ტერიტორიის და ტერიტორიული უზენაესობის ცნებებს; საზღვაო სამართლის თავისებურებებს; საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალებებს; კონფლიქტების ლოკალიზაციისა და ჰუმანიტარიზაციის ძირითად წყაროებს.

**უნარი**

II. ამოიცნობს სამართლებრივ საკითხებს ფაქტების რიგითობით, ზუსტი და სრულყოფილი გაგებით იურიდიულ, ინსტიტუციურ და ინტერპერსონალურ ჩარჩოებში; ოპტიმალურად გაიაზრებს და გამოიყენებს პროფესიულ უნარებს, პროცედურებს და კანონის უზენაესობას სამართლებრივი პრობლემების კრიტიკულად გასაანალიზებლად იმ სოციალურ კონტექსტში, რომელშიც იქმნება სამართლებრივი პრობლემა და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს ეფექტურ სტრატეგიას და სამართლებრივ საფუძვლებს, რომლებიც ემყარება კონკრეტული იურიდიული ან სოციალური პრობლემების მოგვარებას.

III. აანალიზებს სამართლის ფუნდამენტურ წყაროებს, კონცეფციებს და ნორმატიულ საფუძვლებს ლოგიკურ და თანმიმდევრულ ჩარჩოებში; ფაქტობრივი გარემოებების დადგენის და შეფასების მიზნით პრობლემის ამოცნობას, მოსაზრებების შეფასებას და გადაწყვეტილების მიღებას, თითოეული წყაროს წონას, საიმედოობას და სავალდებულო ან დამაჯერებელ ავტორიტეტს.

IV. ადგენს იურიდიული შინაარსის (ნორმატიული აქტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ), აგრეთვე, სხვადასხვაგვარი ანალიტიკური და დამაჯერებელი დოკუმენტების პროექტებს; წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციების შესაბამისად იურიდიული პრობლემის მოსაგვარებლად შეიმუშავებს სამართლებრივი ხასიათის დასაბუთებული დოკუმენტის ცალკეულ კომპონენტს, როგორც გონივრულ საშუალებას პრაქტიკული ხასიათის ამოცანების გადასაჭრელად; შედარებითი ეფექტურობიდან და მიზანშეწონილობიდან გამომდინარე შეიმუშავებს და გამოიყენებს იურიდიული კვლევის ინსტრუმენტებს და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს.

V. შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის სათანადო პროცესებში ეფექტურად ჩართვის სტრატეგიას და გონივრულ ტაქტიკას, დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებების გამოყენების შესაძლებლობებს; მედიაციის თეორიისა და ტერმინოლოგიის, მედიაციის ფუნდამენტური პრინციპების და მედიატორის შესაძლო მიდგომების დიაპაზონს, ერთობლივი და ჯგუფური სესიების სათანადო გამოყენებას; მოლაპარაკებებში და მედიაციაში ეთიკური საკითხების და პრინციპების ადეკვატურად და უფლებამოსილების ფარგლებში გამოყენებას სხვებთან და დამოუკიდებლად.

VI. მსჯელობს იურიდიული ტერმინოლოგიის და თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ვერბალური (ზეპირსიტყვიერი) და წერითი ფორმით, მათ შორის სასამართლოში და სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე საჯაროდ, არგუმენტირებულად და გასაგებად, ინფორმაციის ობიექტურად და დამაჯერებლად გადმოცემით, დამოუკიდებლად კრიტიკული დასკვნების გამოტანით; აზრის ლაკონურად და გასაგებად ჩამოყალიბებით; ინფორმაციის მიღების, შერჩევის და თვითანალიზის ფორმულირებით; იურიდიული მუშაობის ორგანიზებისას და მართვისას ტექნოლოგიის სათანადო გამოყენებით.

VII. მოიძიებს და გამოარჩევს ეფექტურად მუშაობისათვის რთული პრობლემების გადაწყვეტის საშუალებებს, მათ შორის, ინტერდისციპლინარულ გუნდთან თანამშრომლობის გზით იურიდიულად მნიშვნელოვან ფაქტებზე და საჭიროებისამებრ ამ ფაქტების საფუძველზე სათანადო დასკვნებს პროფესიული სამუშაო პროდუქტის შექმნით; მოქმედ კანონმდებლობას და საკანონმდებლო ცვლილებებს; საერთაშორისო კონტექსტში შესაძლო არგუმენტების და საპირისპირო არგუმენტების გასაგებად ახალ და უცნობ ფაქტობრივ სიტუაციებს პიროვნული და პროფესიული განვითარების გასაუმჯობესებლად; საჭიროების შემთხვევაში, ბიბლიოთეკარების და პროფესიონალი პერსონალის გამოყენებით ინფორმაციის საიმედოობას და სტრატეგიულ მნიშვნელობას იურიდიული პერიოდული გამოცემებით; სამეცნიერო სიახლეებს, როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ მედიაში, როგორც კომერციულ, ისე უფასო იურიდიულ ელექტრონულ წყაროებში.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

VIII. ცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლების, ეთიკური სტანდარტების მაქსიმალურად დაცვას და დემოკრატიულ ფასეულობებთან შესაბამისობას; პროფესიონალიზმს იურიდიული პროფესიის ღირებულებებთან და სტანდარტებთან; ინდივიდთა უფლებების განხორციელებას სამართლიანობის, პატივისცემის, თანაგრძნობის, კეთილგანწყობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით; განსხვავებული აზრის, ოპონენტის არგუმენტირებული პოზიციის მოსმენის პატივისცემას; იურისტის პროფესიულ ღირებულებებს და ეთიკურ ასუხისმგებლობებს; პროფესიის ვალდებულებას შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყოს საზოგადოების ხელმისაწვდომობას სათანადო იურიდიულ მომსახურებებზე, შესაძლებლობას ყველას ჰქონდეს თანაბარი წვდომა.

IX. წარმართავს შესაბამისი საფეხურის იურიდიულ პროფესიაში ეფექტურ საქმიანობას; პროფესიული პასუხისმგებლობით თანამშრომლობის განხორციელებას კოლეგებთან; საზოგადოებრივი სერვისების

მიმართ ვალდებულების შესრულებას და სათანადო იურიდიულ მომსახურებაზე წვდომის ხელშეწყობას; კოლეგებთან საერთო მიზნებისათვის თანამშრომლობას; პროფესიონალი გუნდის შემადგენლობაში თანამშრომლობის ნათელ და ეფექტურ კომუნიკაციას ლოგიკისა და რიტორიკის პრინციპების დაცვით.

**X.** ავლენს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარს და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მნიშვნელობას; სპეციალიზირებულ ცოდნას ინტერესის სფეროებში და გამოცდილების მიღებასთან დაკავშირებით; სწავლისა და უნარების განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობებს; აკადემიური კარიერის განვითარების უნარებსა და ფასეულობებს.

## მასობრივი კომუნიკაცია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

***მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, მოამზადოს თანამედროვე მედიასტანდარტების შესაბამისი მასობრივი კომუნიკაციის კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც ექნება:***

- ✓ თანამედროვე მასობრივი კომუნიკაციური სივრცისა და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ფართო თეორიული ცოდნა.
- ✓ კომპლექსურ, არაპროგნოზირებად მასობრივ კომუნიკაციურ გარემოში ადაპტაციის, პრაქტიკული საქმიანობისა და წარმატებულად დასაქმებისთვის საჭირო დარგობრივი და ზოგადი ტრანსფერული უნარები.
- ✓ ქვეყნის დემოკრატიულ პროცესებში, რეგიონის მედიალანდშაფტისა და მასობრივი კომუნიკაციის სფეროს სხვადასხვა დარგის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანის უნარი.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები | 124 ECTS კრედიტი |
| ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები | 23 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები | 25 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები | 8 ECTS კრედიტი |
| *დამატებითი (**minor**)* პროგრამის სასწავლო კურსები | 60 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| ***საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:***<br>1. აღწერს მასობრივი კომუნიკაციური პროცესების განვითარების ეტაპებს, თანამედროვე მედიაორგანიზაციების (ციფრული, ბეჭდური, ელექტრონული) სტრუქტურასა და ფუნქციონირების სპეციფიკას;<br>2. აცნობიერებს სხვადასხვა მედიაპლატფორმების და კომუნიკაციური სფეროს სხვა მიმართულებებისთვის მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის კვლევის მეთოდების გამოყენების აუცილებლობას;<br>3. თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, სისტემურად იაზრებს კომუნიკაციური მეცნიერების დარგთაშორის მიღწევებს და სფეროს სპეციფიკურ მიმართულებებს; |
| **უნარი** |

4. ფლობს ავთენტური ინფორმაციის მოძიების, წყაროებზე მუშაობის, გადაამოწმების, დაახარისხების, განაზოგადების, ობიექტურად წერის და მეტყველების უნარს;
5. მიზნობრივად და შემოქმედებითად იყენებს პროფესიულ და ციფრულ ტექნიკას, შესაბამის კომპიუტერულ პროგრამებს;
6. ქმნის სხვადასხვა ტიპის პოსტპროდუქციას მარკეტინგული გათვლებით, „ფუთავს“ და ავრცელებს მედიაკონტენტს;
7. გეგმავს საზოგადოებასთან ურთიერთობის კამპანიას, ახდენს სოციალური პროექტების ინიცირებას არსებული სიტუაციის შესწავლის, კრიტიკულად აზროვნების და ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე;

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

პროფესიული ეთიკის და სამართლებრივი ნორმების დაცვით, დამოუკიდებლად ამყარებს კომუნიკაციას რესპონდენტებთან, სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუციებთან, საზოგადოების სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან.

## საჯარო მმართველობა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საჯარო მმართველობის ბაკალავრი

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

საბაკალავრო პროგრამის „საჯარო მმართველობა“ მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური, დემოკრატიული იდეალების ერთგული საჯარო მართვის სპეციალისტი, რომელიც:

3. იზიარებს საჯარო სამსახურის პრინციპებს - კანონის უზენაესობასა და მის წინაშე თანასწორობას, მოქალაქეთა მიმართ ანგარიშვალდებულებასა და პასუხიმგებლობას, პოლიტიკურ ნეიტრალიტეტსა და მიუკერძოებლობას;
4. აღჭურვილია ორგანიზაციების საქმიანობის დაგეგმვისა და მართვის საკითხების, საჯარო მმართველობის ორგანიზაციული ფორმების, შესაბამისი სივრცის სამართლებრივი რეგულაციებისა და პროფესიული ეთიკის ნორმების, შესახებ ცოდნით, რაც უზრუნველყოფს მათი პროფესიული ცნობიერების, ღირებულებებისა და დამოკიდებულების ფორმირებას;
5. მომზადებულია შემდგომ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად და/ან პროფესიული საქმიანობის დასაწყებად, რათა თანამედრვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესატყვისი თეორიული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, შეძლოს საკუთარი წვლილის შეტანა ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები | 121 ECTS კრედიტი |
| ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები | 20 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი კომპონენტის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები | 25 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი კომპონენტის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები | 14 ECTS კრედიტი |
| *დამატებითი (**minor**)* პროგრამის სასწავლო კურსები | 60 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| **ცოდნა და გაცნობიერება**<br>✓ აღწერს მართვის კლასიკურ და თანამედროვე თეორიებს, ძირითად ფორმებსა და კონცეფციებს, საჯარო მმართველობის სფეროს თავისებურებებს, სახელმწიფო მოწყობის მოდელებს, მთავარ პრინციპებსა და ინსტიტუტებს, მათ შორის საერთაშორისო დონეზე;<br>✓ განიხილავს გარემოში მიმდინარე პროცესებს და აკავშირებს მათ ბიზნესის, ეკონომიკის, საჯარო ფინანსების, საერთო-სახელმწიფო და რეგიონული მართვის, სოციალურ, სამართლებრივ, პოლიტიკურ პრობლემატიკასთან;<br>✓ ხსნის სახელმწიფოს მართვაში საჯარო მოხელის როლს, მის ძირითად უფლება-მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს, მოქმედების სამართლებრივ-ეთიკური ასპექტებს; |

| **უნარი** |
| --- |
| 8. ახდენს საჯარო მმართველობის სფეროში მიმდინარე პროცესების კვლევას, მათ შესახებ მონაცემების სტატისტიკურ დამუშავებას, სისტემატიზაციას, სიტუაციათა ანალიზის სტანდართული და თანამედროვე მეთოდების გამოყენების საფუძველზე, ადგენს პრაქტიკული ხასიათის პროექტებს;<br>9. შეიმუშავებს სამსახურებრივ ანგარიშებსა და დოკუმენტებს, გეგმავს სათანადო პროცესებს, დროის სწორი განაწილებით და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, თანამშრომლებთან თუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დროს;<br>10. პრობლემების კრიტიკული შეფასებით აყალიბებს სათანადო დასკვნებს, მონაწილეობს ორგანიზაციის მართვის პროცესში საშუალო და დაბალი მენეჯმენტის რგოლში და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში; |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| ✓ იცავს საყოველთაოდ აღიარებულ დემოკრატიულ ფასეულობებს და ეთიკური ქცევის ნორმებს პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში;<br>✓ გეგმავს უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და შემდგომი განათლების საჭიროებებს, საკუთარი თავის, კოლეგებისა და საზოგადოების წინაშე სოციალური პასუხისმგებლობის აღქმით. |

## საერთაშორისო ურთიერთობები (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია: პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა:

- შეიძინოს ზოგადი, თეორიული და პრაქტიკული ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, გლობალური და რეგიონალური პროცესების შესახებ შესახებ,
- მოახდინოს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული ძირეული პრობლემების გააზრება და განზოგადება. ასევე ამ პრობლემებისადმი თეორიული ცოდნის მისადაგება
- დაეუფლოს საფუძვლების ისეთ ცოდნას, რომელიც მას შესაბამის სფეროში დამოუკიდებელი ორიენტაციის, მოსაზრებების ორიგინალური განვითარებისა და პრაქტიკული გამოყენების საშუალებას მისცემს
- შეისწავლოს უცხო ენა თავისუფალი კომუნიკაციის დონეზე

პროგრამა სტუდენტებს მისცემს საჭირო უნარ-ჩვევებს და ცოდნას იმისთვის, რომ კურსდამთავრებულები დასაქმდნენ სახელმწიფო სამსახურში, არასამთავრობო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები | 45 ECTS კრედიტი |
| ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები | 120 ECTS კრედიტი |
| ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები | 15 ECTS კრედიტი |
| *დამატებითი (**minor**)* პროგრამის სასწავლო კურსები | 60 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| • აღწერს საერთაშორისო პოლიტიკის არსს, კანონზომიერებებს, საერთაშორისო ურთიერთობების სისტემას და სტრუქტურას;<br>• განსაზღვრავს სახელმწიფოს მნიშვნელობას და ადგილს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში; განსაზღვრავს და კრიტიკულად იაზრებს ყველა იმ ფაქტორს, რომელიც ზემოქმედებს საერთაშორისო ურთიერთობების პროცესზე და ინსტიტუტებზე; |
| **უნარი** |
| • ამზადებს ანგარიშს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მიმდინარე პროცესებზე ქართულ და უცხოურ ენებზე დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებით, ახდენს მის პრეზენტაციას და არგუმენტირებულად ასაბუთებს საკუთარ პოზიციას აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან.<br>• იღებს გადაწყვეტილებებს საერთაშორისო ურთიერთობის ფუნდამენტური ნორმებისა და კანონის უზენაესობის პრინციპების გათვალისწინებით. ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული ძირითადი პრობლემის იდენტფიცირებას |

| პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა |
| --- |
| • პატივსცემს საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიაში არსებულ ღირებულებებსა და აღიარებულ ნორმებს. ეგმავს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში საკუთარი ცოდნის დონის თვითშეფასების საფუძველზე სწავლის შემდგომ საჭიროებებსა და პროფესიული განვითარებს გზებს. |

## ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

### მათემატიკა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მათემატიკის ბაკალავრი

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც ექნება:

- მათემატიკის ფართო ცოდნა;
- მათემატიკური თეორიებისა და მეთოდების გამოყენების უნარი თეორიული და გამოყენებითი ხასიათის პრობლემების გადასაჭრელად;
- ლოგიკური აზროვნების, კრიტიკული გააზრებისა და ანალიზის, მონაცემების საფუძველზე სწორი დასკვნების გაკეთების უნარი;

მათემატიკურ საკითხებთან დაკავშირებით წერითი და ზეპირი ფორმით სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები** | 25 ECTS კრედიტი |
| **ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები** | 20 ECTS კრედიტი |
| **ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები** | 135 ECTS კრედიტი |
| **დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა[1]ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა** | 60 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| 1. აყალიბებს მათემატიკის ფუნდამენტურ თეორიებს, პრინციპებს და კონცეფციებს;<br>2. აღწერს მათემატიკის ისტორიული განვითარების ეტაპებს და თანამედროვე მეცნიერულ, ტექნოლოგიურ აზროვნებაზე მათემატიკის ზეგავლენის ზოგიერთი ასპექტს. |
| **უნარი** |
| ✓ იყენებს მათემატიკური დებულებებს, პრინციპებსა და მეთოდებს ამოცანების ამოსახსნელად;<br>✓ ახდენს ლოგიკურ მათემატიკურ მსჯელობას მოცემულობების, დაშვებების და დასკვნების მკაფიო იდენტიფიკაციით.<br>✓ შეუძლია მათემატიკურ საკითხებთან დაკავშირებით წერითი და ზეპირი ფორმით სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაცია;<br>✓ ახდენს რეალური სამყაროს რიგი მოვლენების მათემატიკური მოდელირებას; |

| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| --- |
| 1. საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელება;<br>2. აქვს საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების, შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენის და მისი დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელების უნარი |

## კომპიუტერული მეცნიერებები (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ინფორმატიკის ბაკალავრი

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| 3. გაცნობიერებულნი იქნებიან უწყვეტი სწავლის აუცილებლობაში და გააგრძელებენ ინფორმატიკის |

**პროგრამის მიზნებია:** მოამზადოს ინფორმატიკის ბაკალავრები, რომლებიც:

1. შეიმუშავებენ, განავითარებენ და  გამოიყენებენ თანამედროვე კომპიუტერულ ტექნოლოგიებს;
2. პასუხისმგელობით შეასრულებენ  თავიანთ პროფესიული მოვალეობას და აქტიურ მონაწილობას მიიღებენ ინფორმატიკის მუდმივად მზარდი შესაძლებლობების დანერგვაში, რითაც თავიანთ წვლილს შეიტანენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში;

ახალი ტექნოლოგიების შესწავლას თვითგანათლების ან მაგისტრატურაში სწავლის გზით.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსი** | 133 ECTS კრედიტი |
| **საფაკულტეტო არჩევითი კურსები** | 13 ECTS კრედიტი |
| **საფაკულტეტო თავისუფალი კურსები** | 10 ECTS კრედიტი |
| **სპეციალობის არჩევითი მოდულები** | 24 ECTS კრედიტი |
| **დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა[1]** | 60 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| **პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული**<br>✓ აღწერს და ხსნის ინფორმატიკის ფუნდამენტურ კონცეფციებს, პრინციპებს, თეორიებს და ალგორითმებს;<br>✓ განსაზღვრავს რა ტიპის ქმედებები არის არაკანონიერი და არაეთიკური კომპიუტერული ტექნოლოგების გამოყენებისას.<br>**კონცენტრაცია „დაპროგრამება“**<br>✓ აღწერს თანამედროვე დაპროგრამების ენებისა და მეთოდების მახასიათებლებსა და შესაძლებლობებს;<br>**კონცენტრაცია „ვებ ტექნოლოგიები“**<br>✓ აღწერს თანამედროვე „ვებ ტექნოლოგიების“ დამახასიათებელ ძირითადი ფაქტებს, პრინციპებს, პროცესებსა და ზოგადი კონცეფციებს.<br>**კონცენტრაცია „ინფორმაციული სისტემები“**<br>✓ აღწერს და ახასიათებს თანამედროვე ინფორმაციული სისტემების დაპროექტებისა და აგების პროცესს;<br>**კონცენტრაცია „ჩაშენებული სისტემები“**<br>✓ აღწერს და ახასიათოს ჩაშენებული ციფრული სისტემების აგებისა და ოპტიმიზირების პროცესს; |
| **უნარი** |

**პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული**

- ✓ აანალიზებს ინფორმატიკის პრობლემებს და განსაზღვრავს მათი გადაწყვეტისათვის საჭირო კომპიუტერული მეცნიერებისა და მათემატიკის მეთოდებს;
- ✓ იყენებს კომპიუტერული მეცნიერების თეორიას და მათემატიკის საფუძვლებს კომპიუტერული სისტემების მოდელირებისა და დაპროექტებისათვის;
- ✓ იყენებს კომპიუტერული მეცნიერების თეორიას და პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების მეთოდებს სხვადასხვა სახის პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მისაღებად;
- ✓ შეიმუშავებს მოცემული ამოცანის ამოხსნის ალგორითმს და ამ აგლორითმის შესაბამის პროგრამას C++ დაპროგრამების ენაზე;
- ✓ ამზადებს როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურიდან კომპიუტერული მეცნიერების უკანასკნელი სიახლეების შესახებ წერილობით ანგარიშს და ახდენს მის ეფექტური პრეზენტაციას აუდიტორიის წინაშე;
- ✓ კრიტიკულად აფასებს საკუთარ ცოდნას, გეგმავს საკუთარი სწავლას და განვითარდეს კომპიუტერული ტექნოლოგიების ძალიან სწრაფი განვითარების კვალდაკვალ;
- ✓ ეფექტურად ერთვება გუნდში როგორც წევრი ან ლიდერი და ხელს უწყობს საერთო ამოცანის შესრულებას;
- ✓ მონაწილეობას იღებს პროფესიულ დისკუსიაში, სვამს კითხვებს, კამათობს, იზიარებს დასაბუთებულ აზრს და პატივს სცემს სხვის აზრს;

**„დაპროგრამება“კონცენტრაციის კურსდამთავრებული**

- ✓ იყენებს ვიზუალულური დაპროგრამების მეთოდს, Java დაპროგრამების ენას, Python დაპროგრამების ენას და პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის მეთოდებს სხვადასხვა სახის ამოცანების გადასაწყვეტად;

**„ვებ ტექნოლოგიები“ კონცენტრაციის კურსდამთავრებული**

- ✓ იყენებს „ვებ ტექნოლოგიების“ ფართო შესაძლებლობებს, სხვადასხვა სახის ვებ საიტების შემუშავებისას.

**„ინფორმაციული სისტემები“კონცენტრაციის კურსდამთავრებული**

- ✓ იყენებს ინფორმაციული სისტემების თეორიას და ობიექტ- ორიენტირებული დაპროექტების მეთოდს სხვადასხვა სახის კომპიუტერული სისტემების დაპროექტების, რეალიზაციისა და ექსპლუატაციისათვის;

**„ჩაშენებული სისტემები“ კონცენტრაციის კურსდამთავრებული**

- ✓ აპროგრამებს და აანალიზებს სხვადასხვა სირთულის სამომხმარებლო ჩაშენებულ სისტემებს;

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

**პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული**

- ✓ იღებს პროფესიულ პასუხისმეგებობას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და წარმატებით ანხორციელებს დროისა და შესასრულებელი სამუშაოების მენეჯმენტს;
- ✓ იღებს გადაწყვეტილებებს კომპიუტერული ტექნოლოგიების იურიდიული, ეთიკური და უსაფრთხოების პრინციპების საფუძველზე.

## ქიმია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ქიმიის ბაკალავრი
**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

ქიმიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, სოციალურ გარემოში ადაპტაციისა და კომუნიკაციის უნარის მქონე ქიმიის ბაკალავრის მომზადება, რომელსაც შეუძლია

1. ქიმიური მეცნიერების მიღწევების საფუძველზე, ქიმიის მიმართულებით არსებული პრობლემის იდენტიფიცირება;
2. ელემენტებსა და მათ ნაერთებს შორის არსებული კანონზომიერებების განხილვა დ.ი. მენდელეევის პერიოდული სისტემის საფუძველზე, ქიმიის ძირითად თეორიებსა და კანონებზე დაყრდნობით ქიმიურ ნივთიერებათა შედგენილობისა და ქიმიური პროცესის (მარტივი, რთული, მრავალსტადიურად მიმდინარე რეაქციების და სხვ.) მიმდინარეობის გააზრება;
3. ნივთიერებების მიღების ხერხებისა და ქიმიური თვისებების, მათი გამოყოფის, გასუფთავების მეთოდების შესწავლა, ქიმიურ რეაქციებზე მოქმედი ფაქტორების დადგენა, მრეწველობასა და ყოფაცხოვრებაში ნაერთების გამოყენება;
4. ნახშირწყალბადებისა და მათი წარმოებულების მიღების, ფიზიკური და ქიმიური თვისებების, ურთიერთგარდაქმნის რეაქციებისა და მექანიზმების, ბუნებაში გავრცელებისა და მათი აღნაგობის დადგენა;
5. სისტემაში ენერგეტიკული ბალანსის, პროცესების მიმდინარეობის შესაძლებლობისა და მიმართულების დადგენა, როგორც იზოლირებულ, ისე არაიზოლირებულ სისტემებში; იდეალურ და რეალურ ხსნარებში მიმდინარე პროცესების, ხსნარების კოლიგატიური თვისებების, ელექტროქიმიის, კინეტიკისა და კატალიზის ძირითადი კანონების ახსნა;
6. ჩატარება, მონაცემების დამუშავება და დასკვნის გაკეთება.ლაბორატორიაში ქიმიურ ექსპერიმენტზე უსაფრთხოდ მუშაობა და ქიმიური ექსპერიმენტის დაგეგმვა, ჩატარება, მონაცემების დამუშავება და დასკვნის გაკეთება.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები | 25 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები | 5 ECTS კრედიტი |
| ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები | 130 ECTS კრედიტი |
| ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები | 20 ECTS კრედიტი |
| **დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა**[1] | 60 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება:** |

| |
|---|
| • აყალიბებს მნიშვნელოვან ფაქტებს, ძირითად ცნებებს, თეორიებს, კანონებს, ნომენკლატურას, კლასიფიკაციასა და ტერმინოლოგიას;<br>• აღწერს ქიმიური რეაქციების მიმდინარეობის მექანიზმებს, ფუნქციონალური ჯგუფების ბუნებასა და თვისებებს, კავშირს ნივთიერების აღნაგობასა და ბიოლოგიურ აქტიურობას შორის;<br>• აღწერს ქიმიური რეაქციების ძირითად ტიპებსა და მათი ჩატარების პირობებს, ნივთიერებათა ანალიზისა და მათი მიღების მეთოდებს, თვისებებსა და ქიმიური გარდაქმნის მართვის წესებს;<br>• აღწერს ნივთიერებათა მიღების პროცესებს, მათი აღნაგობისა და იდენტიფიკაციისათვის საჭირო კვლევის ფიზიკურ-ქიმიურ მეთოდებს, ქიმიის ზოგად კანონზომიერებებსა და ნაერთების მნიშვნელობას ბიოლოგიური სისტემებისათვის. |
| **უნარი** |
| ▪ ატარებს ექსპერიმენტს, ახდენს მონაცემების დამუშავებას, მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირებას და აკეთებს დასკვნებს ანალიზის საფუძველზე;<br>▪ ახდენს ქიმიური რეაქციის მექანიზმებისა და ქიმიური ნაერთების სტრუქტურების გრაფიკულ გამოსახვას;<br>▪ გამოყოფს ნივთიერებებს ნარევიდან, ატარებს იონთა და ფუნქციონალური ჯგუფების აღმომჩენ რეაქციებს, პროგნოზირებს პროცესის ენერგეტიკულ მდგომარეობასა და რეაქციის მიმდინარეობის შესაძლებლობას;<br>▪ იყენებს მიღებულ თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას სხვადასხვა ამოცანის გადასაწყვეტად |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| ▪ იცავს ქიმიურ ლაბორატორიებსა და საწარმოებში მუშაობის უსაფრთხოების წესებს, იღებს პასუხისმგებლობას ექსპერიმენტით მიღებულ შედეგებზე;<br>▪ ადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებას და შეუძლია სწავლის მიმართულების განსაზღვრა. |

## გეოგრაფია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** გეოგრაფიის ბაკალავრი

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც შესწევს:

1. გეოგრაფიულ გარსში მიმდინარე პროცესების სივრცით–დროითი ანალიზის, გეოგრაფიული კანონზომიერებების შესწავლისა და შესაბამისი დასკვნების თანამედროვე ტექნოლოგიებით წარმოდგენის უნარი.
2. გეოგრაფიული გარემოს მდგრადობის შენარჩუნებისა და დაცვის ღონისძიებათა შეფასების უნარი (ატმოსფეროს, წყლის, ნიადაგის, ბიორესურსების მონიტორინგი);

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები | 35 ECTS კრედიტი |
| ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები | 124 ECTS კრედიტი |
| არჩევითი სასწავლო კურსები | 16 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი კომპონენტი | 5 ECTS კრედიტი |
| **დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა[1]** | 60 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **დარგის ცოდნა და გაცნობიერება** |
| ➢ განსაზღვრავს დედამიწაზე არსებულ გეოსისტემებში მიმდინარე პროცესებს და მათი გავლენის შედეგებს სივრცესა და დროში;<br>➢ სწორად იყენებს გეოგრაფიულ ტერმინოლოგიას და კარტოგრაფიულ მასალას;<br>▪ აფასებს გეოგრაფიული მეცნიერების გამოყენების შესაძლებლობებს და მათ როლს საზოგადოებაში; |
| **უნარი** |
| ▪ დამოუკიდებლად იძიებს ზოგად გეოგრაფიულ მასალას, ახდენს მის ინტერპრეტაციას აკადემიური და სხვა დაინტერესებული პირებისათვის;<br>▪ იყენებს რიცხობრივ, სტატისტიკურ და კარტოგრაფიულ მეთოდებს ბუნებრივი და საზოგადოებრივი სისტემების განხილვისას;<br>▪ საველე მუშაობის დროს დამოუკიდებლად ორიენტირებს, აგროვებს საველე კვლევით მასალას, ახდენს მათ დამუშავებას და მიღებული შედეგების კარტოგრაფირებას GIS გამოყენებით |
| **3. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| ▪ იცავს ველზე მუშაობის წესებს, უსაფრთხოების ზომებს და გარემოს დაცვის პრინციპებს;<br>▪ პასუხისმგებლობით ასრულებს მისთვის დაკისრებულ ამოცანებსა და ვალდებულებებს, გააჩნია საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასებისა და დემონსტრირების უნარი. |

## ბიოლოგია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბიოლოგიის ბაკალავრი
**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

საბაკალავრო პროგრამის მიზანია **დარგში არსებული თანამედროვე მიღწევებისა და საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით** სტუდენტს მისცეს ფართო ცოდნა ბიოლოგიურ მეცნიერებებში, კერძოდ, შეასწავლოს

- ბიოლოგიურ დისციპლინებში არსებული თეორიები, კონცეფციები, ტერმინოლოგია და მათი კავშირი სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან (ქიმია, ფიზიკა).
- ცოცხალი ორგანიზმების სტრუქტურულ-ფუნქციური ორგანიზაცია, მათთან დაკავშირებული მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის კანონზომიერებები, გამრავლებისა და განვითარების ეტაპები, წარმოშობა.
- ბიომრავალფეროვნება შესაბამისი ტერმინოლოგიის, ტაქსონომიისა და კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპების გამოყენებით და ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები.
- მიკროორგანიზმების მოლეკულურ-ბიოლოგიური ორგანიზაცია და მათი კავშირი ბიოტექნოლოგიურ პროცესებთან.

განუვითაროს

- აუდიტორიასთან და საველე პირობებში მუშაობისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები. საქმიანობის ეთიკის პრინციპების და გარემოს უსაფრთოხების წესების დაცვით წარმართვის უნარი.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები | 120 ECTS კრედიტი |
| ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები | 20 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები | 35 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები | 5 ECTS კრედიტი |
| **დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა**[1] | 60 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| • ასახელებს ბიოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებულ ძირითად თეორიებს, კონცეფციებს და ტერმინოლოგიას.<br>• აღწერს ცოცხალი ორგანიზმების აგებულებას (მორფოლოგია) უჯრედის, ქსოვილის, ორგანოსა და ორგანოთა სისტემების დონეზე.<br>• არჩევს და ხსნის სტრუქტურული ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე (მოლეკულური, უჯრედული, ქსოვილური, ორგანოთა და ორგანოთა სისტემების, ორგანიზმის, პოპულაციის, ეკოსისტემის, ბიოსფეროს) ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე პროცესებს.<br>• განიხილავს ბიომრავალფეროვნებას შესაბამისი ტერმინოლოგიის, ტაქსონომიისა და კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპების გამოყენებით, ტაქსონომიურ ერთეულებს შორის ძირითად განსხვავებებს და ბიომრავალფეროვნების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს. |

| |
|---|
| • საუბრობს მიკროორგანიზმების მოლეკულურ-ბიოლოგიური ორგანიზაციის, ბიოსფეროში მიკრობთა როლის და ბიოტექნოლოგიურ პროცესებთან მათი კავშირის შესახებ.<br>• ხსნის მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის კანონზომიერებებს, ასევე ცოცხალი ორგანიზმების წარმოშობის თეორიებს, გამრავლებისა და განვითარების პროცესებს.<br>• განსაზღვრავს სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა) კავშირს ბიოლოგიასთან. |
| **უნარი** |
| • ლაბორატორიაში მუშაობისას უსაფრთხოების წესების დაცვით ახდენს კვლევის მეთოდების ცოდნის დემონსტრირებას.<br>• აკეთებს საველე პირობებში აღებული საკვლევი მასალის (მცენარეული და ცხოველური ორგანიზმები) რკვევის საფუძველზე მიღებული მონაცემებიდან დასკვნებს და წარადგენს ანგარიშის სახით.<br>• ბიოლოგიურ მეცნიერებებში სხვადასხვა თეორიებზე, კონცეფციებზე, პრაქტიკულ საკითხებსა და პრობლემებზე კოლეგებთან მსჯელობისას ახდენს თავისი მოსაზრებების არგუმენტირებულ დასაბუთებას.<br>ბიოლოგიურ მეცნიერებებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების გამოყენებით მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე ახდენს ცოდნის მუდმივ განახლებასა და გაღრმავებას, შესაბამისი დასკვნების გაკეთებას და აუდიტორიისთვის წარდგენას. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| პრაქტიკული მუშაობისას ცოცხალ ორგანიზმებზე დაკვირვებას, კვლევისთვის მასალის აღებას და დამუშავებას ახდენს ეთიკური პრინციპებისა და გარემოს უსაფრთხოების წესების დაცვით. |

## ეკოლოგია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ეკოლოგიის ბაკალავრი

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| მოამზადოს ეკოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, რომელსაც აქვს ცოდნა<br>• სახეობრივი და ეკოსისტემური მრავალფეროვნების, პოპულაციების დაცვის, თანასაზოგადოებების ერთმანეთთან და გარემოსთან ურთიერთდამოკიდებულების კანონზომიერებების შესახებ;<br>• ცოცხალ ორგანიზმებსა და მათ საარსებო გარემოზე ეკოლოგიური ფაქტორებისა და მათი მოქმედების სპეციფიურობის შესახებ<br>• ბიოსფეროზე ზემოქმედებით გამოწვეულ გლობალურ-ეკოლოგიურ საფრთხეებთან დაკავშირებით.<br>ასევე გამომუშავებული აქვს<br>• მიღებული საბაზისო ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;<br>• აუდიტორიასთან და საველე პირობებში მუშაობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;<br><br>საქმიანობის ეთიკის პრინციპებისა და გარემოს უსაფრთხოების წესების დაცვით წარმართვის უნარი. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები** | 35 ECTS კრედიტი |
| **ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები** | 125 ECTS კრედიტი |
| **ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები** | 20 ECTS კრედიტი |
| **დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა**[1] | 60 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული<br>▪ განსაზღვრავს ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთ და გარემომცველ სამყაროსთან დამოკიდებულების კანონზომიერებებს;<br>▪ აღწერს გარემოში არსებული ეკოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებას მცენარეთა და ცხოველთა სამყაროზე;<br>▪ განიხილავს პოპულაციების დინამიკას და პოპულაციებს შორის ურთიერთკავშირის ძირითად პრინციპებს;<br>▪ ჩამოთვლის ეკოსისტემის ძირითად ტიპებს და აღწერს ბიოსფეროში არსებულ ცოცხალ ორგანიზმებს შორის ურთიერთკავშირის ფორმებს;<br>▪ აანალიზებს გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების თავისებურებებს;<br>▪ მიმოიხილავს ბიომრავალფეროვნებისა და ბიოკონსერვაციის საკითხებს;<br>▪ განიხილავს გარემოს დაცვის, ნარჩენების კომპლექსური მართვის, და ეკოლოგიური სამართლის საფუძვლებს, ბუნებათრესურსულ და ბუნებათდაცვით ურთიერთობებს. |
| **უნარი** |
| პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული |

- იყენებს გარემოსდაცვითი სისტემების ძირითად პრინციპებს ბუნებრივ სამყაროზე ადამიანის ზემოქმედების შეფასებაში.
- ადგენს ორგანიზმებსა და პოპულაციებს შორის გენეტიკურ კავშირებს თანამედროვე ტექნიკური და ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით;
- აანალიზებს ბიოლოგიურ და ეკოლოგიურ მეცნიერებებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების გამოყენებით მოპოვებულ ინფორმაციას.
- გამოიმუშავებს ეკოლოგიურად ორიენტირებული სოციალური აქტივობების პროექტების განხორციელების უნარს, რომლებიც დაკავშირებულია გარემოს ეკოლოგიურ უსაფრთხოებასთან, ადამიანების ჯანმრთელობასთან და მათი გარემოსდაცვითი კულტურის გაუმჯობესებასთან.

## გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია) (იხ. სასწავლო გეგმა)

უმაღლესი განათლების საფეხური: ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: გამოყენებით ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტს
მისცეს ფართო  თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ბიოლოგიის ფუნდამენტურ დისციპლინებსა და ბიოტექნოლოგიების სფეროში;
შეასწავლოს ცოცხალი ორგანიზმების სტრუქტურულ-ფუნქციური ორგანიზაცია, მათში მიმდინარე პროცესების მოლეკულური და ბიოქიმიური საფუძვლები და კავშირი ბიოტექნოლოგიასთან;
გააცნოს საინფორმაციო და კვლევით ტექნოლოგიებთან ურთიერთობის, ქიმიურ-ბიოლოგიურ ლაბორატორიებში მუშაობის ფორმები, ასევე ის მიდგომები და ტექნოლოგიები, რომლებიც გამოიყენება ბიოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად;
გამოუმუშაოს  ბიოლოგიურ სისტემებთან მიმართებაში რაოდენობრივი ანალიზის ჩატარების უნარი;
აჩვენოს საბუნებისმეტყველო და ხელშემწყობი ზუსტი მეცნიერებების ძირითადი პრინციპებისა და  კონცეფციების კავშირი გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის ძირითად ასპექტებთან;
განუვითაროს შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები | 120 ECTS კრედიტი |
| ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები | 25 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები | 35 ECTS კრედიტი |
| პროფესიულ (საწარმოო) პრაქტიკას | 15 ECTS კრედიტი |
| დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა[1] | 60 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| ცოდნა და გაცნობიერება |
| • ახდენს როგორც ბიოლოგიის ფუნდამენტური დისციპლინების, ისე გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიების სფეროში მიღებული ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დემონსტრირებას.<br>• აკავშირებს ცოცხალი ორგანიზმების სტრუქტურულ-ფუნქციურ ორგანიზაციას  და ორგანიზმების ქიმიას ბიოტექნოლოგიებთან.<br>• ჩამოთვლის და აღწერს ბიოტექნოლოგიაში გამოყენებად ბიოლოგიური სისტემების ძირითად ფორმებსა და კვლევის მეთოდებს. |

| |
|---|
| • განმარტავს ბიოტექნოლოგიაში პრობლემების გადაწყვეტის, დროის დაგეგმვისა და საქმიანობის ოპტიმალური ორგანიზების უნარების ფლობის მნიშვნელობას შემდგომი დასაქმებისთვის.<br>• აკავშირებს გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის ძირითად ასპექტებთან საბუნებისმეტყველო და ხელშემწყობი ზუსტი მეცნიერებების ძირითად პრინციპებსა და კონცეფციებს. |
| **უნარი** |
| • იყენებს თანამედროვე მეთოდებსა და მიდგომებს პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის დამოუკიდებლად ან ჯგუფში განხორციელებისას.<br>• ახდენს ლაბორატორიაში უსაფრთხოების წესების დაცვას და კვლევისთვის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების დემონსტრირებას.<br>• გეგმავს და ახორციელებს პრაქტიკულ სამუშაოს სტანდარტული მეთოდების გამოყენებით და ახდენს მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირებას.<br>• იყენებს მონაცემების დამუშავებისთვის რაოდენობრივი ანალიზის მეთოდებსა და კომპიუტერულ პროგრამებს.<br>• ახდენს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მოპოვებული ინფრომაციის ანალიზს, შეფასებას, გაკეთებული დასკვნების აუდიტორიისთვის წარდგენას და მათ არგუმენტირებულ დასაბუთებას.<br>• განსაზღვრავს სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას განვითარებული უნარ-ჩვევების გამოყენებით ან კარიერული განვითარების პერსპექტივებს. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| • იღებს პროფესიულ პასუხისმგებლობას საქმიანობის წარმართვისას უსაფრთხოების წესების და ეთიკური ნორმების დაცვაზე. |

## ფიზიკა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ფიზიკაში.

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

ფიზიკური ექსპერიმენტის ჩატარება და მისი კომპიუტერული მოდელირება

საბაკალავრო პროგრამის მიზანია მაღალი დონის კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც შესწევს:

1. ზოგადი და თეორიული ფიზიკის მიმართულებით არსებული პრობლემის იდენტიფიცირება და გადაჭრა
2. ბუნებაში მიმდინარე მოვლენების კლასიფიცირება და ფიზიკის კანონების გამოყენებით ამ მოვლენების ახსნა
3. ზოგად და თეორიულ ფიზიკაში დასმული ამოცანების გადასაჭრელად მათემატიკური აპარატის გამოყენება

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები | 38 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები | 6 ECTS კრედიტი |
| ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სასწავლო კურსები: | 120 ECTS კრედიტი |
| ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები | 16 ECTS კრედიტი |
| **დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა[1]** | 60 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| ▪ ჩამოთვლის ზოგადი ფიზიკის (მექანიკა, თერმოდინამიკა, ელექტრომაგნეტიზმი, ოპტიკა) ძირითად ცნებებსა და ფიზიკურ სიდიდეებს<br>▪ ჩამოთვლის თეორიული ფიზიკის (კლასიკური მექანიკა, ფარდობითობა, კვანტური მექანიკა და სტატფიზიკა) ძირითად ცნებებს<br>▪ ფიზიკის კანონების გამოყენებით აღწერს ბუნებაში მიმდინარე მოვლენებს<br>▪ მოჰყავს ზოგადი და თეორიული ფიზიკის (მექანიკა, თერმოდინამიკა, ელექტრომაგნეტიზმი, ოპტიკა) კანონების მათემატიკური ფორმულირება<br>▪ აღწერს ექპერიმენტის ჩატარების ეტაპებს |
| **უნარი** |
| ▪ წყვეტს ფიზიკურ ამოცანას მათემატიკური აპარატის გამოყენებით;<br>▪ აფასებს განსხვავებულ სიტუაციებში ფიზიკურ პრობლემას, უთითებს ანალოგიებს და ხსნის მათ ცნობილი მეთოდების გამოყენებით;<br>▪ დამოუკიდებლად ატარებს ექსპერიმენტს, ამუშავებს მონაცემებს და ახდენს მიღებული შედეგების შეფასებას |

| პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა |
| --- |
| ▪ საკუთარ საქმიანობას (მასალის მოძიებას, ექსპერიმენტის ჩატარებას, კვლევისთვის მონაცემების დამუშავებას) ახორციელებს ეთიკური პრინციპებისა და გარემოს უსაფრთხოების წესების დაცვით. |

## პედაგოგიური ფაკულტეტი

### მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „დაწყებითი განათლება“ (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** განათლების მაგისტრი

**პროგრამის მოცულობა:** 300 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

პროგრამის მიზანია:

- ✓ მოამზადოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი დაწყებითი საფეხურის მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, შესაბამისი პროფესიული სტანდარტის, მასწავლებლის პროფესიული კოდექსითა და დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნის შესაბამისი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულებების პრინციპების მატარებელი მასწავლებელი, რომელიც იქნება რეფლექსიური, სიახლეების მიმღები და დამნერგავი პედაგოგიურ პრაქტიკაში, ორიენტირებული იქნება უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე და შეძლებს იმუშაოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურის I-IV კლასებში საგნობრივი ჯგუფის (ქართული, მათემატიკა და ბუნებისმეტყველება), V-VI კლასებში ერთ-ერთი საგნის (ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) მასწავლებლად, ასევე, არაფორმალურ განათლებაში.

მოამზადოს დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი-მკვლევარი, რომელსაც ექნება თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები ჩაატაროს წინასწარ დაგეგმილი კვლევა თავის დარგში, მოახდინოს მონაცემების შეგროვება და გააკეთოს დასაბუთებული დასკვნა.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **თავისუფალი კომპონენტების მოდული** | 50 ECTS კრედიტი |
| **ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/ საგნობრივი ჯგუფის საგნობრივი და მეთოდური მოდული** | 180 ECTS კრედიტი |
| **სასკოლო პრაქტიკის და პრაქტიკის კვლევის მოდული** | 70 ECTS კრედიტი |
| სულ | 300 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| **პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირების მიზნით:**<br>• იცნობს და განსაზღვრავს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების ძირითად პრინციპებს;<br>• იცის როგორ შექმნას მოსწავლისათვის მოტივირებული სასწავლო გარემო - ფიზიკური, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური;<br>• იცის და ახდენს იდენტიფიცირებას, როგორ შექმნას ინკლუზიური, სწავლისა და მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო;<br>• იცის და აღწერს კლასის მართვისა და კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების ეფექტიან სტრატეგიებს; |

- იცის სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორები და აცნობიერებს თანამშრომლობით გარემოს მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.

**მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასების მიზნით:**

- იცნობს და აღწერს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ეროვნულ სასწავლო გეგმას, დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივ სტანდარტებს;
- იცნობს და აღწერს ბავშვის განვითარების ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს;
- იცის განსაზღვრავს დაწყებით კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდებს, გზებს და საშუალებებს;
- იცის ზოგადი განათლების ჩარჩო დოკუმენტზე დაყრდნობით მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა;
- იცის საგანმანათლებლო ბეჭდური და ICT რესურსების მოძიება, შექმნა და ახდენს მის სასწავლო პროცესში მიზნობრივად გამოყენებას;
- ჩამოთვლის პიროვნების განვითარებისა და განათლების თეორიებს, აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის და წარმართვისას;
- იცნობს და ჩამოთვლის მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ძირითად მიდგომებს;
- იცის სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებული სტრატეგიები და მათი გამოყენების პერსპექტივები;
- განსაზღვრავს მდგრადი განვითარების მიზნებს და პრინციპებს, აცნობიერებს მდგრადი განვითარების პრინციპების სწავლების მნიშვნელობას პიროვნების ჩამოყალიბებაში, სოციალური და ბუნებრივი გარემოსადმი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის აღზრდაში;
- აცობიერებს და აღწერს კლასგარეშე საქმიანობის როლსა და მნიშვნელობას მოსწავლეთა მოტივაციის, სწავლის და მრავალმხრივი განვითარებისათვის;
- იცის და ახდენს მოსწავლის შეფასებას (მათ შორის სსსმ მოსწავლის) ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით;
- იცის და ჩამოთვლის შეფასების ტიპებს, პრინციპებს და მეთოდებს. იცის და განსაზღვრავს როგორ გაანალიზოს შეფასების შედეგები;
- იცის და აყალიბებს შეფასების კრიტერიუმებსა და რუბრიკების შედგენის ძირითად პრინციპებს.

**პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის მიზნით:**

- იცის და აღწერს პროფესიული განვითარების ძირითად პრინციპებს, ფორმებს და გზებს;
- იცნობს და აღწერს განათლების მეცნიერებებში თანამედროვე ტენდენციებისა და კვლევების შედეგებს;
- იცნობს და განსაზღვრავს განათლების მეცნიერებების კვლევის მეთოდებს და მათი გამოყენების შესაძლებლობებს;

  იცის და ხსნის პრაქტიკის კვლევის სპეციფიკას, წარმართვის თავისებურებებს და პროგნოზირებს კვლევის შედეგების გამოყენების მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

**პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირების მიზნით:**

- იცნობს და განსაზღვრავს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების ძირითად პრინციპებს;
- იცის როგორ შექმნას მოსწავლისათვის მოტივირებული სასწავლო გარემო - ფიზიკური, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური;

- იცის და ახდენს იდენტიფიცირებას, როგორ შექმნას ინკლუზიური, სწავლისა და მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობილი სასწავლო გარემო;
- იცის და აღწერს კლასის მართვისა და კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების ეფექტიან სტრატეგიებს;
- იცის სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორები და აცნობიერებს თანამშრომლობით გარემოს მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.

**მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის, წარმართვისა და შეფასების მიზნით:**

- იცნობს და აღწერს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ეროვნულ სასწავლო გეგმას, დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების საგნობრივ სტანდარტებს;
- იცნობს და აღწერს ბავშვის განვითარების ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს;
- იცის განსაზღვრავს დაწყებით კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების სწავლების მეთოდებს, გზებს და საშუალებებს;
- იცის ზოგადი განათლების ჩარჩო დოკუმენტზე დაყრდნობით მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა;
- იცის საგანმანათლებლო ბეჭდური და ICT რესურსების მოძიება, შექმნა და ახდენს მის სასწავლო პროცესში მიზნობრივად გამოყენებას;
- ჩამოთვლის პიროვნების განვითარებისა და განათლების თეორიებს, აცნობიერებს მათ მნიშვნელობას მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის და წარმართვისას;
- იცნობს და ჩამოთვლის მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ძირითად მიდგომებს;
- იცის სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებული სტრატეგიები და მათი გამოყენების პერსპექტივები;
- განსაზღვრავს მდგრადი განვითარების მიზნებს და პრინციპებს, აცნობიერებს მდგრადი განვითარების პრინციპების სწავლების მნიშვნელობას პიროვნების ჩამოყალიბებაში, სოციალური და ბუნებრივი გარემოსადმი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქის აღზრდაში;
- აცობიერებს და აღწერს კლასგარეშე საქმიანობის როლსა და მნიშვნელობას მოსწავლეთა მოტივაციის, სწავლის და მრავალმხრივი განვითარებისათვის;
- იცის და ახდენს მოსწავლის შეფასებას (მათ შორის სსსმ მოსწავლის) ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით;
- იცის და ჩამოთვლის შეფასების ტიპებს, პრინციპებს და მეთოდებს. იცის და განსაზღვრავს როგორ გაანალიზოს შეფასების შედეგები;
- იცის და აყალიბებს შეფასების კრიტერიუმებსა და რუბრიკების შედგენის ძირითად პრინციპებს.

**პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის მიზნით:**

- იცის და აღწერს პროფესიული განვითარების ძირითად პრინციპებს, ფორმებს და გზებს;
- იცნობს და აღწერს განათლების მეცნიერებებში თანამედროვე ტენდენციებისა და კვლევების შედეგებს;
- იცნობს და განსაზღვრავს განათლების მეცნიერებების კვლევის მეთოდებს და მათი გამოყენების შესაძლებლობებს;

იცის და ხსნის პრაქტიკის კვლევის სპეციფიკას, წარმართვის თავისებურებებს და პროგნოზირებს კვლევის შედეგების გამოყენების მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.

**დასკვნის უნარი**

- დამოუკიდებლად აანალიზებს, კრიტიკულად აფასებს და იყენებს სწავლა/სწავლების პროცესში რთულ, არასრულ და წინააღმდეგობრივ მონაცემებს;
- აანალიზებს და კრიტიკულად უდგება დარგში ახალ ინფორმაციას, მათი სინთეზისა და დასკვნის გამოტანის საფუძველზე ახდენს მტკიცებულების და/ან საწინააღმდეგო არგუმენტის მოყვანას;
- შეიმუშავებს კონკრეტულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით სწავლა/სწავლების პროცესში განსხვავებულ სტრატეგიებს და იყენებს მას სწავლის შედეგების შეფასების დაგეგმვა-განხორციელებაში;
- აჯამებს როგორც ზეპირად, ისე წერილობით სწავლა/სწავლების შეფასების შედეგებიდან მიღებული მონაცემებს სწავლების გასაუმჯობესებლად;

გამომუშავებული აქვს რაოდენობრივი მსჯელობის უნარი, შეუძლია რაოდენობრივი სახით მიწოდებული ინფორმაციის (ცხრილები, დიაგრამები, მათემატიკური გამონათქვამები) დამუშავება, ანალიზი, მსჯელობა და რეკომენდაციების მომზადება. შეუძლია გამოყენებითი ხასიათის რაოდენობრივი ამოცანების გადაჭრა.

**კომუნიკაციის უნარი**

- აყალიბებს აზრს და შეუძლია კომუნიკაცია, მათ შორის უცხო ენაზე სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან დარგთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- აქვს ინფორმაციის, დარგობრივი ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და რეზიუმირების უნარი;
- ფლობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, აქვს ინტერნეტისა და სხვა ელექტრონული წყაროების გამოყენების უნარი კომუნიკაციისა და ინფორმაციის მოძიებისათვის, დამოუკიდებლად ითვისებს ახალ საინფორმაციო ტექნოლოგიებს;
- შეუძლია მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან, თემთან საქმიანი თანამშრომლობა და ეფექტური კომუნკაცია კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარებისათვის;
- აქვს გუნდური მუშაობის უნარი;

**სწავლის უნარი**

- კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა სასწავლო-საინფორმაციო რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით;
- აცნობიერებს ცოდნის განუწყვეტელი განახლების აუცილებლობას;
- აქვს საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების უნარი;
- აქვს პროფესიული სუბორდინაციის/ადაპტაციის უნარი;

**ღირებულებები**

- აცნობიერებს განათლების ინკლუზიურობისა და მოსწავლეთა მოტივაციის მნიშვნელობას პოზიტიური, უსაფრთხო/კონფლიქტებისგან თავისუფალი სასწავლო გარემოს შექმნისთვის;
- აცნობიერებს მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან, თემთან თანამშრომლობის მნიშვნელობას უსაფრთხო (ფიზიკური, სოციალური და ემოციური) სასწავლო გარემოს ფორმირებისთვის.
- აცნობიერებს, რომ ზოგადი განათლების ჩარჩო დოკუმენტები და განათლების მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნა მისი პედაგოგიური საქმიანობის ამოსავალია.
- მისთვის მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლე, როგორც პიროვნება. სწამს, რომ დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს როგორც მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას, მის პიროვნულ და კოგნიტურ განვითარებას, ასევე მათ ინტეგრაციას სასკოლო საზოგადოებაში.

- ფლობს საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ძირითადი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების დებულებებს (ბავშვთა უფლებების კონვენციას, ადამიანის უფლებების დეკლარაციას, კანონს ზოგადი განათლების შესახებ, ეროვნული სასწავლო გეგმებს, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტს, მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსს და სხვ.) ითვალისწინებს მათ სასწავლო პროცესში და ესწრაფის მათ დასამკვიდრებლად;
- შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ლიბერალური ღირებულებების ჩამოყალიბებაში, აქვს მოვლენების ინტელექტუალური და ეთიკური შეფასების უნარი.
- შეუძლია პლაგიატობის თავიდან აცილება, სხვათა ნაშრომების ციტირებისა და რეფერირების წესების დაცვით;
- ორიენტირებულია უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, სხვადასხვა გზით სიახლეების ათვისებასა და მათ პრაქტიკაში დანერგვაზე;
- აცნობიერებს კვლევაზე დაფუძნებული სასკოლო პრაქტიკის სრულყოფის მნიშვნელობას

## მედიცინის ფაკულტეტი

### ფარმაცია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ფარმაციის ბაკალავრი

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

პროგრამის ძირითადი მიზანია მოამზადოს კვალიფიციური ფარმაციის ბაკალავრები, რომელთა ღირებულებები, ცოდნა და უნარები ქმნიან წინაპირობებს ფარმაცევტულ სექტორში ღირსეული პროფესიული საქმიანობისათვის:

1. სამკურნალო ნივთიერებების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზის ჩასატარებლად;
2. ეფექტური და უსაფრთხო სამკურნალო საშუალებების წარმოებისათვის;
3. ფარმაცევტული სამსახურის, როგორც სამკურნალო საშუალებათა ხარისხის კონტროლზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურის მნიშვნელობის გაცნობიერებისათვის;
4. მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) აღრიცხვის, შენახვის, გამოყენების და მათი გაცემის წესების დასაცავად;
5. ფარმაცევტული დაწესებულების მართვის სისტემების ეფექტურობის შესაფასებლად;

კლინიკურ კონტექსტში მოსახლეობის მხარდაჭერისათვის და პაციენტზე ორიენტირებული ფარმაცევტული ზრუნვისა და მოვლის მეთოდების სრულყოფისათვის.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **სავალდებულო კურსები** | 220 ECTS კრედიტი |
| **არჩევითი კურსები** | 10 ECTS კრედიტი |
| **თავისუფალი კურსები** | 10 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| ცოდნა და გაცნობირება |
|---|
| • საბუნებისმეტყველო, სამედიცინო და ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინების თეორიული ცოდნის დემონსტრირება;<br>• ფარმაცევტული სამსახურის, როგორც სამკურნალო საშუალებათა ხარისხის კონტროლისა და მოსახლეობის ეფექტური და უსაფრთხო მედიკამენტებით მომარაგებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურის, მნიშვნელობის გააზრება. |
| **უნარები** |
| • ფარმაკოლოგიური ჯგუფების მიხედვით, მედიკამენტების დიფერენცირება და მათი ეფექტურობის პროგნოზირება სხვადასხვა დაავადებების დროს (წამლების მოქმედების მექანიზმის, დანიშვნის ჩვენებების, გვერდითი ეფექტების, უკუჩვენებების და თავსებადობის გათვალისწინებით);<br>• როგორც სამკურნალო პრეპარატების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზის ჩატარება, ასევე ბიოლოგიური მასალიდან ტოქსიკური ნივთიერებების იზოლირება და შხამებზე ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური კვლევის განხორციელება (მკაცრად განსაზღვრული ალგორითმით);<br>• სამკურნალო მცენარეული ნედლეულის პირველადი გადამუშავება, შრობა, ნამდვილობასა და კეთილხარისხოვნებაზე დასკვნის გაკეთება; |

- რეცეპტის საფუძველზე, სხვადასხვა წამლის ფორმების (ფხვნილების, მიქსტურების, მალამოების, სუსპენზიების, ემულსიების, კოლოიდური და მაღალმოლეკულურ ნივთიერებათა შემცველი საინექციო ხსნარების) მომზადების დროს გამოთვლების წარმოება, წამლის დამზადება, შემოწმება და გაცემა;
- წინასწარ განსაზღვრული მითითებებით ჩატარებული კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის წარდგენა (ანგარიშის სახით), საკუთარი პოზიციის დაცვა საკვანძო საკითხებთან მიმართებაში, როგორც მშობლიურ, ასევე ერთ-ერთ უცხო ენაზეც;
- უახლესი მიდგომების გამოყენებით, ფარმაცევტული ორგანიზაციის საქმიანობაზე მოქმედი რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირება და პრობლემების გადაჭრისათვის ახალი გზების ძიება.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

- ფარმაციის სფეროში მიმდინარე პროცესების შესწავლა, სამეცნიერო წყაროების მეცნიერული კეთილსინდისიერებით გამოყენება და ცოდნის გაღრმავება;
- სახელმწიფოს პოლიტიკის მხარდაჭერა და ქმედითი ღონისძიებების გატარება ფსიქოტროპულ და შხამ–ნარკოტიკულ სამკურნალო პრეპარატებთან მიმართებაში, მათ ლეგალურ ბრუნვასთან, აღრიცხვისა და გაცემის წესებთან დაკავშირებით.

## ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

მოამზადოს შედეგზე ორიენტირებული, თანამედროვე მოთხოვნების, შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტი - ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი, რომელსაც შესწავლილი ექნება:

- საბაზისო სამედიცინო მეცნიერებების საფუძვლები;
- სამედიცინო რეაბილიტაციის პრინციპები, ვადები, ჩვენებები და უკუჩვენებები;
- მოსალოდნელი გართულებები და რეაბილიტაციის თანამედროვე სტრატეგიები,
- სამედიცინო რეაბილიტაციის ფორმები, მეთოდები და ცალკეული მეთოდიკები;
- ადამიანის ჯანმრთელობის ფორმირებისა და შენარჩუნების პროცესების ძირითადი კანონზომიერებები;
- ორგანიზმის ადაპტაციური შესაძლებლობების დინამიური შეფასებისა და კორექციის მეშვეობით მისი აღდგენისა და გაძლიერების საშუალებები;
- სხვადასხვა დაავადებების სამკურნალო-რეაბილიტაციური ღონისძიებების ჩატარება;
- ადამიანის ორგანიზმის ფუნქციური რეზერვების აღდგენის ან დაკარგული ფუნქციის კომპენსაციის, მოსახლეობის სიცოცხლის ხარისხის ამაღლებისაკენ მიმართული ოპტიმალური, ინდივიდუალური პროგრამების ფორმირების სტრატეგია.

**კურსდამთავრებულს ასევე ექნება:**

- მისი კომპეტენციის შესაბამისი კლინიკური და პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- კონკრეტული ამოცანის დასმის და მისი გადაწყვეტის უნარი;
- მორალური ღირებულებებისა და ეთიკური პრინციპების სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენებისა და დაცვის უნარი;
- ინდივიდუალური და სპეციალური სავარჯიშო და სარეაბილიტაციო პროგრამების შემუშავების უნარი, დაავადებათა პროფილაქტიკისა და გართულებების თავიდან ასაცილებლად;
- პრაქტიკული რეკომენდაციების რელევანტურად გამოიყენების უნარი;
- ადამიანის ორგანიზმის ფიზიკური და ფუნქციური მდგომარეობის შეფასების უნარი დატვირთვებისა და დასვენების პერიოდში;
- სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებთან კომუნიკაციის ეფექტურად წარმართვის უნარი.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები** | 27 ECTS კრედიტი |
| **არჩევითი კურსები** | 3 ECTS კრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 210 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| ცოდნა და გაცნობიერება |
|---|

კურსდამთავრებულმა იცის:

- ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის თანამედროვე თეორიები, პრინციპები, მეთოდები და საშუალებები;ფიზიოთერაპიის სახეები და თავისებურებები;ტრავმატოლოგიის ძირითადი ცნებები, ტრავმული მდგომარეობის ზოგადი შეფასება და დაზიანებისას პირველადი დახმარება;
- ადამიანის ორგანიზმისა და მისი შემადგენელი ელემენტების ანატომიური, ფიზიოლოგიური თავისებურებები;ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესები; მოძრაობის კინემატიკა და ცალკეული მოძრაობების ანალიზი;ადამიანის პათოლოგიური

| |
|---|
| პროცესების ეთიოლოგია და პათოგენეზი;აცნობიერებს ადამიანის ჯანმრთელობის ფორმირებისა და შენარჩუნების პროცესების კანონზომიერებებს, მისი აღდგენისა და გაძლიერების შესაძლებლობებს;ზოგადი ჰიგიენის ნორმებსა და მოთხოვნებს;<br>▪ კინეზოთერაპია, კლასიფიკაცია და ადამიანის ორგანიზმზე ფიზიკური ვარჯიშის კლინიკური და ფიზიოლოგიური მნიშვნელობა; ფიზიკურ ვარჯიშებთან დაკავშირებული ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური ცვლილები და მათი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე;იცის მასაჟის ფორმები და სახეები, ორგანიზმზე მასაჟის მექანიზმის ზემოქმედება; |
| **უნარი** |
| კურსდამთავრებულს აქვს უნარი<br>▪ შეაფასოს პაციენტთა ფუნქციური მდგომარეობა და რეაბილიტაციური პოტენციალი; შეიმუშავოს ინდივიდუალური სარეაბილიტაციო პროგრამები ექიმთან შეთანხმებით; განსაზღვროს სარეაბილიტაციო ღონისძიებები და წარმატებით განახორციელოს დასახული პროგრამა; ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება და დატვირთვების ინდივიდუალური გეგმის შედგენა;დიაგნოსტიკური, პრევენციული და აღდგენითი-სამკურნალო ტექნოლოგიები;<br>▪ დამოუკიდებლად ჩაატაროს სამედიცინო რეაბილიტაციის პროცედურები: კინეზოთერაპია, მასაჟი; შეუძლია სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება; შეუძლია რისკის იდენტიფიცირების საფუძველზე პაციენტის დახმარების სტრატეგიის შესახებ დასკვნის გაკეთება; შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და მისი კრიტიკულად შეფასება;<br>▪ შეუძლია სამედიცინო კონტექსტში ეფექტური წერილობითი და ვერბალური ფორმით საკუთარი აზრების და შეხედულებების ჩამოყალიბება, დიალოგის წარმართვა ქართულ და უცხოურ ენაზე კოლეგებთან და პაციენტებთან, მათ შორის თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით; შეუძლია კომუნიკაცია ინფორმირებული თანხმობის მისაღების მიზნით;აქვს ჯგუფში/გუნდში მუშაობის, სუბორდინაციის და ადაპტაციის, დაკვირვების, მოსმენის, კითხვების დასმის უნარი. გააჩნია ასევე არავერბალური კომუნიკაციის უნარი;<br>▪ შეუძლია სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, საკუთარი სწავლის პროცესის მართვა, ლიტერატურის გამოყენებით დამოუკიდებლად ცოდნის ამაღლება და შემდგომი სწავლის დაგეგმვა; აქვს დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვის და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარი;გამომუშავებული აქვს ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის უნარი, პრობლემური საკითხების იდენტიფიკაციისა და ფართო კონტექსტთან მათი დაკავშირების, კვლევით მოპოვებული მასალის ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევები და ფორმალური პროფესიული წერილობითი ენა; იცნობს კვლევის წარმართვის ეთიკის პრინციპებს. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| აქვს მედიცინის კონტექსტში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა, შეუძლია პაციენტის უფლებების დაცვა;შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა ნებისმიერ პირთან;პაციენტთან და კოლეგებთან ურთიერთობისას ხელმძღვანელობს სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით, პატივს სცემს მათ არჩევანს, აღიარებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და ავტონომიას.კულტურასთან, სქესთან, რელიგიასთან და ჯანმრთელობის რისკთან ასოცირებული ეთიკური ასპექტების, ცრურწმენების და ტაბუსთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული აქვს საკუთარი დამოკიდებულება; |

## საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი

### სატრანსპორტო საშუალებების სერვისი და ექსპერტიზა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ტრანსპორტის ინჟინერიის ბაკალავრი
**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| ტრანსპორტის ექსპლუატაციის, მოძრაობის უსაფრთხოების და ტექნიკური სერვისის მიმართულებით კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება; ბაკალავრისათვის ზოგად ტრანსფერული და დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავება, რომელთა გამოყენებით შეძლებენ შემოქმედებითად მიუდგნენ ტრანსპორტის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრას. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები** | 15 ECTS კრედიტი |
| **საფაკულტეტო სავალდებულო კურსები** | 65 ECTS კრედიტი |
| **საფაკულტეტო არჩევითი კურსები** | 18 ECTS კრედიტი |
| **პროგრამის სავალდებულო კურსები** | 91 ECTS კრედიტი |
| **პროგრამის არჩევითი მოდულები** | 51 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| 1. აღწერს სატრანსპორტო საშუალებათა ექსპლუატაციის, დიაგნოსტიკის, სერვისის, რემონტის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პარამეტრების შერჩევა-გაანგარიშების, სატრანსპორტო პროცესების დაგეგმვისა და კოორდინაციის მეთოდებს;<br>2. ახასიათებს ტრანსპორტის სფეროში გამოყენებულ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს;<br>აღწერს ტრანსპორტის სერვისულ ობიექტებზე და სატრანსპორტო პროცესებისას შრომის ორგანიზაციის, უსაფრთხოების წესებსა და ნორმებს; |
| **უნარი** |
| 1. სატრანსპორტო საშუალებათა კონსტრუქციული თავისებურებების გათვალისწინებით, ირჩევს დიაგნოსტირების მეთოდებს, მომსახურეობის პროცესის ორგანიზაციისა და მართვის ფორმებს;<br>2. აანალიზებს ტრანსპორტის ეკოლოგიური და მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემურ საკითხებს და დასახავს აღმოფხვრის ღონისძიებებს;<br>პროფესიულ და არაპროფესიულ გარემოში გამოხატავს საკუთარ მოსაზრებებს და ახდენს მათ არგუმენტირებულ დასაბუთებას. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| 1. ადარებს საკუთარ ცოდნას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და განსაზღვრავს პროფესიული ზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებებსა და შესაძლებლობებს;<br>ითვალისწინებს სატრანსპორტო პროცესების ყველა სტადიაზე უსაფრთხოების, გარემოს ეკოლოგიურობის და პროფესიული ეთიკის საკითხებს; |
| კონცენტრაცია 1 **ტრანსპორტის უსაფრთხოება:** |

| |
|---|
| 1. ირჩევს სატრანსპორტო ნაკადის მოძრაობის ოპტიმალურ სქემებს, საზღვრავს ძირითად პარამეტრებს და ტექნიკური მოთხოვნების გათვალისწინებით შეიმუშავებს მოძრაობის რეგულირების სახეს;<br>2. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ადგენს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მოხდენის მექანიზმს, აფასებს მძღოლის ფსიქოფიზიოლოგიურ მდგომარეობას.<br>აანალიზებს სატრანსპორტო საშუალების კვანძების ტექნიკურ მდგომარეობას და აფასებს მათ მუშაუნარიანობას. |
| კონცენტრაცია 2- **სატრანსპორტო მომსახურება** |
| 1. კონკრეტული პირობებისათვის შეიმუშავებს სატრანსპორტო მომსახურების რაციონალურ მეთოდებს და ფორმებს;<br>2. სატრანსპორტო პროცესების დაგეგმვასა და კოორდინაციაში იყენებს თანამედროვე მეთოდებს;<br>სატრანსპორტო მომსახურების პარამეტრების მიხედვით საზღვრავს გადამზიდავი ფირმის სტრატეგიას. |
| კონცენტრაცია 3-**საავტომობილო ტრანსპორტის სერვისი** |
| 1. შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით შეიმუშავებს სატრანსპორტო საშუალებათა დიაგნოსტიკის, რემონტის და ტექნიკური მომსახურების შესაბამის ფორმას;<br>2. ადგენს ავტომობილების დიაგნოსტირებისა და სერვისის სტრუქტურულ შედეგობრივ და ფუნქციონალურ მოდელებს;<br>აანალიზებს ავტომობილის კვანძებში მიმდინარე სტრუქტურულ ცვლილებებს, ირჩევს ავტომობილების დიაგნოსტირებისა და სერვისის პერიოდულობას, ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სამუშაოების მაღალი ხარისხით შესრულების ხერხებს. |
| კონცენტრაცია 4- **სატრანსპორტო ძრავები** |
| 1. ჩამოთვლის სატრანსპორტო ძრავების ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველმყოფ ღონისძიებებს და აფასებს მათ ეფექტურობას.<br>არჩევს სატრანსპორტო ძრავების ტექნიკური მომსახურებისა და სერვისის ტექნოლოგიური პროცესისათვის კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ საშუალებებს და საზღვრავს სატრანსპორტო ძრავების მუშაუნარიანობის პარამეტრებს. |

## ელექტრული ინჟინერია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბაკალავრი ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში
**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| პროგრამა მიზნად ისახავს ელექტროობის, კერძოდ კი, ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის თანამედროვე მიღწევათა შედეგებზე დაფუძნებული შესაბამისი დარგის ფართო ცოდნისა და უნარების მქონე და ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრის მომზადებას. |

**ელექტროენერგეტიკის მიმართულებით**:
მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც გააჩნია საკმარისი თეორიული ცოდნა ელექტროენერგეტიკული საწარმოების ტექნოლოგიური პროცესების მართვისა და ტექნიკური აღჭურვილობის ექსპლუატაციის განსახორციელებლად, დარგის ეკოლოგიური და ეკონომიკური ასპექტების პრაქტიკულ საქმიანობაში გასატარებლად.

**ბიოსამედიცინო ელექტრონიკის მიმართულებით:**
მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც გააჩნია თანამედროვე სამედიცინო დაწესებულებების სადიაგნოსტიკო, თერაპიული და ქირურგიული, ასევე პორტატული სამედიცინო აპარატურისა და მოწყობილობების მუშაობის პრინციპების თეორიული ცოდნა და მისი პრაქტიკაში ექსპლუატაციისა და მომსახურების უნარი.

**ტელეკომუნიკაციის მიმართულებით:**
მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც მიღწეული თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით შეუძლია სატელეკომუკაციო საშუალებების ექსპლუატაცია და მომსახურება დადგენილი მოთხოვნების, მოქმედი ნორმების, წესებისა და სტანდარტების დაცვით.

**ელექტრული და ელექტრონული სპეციალური დანიშნულების ხელსაწყოთა მიმართულებით:**
მოამზადოს სპეციალისტი, რომელსაც ექნება საკმარისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები სპეციალური დანიშნულების ელექტრული და ელექტრონული ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციისა და მომსახურეობის, ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებისა და შესაბამისი დასკვნების გაკეთებისათვის.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **ზოგადსაუნივერსიტეტო კურსები** | 15 ECTS კრედიტი |
| **ზოგადსაფაკულტეტო კურსები** | 68 ECTS კრედიტი |
| **პროგრამის სავალდებულო კურსები (87,5 კრედიტი)** | 85 ECTS კრედიტი |
| **არჩევითი მოდულები (55 კრედიტი - 5 მოდული)** | 54 ECTS კრედიტი |
| **არჩევითი საგნები** | 18 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| • აანალიზებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ ელექტრული და ელექტრონული სისტემების ფუნქციონირების, ტექნიკური საშუალებების მუშაობის პრინციპების შესახებ მიღებულ ცოდნას.<br>საზღვრავს და კრიტიკულად აფასებს დარგის ძირითად ობიექტებს, მოვლენებსა და პროცესებს. |
| **უნარი** |

- ახორციელებს დარგისათვის დამახასიათებელი საპროექტო სამუშაოებს, გეგმავს სასერვისო და საინსტალაციო სამუშაოებს;
- ახორციელებს ძირითადი ტექნოლოგიური სისტემებისა და მოწყობილობების, ტექნიკური ობიექტების, დარგის შესაბამისი ელექტრული და ელექტრონული აპარატურის ექსპლუატაციასა და მომსახურებას;
- გეგმავს დარგის შესაბამის ტექნოლოგიურ პროცესებს,
- მონაწილეობს საწარმოო ობიექტების მუშაობის რეჟიმებისა და ძირითადი მახასიათებლების შერჩევასა და გაანგარიშებაში, მიღებულ შედეგებს გამოიყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში;

ახორციელებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ტექნიკური ან ტექნოლოგიური პრობლემის იდენტიფიკაციას, ფორმულირებას და განსაზღვრავს მათი გადაჭრის გზებს უკვე ცნობილი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.სხვადასხვა დანიშნულების ელექტროენერგეტიკული დანადგარების მუშაობის რეჟიმების, მოწყობილობებისა და მათი პარამეტრების, ელექტროენერგეტიკული ობიექტების სქემებისა და ძირითადი საბაზო ენერგეტიკული მაჩვენებლების **გაანგარიშება და შერჩევა.**

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

საზღვრავს საკუთარი პროფესიული ზრდის აუცილებლობასა და შესაძლებლობებს, და მოიძიებს შესაბამის ინფორმაციასა და რესურსებს შემდგომი პროფესიული ზრდის მიზნით.

**ელექტროენერგეტიკის კონცენტრაცია**

- ახორციელებს მონიტორინგს და აანალიზებს ელექტრული ენერგიის წარმოების, გადაცემისა და განაწილების ერთიან უწყვეტ პროცესს და უზრუნველყოფს ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპტიმალურ მართვას და მასში შემავალი ენერგეტიკული დანადგარების გამართულ ფუნქციონირებას.
- გაიანგარიშებს და პრაქტიკულ საქმიანობაში იყენებს ელექტროენერგეტიკული ობიექტების ძირითადი და დამხმარე მოწყობილობების ელემენტებისა და სქემების, ელექტროენერგეტიკული დანადგარების მუშაობის რეჟიმებსა და ძირითად საბაზო ენერგეტიკულ მახასიათებლებს.
- განსაზღვრავს და აანალიზებს ელექტროენერგეტიკულ სისტემაში წარმოქმნილ ავარიულ სიტუაციებს და სახავს მათი ლიკვიდაციის გზებს.

კონტროლს აწესებს ელექტრული ენერგიის ხარისხზე და სახავს მისი განმსაზღვრელი ძირითადი პარამეტრების (ძაბვა, სიხშირე) სახელმწიფო სტანდარტის ფარგლებში დაბრუნების (რეგულირების) ღონისძიებებს.

**ტელეკომუნიკაციის კონცენტრაცია**

- საზღვრავს და ახასიათებს ანალოგური და დისკრეტული შეტყობინების სისტემებისა და აპარატურის, მონაცემთა გადაცემისა და სატელეფონო კავშირის ქსელების, ელექტრონული მართვის კომპლექსების, მობილური კავშირის სისტემების თოერიული საფუძვლებისა და მოქმედების პრინციპებს.
- ახორციელებს ტელეკომუნიკაციის ქსელებში და ინფორმაციის დამუშავების მოწყობილებებსა და სისტემებში პროცესების მოდელირებას და პრაქტიკაში გამოიყენებს მათი ტექნიკური ექსპლუატაციის ალგორითმებს.

ზომავს ტელეკომუნიკაციის ხელსაწყოების, მოწყობილობების, არხებისა და ტრაქტების მახასიათებლებს და ამუშავებს გაზომვის შედეგებს.

**ბიოსამედიცინო ელექტრონიკის კონცენრაცია**

- საზღვრავს და კრიტიკულად აანალიზებს რადიოელექტრონულ კომპიუტერულ მოწყობილობებში გამოყენებული ძირითადი ანალოგური და ციფრული კვანძების ელექტრონულ და ფუნქციონალური სქემების მუშაობის პრინციპებს;
- აღწერს და განმარტავს მიკროპროცესორულ მოყობილობათა ელექტრონული და სტრუქტურული სქემების, თანამედროვე სამედიცინო და ელექტროგამზომი ხელსაწყოებისა და მათი მუშაობის პრინციპებს;.

| |
|---|
| იყენებს სადიაგნოსტიკო, თერაპიული და ქირურგიული აპარატურის აუდიო-ვიდეო და კომპიუტერულ ტექნიკას, ასევე პორტატულ სამედიცინო აპარატურას და ახორციელებს მიღებული მონაცემების დამუშავებას შემდგომი გამოყენებისათვის. |
| **სპეცდანიშნულების ელექტრულ და ელექტრონული ხელსაწყოთა კონცენრაცია** |
| • ახორციელებს სპეციალური დანიშნულების ხელსაწყოთა მოქმედების პრინციპების დახასიათებასა და პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებას;<br>- უსადაგებს სპეციალური დანიშნულების ხელსაწყოებს კონკრეტულ საჭიროებებს და გამოყენებს მათ დანიშნულებისამებრ. |

## მშენებლობა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრი

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| მშენებლობის ინჟინერიის ბაკალავრმა შეძლოს შუალედური რგოლის სპეციალისტის ფუნქციების შესრულება სხვადასხვა დანიშნულების ობიექტების პროექტირების და მშენებლობის პროცესში. გამოუმუშაოს საპროექტო და სამშენებლო წარმოებისათვის საჭირო ზოგადტრანსფერული და დარგობრივი კომპეტენციები, სამშენებლო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, დარგის უახლესი ტექნოლოგიების, ეკონომიკური ტენდენციების და ღირებულებების შეფასების და საქმიანობაში გამოყენების უნარი. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **ზოგადსაუნივერსიტეტო კურსები** | 15 ECTS კრედიტი |
| **ზოგადსაფაკულტეტო კურსები** | 68 ECTS კრედიტი |
| **ზოგადსაფაკულტეტო არჩევითი კურსები** | 18 ECTS კრედიტი |
| **პროგრამის სავალდებულო კურსები** | 94 ECTS კრედიტი |
| **არჩევითი მოდულების კურსები** | 45 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| ▪ ზოგადი და ზოგადტექნიკური ცოდნის გამოყენებით აანალიზებს სამშენებლო ობიექტების დაპროექტების, მშენებლობის წარმოების, მართვის და ეკონომიკის, ნაგებობების ექსპლუატაციის, რემონტის საფუძვლების, ახალი ტექნოლოგიების თეორიულ და პრაქტიკულ მეთოდებს; |
| **უნარი** |
| ▪ სამშენებლო ობიექტებზე ტექნიკური შუალედური რგოლის ფუნქციების შესრულებისათვის შეუძლია საპროექტო, მშენებლობის წარმოების, ორგანიზაციის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამუშაოთა დაგეგმვა და განხორციელება.<br>▪ საპროექტო, კვლევით და დაკვალვით სამუშაოებში იყენებს საჭირო ინსტრუმენტებს და უახლეს საინფორმაციო ტექნოლოგიებს;<br>▪ მშენებლობის პროექტირების პროცესში დამხმარე ფუნქციათა შესათავსებლად შეუძლია: საპროექტო, სამუშაოთა ორგანიზაციის, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დამუშავება. სამშენებლო კონსტრუქციების, ნაკეთობების და მასალების შერჩევა და ინსპექტირება;<br>▪ ალტერნატიული ვარიანტების ანალიზის საფუძველზე მოიძევს და ასაბუთებს პროექტირების და მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ამოცანების გადაჭრის გზებს;<br>▪ ნათლად გამოხატავს საკუთარ აზრებს ზოგად და პროფესიულ თემებზე პროფესიულ და არაპროფესიულ გარემოში; |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| ▪ ადარებს საკუთარი ცოდნას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და გეგმავს სწავლის გაგრძელების და ცოდნის გაღრმავების პროცესს;<br>▪ მშენებლობის ყველა სტადიაზე ითვალისწინებს პროფესიული ეთიკის, შრომის და გარემოს დაცვის, ენერგოეფექტურობის საკითხებს. |

| |
|---|
| **კონცენტრაცია: „სამრეწველოდასამოქალაქომშენებლობა”** |
| ▪ მითითებების და ინსტრუქციების საფუძველზე აპროექტებს სხვადასხვა დანიშნულების შენობა-ნაგებობებს;<br>▪ შეიმუშავებს მშენებლობის წარმოების და ორგანიზაციის დოკუმენტაციას;<br>▪ განსაზღვრავს სამშენებლო ობიექტზე პროცესების მართვის მექანიზმებს; |
| **კონცენტრაცია: “ლითონის კონსტრუქციები”** |
| ▪ ინსტრუქციების საფუძველზე აპროექტებს შენობა-ნაგებობებში და საინჟინრო ქსელებში გამოყენებულ ლითონკონსტრუქციებს;<br>▪ შეიმუშავებს ლითონის კონსტრუქციის წარმოებისა და მონტაჟის დოკუმენტაციას<br>▪ განსაზღვრავს კონსტრუქციების ხარისხის და საიმედობის კონტროლის მექანიზმებს და წესს |
| **კონცენტრაცია: “ საავტომობილო გზების მშენებლობა”** |
| ▪ მითითებების და ინსტრუქციების საფუძველზე აპროექტებს საავტომობილო გზებს;<br>▪ შეიმუშავებს გზების მშენებლობის წარმოების და ორგანიზაციის დოკუმენტაციას;<br>▪ განსაზღვრავს გზების ექსპლოატაციის სამუშაოების შემადგენლობას |
| **ნცენტრაცია “ჰიდროტექნიკური ნაგებობები”** |
| 1. აანალიზებს ჰიდრომექანიკის, ჰიდროტექნიკის და ჰიდროტექნიკური მშენებლობის თეორიულ საფუძვლებს;<br>2. მითითებების და ინსტრუქციების საფუძველზე აგეგმარებს ლოკალური მნიშვნელობის ჰიდროტექნიკური ნაგებობებს და მათი ექსპლოატაციის პროცესს;<br>სეციალისტის ზედამხედველობით ადგენს სამშენებლო სამუშაოთა წარმოების გეგმას და შესაბამის დოკუმენტაციას |

## საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბაკალავრი მასალების საინჟინრო ტექნოლოგიაში

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, საშუალო რგოლის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მასალების საინჟინრო ტექნოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციით, რომელიც საბუნებისმეტყველო, ზოგადტექნიკურ და სპეციალურ საგნებში მიღებული ცოდნის გამოყენებით შეძლებს, სხვადასხვა მასალებისგან (ხე, ქვა, თიხა, ხელოვნური მასალები, პლასტმასი, ქაღალდი, მინა, კერამიკა) დამზადებული პროდუქტების მწარმოებელ საწარმოში მანქანა-დანადგარების ოპტიმალურად შერჩევის, განლაგების, მონიტორინგის და მაღალ ხარისხიანი, ერთგვაროვანი პროდუქციის მიღების უზრუნველყოფის სამუშაოებში აქტიურ მონაწილეობას. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები** | 15 ECTS კრედიტი |
| **საფაკულტეტო სავალდებულო კურსები** | 65 ECTS კრედიტი |
| **საფაკულტეტო არჩევითი კურსები** | 18 ECTS კრედიტი |
| **პროგრამის სავალდებულო კურსები** | 142 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| ✓ საბუნებისმეტყველო, ზოგადტექნიკური, ეკონომიკური და საკანონმდებლო დისციპლინების კანონების და ძირითადი პრინციპების გამოყენებით, აღწერს და აანალიზებს მასალების (ხე, ქვა, თიხა, ხელოვნური მასალები, პლასტმასი, ქაღალდი, მინა, კერამიკა) საინჟინრო ტექნოლოგიის საწარმოო პროცესებს;<br>✓ აღწერს სხვადასხვა მასალების (ხე, ქვა, თიხა, ხელოვნური მასალები, პლასტმასი, ქაღალდი, მინა, კერამიკა) დამამუშავებელ იარაღებსა და დანადგარებს;<br>✓ აღწერს და ანალიზებს სხვადასხვა მასალებისგან (ხე, ქვა, თიხა, ხელოვნური მასალები, პლასტმასი, ქაღალდი, მინა, კერამიკა) დამზადებულ პროდუქციაზე წაყენებული საერთაშორისო სტანდარტების და აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს თეორიულ, საკანონმდებლო და ორგანიზაციულ მოთხოვნებს; |
| **უნარი** |
| ▪ ირჩევს მასალების (ხე, ქვა, თიხა, ხელოვნური მასალები, პლასტმასი, ქაღალდი, მინა, კერამიკა) დამუშავების იარაღებსა და საშუალებებს, ასევე მათი დამუშავების მეთოდებსა და ელემენტარულ ტექნოლოგიურ სქემებს;<br>▪ ირჩევს და აფასებს მასალების საინჟინრო ტექნოლოგიურ საწარმოში წარმოებულ პროდუქციაზე წაყენებულ თანამედროვე მოთხოვნებს, პროცესებში გამოყენებულ ტექნიკური გაზომვის მეთოდებსა და საშუალებებს, მათი ხარისხის მართვის მექანიზმებს;<br>▪ მასალების საინჟინრო ტექნოლოგიურ საწარმოში წარმოებული პროდუქციის ტექნიკური პარამეტრების მოთხოვნილი სიზუსტის უზრუნველსაყოფათ აგებს ზომათა ჯაჭვებს, ანგარიშობს შემადგენელი რგოლების სიზუსტეს და მონაწილეობს დამზადების ტექნოლოგიის შედგენაში;<br>▪ ნათლად გამოხატავს საკუთარ აზრებს ზოგად და პროფესიულ თემებზე, |

| |
|---|
| ▪ კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით;კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით; |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| ▪ ადარებს საკუთარ ცოდნას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და გეგმავს სწავლის გაგრძელების და ცოდნის გაღრმავების პროცესს;<br>▪ ურთიერთობის ნებისმიერ სტადიაზე ითვალისწინებს პროფესიული ეთიკის, შრომის და გარემოს დაცვის საკითხებს. |
| **კონცენტრაცია: არალითონური მასალებისგან დამზადებული პროდუქციის წარმოება** |
| **ცოდნა გაცნობიერება:**<br>▪ აღწერს და აანალიზებს არალითონური მასალების (ქვა, თიხა, ხელოვნური მასალები, პლასტმასი, ქაღალდი, მინა, კერამიკა) თვისებებს და ფიზიკო მექანიკურ მახასიათებლებს, საწარმოო პროდუქციის დამზადების მეთოდებს, დამამუშავებელ და საკონტროლო იარაღებსა და დამუშავების ტექნოლოგიას;<br>**უნარი:**<br>▪ სპეციალისტის ზედამხედველობით, ტექნიკური დავალების ექსპერტიზის საფუძველზე აგეგმარებს არალითონური მასალებისგან დამზადებული პროდუქტების მწარმოებელ საწარმოო უბანს, ირჩევს და ამონტაჟებს დანადგარებს,<br>▪ მონიტორინგს უწევს და სპეციალისტის ზედამხედველობით მართავს საწარმოო ტექნოლოგიურ პროცესს მაღალ ხარისხიანი ერთგვაროვანი პროდუქციის მიღების უზრუნველყოფისათვის. |
| **კონცენტრაცია: მერქნული მასალებისგან დამზადებული პროდუქციის წარმოება** |
| **ცოდნა გაცნობიერება:**<br>▪ აღწერს და აანალიზებს მერქნული მასალების თვისებებს და ფიზიკო მექანიკურ მახასიათებლებს, საწარმოო პროდუქციის დამზადების მეთოდებს, დამამუშავებელ და საკონტროლო იარაღებსა და დამუშავების ტექნოლოგიას;<br>**უნარი:**<br>▪ სპეციალისტის ზედამხედველობით, ტექნიკური დავალების ექსპერტიზის საფუძველზე აგეგმარებს მერქნული მასალებისგან დამზადებული პროდუქტების მწარმოებელ საწარმოო უბანს, ირჩევს და ამონტაჟებს დანადგარებს,<br>▪ მონიტორინგს უწევს და სპეციალისტის ზედამხედველობით მართავს საწარმოო ტექნოლოგიურ პროცესს მაღალ ხარისხიანი ერთგვაროვანი პროდუქციის მიღების უზრუნველყოფისათვის. |

## კვების ინდუსტრიის ინჟინერია და საწარმოო პროცესების მართვა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგიის ბაკალავრი

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| შრომითი ბაზრის მოთხოვნილებიდან გამომდინარე მოამზადოს ინჟინერიის ბაკალავრი ,,სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია" კვალიფიკაციით, რომელსაც აქვს კვების მრეწველობის დარგის ფართო ცოდნა, მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებასა და ცოდნის ზოგიერთ უახლეს ასპექტს. დარგობრივი მიმართულებით სტუდენტს განუვითაროს კომპეტენციები ტექნიკური, ტექნოლო-გიური და ორგანიზაციული ხასიათის ამოცანების გადასაჭრელად, შეძენილი კომპეტენციების საფუძველზე ჰქონდეს მრავალმხრივი, ასევე პიროვნული განვითარების შესაძლებლობა. ჩამოუყალიბოს სამოქალაქო ღირებულებები, პატრიოტიზმის და ჰუმანიზმის პრინციპები.. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები** | 15 ECTS კრედიტი |
| **საფაკულტეტო სავალდებულო კურსები** | 65 ECTS კრედიტი |
| **საფაკულტეტო არჩევითი კურსები** | 18 ECTS კრედიტი |
| **პროგრამის სავალდებულო კურსები** | 142 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| • აანალიზებს საბუნებისმეტყველო და ზოგადტექნიკური საგნების ძირითადი ცნებებს, კანონებს და თეორიულ საფუძვლებს, ასევე ეკონომიკური დისციპლინების თეორიებს<br>• აღწერს კვების საწარმოო პროცესებს და მათი მართვას, ტექნოლოგიური მოწყობილობების ფუნქციონირებას, მონტაჟის, ექსპლუატაციის და სერვისის პრინციპებს, სფეროს კომპლექსურ საკითხებს.<br>აფასებს ხელოვნური სიცივის მიღების თეორიულ საფუძვლებს. ხელოვნური სიცივის გამოყენებას კვების მრეწველობაში პროდუქტების შენახვის და დისტრიბუციის დროს.<br>**აცნობიერებს:**<br>✓ მეტროლოგიის თეორიულ საფუძვლებს;<br>✓ ფიზიკურ სიდიდეთა გაზომვის ერთიანი სისტემის არსს;<br>✓ სტანდარტიზაციის სახელმწიფო სისტემის არსს;<br>✓ საზომ საშუალებათა პერიოდულად დამოწმების აუცილებლობის არსს;<br>✓ ხარისხიანი პროდუქციის მიღებისათვის გაზომვის მეთოდისა და საშუალებების ოპტიმალურად შერჩევის აუცილებლობას;<br>✓ გაზომვის შედეგების დამუშავების საფუძველზე პროდუქციის ხარისხის მაჩვენებელთა გაუმჯობესების რეალურ შესაძლებლობას;<br>✓ საწარმოო პროცესების მართვაში მეტროლოგიური სამსახურის როლსა და შესაძლებლობებს;<br>✓ ხარისხის მართვის ძირითად პრინციპებს. |
| **უნარი** |
| ▪ იყენებს თეორიულ ცოდნას სპეციალობის დაუფლებაში და მათ საფუძველზე აყალიბებს პროფესიულ უნარ-ჩვევებს;<br>▪ ხაზავს და კითხულობს კვების ტექნოლოგიური მანქანების, კვანძების, დეტალების ნახაზებს;<br>▪ მონაწილეობს დარგის მცირე საწარმოების ფუნქციონირების, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ლოჯისტიკის საკითხების გადაწყვეტის პროცესში; |

- იძევს და ამუშავებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით საჭირო ინფორმაციას. აწარმოებს სპეციალისტების და არასპეციალისტების გარემოში ზეპირ და წერილობით კომუნიკაციას კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით.
- გეგმავს კვების ტექნოლოგიური მანქანების მონტაჟის ჩატარებას, გაშვება-გამართვას, ავტომატურ მართვას, ავტომატური მართვის სისტემების ოპერირებას, კვალიფიციურ ექსპლუატაციას, ტექნოლოგიური მოწყობილობების მდგომარეობის შეფასებას, კვების ტექნოლოგიური მანქანების და კვანძების დაშლას სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად და დეტალების ტექნოლოგიური დამუშავების პროცესებს;
- მონაწილეობს ტექნოლოგიური, პრინციპული, კონსტრუქციული, კინემატიკური სქემების შედგენაში, თანამედროვე მოწყობილობების და მათი მართვის მეთოდების შერჩევაში წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით;
- ეკოლოგიური უსაფრთხოების მიზნით ირჩევს ალტერნატიულ მაცივარაგენტებს კვების სამაცივრო სისტემებში.

**დასკვნის უნარი**

**შეუძლია:**

- საწარმოში გაზომვის მეთოდისა და საშუალების დასაბუთებულად შერჩევაში მონაწილეობა;
- გაზომვის შედეგების დამუშავება, გაანალიზება და დასკვნის შედგენაში მონაწილეობა;
- საწარმოში სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის ძირითადი ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე მონაცემთა შეგროვება და მათი შესაბამისობის ანალიზი;
- ნორმატიულ ტექნიკური დოკუმენტების მეტროლოგიური ექსპერტიზის დასკვნების შედგენაში მონაწილეობა;
- საწარმოში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის გაფორმებისათვის საჭირო მასალების მოგროვება და წინასწარი საექსპერტო დასკვნების შედგენაში მონაწილეობა;
- ანგარიშებისა და მონიტორინგის მაჩვენებელთა დოკუმენტების გაანალიზებასა და დასკვნის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა;
- საწარმოთა ტექნოლოგიური პროცესების მეტროლოგიური ექსპერტიზის საფუძველზე, პროდუქციის ხარისხის მართვის ორგანიზების საკითხებზე დასკვნების შედგენაში მონაწილეობა.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

- პროფესიულ გარემოში და საზოგადოებაში ხელმძღვანელობს საკანონმდებლო ნორმებით, ასევე პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას პროფესიული ნორმებით;
- აღწერს კვების საწარმოს ეკოლოგიურ პრობლემებს, იცავს შრომისა და სიცოცხლის უსაფრთხოების ნორმებს;
- დამოუკიდებლად სწავლობს კვების ტექნოლოგიური მანქანების და აპარატების აგებულებას და მუშაობის პრინციპებს და მათში მიმდინარე პროცესებს;
- საზღვრავს შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას
- და საჭიროებას.

## სატრანსპორტო–ლოჯისტიკური სისტემების ორგანიზაცია და მართვა

(იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ტრანსპორტის ინჟინერიის ბაკალავრი
**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| სატრანსპორტო გადაზიდვებისა და მოძრაობის უსაფრთხოების მიმართულებით კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება; ბაკალავრისათვის ზოგად ტრანსფერული და დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავება, რომელთა გამოყენებით შეძლებენ შემოქმედებითად მიუდგნენ ტრანსპორტის სფეროში არსებული პრობლემების გადაჭრას. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო კურსები** | 173 ECTS კრედიტი |
| **თავისუფალი კრედიტები** | 15 ECTS კრედიტი |
| **ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი კურსები** | 22 ECTS კრედიტი |
| **კონცენტრაცია** | 30 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| -აღწერს ერთიანი ლოჯისტიკური ჯაჭვის ცალკეული რგოლების შემადგენელი ელემენტების დანიშნულებას და იქ მიმდინარე ტექნოლოგიურ პროცესებს;<br>-აცნობიერებს სატრანსპორტო -ლოჯისტიკური ცენტრების მოწყობის ტექნიკას და ტექნოლოგიებს,<br>-ჩამოთვლის ტრანსპორტის სერვისული მომსახურების და მოძრაობის უსაფრთხოების ორგანიზაციის და მართვის პრონციპებს. |
| **უნარი** |
| -აანალიზებს გადაზიდვების პროცესში მონაწილე სუბიექტების საქმიანობას; -სატრანსპორტო პროცესების დაგეგმვასა და კოორდინაციაში იყენებს თანამედროვე მეთოდებს;<br>-საზღვრავს სატრანსპორტო ნაკადის ძირითად პარამეტრებს და ტექნიკური მოთხოვნების გათვალისწინებით შეიმუშავებს მოძრაობის რეგულირების სახეს;<br>-ირჩევს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა კვლევის და ანალიზის თანამედროვე ტექნოლოგიებს და იყენებს მათ პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| -ადარებს საკუთარი ცოდნას შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და განსაზღვრავს პროფესიული ზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებებსა და შესაძლებლობებს;<br>-ითვალისწინებს სატრანსპორტო პროცესების ყველა სტადიაზე უსაფრთხოების, გარემოს ეკოლოგიურობის და პროფესიული ეთიკის საკითხებს; |
| **კონცენტრაცია: სატრანსპორტო ტექნოლოგიური სისტემების ორგანიზაცია და მართვ** |
| -მგზავრთა გადაყვანების რაციონალურ მეთოდებს, ტვირთგამგზავნსა და ტვირთმიმღებს შორის ხარისხიანი და მაღალეფექტური სატრანსპორტო მომსახურების ფორმას; |

| |
|---|
| -სატრანსპორტო მომსახურების პარამეტრების მიხედვით საზღვრავს გადამზიდავი ფირმის სტრატეგიას. |
| **კონცენტრაცია: ტრანსპორტის სერვისის ორგანიზაცია და მოძრაობის უსაფრთხოება** |
| -საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ადგენს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის მოხდენის მექანიზმს, აფასებს მძღოლის ფსიქოფიზიოლოგიურ მდგომარეობას.<br>-აანალიზებს სატრანსპორტო საშუალების კვანძების ტექნიკურ მდგომარეობას და აფასებს მათ მუშაუნარიანობას.<br>▪ |

## საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი

### გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მეცნიერების ბაკალავრი გარემოს ინჟინერიაში

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

პროგრამა მიზანია მოამზადოს ბაკალავრის კვალიფიკაციის სპეციალისტი გარემოს დაცვის ტექნოლოგიის სფეროში, რომელთა ცოდნა, უნარები და კომპეტენციები უპასუხებს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის, მეცნიერების/დარგის და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს.
პროგრამა მიმართულია მოამზადოს კურსდამთავრებული, რომელსაც ექნებათ:

- კომუნიკაციის ეფექტური უნარ-ჩვევები,
- კომპლექსური პრობლემების გადაჭრის, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების უნარები,
- მონიტორინგისა და დროის მენეჯმენტის უნარები;

და შეძლებენ:

- გარემოში მიმდინარე პროცესების, გარდაქმნებისა და გარემოსდაცვითი პრობლემების კრიტიკულ გააზრებას;
- გარემოს კომპონენტების მდგომარეობის შეფასებას განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზის სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით;
- გარემოს დაცვის ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას ხელმისაწვდომი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლებიც მიმართულია გარემოს დაცვის სფეროში დამტკიცებული მოთხოვნების, მოქმედი ნორმების, წესებისა და სტანდარტების დაცვისაკენ;

საკუთარი კარიერისა და სწავლის პროცესის წარმართვა-დაგეგმვას მუდმივად ცვალებადი გარემოს პირობებში.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები | 159 ECTS კრედიტი |
| ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები | 16 ECTS კრედიტი |
| დამატებითი პროგრამა ან/და თავისუფალი კომპონენტები | 65 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| - ახდენს თეორიული ცოდნის, მათ შორის იმ საბუნებისმეტყველო, მათემატიკური და საინჟინრო პრინციპების ცოდნის დემონსტრირებას, რომელსაც ეყრდნობა გარემოს დაცვის ტექნოლოგიები.<br>- აღწერს გარემოს კომპონენტების ხარისხის მაჩვენებლებსა და დამაბინძურებელ აგენტებს მათი წარმოქმნის წყაროების, ფიზიკურ-ქიმიური და ტოქსიკური თვისებების მიხედვით. |

- ხსნის გარემოს დაბინძურების  კონტროლისა და შეფასების ძირითად პრინციპებს.
- მსჯელობს მდგრადი განვითარების პრინციპებზე გარემოსდაცვითი ცნობიერების, მმართველობისა და საინჟინრო გადაწყვეტილების საკითხებთან მიმართებით.

**უნარი**

- აანალიზებს გარემოში მიმდინარე პროცესებს, გარდაქმნებსა და გარემოსდაცვით ღონისძიებებს მონაცემთა ანალიზისა და ინტერპრეტირების გზით.
- ახდენს თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრირებას კომპლექსური გარემოსდაცვითი საკითხების გადაჭრისათვის;
- აფასებს გარემოს კომპონენტების დაბინძურებას კვლევის ანალიზური მეთოდების, სხვადასხვა ტექნიკური და ლაბორატორიული მოწყობილობების გამოყენებით;
- აანალიზებს და გეგმავს გარემოსდაცვით ღონისძიებებს მოქმედი გარემოსდაცვითი სტანდარტების, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების, ნორმებისა და წესების დაცვით;
- წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად იყენებს გარემოსდაცვითი შეფასების მიდგომებს სხვადასხვა სახის სამრეწველო საქმიანობისათვის.
- ამზადებს დეტალურ ანგარიშს გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სფეროში არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ.
- პროფესიული მოვალეობების შესრულებისას იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

1. თანმიმდევრულად და მრავალმხრივად აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს და ადგენს შემდგომი სწავლის საჭიროებებს.
2. ახორციელებს საკუთარ საქმიანობას ეთიკის პრინციპების დაცვით.

ეფექტურად მუშაობს ჯგუფში და იღებს პასუხისმგებლობას წარმართოს დაკისრებული საქმიანობა კომპლექსურ სასწავლო და სამუშაო გარემოში.

## საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

ქართული სამომხმარებლო ბაზრის ადგილობრივი, უსაფრთხო, მაღალხარისხოვანი პროდუქტებით უზრუნველყოფისათვის, საერთაშორისო ბაზარზე ქართული პროდუქტის პოპულარიზაციისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სასურსათო ტექნოლოგიის მიმართულებით მაღალკვალიფიციური, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპლექსური კომპეტენციებისა და ინოვაციური აზროვნების მქონე უმაღლესი განათლების პირების მომზადება. საკვები პროდუქტების წარმოებისა და სურსათის უვნებლობის პრობლემათა აქტუალობა და შრომის ბაზარზე ამ მიმართულების უმაღლესი განათლების მქონე კადრებისადმი არსებული მაღალი მოთხოვნა განაპირობებს სასურსათო ტექნოლოგიების მიმართულებით უმაღლესი საგანმანათლებლო (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) პროგრამების განხორციელების აქტუალობას.

საბაკალავრო პროგრამა „საკვები პროდუქტების ტექნოლოგია და უვნებლობა“ ამავე მიმართულების სამაგისტრო და სადოქტორო განათლების მიღების საფუძველია და ***მიზანად*** ისახავს ზუსტ, საბუნებისმეტყველო და ზოგად საინჟინრო მეცნიერებების ფუნდამენტალური თეორიებისა და პრინციპების საფუძველზე მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი ბაკალავრი საკვების პროდუქტების ტექნოლოგიებისა და უვნებლობის უზრუნველყოფის სფეროს მაღალი დონის ცოდნითა და ფართო დარგობრივი კომპეტენციებით, რომელიც ორიენტირებული იქნება პრაქტიკულ საქმიანობასა და სწავლის გაგრძელებაზე უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურებზე.

ძირითადი მიზნის მიღწევისათვის პროგრამის განხორციელების პროცესში წყდება შემდეგი კონკრეტული ***ამოცანები:***

მისცეს სტუდენს მაღალი დონის ცოდნა:

- ზუსტ (წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია, მათემატიკური ანალიზი), საბუნებისმეტყველო (ზოგადი, არაორგანული, ორგანული, ანალიზური, ფიზ-კოლოიდური ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია) და ზოგადსაინჟინრო (საინჟინრო გრაფიკა, ელექტროტექნიკის საფუძვლები, გამოყენებითი მექანიკა და სხვა) დისციპლინების ფუნდამენტალური თეორიების და პრინციპების შესახებ, გამოუმუშაოს მათი კრიტიკული გააზრებისა და „საკვები პროდუქტების ტექნოლოგიის და უვნებლობის“ სფეროში გამოყენების უნარი. - საკვები პროდუქტების წარმოებაში გამოყენებული ნედლეულის ქიმიური შედგენილობის, ტექნოლოგიური თვისებების, მათი ხარისხის და უვნებლობის მახასიათებლების შესახებ;
- საკვები პროდუქტების (პურ-ფუნთუშეული და საკონდიტრო ნაწარმის, ხორცისა და რძის პროდუქტების, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების, საზოგადოებრივი კვების პროდუქტების) კლასიფიკაციის, წარმოების ტექნოლოგიური სქემებისა და პარამეტრების, გამოყენებული ტექნოლოგიური მოწყობილობების, მიღებული პროდუქტის ხარისხისა და უვნებლობის უზრუნველყოფის გზებისა და მეთოდების შესახებ;
- ადამიანის ორგანიზმზე საკვები პროდუქტების გავლენისა და კვების თანამედროვე კონცეფციების შესახებ;
- „საკვები პროდუქტების ტექნოლოგიისა და უვნებლობის“ სფეროში ქვეყნის და რეგიონის პრობლემების და უახლესი მიღწევების შესახებ;
- ინფორმაციის მოპოვების (მათ შორის უცხო ენაზე) გზების და მეთოდების შესახებ და გამოუმუშაოს კრიტიკული ანალიზის, დასკვნის გაკეთებისა და მათი პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი.

პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერისტეტის მისიას - უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები. პროგრამა შედგენილია საქართველოს განათლების სამინისტროს რეკომენდაციებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით, რომელიც ეყრდნობა დასავლურ საგანმანათლებლო სტანდარტებს, შეესაბამება

ბოლონიის დეკლარაციის პრინციპებს და ითვალისწინებს
ეროვნულ თავისებურებებს.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **საუნივერსიტეტო სავალდებულოკურსები** | 15 ECTS კრედიტი |
| **პროგრამული მიმართულების სავალდებულო კურსები** | 95 ECTS კრედიტი |
| **საფაკულტეტო არჩევითი კურსები** | 15 ECTS კრედიტი |
| **სპეციალობის სავალდებულო კურსები** | 105 ECTS კრედიტი |
| **სპეციალობის არჩევითი კურსები** | 10 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| • აქვს საბაზისო ცოდნა ზუსტ, საბუნებიმეტყველო, ჰუმანიტარულ, ზოგად-საინჟინრო დისციპლინებში<br>• იცის ტექნიკური ბიოქიმიის თეორიული საფუძვლები, იცნობს მცენარეული დაცხოველური წარმოშობის სასურსათო ნედლეულში არსებული ძირითად ნაერთთა კლასებს, იცის მათი მნიშვნელობა ადამიანის კვებაში;<br>• იცის ადამიანის ბიოლოგიის, კვების ფიზიოლოგიის და კვების თანამედროვე კონცეფციების თეორიული საფუძვლები;<br>• იცის ტექნიკური მიკრობიოლოგიის თეორიული საფუძვლები, იცნობს მიკრორგანიზმების უჯრედის ძირითად ტიპებს, მათ ფუნქციებს და უჯრედის შემადგენელი ნივთიერებების მეტაბოლიზმის საფუძვლებს;<br>• ესმის ძირითადი მექანიკური, თერმოდინამიკური, კოლოიდური, ბიოქიმიური, მიკრობიოლოგიური პროცესები, რომლებიც საფუძვლად უდევს კვების პროდუქტების წარმოებას;<br>• იცნობს სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების კლასიფიკაციის პრინციპებს. იცის სასურსათო ნედლეულის ქიმიური შედგენილობა და სასურსათო ტექნოლოგიებში გამოყენებული საკვები დანამატები. აცნობიერებს მათ როლს ნედლეულის ტექნოლოგიური თვისებების ფორმირებაში, იცნობს ნედლეულისა და მზა პროდუქციის უვნებლობის თეორიული საფუძვლებს;<br>• იცნობს საკვები პროდუქტების ცალკეული ჯგუფების (პურფუნთუშეული, საკონდიტრო ნაწარმი, ხორცი და ხორცპროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები, საზოგადოებრივი კვების პროდუქტები) ტექნოლოგიების განვითარების ისტორიას, ასორტიმენტს, იცის მათი წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიური სქემები და პარამეტრები. იცნობს ტექნოლოგიური პროცესების დროოს მიმდინარე ძირითად ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოქიმიურ პროცესებს.<br>• იცნობს საკვები პროდუქტების წარმოების პროცესში გამოყენებულ ტექნოლოგიურ მოწყობილობებს, იცის მათი ტექნიკური პარამეტრები და ექსპლუატაციის ზოგადი პრინციპები;<br>• იცნობს სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების უვნებლობისა და ხარისხის მახასიათებლებსა და მათი შეფასების თანამედროვე მეთოდებს.<br>• იცის საკვები პროდუქტების შენახვისა და ტრანსპორტირების თანამედორვე მეთოდები და საშუალებები და ამ დროს მიმდინარე ცვლილებები.<br>• იცის საზოგადოებრივი კვების პროდუქტების წარმოების პრინციპები, ორგანიზაცია, მომსახურება და სერვისი.<br>• იცნობს დარგობრივ ტერმინოლოგიას, სასურსათო ტექნოლოგიების სფეროში ინფორმაციის წყაროებს. |
| **უნარი** |
| • შეუძლია თეორიული ცოდნის ინტეგრირება სპეციალობის დაუფლებაში;<br>• შეუძლია კონკრეტული კვების პროდუქტების (მარცვალი, პურ-ფუნთუშეული, მაკარონი, |

| |
|---|
| საკონდიტრო, ხორცი და ხორცპროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელები, საზოგადოებრივი ვების პროდუქტები) წარმოების ტექნოლოგიური პროცესების განხორციელებაში მონაწილეობა და ცალკეული ეტაპების დამოუკიდებლად წარმართვა;<br>• შეუძლია საკვები პროდუქტების წარმოების ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა და მზა ნაწარმის ხარისხისა და უვნებლობის შეფასება;<br>• შეუძლია საკვები პროდუქტების წარმოებისათვის შესაბამისი მანქანების, აპარატების შერჩევა, მათი მატერიალური, თბური და ენერგეტიკული ბალანსის შედგენა და ექსპლუატაცია.<br>• შეუძლია სასურსათო ტექნოლოგიების პრობლემების გადასაწყვეტად მონაცემების მოძიება;<br>• შეუძლია კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობაზე მოქმედი ფაქტორების განსაზღვრა, გაანალიზება,ერთმანეთთან შედარება-დაკავშირება და დასკვნის გაკეთება კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად;<br>• აქვს დარგობრივ სფეროში წერილობითი ანგარიშის მომზადების უნარი მშობლიურ და უცხოურ ენებზე; |
| **ღირებულებები** |
| • აქვს თანამედროვე კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ელექტრონული ბიბლიოთეკებისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების გამოყენების უნარი;<br>• შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ და უცხოურ ენებზე;<br>• შეუძლია თავისი ნაშრომის (რეფერატის, მოხსენების) საჯარო წარმოდგენა- პრეზენტაცია, კითხვებსა და შენიშვნებზე პასუხის გაცემა შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით მშობლიურ და უცხოურ ენებზე;<br>• შეუძლია პროფესიულ საკითხებზე დისკუსიებში მონაწილეობის მიღება, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან მშობლიურ და უცხოურ ენებზე .<br>• ინფორმაციის დიფერენცირებისა და კრიტიკულად შეფასების საფუძველზე შეუძლია შეაფასოს და შეაჯამოს შეძენილი ცოდნა, დაადგინოს სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების საჭიროება, განსაზღვროს დაუფლებული უნარების გამოყენების შესაძლებლობები.<br>• გაცნობიერებული აქვს სასურსათო პროდუქციის წარმოებისას უსაფრთხოების, ხარისხიანობის და ხელმისაწვდომობის პრინციპების დაცვის მნიშვნელობა.<br>• გაცნობიერებული აქვს ჯანსაღი საკვები პროდუქტების მნიშვნელობა ერის კეთილდღეობისათვის. |

## გამოყენებითი დიზაინი (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** დიზაინის ბაკალავრი

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

პროგრამის მიზანია სპეციალისტთა მომზადება პირადი მოხმარების ნაკეთობათა (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ტყავსაგალანტერეო ნაწარმის და ტექსტილის) თანამედროვე მოდის შესაბამისი ნიმუშების დიზაინის შექმნისა და კონსტრუქტორულ–ტექნოლოგიური პროცესების წარმართვისათვის კვალიფიკაციით: დიზაინის ბაკალავრი.

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტს მისცეს ცოდნა:

- ისტორიულ–ტრადიციული მიმდინარეობების, თანამედროვე მოდური ტენდენციების, თეორიისა და პრაქტიკული მიღწევების შესაბამისი ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ტყავსაგალანტერეო ნაკეთობათა და ტექსტილის მხატვრული და ტექნიკური მოდელირების შესახებ;
- სამკერვალო და ტყავის ნაკეთობათა დამზადებისათვის გამოყენებული მასალების კლასიფიკაციისა და მახასიათებლების შესახებ;
- ლაბორატორიულ და საწარმოო პირობებში ნაკეთობის დამზადების ტექნოლოგიური ნორმატივებისა და რეჟიმების შესახებ;
- გამოყენებულ მანქანა–მოწყობილობებთან უსაფრთხოების წესების დაცვით მუშაობის, გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის უნარ–ჩვევების გამომუშავების შესახებ;
- ინდივიდუალურ და მცირე საწარმოში ნაკეთობათა სამომხმარებლო ხარისხის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად დიზაინერულ–კონსტრუქტორულ–ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმალურად წარმართვის საფუძვლების შესახებ.

პროგრამის მიზანია, კურსის დასრულების შემდეგ სპეციალისტმა შეძლოს წარმატებით იმუშაოს ტანსაცმლის, ტყავის ნაკეთობათა და ტექსტილის საწარმოებში და ფირმებში მოდელიორ–დიზაინერად ან კონსტრუქტორ–ტექნოლოგად – მაღალესთეტიკური, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალი სამომხმარებლო თვისებების მქონე, ადგილობრივ და საზღვარგარეთულ ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის შესაქმნელად. ასევე, შეუძლია სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში შესაბამისი ან მონათესავე მიმართულებით.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| –პროგრამის საერთო კურსები | 45 ECTS კრედიტი |
| სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კურსები | 135 ECTS კრედიტი |
| **სპეციალობის სპეციალობის კურსები** | 60 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTSკრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| – ახდენს ქართული მატერიალური კულტურის, ხელოვნებისა და თანამედროვე მსოფლიოს მხატვრული ღირებულებების შეფასებას;<br>– აღწერს მხატვრული გემოვნებით, წარმოსახვითი აზროვნებისა და სახვითი ხელოვნების მრავალფეროვანი ხერხებით იდეის რეალიზების საკითხებს;<br>– მსჯელობს სხვადასხვა დანიშნულების ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ტყავის ნაწარმისა და ტექსტილის მოდური, პოპულარური ან საკუთარი ფანტაზიით ნაკეთობათა კომპოზიციის შექმნის პრინციპებზე;<br>ახდენს ნაკეთობის კონსტრუქტორულ–ტექნოლოგიური დაგეგმარების და კომპოზიციის მასალაში შესრულების პროცესს მასალათა პაკეტის შერჩევით, ნაწარმის კომფორტულობის ძირითადი პრინციპების, ზემოქმედი ფაქტორების გაცნობიერებით და ნორმატივების დაცვით. |

| |
|---|
| **უნარი** |
| – სპეციალისტის წინაშე მდგარი შემოქმედებითი ამოცანის გადასაჭრელად და ესთეტიურად ღირებული ნიმუშების დასამზადებლად ახდენს მხატვრული გემოვნების, გამომსახველობითი ხერხებისა და საშუალებების გააზრებული გამოყენებით საკუთარი ან ჯგუფური იდეის რეალიზებას დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით შეძენილი ცოდნითა და უნარ–ჩვევებით;<br>– ქმნის კომპოზიციას კონსტრუქტორული დამუშავების, ტექნიკურ–ეკონომიკური პარამეტრების (მასალების შერჩევა–დასაბუთება და ნორმირება, კონსტრუქციის მასალათტევადობა და შრომატევადობა) გათვალისწინებით, აანალიზებს და გეგმავს ტექნოლოგიური პროცესებს და ახდენს პრაქტიკაში განხორციელებას შესაბამისი წერილობითი ანგარიშის მომზადებით;<br>– აანალიზებს, მსოფლიო მოდის ტენდენციებს, აფასებს კოლექციას ზოგად-ესთეტიკური, კრიტიკული მხატვრული მიდგომებით და პრაქტიკულ საქმიანობასთან კავშირში;<br>– აანალიზებს მოძიებულ ინფორმაციას, მხატვრულ მოვლენათა შორის მიზეზ–შედეგობრივ კავშირებს, პროექტის მხატვრულ–ტექნოლოგიური რეალიზაციის პროცესში პოპულარულ ტენდენციებზე აქცენტირებისა და მომავალზე პროგნოზის აგების მიზნით;<br>აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს მიმდინარე საქმიანობის, პრაქტიკაში მათი მიზანმიმართული რეალიზაციისა და კარიერული წინსვლისათვის. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| – პროფესიულ-პრაქტიკული საქმიანობის პროცესს წარმართავს პასუხისმგებლობის, დისციპლინისა და თვითორგანიზებულობის პრინციპებზე დაყრდნობით; საერთო მიზნებისა და ინტერესების განხორციელებისას აქტიურად მონაწილეობს გუნდურ მუშაობაში;<br>– ესმის პრაქტიკული საქმიანობისას პირადი და თანამშრომლების შრომის პირობების დაცვისა და გარემოს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობა;<br>ინფორმაციის დიფერენცირებისა და კრიტიკულად შეფასების საფუძველზე ობიექტურად აფასებს შეძენილ ცოდნას და დაუფლებული უნარების გამოყენების შესაძლებლობებს; ესმის პროფესიული ზრდისა და სრულყოფისათვის საკუთარი კვალიფიკაციის მუდმივად |

## ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიები

(იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მეცნიერების ბაკალავრი ქიმიურ და ბიოლოგიურ ინჟინერიაში

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის სფეროს სპეციალისტი, ქიმიური, ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიების საფუძვლიანი ცოდნით და მიაღწიოს ეს საბუნებისმეტყველო, საინჟინრო, სამედიცინო და ტექნოლოგიური მიმართულების სასწავლო კურსების ინტეგრირებული სწავლების საფუძველზე. საქართველოში ვითარდება ქიმიური და ფარმაცევტული კომპანიები, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციას და ორიენტირებული არიან, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. აქედან გამომდინარე,

**პროგრამის მიზანია მოამზადოს სპეციალისტი საბაკალავრო უმაღლესი განათლებით** ქიმიური, ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიების მიმართულებით, რომელსაც ექნება მზაობა:

- მიღებული ფუნდამენტური საბუნებისმეტყველო და საინჟინრო განათლება გამოიყენოს სამკურნალო-პროფილაქტიკური და კოსმეტიკური საშუალებების შემუშავების, წარმოების, მარკეტინგის, ხარისხის უზრუნველყოფისა და ანალიზის მიმართულებით სამუშაოდ;
- განახორციელოს საქმიანობა მაღალი პროფესიული და ეთიკური პასუხისმგებლობით;

კრიტიკულად გაიაზროს და შეაფასოს მიღებული ცოდნა და დაგეგმოს სწავლის შემდგომი საჭიროებები.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები** | 15 ECTS კრედიტი |
| **საფაკულტეტო არჩევითი კურსები** | 15 ECTS კრედიტი |
| **პროგრამული მიმართულების სავალდებულო კურსები** | 80 ECTS კრედიტი |
| **სპეციალობის სავალდებულო კურსები** | 115 ECTS კრედიტი |
| **სპეციალობის არჩევითი კურსები** | 15 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| 1. აღწერს ქიმიური წარმოების სტრუქტურას, შემადგენლობას, ძირითად ტექნოლოგიურ მახასიათებლებს, მოწყობილობებს და პროცესებს;<br>2. დეტალურად აყალიბებს ქიმიური, ფარმაცევტული და კოსმეტიკური პროდუქციის შემუშავების, წარმოების, ხარისხის კონტროლის და მარკეტინგის ძირითად პრინციპებს;<br>3. აანალიზებს ქიმიური, ფარმაცევტული და კოსმეტიკური პროდუქციის მიღებისა და წარმოების ძირითად პროცესებს საბუნებისმეტყველო, ზოგადსაინჟინრო და სამედიცინო მეცნიერებების თეორიებისა და პრინციპების გამოყენებით;<br>4. განიხილავს სამკურნალო საშუალებების მოქმედ და დამხარე ნივთიერებებს ქიმიის, ფარმაკოგნოზიის და ფარმაკოლოგიის ძირითადი მიდგომების გამოყენებით;<br>ახასიათებს ფარმაცევტული და კოსმეტიკური პროდუქციის ხარისხის მაჩვენებლებს, მათი შეფასებისა და ანალიზის მეთოდებსა და საშუალებებს. |

| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი |
| --- |
| - აფასებს წარმოების ტექნოლოგიურ სისტემებს, ელემენტებს და პროცესებს მდგრადობის, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, სოციალური და უსაფრთხოების ფაქტორების გათვალისწინებით;<br>- კომპლექსური მიდგომების გამოყენებით აანალიზებს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობას ბუნებრივ ნედლეულში და მათი გამოყენების ფართო შესაძლებლობებს;<br>- შეიმუშავებს სამკურნალო საშუალებების სინთეზისა და წარმოების ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს, მარეგლამენტირებელი პირობებისა და ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად;<br>- გეგმავს ფარმაცევტული და კოსმეტიკური პროდუქციის ხარისხის შეფასებას-ანალიზს ფიზიკური, ქიმიური, ფიზიკურ-ქიმიური და ინსტრუმენტული მეთოდების გამოყენებით;<br>- აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს, როგორც ვერბალურად, ისე წერილობით, მათ შორის თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| 1. აფასებს საკუთარ ცოდნას და თვითგანვითარების შემდგომ შესაძლებლობებს;<br>რთულ და გაუთვალისწინებელ სასწავლო და სამუშაო გარემოში წარმართავს თავის საქმიანობას მაღალი პროფესიული და ეთიკური პასუხისმებლობით. |

## მოდის დიზაინი და ტექნოლოგია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საინჟინრო ტექნოლოგიის ბაკალავრი

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| პროგრამის მიზანია სპეციალისტთა მომზადება პირადი მოხმარების ნაკეთობათა (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ტყავსაგალანტერეო ნაწარმი) თანამედროვე მოდის შესაბამისი ნიმუშების კონსტრუქტორულ–ტექნოლოგიური პროცესების წარმართვისათვის კვალიფიკაციით -ინჟინერის ბაკალავრი.<br>პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტს მისცეს ცოდნა:<br>– ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ტყავსაგალანტერეო ნაკეთობათა მხატვრული და ტექნიკური მოდელირების შესახებ;<br>– სამკერვალო და ტყავის ნაკეთობათა დამზადებისათვის გამოყენებული მასალების კლასიფიკაციისა და მახასიათებლების შესახებ;<br>– ლაბორატორიულ და საწარმოო პირობებში ნაკეთობის დამზადების ტექნოლოგიური ნორმატივებისა და რეჟიმების შესახებ;<br>– გამოყენებულ მანქანა–მოწყობილობებთან უსაფრთხოების წესების დაცვით მუშაობის, გარემოს დაცვისა და ნარჩენების მართვის უნარ–ჩვევების გამომუშავების შესახებ;<br>– ინდივიდუალურ და მცირე საწარმოში ნაკეთობათა სამომხმარებლო ხარისხის მაღალი დონის უზრუნველსაყოფად კონსტრუქტორულ–ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმალურად წარმართვის საფუძვლების შესახებ.<br>პროგრამის მიზანია, კურსის დასრულების შემდეგ სპეციალისტმა შეძლოს წარმატებით იმუშაოს ტანსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა საწარმოებში და ფირმებში კონსტრუქტორ–ტექნოლოგად – მაღალესთეტიკური, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალი სამომხმარებლო თვისებების მქონე, ადგილობრივ და საზღვარგარეთულ ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის შესაქმნელად. ასევე, შეუძლია სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში შესაბამისი ან მონათესავე მიმართულებით. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები** | 23 ECTSკრედიტი |
| **თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსები** | 8 ECTSკრედიტი |
| **ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსები** | 135 ECTSკრედიტი |
| **ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი კურსები** | 15 ECTSკრედიტი |
| **დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა**[1] | 60 ECTSკრედიტი |
| სულ | 240 ECTSკრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| – აღწერს ტყავისა და სამკერვალო ნაკეთობათა წარმოების სფეროს თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს;<br>– დეტალურად ჩამოაყალიბებს დარგის წარმატებით ფუნქციონირების საკითხებს;<br>– აფასებს ლაბორატორიულ და საწარმოო პირობებში სამკერვალო და ტყავის ნაკეთობათა დამზადების ეტაპებს;<br>– კლასიფიცირებას უკეთებს ნაკეთობის დამზადებისათვის საჭირო მასალებს;<br>– ახდენს ნაწარმისათვის რაციონალური პაკეტის შეჩევას; |

| |
|---|
| – განსაზღვრავს პროდუქციის დაგეგმარების წინაპირობებს და დეტალურად ჩამოაყალიბებს მათი კონსტრუქტორულ–ტექნოლგიური გადაწყვეტის საკითხებს ;<br>ახდენს ტექნოლოგიური პროცესების წარმართვას და ნაწარმის ნიმუშების შესრულებას მასალაში შესაბამისი ნორმატივებისა და რეჟიმების დაცვით. |
| **უნარი** |
| –ახდენს საიჟინრო დისციპლინებისგან მიღებული ცოდნის გამოყენებას დარგის პრობლემების გააზრებასა და მათი წარმატებით გადაჭრაში;<br>–მასალათა თვისებების შეფასების საფუძველზე განახორციელებს პააკეტის ოპტიმალური კომპონენტების შერჩევას;<br>–განმარტავს სხვადასხვა დანიშნულების ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ტყავსაგალანტერეო ნაკეთობათა კონსტრუქტორული დაგეგმარების მეთოდებს;<br>–დაგეგმარების პროცესების ანალიზის საფუძველზე ახდენს ტექნოლოგიური დამუშავების რეჟიმების დასაბუთებას მასალების ნორმირების, კონსტრუქციის მასალათტევადობისა და შრომატევადობის გათვალისწინებით;<br>–ხელმძღვანელობა გაუწიოს ნაკეთობათა მასალაში დამზადების ტექნოლოგიურ პროცესებს ლაბორატორიულ და საწარმოო პირობებში;<br>–ახდენს შემუშავებულ პროდუქციისა და შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაციის დემონსტრირებას საკუთარი შესაძლებლობების პოპულარიზების თვალსაზრისით;<br>–შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ და უცხოურ ენებზე;<br>–ახდენს პროფესიული ინფორმაციის მოპოვებას ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით და შეძლებსსფეროს აქტუალურ საკითხებზე დისკუსიაში მონაწილეობას. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| –მიღებული ცოდნისა და კომპეტენციების კომპლექსურად შეაფასებით გაკეთებული დასკვნების საფუძველზე განსაზღვრავს სწავლის შემდეგომი გაგრძელების აუცილებლობას და შესაძლებლობებს;<br>–საკუთარი მომავალი პროფილის ფორმირების თვალსაზრისით შეირჩევს ცოდნის გაღრმავების პრიორიტეტული მიმართულებს;<br>–მაღალი პასუხისმგებლობით ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას;<br>–ეფექტურად მუშაობს ჯგუფში და აქტიურ მონაწილეობას იღებს დარგის პოპულარიზაციის საკითხებში. |

## აგრარული ფაკულტეტი

## ტურიზმი (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე უახლოესი ათწლეულების განმავლობაში ტურიზმი ქართული ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგად არის მიჩნეული, ამდენად რეგიონების კულტურულ - ეკონომიკურ წინსვლასაც აღნიშნული დარგის განვითარება განაპირობებს, რაც გულისხმობს ტურისტული ინფრასტრუქტურის და ინდუსტრიის განვითარებას. ყოველივე ეს კი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სფეროში დასაქმებული კადრების კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე. ამდენად, მოთხოვნა ტურისტული ინდუსტრიისათვის კვალიფიცირებულ პროფესიულ კადრებზე დღეისათვის ქვეყნის მასშტაბით საკმაოდ მაღალია. აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ წარმოდგენილი პროგრამის მიზანია მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში, რომელსაც შეეძლება ტურისტული ორგანიზაციების (ტუროპერატორული ფირმების, ტურისტული სააგენტოების, ტურისტული კომპანიების, სასტუმროების და სხვ.) მართვა. ასევე ტურისტული ბაზრის კვლევა, თანამედროვე ტურისტული პროგრამების დამუშავება, ტურისტული პროდუქტის წარმოება, ფორმირება, ბაზარზე წინწაწევა და რეალიზაცია. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **ძირითადი სპეციალობის დამხმარე სავალდებულო კურსები** | 40 ECTS კრედიტი |
| **ძირითადი სპეციალობის არჩევითი კურსები** | 15 ECTS კრედიტი |
| **ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები** | 125 ECTS კრედიტი |
| **დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა**[1] | 60 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა/გაცნობიერება** |
| **ზოგადი კომპეტენციები** - აქვს ფართო ცოდნა ტურიზმის სფეროში, კრიტიკულად იაზრებს მის თეორიებსა და პრინციპებს, აცნობიერებს კომპლექსურ საკითხებს.<br>**დარგობრივი კომპეტენციები** - ფლობს საფუძვლიან საბაზისო ცოდნას ტურისტულ ინდუსტრიაში ჩართული ორგანიზაციების (ტუროპერატორების, სააგენტოების, სერვისის მიმწოდებელი ობიექტების) საქმიანობის შესახებ, გაცნობიერებული აქვს ტურიზმის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, იცნობს ტურიზმის ეკონომიკის, მენეჯმენტისა და მარკეტინგის თეორიას, პრინციპებსა და კონცეფციებს, სტატისტიკის საფუძვლებს, საქართველოს ტურისტულ–რეკრეაციულ პოტენციალს, საქართველოს მატერიალურ-კულტურულ ძეგლებს. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება** |
| **ზოგადი კომპეტენციები** - შეუძლია ტურიზმის სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.<br>**დარგობრივი კომპეტენციები** - შეუძლია ტურისტული პროდუქტის შექმნა, პრეზენტაცია და მომსახურების ფასების გაანგარიშება; ტურისტულ–საექსკურსიო მარშრუტების შერჩევა და გიდის ფუნქციის შესრულება; შეუძლია დასაქმდეს ტურისტული ინდუსტრიის ფირმებსა და საწარმოებში მენეჯერის, ადმინისტრატორის და სხვა პოზიციებზე. ამავე დროს შეუძლიათ პროფესიულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. |

| |
|---|
| **დასკვნის უნარი** |
| **ზოგადი კომპეტენციები** - შეუძლია ტურიზმის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემების ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.<br>**დარგობრივი კომპეტენციები** - შეუძლია შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით ტურისტული ბაზრის კვლევისა და ანალიზის საფუძველზე ახალი პროდუქტის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში. |
| **კომუნიკაციის უნარი** |
| **ზოგადი კომპეტენციები** - შეუძლია: ტურიზმის სფეროსათვის იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენაზე; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.<br>**დარგობრივი კომპეტენციები** - შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ და უცხოურ ენებზე, ტურიზმის სფეროში თავისი დასკვნების საჯარო წარმოდგენა, მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან. ინტერნეტის საშუალებით ინფორმაციის მოპოვება მისი საქმიანობისათვის საჭირო საკითხებთან დაკავშირებით. |
| **სწავლის უნარი** |
| **ზოგადი კომპეტენციები** - შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.<br>**დარგობრივი კომპეტენციები** - ინფორმაციის დიფერენცირებისა და კრიტიკულად შეფასების საფუძველზე შეუძლია შეაფასოს და შეაჯამოს შეძენილი ცოდნა, იზრუნოს მის მუდმივ განახლებაზე და განსაზღვროს დაუფლებული უნარების გამოყენების შესაძლებლობები. |
| **ღირებულებები** |
| **ზოგადი კომპეტენციები** -მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.<br>**დარგობრივი კომპეტენციები** - საქმიანობას წარმართავს პროფესიული ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვის, ქვეყნის კანონმდებლობისა და მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ქარტიის პატივისცემის, ასევე საკუთარი სამშობლოს ისტორიულ - კულტურული მემკვიდრეობის და ტრადიციების შენარჩუნებისა და წარმოჩენის ნიშნით. |

## აგრონომია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** აგრონომიის ბაკალავრი

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| მოამზადოს აგრონომიის ბაკალავრი, რომელსაც ექნება ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით მიღებული საფუძველიანი ცოდნა. იგი დაეუფლება: სოფლის დარგობრივი მეურნეობის გაძღოლისათვის სასოფლო - სამეურნეო კულტურების ბიოლოგიურ თავისებურებებსა და მოვლა-მოყვანის მართვას; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მეთოდებს; მიწის რაციონალური გამოყენების წესებს; მიწათმოქმედებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების გამოყენების შესაძლებლობებს; ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების აგრომელიორაციულ ხერხებს; აგრობიოლოგიურ მეურნეობათა შექმნის თავისებურებებს; ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისას, მისი დაცვისა და კვლავწარმოების ძირითად პრინციპებს. პროგრამა ითვალისწინებს უცხო ენებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გაძლიერებული კურსით შესწავლას, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარება სპეციალისტს სწავლის დამთავრების შემდეგ კომუნიკაციასა და შრომით მოწყობაში. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **სპეციალობის დამხმარე სავალდებულო კურსები** | 40 ECTS კრედიტი |
| **ძირითადი სპეციალობის სავალდებულო კურსები** | 65 ECTS კრედიტი |
| **სასპეციალიზაციო მოდულები(არჩევითი)** | 60 ECTS კრედიტი |
| **არჩევითი კურსები** | 15 ECTS კრედიტი |
| **დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა[1]** | 60 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| ***ზოგადი კომპეტენციები***<br>▪ აქვს აგრონომიის სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიული მეთოდების, პრაქტიკული ხერხებისა და წესების გააზრებას. აცნობიერებს სფეროს კომპლექსურ საკითხებს;<br>***დარგობრივი კომპეტენციები***<br>▪ განსაზღვრავს მიწის რესურსების ფონდს, დეტალურად აყალიბებს მისი სარგებლობის ფორმებს, აღწერს ტყის რესურსებსა და დაცული ტერიტორიების კატეგორიებს;<br>▪ შეუძლია განსაზღვროს ზოგადი ნიადაგთმცოდნეობის ძირითადი საკითხები, აღწეროს ნიადაგის წარმოქმნის პროცესები და საქართველოში გავრცელებული ძირითადი ტიპის ნიადაგები;<br>▪ დეტალურად აღწერს მცენარეთა ბოტანიკურ, მორფოლოგიურ, ბიოლოგიურ თავისებურებებს, გარემო ფაქტორების ზემოქმედების შედეგებს და ყოველივეს აკავშირებს მათი გამრავლებისა და მოვლა – მოყვანის ტექნოლოგიებთან;<br>▪ იცის მცენარის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების არსი; მცენარის ზრდის, განვითარებისა და მოსავლის ფორმირების კანონზომიერებები;<br>▪ აღწერს მცენარეთა სასიცოცხლო ფაქტორებს. გამოარჩევს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის აგროტექნოლოგიების ზოგად საკითხებს.<br>▪ გააჩნია საბაზისო ცოდნა მცენარეთა გენეტიკაში, მსჯელობს ზოგადგენეტიკურ კანონზომიერებებზე;<br>▪ აღწერს სასუქის გარდაქმნის მექანიზმს ნიადაგსა და ლანდშაფტის ყველა კომპონენტში, შეაფასებს სასუქების გამოყენების ეკოლოგიურ შემდგომქმედებებს; |

- იცის ვაზის გამრავლების წესები, ვაზის სხვლა-ორმირება და მწვანე ნაწილების ოპერაციები, კულტურულ ვაზის ჯიშთა კლასიფიკაცია, საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშები და მათი სწორი გაადგილება რეგიონების მიხედვით;
- იცის სასოფლო- სამეურნეო კულტურების მავნე მწერების, მორფოლოგიური აგებულება, ანატომია ფიზიოლოგია, ბიოლოგია, ეკოლოგია და კლასიფიკაცია.
- იცის სასოფლო სამეურნეო კულტურების მავნებლების და დაავადებების სიმპტომები, რომლის საშუალებითაც განსაზღრავს თუ რომელი მიკროორგანიზმებით არის გამოწვეული მცენარის დაზიანება-დაავადება და გამოიყენებს მათ წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ ღონისძიებებს;
- იცის სასოფლო–სამეურნეო ნედლეულის შენახვაზე მოქმედი ფაქტორები, შენახვის დროს მიმდინარე ცვლილებები და შენახვის მეთოდები.
- ახდენს სასარგებლო წიაღისეულის კლასიფიკაციასა და რეგისტრაციას;
- იცის საქართველოში სამრეწველო მასშტაბით დანერგილი და ასევე ადგილობრივი აგროკლიმატური პირობებისათვის პერსპექტიული სამკურნალო მცენარეების მოვლა–მოყვანის აგროტექნოლოგია;
- ათვისებული ექნება ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის წარმოების ძირითადი პრინციპები;
- იცის და დეტალურად აღწერს სამელიორაციო ფართობების ხასიათს, განმარტავს მელიორაციულ ღონისძიებებს და ჩამოაყალიბებს აგროეკონომიკურ პირობებზე დამოკიდებულებას;
- იცნობს ბიოტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაციის გზებს, შესწავლილი აქვს გენეტიკურ–ინჟინრული და უჯრედულ–ინჟინრული ტექნოლოგიების რეალიზაციის ძირითადი ეტაპები;
- იცის მცენარეთა იმუნური თვისებები, მათი გამოვლენის მექანიზმები, იმუნიტეტის როლი მცენარეთა დაცვაში;
- აქვს ცოდნა აგრომეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის საფუძვლებში, აგრომეტეოროლოგიური პროგნოზირების მეთოდებზე, მეტეოროლოგიურ ხელსაწყოთა მუშაობის პრინციპებზე,
- იცის სუბტროპიკული კულტურების კლასიფიკაცია, დახასიათება და აგროტექნოლოგია, სუბტროპიკულ მცენარეთა ბიოეკოლოგიური თავისებურებები, მოთხოვნილება გარემო პირობებისადმი, გავრცელების არეალი და მათი გაფართოების შესაძლებლობები;
- ბაქტერიოლოგიური გამოკვლევისათვის იცის მიკრობიოლოგიური ლაბორატორის მოწყობა, მუშაობის წესები და მეთოდები, რეაქტივების დამზადება, დამხმარე ხელსაწყოებისა და აპარატურის მომზადება, გამოსაკვლევი ობიექტიდან ნიმუშის აღება, დათესვა-კულტივირება, მიკროსკოპირება;
- იცის საქართველოს ბაღ-პარკებში ფართოდ გავრცელებული დეკორატიული მერქნიანი და ბალახოვანი (მათ შორის ოთახის) მცენარეების გარკვეული ასორტიმენტი, მათი ბიო–მორფოლოგიური თავისებურებები, სასიცოცხლო პირობები, მხატვრული ღირებულება, აგროტექნიკა, გამოყენების ფორმები.

**კომუნიკაციის უნარი**

***ზოგადი კომპეტენციები***

- შეუძლია: აგრონომიისათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდებისა და ხერხების სწორად შერჩევა პრობლემების გადასაჭრელად;
- განახორციელებს თეორიული ცოდნის საფუძველზე წინასწარ განსაზღვრული პრაქტიკული ხასიათის პროგრამებს.

***დარგობრივი კომპეტენციები***

- გამოიყენებს მიწის რესურსების ფონდს, ამზადებს მისი სარგებლობის ფორმებს, გამოთვლის ტყის რესურსებსა და დაცული ტერიტორიების კატეგორიებს;
- მოამზადებს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე კულტურული მცენარეების მოსავლიანობის აღრიცხვას და დააკავშირებს ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლების გზებს;

- შეუძლია სასოფლო სამეურნეო კულტურების მორფოლოგიური დახასიათება ცალკეული ორგანოების აგებულების და ფორმის მიხედვით;
- შეაფასებს ორგანული და მინერალური სასუქის გამოყენების ეფექტურობას. შეარჩევს კომბინირებული სასუქის ფორმებს და გამოთვლის მასში მოქმედ ელემენტთა პროცენტულ შემცველობას;
- მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე პრაქტიკულად შეძლებს ვაზის გამრავლებას, ნერგის გამოყვანას, გასხვლა – ფორმირებას, მწვანე ნაწილების ოპერაციებისა და სხვა მოვლითი ღონისძიებებს ჩატარებას;
- დაუფლებულია ჰიბრიდული ძალის მქონე ფორმებისა და ჯიშების მიღების ხერხებს. შეუძლია ინდივიდუალური, მასობრივი და კლონური გამორჩევა, ასვე ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე კულტურების განლაგება და კონკრეტული პირობებისათვის მცენარეთა ჯიშების შერჩევა;
- შეუძლია დაავადებებისა და მავნებლების დიაგნოსტირება და მათი აღმოფხვრის მიზნით პესტიციდების შერჩევა და ბრძოლის ღონისძიებების გამოყენება;
- შეუძლია ჩაის მცენარის პლანტაციის გასაშენებლად ადგილის შერჩევა, პერიოდული აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება;
- შეარჩევს ნიადაგების ნაყოფიერების შენარჩუნების და ამაღლების გზებს ქიმიური საშუალებების გამოყენების გარეშე;
- შეუძლია გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების გამომწვევი მიზეზების გამოცნობა და პრევენციის გზების დასახვა;
- შეარჩევს ნიადაგურ–ეკოლოგიურ მონიტორინგს და დააკავშირებს თანმიმდევრულად: მოამზადებს ნიადაგების თვისებებისა და რეჟიმების მარეგულირებელ რეკომენდაციას;
- შეუძლია მცენარეთა გასაშენებლად ადგილის შერჩევა, შეფასება, სადრენაჟო ქსელის მოწყობა და ქარსაფარი ზოლის გაშენება. პერიოდული აგროტექნიკური ღონისძიებების შემუშავება და გატარება. აქვს ნიადაგის დამუშავების, სასუქების შეტანის, სხვადასხვა მოვლითი სამუშაოების და მოსავლის აღების სწორად გადაჭრის უნარი;
- ავლენს შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს შესაბამისი ინფორმაციის რეგულარული მოძიებისა და საკუთართან შეჯერების გზით;
- შეუძლია საქართველოში ფართოდ გავრცელებული დეკორატიული მერქნიანი და ბალახოვანი მცენარეების ძირითადი სახეობების და ჯიშების ცნობა, მათი სასიცოცხლო პირობების და მდგომარეობის შეფასება, საპროექტო ტერიტორიებზე მცენარეული საფარის ინვენტარიზაციის ჩატარება.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

***ზოგადი კომპეტენციები***

- შეუძლია: აგრონომიისათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდებისა და ხერხების სწორად შერჩევა პრობლემების გადასაჭრელად;
- განახორციელებს თეორიული ცოდნის საფუძველზე წინასწარ განსაზღვრული პრაქტიკული ხასიათის პროგრამებს.

**დარგობრივი *კომპეტენციები***

- გამოიყენებს მიწის რესურსების ფონდს, ამზადებს მისი სარგებლობის ფორმებს, გამოთვლის ტყის რესურსებსა და დაცული ტერიტორიების კატეგორიებს;
- მოამზადებს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე კულტურული მცენარეების მოსავლიანობის აღრიცხვას და დააკავშირებს ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლების გზებს;
- შეუძლია სასოფლო სამეურნეო კულტურების მორფოლოგიური დახასიათება ცალკეული ორგანოების აგებულების და ფორმის მიხედვით;
- შეაფასებს ორგანული და მინერალური სასუქის გამოყენების ეფექტურობას. შეარჩევს კომბინირებული სასუქის ფორმებს და გამოთვლის მასში მოქმედ ელემენტთა პროცენტულ შემცველობას;
- მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე პრაქტიკულად შეძლებს ვაზის გამრავლებას, ნერგის გამოყვანას, გასხვლა – ფორმირებას, მწვანე ნაწილების ოპერაციებისა და სხვა მოვლითი ღონისძიებებს ჩატარებას;

- დაუფლებულია ჰიბრიდული ძალის მქონე ფორმებისა და ჯიშების მიღების ხერხებს. შეუძლია ინდივიდუალური, მასობრივი და კლონური გამორჩევა, ასვე ჯიშთაგამოცდის ნაკვეთზე კულტურების განლაგება და კონკრეტული პირობებისათვის მცენარეთა ჯიშების შერჩევა;
- შეუძლია დაავადებებისა და მავნებლების დიაგნოსტირება და მათი აღმოფხვრის მიზნით პესტიციდების შერჩევა და ბრძოლის ღონისძიებების გამოყენება;
- შეუძლია ჩაის მცენარის პლანტაციის გასაშენებლად ადგილის შერჩევა, პერიოდული აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება;
- შეარჩევს ნიადაგების ნაყოფიერების შენარჩუნების და ამაღლების გზებს ქიმიური საშუალებების გამოყენების გარეშე;
- შეუძლია გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების გამომწვევი მიზეზების გამოცნობა და პრევენციის გზების დასახვა;
- შეარჩევს ნიადაგურ–ეკოლოგიურ მონიტორინგს და დააკავშირებს თანმიმდევრულად: მოამზადებს ნიადაგების თვისებებისა და რეჟიმების მარეგულირებელ რეკომენდაციას;
- შეუძლია მცენარეთა გასაშენებლად ადგილის შერჩევა, შეფასება, სადრენაჟო ქსელის მოწყობა და ქარსაფარი ზოლის გაშენება. პერიოდული აგროტექნიკური ღონისძიებების შემუშავება და გატარება. აქვს ნიადაგის დამუშავების, სასუქების შეტანის, სხვადასხვა მოვლითი სამუშაოების და მოსავლის აღების სწორად გადაჭრის უნარი;
- ავლენს შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს შესაბამისი ინფორმაციის რეგულარული მოძიებისა და საკუთართან შეჯერების გზით;
- შეუძლია საქართველოში ფართოდ გავრცელებული დეკორატიული მერქნიანი და ბალახოვანი მცენარეების ძირითადი სახეობების და ჯიშების ცნობა, მათი სასიცოცხლო პირობების და მდგომარეობის შეფასება, საპროექტო ტერიტორიებზე მცენარეული საფარის ინვენტარიზაციის ჩატარება.

**დასკვნის უნარი**

***ზოგადი კომპეტენციები***

- შეუძლია აგრონომიული სფეროსათვის საჭირო მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების გამოყენებით დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;

***დარგობრივი კომპეტენციები***

- შეუძლია მორფოლოგიური ნიშან–თვისებების მიხედვით სასოფლო სამეურნეო კულტურების შეფასება;
- დაადგენს მინდვრის და ბოსტნეული კულტურების თესვა–რგვის ოპტიმალურ ვადებს, შეძლებს ჯიშების შერჩევას მინდვრის კულტურების ღია, ხოლო ბოსტნეული კულტურების როგორც ღია ისე დახურული გრუნტისათვის;
- დასკვნის საფუძველზე შეარჩევს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიებს, უმცირესი დანახარჯებით და ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნების და აღდგენის ხერხების გამოყენებით;
- შეაფასებს დაცული ტერიტორიების ფლორას და ფაუნას ბიომრავალფეროვნების დაცვისათვის გასატარებელ ღონისძიებათა ორგანიზების მიზნით;
- შეუძლია დაავადებებისა და მავნებლების დიაგნოსტირება, პესტიციდების შერჩევა და ბრძოლის ღონისძიებების გამოყენება მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.
- დიაგნოსტირებით გამოყოფს დამლაშებულ ნიადაგებს და შეიმუშავებს განმლაშებისათვის ქიმიური მელიორაციის ღონისძიებებს. განმარტავს სასოფლო–სამეურნეო კულტურებით ათვისების შესაძლებლობას და დააკავშირებს მოსავლიანობის პროგნოზირებასთან;
- აქვს უნარი მოახდინოს სუბტროპიკულ ხეხილოვან მცენარეთა, სუბტროპიკულ ტექნიკურ კულტურათა კატეგორიზაცია, მათი ბიოეკოლოგიური თავისებურებების და გავრცელების არეალის გათვალისწინებით;
- შეუძლია კულტურულ მცენარეთა გარემო პირობებისადმი მოთხოვნილებების გათვალისწინებით პლანტაციის გაშენების გადაწყვეტილების მიღება, ამ მიზნით გასატარებელი ღონისძიებების გაანალიზება, შესაბამისი დასკვნის გამოტანა და მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთება;

- შეუძლია მეფუტკრეობაში წარმოქმნილი პრობლემები გაანალიზოს და საკითხის გადასაწყვეტად შეიმუშაოს შესაბამისი მიდგომა, შეუძლია სამუშაოების შესასრულებლად საჭირო დროის, მასალის და ღირებულებების განსაზღვრა;
- შეუძლია: მეტყევეობის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება, განმარტება და საკითხების გადასაწყვეტად შეიმუშაოს შესაბამისი მიდგომა;
- დეკორატიული მერქნიანი და ბალახოვანი მცენარეების სარგავი მასალის გამოყვანისა და მოვლის პროცესში შეუძლიათ გარემო პირობების მიმართ მათი მოთხოვნილების გააზრება, ამა თუ იმ სახის აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობის, თანმიმდევრობის და სიხშირის დადგენა.

**კომუნიკაციის უნარი**

***ზოგადი კომპეტენციები***

- შეუძლია კომუნიკაცია აგრონომიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე (პრობლემები, იდეები, ინოვაციები, პრობლემის გადაჭრის გზები) დარგის წამყვან სპეციალისტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან, როგორც მშობლიურ ისე უცხოურ ენაზე. შეუძლია ინოვაციური პროექტების ანგარიშების მომზადება და პრეზენტაცია ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენებით;

***დარგობრივი კომპეტენციები***

- განმარტავს აგრონომიული დარგების მიხედვით მიწის დამუშავებას და მექანიზაციის გამოყენების საშუალებას, ორგანული შედგენილობის შესაბამისად ნიადაგის ნაყოფიერების მდგომარეობას;
- ჩამოაყალიბებს სამელიორაციო ნიადაგების ფიზიკო–ქიმიურ თვისებებს. განმარტავს მათი მდგომარეობის გაუმჯობესების პროექტს. კამათობს მოსავლიანობის გადიდების აგროტექნოლოგიაზე. ხელმძღვანელობს მომზადებული პროექტის შესრულებას;
- შეუძლია სფეროში არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაციის მოძიება, წერილობითი სახით მომზადება და გაცნობა კოლეგებთან, აქვს ინდივიდუალური და ჯგუფში მუშაობის, პრეზენტაციის მომზადებისა და სათანადო თემატიკის დემონსტრირების უნარი;
- შეუძლია საკუთარი მოსაზრების საჯარო წარდგენა და დასაბუთება, დისკუსიებში მონაწილეობა არააკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან, კომუნიკაციისას გამოიყენებს შესაბამის ტერმინოლოგიასა და საინფორმაციო ტექნოლოგიებს. შეუძლია დარგის ირგვლივ ახალი მასალის მოძიება და პრეზენტაციის გაკეთება;

შეუძლია ლოგიკური აზროვნება, პრობლემების გაცნობიერება, ჩამოყალიბება, პროფესიულ კონტექსტში მისი გადაწყვეტა.

**სწავლის უნარი**

***ზოგადი კომპეტენციები***

- შეუძლია: წყაროების მოძიება და დამუშავება დამოუკიდებლად ახალი ცოდნის მიღების მიზნით;

***დარგობრივი კომპეტენციები***

- იმაღლებს მიღებულ ცოდნას არსებული თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებით აგრომიკრობიოლოგიის უახლოესი მეთოდების შესახებ;
- განსაზღვრავს ნიადაგის სწორად დამუშავების ხერხებს და მეთოდებს. დაადგენს სარეველების სახეობებს და მათთან ბრძოლის ღონისძიებებს;
- შეუძლია ორგანული სოფლის მეურნეობის აქტუალურ საკითხებზე არსებული სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება;
- შეაფასებს სხვადასხვა ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთქმედებას ნიადაგში. დაიცავს მათ ურთიერთ დამოკიდებულების კანონზომიერებას;
- ინფორმაციის დიფერენცირების საფუძველზე შეუძლია შეაფასოს და შეაჯამოს მევენახეობის კურსით შეძენილი ცოდნა და განსაზღვროს დაუფლებული უნარების გამოყენების შესაძლებლობა;

გეგმავს მცენარეთა ბიოტექნოლოგიაში ცოდნის განახლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის გზებს; შეაფასებს საკუთარი სწავლის შედეგებს და შეძლებს ცოდნის შემდგომი გაღრმავების გზების დასახვას.

| ღირებულებები |
| --- |
| *ზოგადი კომპეტენციები*<br>• მონაწილეობს აგრონომიული ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.<br><br>*დარგობრივი კომპეტენციები*<br>• აცნობიერებს საქართველოს ნიადაგური საფარის მრავალფეროვნებას და უნიკალურობას; ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნებისა და მისი დაცვის აუცილებლობას.<br>• დაასაბუთებს ურბანიზაციის პირობებს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ. რეკომენდირებას უწევს ტყის კულტურებს ქარსაფარი ზოლის გასაშენებლად;<br>• აცნობიერებს, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურები წარმოადგენს დედამიწაზე ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების უმთავრეს პირობას;<br>• ნიადაგების ღირებულებას განსაზღვრავს მისი შედგენილობისა და თვისებების მიხედვით. დასკვნის საფუძველზე წარმოადგენს სუბტროპიკულ მცენარეთა შესაბამის აგროტექნოლოგიას;<br>• გააზრებული აქვს დედამიწაზე მიმდინარე გლობალურ ეკოლოგიურ პრობლემებში ადამიანის ფაქტორისა და გარემოს დაცვის აუცილებლობა;<br>• შეუძლია პესტიციდების გამოყენების პრაქტიკაში ეთიკისა და სამართლებრივი პრინციპების დაცვისა და გამოყენების უნარი; პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული საქმიანობის ხარისხიანად შესრულებაზე; გააჩნია გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ვალდებულებების შეგნება;<br>გაცნობიერებული აქვს გარემოს ბიომრავალფეროვნების დაცვის, ბაღ–პარკების გაშენებისა და მოვლის მნიშვნელობის ადამიანისათვის კომფორტული სასიცოცხლო პირობების შექმნაში. **(სწავლის შედეგების რუქა და კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის იხილეთ დანართი 2 და 4 სახით)** |

## ტექნიკური სისტემები და ტექნოლოგიები აგრობიზნესში

(იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ინჟინერიის ბაკალავრი აგროინჟინერიაში
**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| აგრობიზნესში აგროინჟინერიის სფეროსათვის მოამზადოს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული ბაკალავრი, თანამედროვე კონსტრუქციების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და მანქანური ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენების, შეზღუდული საწარმოო რესურსების პირობებში მექანიზებული სამუშაოებისა და მანქანათა ტექნიკური სერვისის რაციონალურად ორგანიზებისა და წარმართვის მიმართულებით |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **ძირითადი სპეციალობის (major) სავალდებულო კურსები** | **137 ECTS კრედიტი** |
| **თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო** | **25 ECTS კრედიტი** |
| **თავისუფალი კომპონენტის არჩევითი** | **10 ECTS კრედიტი** |
| **ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები** | **8 ECTS კრედიტი** |
| **დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა[1]** | **60 ECTS კრედიტი** |
| **სულ** | **240 ECTS კრედიტი** |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| 1. აღწერს თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების კონსტრუქციებს, მათი მუშაობის პრინციპებსა და ექსპლუატაციის თავისებურებებს;<br>2. აღწერს პროგრესული მანქანური ტექნოლოგიების გამოყენებისა და მექანიზებულ სამუშაოთა ჩატარების ხარისხის მართვის მეთოდებს;<br>3. განიხილავს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების ინოვაციურ მეთოდებს;<br>4. აღწერს მანქანათა ტექნიკური სერვისის ტექნოლოგიური ოპერაციების დაგეგმარებისა და ჩატარების რაცონალურ მეთოდებსა და ხერხებს;<br>სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ექსპლუატაციისა და მანქანათა ტექნიკური სერვისის პროცესებში განიხილავს ენერგო-რესურსდამზოგი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობებს. |
| **უნარი** |
| 1. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანისა და აღების აგროტექნიკური ოპერაციებისა და მეცხოველეობის ფერმებში მექანიზებულ სამუშაოთა ჩატარებისათვის შეიმუშავებს ახალი ან/და მოდერნიზებული მანქანური ტექნოლოგიების გამოყენების პირობებს;<br>2. ადგენს სამანქანო-სატრაქტორო აგრეგატების რაციონალურ შემადგენლობას და ახდენს მათ დაკომპლექტებას, უსაფრთხოების წესების დაცვით ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ექსპლუატაციის პროცესზე ზედამხედველობას; |

| |
|---|
| 3. საწარმოო რესურსების რაციონალურად გამოყენების გზით ორგანიზებას უწევს აგროტექნიკური ოპერაციებისა და მათი სატრანსპორტო მომსახურების ჩატარებას, აფასებს შესრულებული სამუშაოების ხარისხს;<br>4. ახდენს მანქანათა ტექნიკური სერვისის ტექნოლოგიური ოპერაციების დაგეგმარებას, ორგანიზების უწევს მათი ჩატარებისა და ხარისხის მართვის ღონისძიებებს;<br>5. გეგმავს და ახორციელებს ახალი ან/და გარემონტებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიღება-ჩაბარებისა და ინვენტარიზაციის პროცესს;<br>გეგმავს ენერგო-რესურსდამზოგი ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენების ღონისძიებებს და ორგანიზების უწევს მათ განხორციელებას. |
| **პასუხიმგებლობა და ავტონომიურობა** |
| 1. მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების გამოყენებით შეიმუშავებს შრომის უსაფრთხოების ღონისძიებებს და ზედამხედველობას უწევს მათ განხორციელებას. |

## სასურსათო პროდუქტთა ტექნოლოგია და ექსპერტიზა

(იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი
**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| მოამზადოს ზოგადი ტრანსფერული და ფართო დარგობრივი კომპეტენციების მქონე სასურსათო ტექნოლოგიის ბაკალავრი ძირითადი სპეციალობით – „სასურსათო პროდუქტთა ტექნოლოგია და ექსპერტიზა“ და აღნიშნულის მიზნით შეასწავლოს ნედლეულის სახისა და ხარისხისგან დამოკიდებულებით ეკოლოგიურად სუფთა სასურსათო პროდუქტთა: ჩაის, თამბაქოს, სუბტროპიკული ხილ–ბოსტნეულის კონსერვების, ეთერზეთების, ცხიმზეთების, მცირეალკოჰოლიანი, უალკოჰოლო სასმელების და მინერალური წყლების წარმოების ტექნოლოგია და ექსპერტიზა.<br>მომავალ სპეციალისტს გამოუმუშაოს ახალი სანედლეულო რესურსების გამოვლენის, მათი შეფასების უნარი და შეასწავლოს ახალი სახის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიები და მზა პროდუქციის ექსპერტიზის ხერხები და პირობები.<br>კურსდამთავრებულს მისცეს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანის, დარგის პრობლემის განსაზღვრის, მისი გადაჭრის გზების ძიების უნარი, შესაბამისი მეთოდიკის, სახელმწიფო სტანდარტისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების გამოყენებით სასურსათო პროდუქტთა ექსპერტიზის ჩატარების და მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთების უნარი. უზრუნველყოს სტუდენტის თავისუფალი არჩევანი სასწავლო პროგრამის ფარგლებში არჩევითი სასწავლო კურსებისა და დამატებითი სპეციალობის (minor) პროგრამის არჩევისას ისე, რომ მიღწეული იყოს საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **სპეციალობის დამხმარე სავალდებულო კურსები** | 48 ECTS კრედიტი |
| **ძირითადი სპეციალობის (major) სავალდებულო კურსები** | 117 ECTS კრედიტი |
| **არჩევითი ელექტიური კურსები** | 15 ECTS კრედიტი |
| **დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა**[1] | 60 ECTS კრედიტი |
| სულ | 240 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები | |
|---|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** | |
| 2 | აღწერს სასურსათო პროდუქტთა წარმოებისათვის საჭირო ნედლეულს, განიხილავს მათი ცხოველმყოფელობის დროს მიმდინარე ნივთიერებათა ცვლის გამომწვევ პროცესებს, განსაზღვრავს მათი გარდაქმნის მიმართულებებს, ფერმენტთა და მიკროორგანიზმების მოქმედების კინეტიკას, სპეციფიკურობას ნედლეულის მზა პროდუქციად გადამუშავების ტექნოლოგიურ სქემასთან მისადაგებით; |
| 3 | გამოკვეთს, ჩამოთვლის და აღწერს თბოტექნიკისა და სამაცივრო ტექნიკის საკითხებს, აკავშირებს მათ სასურსათო პროდუქტთა საწარმოების პროცესებთან და აპარატებთან, განიხილავს ამ პროცესების შესაბამისი მანქანებისა და აპარატების სქემებს, ტექნოლოგიურ მოწყობილობებს პარამეტრების შერჩევით, ასევე, მათი ექსპლუატაციის პირობებს და უკავშირებს კვების პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიურ პროცესებს; |
| 4 | განიხილავს ნედლეულიდან კვების პროდუქტთა წარმოების სხვადასხვა ტექნოლოგიებს, ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების და კონტროლის აღწერით, ამ დროს მიმდინარე გარდაქმნების |

| | |
|---|---|
| | გამოკვეთითა და აზრის გამოტანით, განასხვავებს მზა პროდუქციის მიღების და მათი ექსპერტიზის გზებს; |
| 5 | აყალიბებს კვების ფიზიოლოგიის და ჰიგიენის, სასურსათო უსაფრთხოების საკითხებს, ხილ–ბოსტნეულისა და სუბტროპიკული ნედლეულის პროდუქტთა სტანდარტებს ხარისხის მართვის საკითხებით, აღწერს და განიხილავს ექსპერტიზის პროცესის წარმართვისა და სასურსათო პროდუქტთა სერთიფიცირების პროცედურას. |

**უნარი**

3. იყენებს სხვადასხვა ფიზიკურ-ქიმიურ მეთოდს ნედლეულისა და მისი გადამუშავებით მიღებული კვების პროდუქტთა ძირითადი ქიმიური კომპონენტების რაოდენობრივი და თვისობრივი შემადგენლობის, მათი ცვლილებების ხასიათის, ექსპერტიზის შედეგების დასადგენად, უკავშირებს ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობის ორგანიზებას და ახდენს მის მანიპულირებას;
4. ადგენს სასურსათო წარმოების პროცესების შესაბამისი მანქანებისა და აპარატების მატერიალურ, თბურ და ენერგეტიკულ ბალანსს, გაინგარიშებს ტექნოლოგიურ მოწყობილობებს, ადგენს მათი ექსპლუატაციის პირობებს, გეგმავს მოწყობილობების რაოდენობას, ამზადებს რეკომენდაციებს უსაფრთხოების წესების დაცვის გათვალისწინებით;
5. იყენებს ცოდნას და ირჩევს გზას წარმოების ტექნო-ქიმიური და მიკრობიოლოგიური კონტროლის, ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესების წარმართვისათვის, იყენებს სტანდარტებს სასურსათო პროდუქტების: ჩაის, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების, ღვინის თამბაქოს, ეთერზეთის, ცხიმზეთის, საშუალოალკოჰოლური, ლუდის, უალკოჰოლო სასმელებისა და მინერალური წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების დასადგენად და ექსპერტიზის უზრუნველყოფისათვის;
6. აგროვებს, ერთმანეთთან აკავშირებს, ადარებს, მხედველობაში იღებს და აყალიბებს ახალ მონაცემებს ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობის შეფასებისათვის. აანალიზებს მიღებულ ინფორმაციას მოსალოდნელი შედეგების დიფერენცირების საშუალებით, ამოიცნობს და გამოაცალკავებს პრობლემას, აანალიზებს სიტუაციას, განსაზღვრავს მისი მოგვარების გზებს და იღებს გადაწყვეტილებას წარმოების პროცესის მიმდინარეობაზე პრიორიტეტების გამოყოფით;
7. ადგენს სასურსათო უსაფრთხოების საკითხებს, სასურსათო პროდუქტთა სტანდარტიზირების, სერთიფიცირების და ექსპერტიზის პირობებს, გამოკვეთს მათი ჩატარების აუცილებლობას, პროგნოზირებს და ასაბუთებს მოსალოდნელ შედეგს, აორგანიზებს სერთიფიცირების და ექსპერტიზის პროცედურას სასურსათო პროდუქტთა სტანდარტის შესაბამისად და დამოწმებული ფაქტებით ამზადებს რეკომენდაციებს;
8. შეუძლია საკუთარი დასკვნების ჩამოყალიბება, დასაბუთებულად საკუთარი გადაწყვეტილებების შეთავაზება ჯგუფური მუშაობისას, საერთო აზრის და გადაწყვეტილების ფორმულირება და გაზიარება, კამათი დარგის სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, მათ შორის უცხოურ ენაზე;
9. შეუძლია სამუშაო დროის დაგეგმვა, პრიორიტეტების განსაზღვრა და ორგანიზება, დამოუკიდებლად თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, საკონფერენციო მოხსენებების პრეზენტირება. ასევე მზადაა შემდგომში ცოდნის დონის დამოუკიდებლად განსავითარებლად და სწავლის გაგრძელებისათვის.

**პასუხიმგებლობა და ავტონომიურობა**

- აჩვენებს და იცავს პროფესიულ პასუხისმგებლობას შემდეგი ღირებულებების მიმართ: ეთიკის ნორმები, უნარ–ჩვევები, საკუთარი აზრის დაცვა, განსხვავებული აზრის პატივისცემა, თვითკრიტიკა, პროფესიული კრიტიკა, პლაგიატისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, კონფიდენციალობის დაცვა, სასურსათო პროდუქტთა ექსპერტიზის მნიშვნელობა, ჯანსაღი და უსაფრთხო საკვების წარმოება.

**(სწავლის შედეგების რუქა და კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის იხილეთ დანართი 2 და 3 სახით)**

## საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტი

## მენეჯმენტი (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მენეჯმენტის ბაკალავრი

**პროგრამის მოცულობა:** 240 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

პროგრამის მიზანია მოამზადოს მენეჯმენტის სფეროს შესახებ ფართო ცოდნის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ეფექტურად განახორციელონ მმართველობითი, ოპერაციული, ფინანსური, საპროექტო, ინოვაციური, სტრატეგიული და სხვა მენეჯერული საქმიანობა ორგანიზაციებსა და ინსტიტუციებში; ასევე გადაჭრან ლოგისტიკის სფეროში წამოჭრილი პრობლემები საზღვაო ტრანსპორტთან მიმართებაში.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| .ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები | 140 ECTS კრედიტი |
| ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები | 25 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი კომპონენტების სავალდებულო სასწავლო კურსები | 15 ECTS კრედიტი |
| . თავისუფალი კომპონენტების არჩევითი სასწავლო კურსები | 30 ECTS კრედიტი |
| კონცენტრაცია „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი“ | 30 ECTS კრედიტი |
| სულ | ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:**<br>1. განსაზღვრავს ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების საქმიანობის დაგეგმვის და ხელმძღვანელობის ასპექტებს მმართველობითი და ეკონომიკური ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე სტატისტიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენებით და ბიზნესის სფეროს განვითარების ძირითადი ტენდენციების გათვალისწინებით;<br>2. აანალიზებს მენეჯმენტის სფეროს (ზოგადი მენეჯმენტის, ადამიანური რესურსების მენეჯმენტის, ინოვაციური მენეჯმენტის, ლოგისტიკის, პროექტის მართვის, მარკეტინგისა და ფინანსური მენეჯმენტის, ორგანიზაციული ქცევის, ლიდერობის) ძირითად კონცეფციებს, პრინციპებსა და მახასიათებლებს;<br>3. ახდენს მენეჯერის ადექვატური მოქმედების მნიშვნელობის შეფასებას ახალ და ცვალებად ბიზნეს გარემოში დარგის სპეციფიკის და კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით;<br>აფასებს ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის განვითარებაში საზღვაო ნავსადგურების/ტრანსპორტის როლს და მნიშვნელობას, აანალიზებს ლოგისტიკისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროში მენეჯმენტის თავისებურებებს. |

| |
|---|
| **უნარი** |
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:**<br>3. სხვადასხვა სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის საწარმოების საქმიანობის დაგეგმვა, მმართველობითი ფუნქციების განხორციელება და ეფექტურობის შეფასება, მართვის პროცესში წამოჭრილი რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრა;<br><br>4. ბიზნესის გარემოს და ფირმის კონკურენტუნარიანობის შეფასება და დასაბუთებული დასკვნების ფორმირება ინფორმაციის დამუშავების სტანდარტული ან უახლესი მეთოდების გამოყენებით;<br><br>5. მმართველობითი მიზნებისათვის ფინანსური აღრიცხვის სისტემების გამოყენება, ბიუჯეტირება, ფირმის მდგომარეობისა და საბოლოო შედეგების შეფასება და ამის საფუძველზე განვითრების ალტერნატიული გზების დასახვა და ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღება;<br><br>6. კონკრეტული პროექტების სახით კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის ნაშრომის მომზადება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად და ეფექტური პრეზენტაცია;<br><br>7. ორგანიზაციის და ინსტიტუციების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაცია მშობლიურ და უცხოურ ენაზე თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;<br><br>8. სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების დამუშავების საფუძველზე საზღვაო სატრანსპორტო ფირმების პრობლემების - მმართველობითი, კომერციული, უსაფრთხოების და სხვა - იდენტიფიცირება და გადაჭრა. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| იღებს პასუხისმგებლობას დადგენილი ნორმების და ეთიკის ძირითადი პრონციპების დაცვაზე სასწავლო და სამუშაო გარემოში პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. |

# სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები

## ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

### ქართული ლიტერატურა (იხ.სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ქართული ლიტერატურის ისტორიაში

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| მაგისტრანტთა მიერ ბაკალავრიატში ქართულ ლიტერატურაში შეძენილი ცოდნის გაღრმავება; ქართულ ლიტერატურაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის მომზადება;ლიტერატურულ მოვლენათა არსში ღრმად წვდომის, კრიტიკულადგანსჯის, საკუთარ შეხედულებათა ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოყალიბებისა და წერილობითი ფორმით გამოხატვის უნარის განვითარება; ინტერდისციპლინარული კვლევებისადმი ინტერესის გაღვივება და განსხვავებული მეთოდების არსში გარკვევა; ქართული მწერლობის მთლიანი პროცესისათვის დამახასიათებელ ტენდენციათა სიღრმისეულად გააზრება. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **არჩევითი კურსები** | 30 ECTS კრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 60 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო** | 30 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| ➢ მაგისტრს შეძენილი ექნება ქართული ლიტერატურის პრობლემური საკითხების ღრმა, საფუძვლიანი და სისტემური ცოდნა, რაც საშუალებას მისცემს, შეიმუშაოს ახალი, ორიგინალური იდეები და შეხედულებები;<br>➢ გაერკვევა პრობლემათა არსში და რეალურად შეძლებს მათ გადასაჭრელ გზათა მოძებნას;<br>➢ ჩამოყალიბებული ექნება ლიტერატურული მოვლენებისადმი მისეული თვალთახედვით მიდგომის უნარ-ჩვევები;<br>➢ მაღალპროფესიულ დონეზე განიხილავს, განმარტავს და შეაფასებს ლიტერატურულ ტექსტებსა და სამეცნიერო ნაშრომებს;<br>➢ ღრმად და არგუმენტირებულად გაიაზრებს ქართული ლიტერატურის განვითარების მთლიან პროცესსა და მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს;<br>➢ ქართული მწერლობის განვითარების უმნიშვნელოვანეს ტენდენციებსა და პრობლემურ საკითხებს განიხილავს, განმარტავს და შეაფასებს მსოფლიო ლიტერატურის შესაბამის მოვლენებთან მიმართებით;<br>➢ მაღალპროფესიულად იქნება დაუფლებული ინტერნეტ-რესურსებსა და ინფორმაციის მოპოვების სხვა საშუალებებს;<br>➢ გამომუშავებული ექნება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება** |
| ➢ შეძლებს ლიტერატურულ მოვლენათა გააზრებას ,გაანალიზებასა და შეფასებას ახლებური თვალთახედვით;<br>➢ კომპლექსური მიდგომის საფუძველზე მოძებნის პრობლემათა გადასაჭრელ გზებს; |

- უახლესი მეთოდების გამოყენების საფუძველზე განახორციელებს ლიტერატურულ მოვლენათა დამოუკიდებლად კვლევას;
- ქართული ლიტერატურის პრობლემურ საკითხებს ახსნის და შეაფასებს ერთმთლიან კულტუროლოგიურ კონტექსტში;
- შეძენილ ცოდნას გამოიყენებს მეცნიერული კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობის მაღალპროფესიულ დონეზე წარსამართად.

**დასკვნის უნარი**

- უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით მოახდენს მოვლენათა კრიტიკულ გაანალიზებას და სათანადოდ არგუმენტირებულ დასკვნათა ჩამოყალიბებას;
- მოძებნის პრობლემათა გადაჭრის გზებს;
- დამოუკიდებლად შეაფასებს ლიტერატურულ პროცესებს და მოახდენს მათ ინოვაციურ სინთეზს.

**კომუნიკაციის უნარი**

- შეძლებს საკუთარი შეხედულებების, დასკვნებისა და არგუმენტების საფუძველზე კომუნიკაციის დამყარებას აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან როგორც ქართულ,ისე უცხო ენებზე;
- საკუთარ მოსაზრებებს გამოხატავს ზეპირადაც და წერილობითი ფორმითაც;
- მონაწილეობას მიიღებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით გამართულ კამათში, სადაც ჩამოაყალიბებს, განმარტავს და დაიცავს საკუთარ შეხედულებებს; მოახდენს მათ პრეზენტაციასა და შეჯამებას.

**სწავლის უნარი**

- მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლებს პროფესიული დონის სისტემატურად სრულსაყოფასა და ამაღლებას;
- მოახერხებს სწავლებისა და მეცნიერული კვლევის დამოუკიდებლად წარმართვას, საამისოდ საჭირო საკითხთა მართებულად გაცნობიერებასა და სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმვას;
- მოიძიებს სათანადო სამეცნიერო ლიტერატურასა და წყაროებს ბიბლიოთეკებში, არქივებში, მუზეუმებსა თუ ინტერნეტში.

**ღირებულებები**

- დაიცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს და სხვათა დამსახურების კეთილსინდისიერად შეფასების საფუძველზე შეეცდება დაამკვიდროს ახალი სამეცნიერო ღირებულებები;
- განუმტკიცდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, ლიტერა-ტურული, მეცნიერული და სხვა სახის დიდმნიშვნელოვანი მოვლენებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა და პრობლემური საკითხებისადმი სწორი მოქა-ლაქეობრივი პოზიცია;
- გაუღრმავდება ეროვნული თვითშეგნება.

## ქართველური ენათმეცნიერება (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ქართველურ ენათმეცნიერებაში

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

### პროგრამის მიზანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულია ქართველური ენათმეცნიერების შესწავლა მსოფლიო ენათმეცნიერული კვლევების კონტექსტში.

მსოფლიოს უძველეს ენებს შორისაა იბერიულ-კავკასიური ენები (ქართველური, აფხაზურ-ადიღეური, დაღესტნური და ჩეჩნურ-ინგუშური); ამათგან სულ მცირე თხუთმეტსაუკუნოვანი წერილობითი ტრადიცია აქვს მხოლოდ ქართულ სამწიგნობრო ენას; შესაბამისად, მრავალსაუკუნოვანი ქართული სამწიგნობრო ენისა და სხვა ქართველური ენობრივი ერთეულების ფონემატური სტრუქტურის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც კავკასიოლოგიის, ასევე, ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით.

თანამედროვე მეთოდოლოგიით ქართველური ენობრივი სამყაროს სწავლება და კვლევა განსაკუთრებით აქტუალურია ქართველოლოგიისთვის, ვინაიდან ბოლო 200 წელიწადში, ენათმეცნიერების ჩამოყალიბების პერიოდში, საქართველოში მეცნიერების განვითარება ძირითადად იგეგმებოდა რუსეთის იმპერიის ინტერესების გათვალისწინებით. ქართველური ენათმეცნიერების იდეოლოგიზება განსაკუთრებით ინტენსიურად ხდებოდა საბჭოთა პერიოდში; შესაბამისად, დღეს არსებითი მნიშვნელობა აქვს საბჭოური იდეოლოგემებისგან თავისუფალი ენათმეცნიერული აზრის განვითრებას. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ქართული ენის ძველი თუ ახალი გრამატიკები შექმნილია ლათინური ენის გრამატიკის ბაზაზე, რის გამოც ბევრი საკუთრივ ლინგვისტური კვალიფიკაცია ხელოვნურია (რასაც კარგად წარმოაჩენს ის პრობლემები, რომელიც დღეს იქმნება ქართული ენის მანქანური მოდელირების პროცესში). ჩვენი პროგრამის მიზანია, ხელი შეეწყოს ქართული ენის ბუნების შესაბამისი ლოგიკური გრამატიკული მოდელების აგებას.

ქართული სამწიგნობრო ენა საქართველოს სახელმწიფო ენაა. საქართველოს სახელმწიფოებრივი ღირსების საკითხია, ერთი მხრივ, ქართული ენის საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლა, გასაგებად და მარტივად ჩამოყალიბებული ენობრივი წესების/ნორმების სწავლება, მეორე მხრივ კი, სამწიგნობრო ენის ლექსიკის გამრავალფეროვნება ქართველური დიალექტური მასალით, საკუთარი სიტყვაწარმოებითი საშუალებებით და დაზღვევა ბარბარიზმებით დამძიმებისაგან და სხვ. შესაბამისად, ჩვენი სამაგისტრო პროგრამის მიზანია ისეთი ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე მაგისტრების აღზრდა, რომლებიც ღირსეულად დაძლევენ თანამედროვე გამოწვევებს; კერძოდ, **სამაგისტრო პროგრამის ამოცანაა, მაგისტრანტმა საფუძვლიანად შეისწავლოს:**

1. საერთოქართველურ და არქაულ სამწიგნობრო ენობრივ სისტემასთან ქართველური ტერიტორიული კილოების (მეგრულ-ლაზურის, სვანურის, ფხოურის...) მიმართება;
2. ქართული სამწიგნობრო ენის ისტორია;
3. ქართული ანბანისა და ქართული ენის ფონემების მიმართება (ისტორიული დინამიკა);
4. სხვადასხვა ავტორის ხედვის გათვალისწინებით: ქართველური (სამწიგნობრო ენისა და ქართველური კილოების) ფონემატური სტრუქტურა, სახელური და ზმნური პარადიგმები, ქართველური სინტაგმა და ისტორიული ლექსიკა;
5. ქართველური კილოური ჯგუფები (მეგრულ-ლაზური, სვანური, ფხოური, ჰერული, მესხური, ფერეიდნული, ჩვენებურების ქართული და ცენტრალური კილოები; ქართველური დიალექტოლოგიის მოდულში 20 კრედიტი ეთმობა სვანური და ზანური კილოური ჯგუფების პრაქტიკულ შესწავლას/.

**შენიშვნა:** ქართველური ქვესისტემების **შესწავლის მიზნით** აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი უნივერსიტეტის დაფინანსებით ყოველწლიურად ატარებს დიალექტოლოგიურ ექსპედიციებს, რომლებშიც მონაწილეობენ უნივერსიტეტის მაგისტრანტებიც /ექსპედიციები განხორციელდა შემდეგ კუთხეებში: რაჭაში, ლეჩხუმში, იმერეთში, სამეგრელოში, სვანეთში, ხევსურეთში, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში, სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში/.

6. ქართველური დიალექტების ლექსიკა, როგორც ქართული სამწიგნობრო ენის მარაგი;

7. ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა და ნორმალიზაციის თეორიული კურსი...

წარმოდგენილი სასწავლო კურსების მიხედვით სამაგისტრო პროგრამა მაგისტრანტს სთავაზობს, შეისწავლოს და თავად გააანალიზოს თანამედროვე მეცნიერული შეხედულებები ქართველური ენობრივი სამყაროს შესახებ.

პროგრამა მიზნად ისახავს, აგრეთვე, მაგისტრანტს გამოუმუშაოს მკვლევრის უნარ-ჩვევები. ამ მიზნით პროფესორის ხელმძღვანელობით მაგისტრანტი სწავლის პერიოდში მოამზადებს სამაგისტრო ნაშრომს, რომელშიც აკადემიურად იქნება დამუშავებული მოცემული თემის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურა და იქნება მეცნიერული სიახლის შემცველი (სამაგისტრო ნაშრომი მტკიცდება მესამე სემესტრში, დაცვა კი შედგება მეოთხე სემესტრში).

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **საკურსო შრომა** | 5 ECTS კრედიტი |
| **სასწავლო კურსები** | 85 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო ნაშრომი** | 30 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

## სწავლის შედეგები

**ცოდნა და გაცნობიერება**

სამაგისტრო პროგრამის გავლის პროცესში მაგისტრანტი გაიღრმავებს ცოდნას ქართველური ენობრივი სამყაროს ისტორიაში; მიიღებს აკადემიურ ცოდნას ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური ენა-კილოების ფონეტიკა-ფონოლოგიაში, მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკაში; შეისწავლის ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს ექნება მაგისტრატურის შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია (საგნების მიხედვით ცოდნის მიღების შესახებ იხ. "**კონკრეტული სასწავლო კურსებისა და კომპეტენციების მიმართების სქემა**"), რომელსაც ის გამოიყენებს სწავლების პროცესში და სწავლის შემდგომ ეტაპზე. ასევე, მაგისტრი დაუფლებული იქნება სისტემურ უნარებს, რაც საშუალებას მისცემს მას, იოლად შეძლოს ადაპტირება ახალ სიტუაციებში, თანამედროვე მეთოდოლოგიით იკვლიოს (იმუშაოს) ინდივიდუალურად და, საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფთან ერთად.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შემდეგ მაგისტრს ექნება საკმარისი კვალიფიკაცია, საჯარო და კერძო სკოლებში წარმატებულად ასწავლოს ქართული სალიტერატურო ენა და ქართველთა ენობრივი სამყარო; შეეძლება წარმატებულად განსაზღვროს სწავლების სტრატეგია და მართოს სწავლების პროცესი.

სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შემდეგ მაგისტრი სრულფასოვნად იქნება მომზადებული ლინგვისტიკის, ქართველოლოგიისა და ფილოლოგიის დარგების დოქტორანტურისათვის. მაგისტრატურის სასწავლო პროგრამის დასრულებისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შედეგად მიღებული ცოდნის, კვალიფიკაციისა და კომპეტენციის გამოყენებით კურსდამთავრებულს შეეძლება საერთაშორისო ველში არსებული სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის გააზრება და კრიტიკული შეფასება; **კურსდამთავრებულს შეეძლება:** ცოდნის ინტეგრირება, ქართული ენის სწავლება, ცალკეული ლინგვისტური (სამეცნიერო) ამოცანების გადაჭრა და ქართული ენის ბუნების შესაბამისი ლოგიკური გრამატიკული მოდელის წარმატებული ძიება და სხვ.

**სამაგისტრო პროგრამაში წარმოდგენილი მოდულების მიხედვით მიღებული ცოდნა** საშუალებს მისცემს კურსდამთავრებულს, თავისი ცოდნა გამოიყენოს სწავლის გაგრძელების პერსპექტივის განსაზღვრისათვის; კერძოდ:

**"ქართული სამწიგნობრო ენის" მოდულის** შესაბამისად მიღებული ცოდნა /ქართული სალიტერატურო ენის ფონემათა დისტრიბუციის წესები, ბგერათშეერთების კანონზომიერებები (სხვადასხვა ავტორის მიხედვით); სახელისა და ზმნის პარადიგმატული სისტემა; მორფოლოგიური და სემანტიკური კატეგორიები; ქართული ენის წინადადების აგების სპეციფიკა, ქართული ენის სინტაქსური

| |
|---|
| თავისებურებები; ქართული ენის ტერმინთქმნადობის ისტორია, თავისებურებები; ქართული ეპიგრაფიკული და ხელნაწერი ტექსტების პალეოგრაფიული ანალიზი.../ საშუალებას მისცემს მაგისტრს, იკვლიოს სტანდარტული ენის თავისებურებანი /სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში სტანდარტული ენის კვლევის მიმართულებით/.<br>**"ქართველური დიალექტოლოგიის" მოდულის** შესაბამისად მიღებული ცოდნა /ქართველური დიალექტების ფონემატური სტრუქტურის თავისებურებები; ფონემათა ნაირსახეობანი ქართველურ კილოებში; ბგერათა და ბგერათკომპლექსთა ცვლილების კანონზომიერებები; ქართველური სამეტყველო ერთეულების სახელური და ზმნური პარადიგმები (სახელთა ბრუნება, ზმნის უღლება, მწკრივთა სისტემა...); მეგრულ-ლაზური და სვანური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ძირითადი ენობრივი ნიშნები; მეგრულ-ლაზური და სვანური დიალექტური ტექსტების გრამატიკული ანალიზი;<br>- ქართველური ქვესისტემების ძირითადი სინტაქსური მოვლენები (სახელური და ზმნური შესიტყვებები); ზეპირი თუ დიალექტური მეტყველებისათვის დამახასიათებელი მარტივი სინტაქსური კონსტრუქციების სტრუქტურული ნიშნები.../ საშუალებას მისცემს მაგისტრს, იკვლიოს დიალექტების თავისებურებანი /სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში დიალექტოლოგიის მიმართულებით/.<br>**"საეკლესიო მწერლობის ენის" მოდულის** შესაბამისად მიღებული ცოდნა /ბგერათა სისტემა საეკლესიო ენის არქაულ ვარიანტში (საერთოქართველურთან და საერო სამწიგნობრო ენასთან მიმართებით); ფონეტიკური პროცესები ადრეული ქართული ხელნაწერების მიხედვით; ქართული საეკლესიო მწერლობის ენის მორფოლოგიური თავისებურებანი; ენაში მომხდარი მორფოლოგიური ცვლილებები; ქართული საეკლესიო მწერლობის სხვადასხვა ჟანრის (აგიოგრაფიული, ჰიმნოგრაფიული) თხზულებათა, ბიბლიურ ტექსტთა თარგმანების სინტაქსური კონსტრუქციები; ხელნაწერ ტექსტებზე მუშაობა; ქართული საეკლესიო მწერლობის ლექსიკა; მისი მიმართება საერო მწერლობის ლექსიკასთან; ძველი ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზები.../ საშუალებას მისცემს მაგისტრს, იკვლიოს საეკლესიო ენის თავისებურებანი /სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში საეკლესიო მწერლობის ენის კვლევის მიმართულებით. |
| **დასკვნის უნარი** |
| მაგისტრს შეეძლება სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, საკამათო საკითხებზე დისკუსია, თანმიმდევრული და ლოგიკური არგუმენტების საშუალებით მკაფიოდ და კორექტულად კამათი, საკუთარი პოზიციისა თუ თვალსაზრისის ნათლად წარმოდგენა, არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა... |
| **კომუნიკაციის უნარი** |
| ჩვენი სამაგისტრო პროგრამის გავლის პროცესში მაგისტრანტს გამოუმუშავდება თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებისა და უახლესი ინტერდისციპლინარული მეთოდების დახმარებით სამეცნიერო კვლევისთვის შესაბამისი ინფორმაციული წყაროებისა და ლიტერატურული მასალის მოძიებისა და გამოყენების უნარი; ასევე, შეეძლება ინტერნეტ-რესურსების გამოყენება, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენაზე. |
| **სწავლის უნარი** |
| პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრი დაუფლებული იქნება სისტემურ უნარებს, რაც საშუალებას მისცემს მას, იოლად შეძლოს ადაპტირება ახალ სიტუაციებში, იკვლიოს (იმუშაოს) ინდივიდუალურად და, საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფთან ერთად. |
| **ღირებულებები** |
| ჩვენს მაგისტრს შეეძლება:<br>- აკადემიური პარამეტრებით შეაფასოს თავისი და სხვათა დამოკიდებულება ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი ღირებულებებისადმი;<br>- ენათმეცნიერების მიმართულებით გარკვეული წვლილი შეიტანოს ახალი ღირებულებების (კვლევის შედეგების სტანდარტების, ასევე, კვლევის შედეგების შეფასების ახალი სისტემისა და შეფასების კრიტერიუმების) დამკვიდრებაში. |

## ინგლისური ენა და ლიტერატურა (იხ.სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ინგლისურ ფილოლოგიაში

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

პროგრამა ემსახურება მაგისტრანტის ჩამოყალიბებას მაღალი კომპეტენციის მქონე ფილოლოგ-ანგლისტად, რომელსაც ექნება ინგლისური ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების ღრმა და სისტემური ცოდნა, გაეცნობა სფეროს უახლეს მიღწევებს და ექნება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის. შესაბამისად, პროგრამის მიზანია:

- დახვეწოს სტუდენტთა ინგლისური ენის ფლობის კომპეტენციები, რაც გულისხმობს ინგლისურ ენაზე თავისუფალ ინტერაქციას მასში ჩართული ორივე მხარისთვის სპონტანურობის მაღალი ხარისხით; კონკრეტულ და აბსტრაქტულ თემებზე რთული ტექსტების, მათ შორის დარგობრივი ლიტერატურის გააზრებას და გაანალიზებას, გასაგები და დეტალური ტექსტების შექმნას საკითხთა ფართო სპექტრთან დაკავშირებით და საკუთარი პოზიციის ნათლად და არგუმენტირებულად ჩამოყალიბებას.
- აღჭურვოს სტუდენტი დარგობრივი კომპეტენციებით ინგლისური ფილოლოგიის ფარგლებში (როგორც ლინგვისტიკის ისე ლიტერტურათმცოდნეობის მიმართულებით) და მეთოდოლოგიურად შემდგომი საფუძველი შეუქმნას მათ უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურა) სწავლის გასაგრძელებლად;
- შესძინოს მაგისტრანტს ანალიზის, კრიტიკული შეფასებისა და კონსტრუქციული და დასაბუთებული დასკვნების გამოტანის უნარი, დამოუკიდებლად მეცნიერული მუშაობისა და კვლევის უნარ-ჩვევები სასწავლო და კვლევითი პროცესების ინტეგრირების გზით, მაღალი პასუხისმგებლობითა და ეთიკური პრინციპების დაცვით.
- ხელი შეუწყოს სტუდენტთა ზოგადი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, რაც კურსდამთავრებულს დაეხმარება დარგობრივი ცოდნისა და უნარების ადაპტაციაში აკადემიური თუ სხვა ნებისმიერი კონტექსტის მოთხოვნების მიხედვით.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **არჩევითი კურსები** | 25 ECTS კრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 65 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო** | 30 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:<br>▪ ახასიათებს ლინგვისტიკის ცალკეული დარგების თეორიებს და ახდენს თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ინტერპრეტირებას თეორიული რეკონსტრუქციის ჭრილში;<br>▪ განსაზღვრავს ინგლისური ლიტერატურის გვარებისა და ჟანრების განვითარების ძირითად ეტაპებს ლიტერატურათმცოდნეობის ტრადიციული და უახლესი თეორიებისა და კრიტიკის კვლევის მეთოდთა გამოყენებით, ახდენს მათი იდეურ–თემატური და ჟანრობრივ–კომპოზიციური თავისებურებების ილუსტრირებას; |
| **უნარი** |

- იყენებს დარგის კვლევის მეთოდოლოგიის, მათ შორის უახლესი ინტერსიდციპლინარული კვლევის მეთოდებს, ახდენს ინტერპრეტაციის ტექნიკების ილუსტრირებას და მეთოდოლოგიური თავისებურებების ახსნას;
- ქმნის ინგლისურენოვან დარგობრივ აკადემიურ ტექსტებს  დისკურსული მახასიათებლების გათვალისწიებით და იენებს ინგლისურ ენას შეუფერხებლად, თავისუფლად და სპონტანურად რთული გრამატიკული და ლექსიკური ერთეულების გამოყენებით როგორც ზეპირი ისე წერილობითი კომუნიკაციისას კოჰეზიური საშუალებებისა და შესაფერისი რეგისტრის გათვალისწინებით;
- საკვლევი თემატიკის/სფეროს კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ახდენს კვლევის კონცეპტუალიზაციას, მონაცემების შეგროვებას, სისტემატიზაციას და მეცნიერულ ანალიზს კვლევის რელევანტური მეთოდოლოგიის გათვალისწინებით ინტერდისციპლინარული მიდგომის გამოყენებით;
- აყალიბებს მოსაზრებებს, იდეებს, აკადემიური საქმიანობის შედეგებს თანამიმდევრულად და აკადემიურად და ცვლის ინფორმაციას სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან შესაფერისი ტერმინოლოგიითა და ენით როგორც წერილობით, ასევე ზეპირად როგორც ქართულად, ისე ინგლისურად.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

- განსაზღვრავს საკუთარი კვლევის მიმართულებებს კვლევითი მუშაობის პროცესში, იმუშავებს სირთულეების გადალახვის საკუთარ სტრატეგიას, სწორად გეგმავს სწავლის პროცესს და სტრატეგიებს, ახდენს დროის მართებულად ორგანიზებას, რაც ვლინდება დამოუკიდებელი სამუშაოს სწორ განაწილებასა და დროულ შესრულებაში პროფესიული ეთიკის დაცვითა და აკადემიური პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით;

## გერმანული ენა და ლიტერატურა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი გერმანულ ფილოლოგიაში

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

სამაგისტრო პროგრამა გერმანულ ენასა და ლიტერატურაში გულისხმობს ბაკალავრიატის დონეზე შეძენილი ზოგადი განათლების კონკრეტულ და სიღრმისეულ გაფართოებას. სამაგისტრო პროგრამის ერთიანობას უზრუნველყოფს დარგობრივი დისციპლინების სტრატეგიული კოორდინაცია და მთელი პროგრამისათვის საერთო სავალდებულო და არჩევითი კურსების მიზანმიმართული შერჩევა. მსგავსი სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება საქართველოს, ევროპის, კანადის წამყვან უნივერსიტეტებში: ბერლინის, ბრემენის, ჰაიდელბერგის, კიოლნის, დიუსელდორფის, იენის უნივერსიტეტებში (გფრ), დალჰაუზის უნივერსიტეტში (ჰალიფაქსი, კანადა).

რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა გერმანულ ფილოლოგიაში. სასწავლო პროცესი გულისხმობს გერმანულენოვან კომუნიკაციას, მუშაობას ავთენტურ და კრიტიკულ ტექსტებზე. სამაგისტრო პროგრამა უზრუნველჰყოფს სტუდენტთა პროფესიულ სპეციალიზაციას, რაც სრულჰყოფს ბაკალავრიატში შეძენილ ცოდნას, ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს, პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წილის მნიშვნელოვან ზრდას, უნარების გაღრმავებას გერმანულ ენასა და ლიტერატურაში შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის, დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შეძენას გერმანული ფილოლოგიის ფარგლებში და მეთოდოლოგიურად შემდგომი საფუძვლის შექმნას უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე-დოქტორანტურაში- სწავლის გასაგრძელებლად.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **არჩევითი საგნებისათვის განკუთვნილია** | 25 ECTS კრედიტი |
| **სავალდებული კურსები** | 65 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო შრომა** | 30 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| მაგისტრს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა გერმანულ ფილოლოგიაში: გერმანულ ენათმეცნიერებაში იგი დაუფლებულია ლინგვისტურ დისციპლინათა პრობლემატიკას (ტექსტის ლინგვისტიკა, ლინგვისტური სტილისტიკა, პრაგმატიკა, სოციოლინგვისტიკა, გერმანული ენა), ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდებს და ლინგვისტური კვლევის ტექნიკას, აქვს ღრმა, დარგობრივი ცოდნა გერმანულ ლიტერატურათმცოდნეობაში გერმანული თეორიულ-ესთეტიკური და ფილოსოფიური აზროვნების ჭრილში (გერმანული რომანის, დრამის, ლირიკის ისტორიული პოეტიკა), ეუფლება დას. ევროპული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდებს, ასევე სხვადასხვა პერიოდისა და ჟანრის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტაციის ტექნიკას. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წილის მნიშვნელოვანი გაზრდით (საკურსო შრომა, სამაგისტრო ნაშრომი) სტუდენტს შემუშავებული აქვს ორიგინალური სამეცნიერო იდეა, იმას გაცნობიერებული აქვს გერმანულ ფილოლოგიაში ცალკეული საენათმეცნიერო თუ ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემის გადაჭრის გზებს. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** |

| |
|---|
| გერმანულ ფილოლოგიაში დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შეძენით მაგისტრს აქვს კოგნიტურ-მეთოდოლოგიური საფუძველი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე-დოქტორანტურაში-სწავლის გასაგრძელებლად, ასევე მეცნიერული კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების გაღრმავებისა და სრულყოფისათვის. ენობრივი კომპეტენციების გაღრმავების საფუძველზე მისი ცოდნა არის სკალირების C პირველი დონის შეესატყვისი. მაგისტრატურის დასრულების შემდგომ მას შეუძლია გერმანისტიკაში (ლინგვისტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში) ახალი, ორიგინალური კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდების გამოყენებით, ასევე სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის გერმანული ლიტერატურული ტექსტის (რომანი, დრამა, ლირიკა) თეორიულ-პოეტოლოგიური ანალიზი თანამედროვე ლიტმცოდნეობითი თეორიების, ლიტერატურის კრიტიკისა და ფილოსოფიის საფუძვლების გათვალისწინებით. |
| **დასკვნის უნარი** |
| სამაგისტრო პროგრამის ათვისების შედეგად მაგისტრანტს აქვს გერმანისტიკაში მეცნიერული თეორიების ანალიზის, კრიტიკული შეფასებისა და პოლემიკის, დასაბუთებული დასკვნების გამოტანის უნარი, დამოუკიდებლად მეცნიერული მუშაობისა და კვლევის, კრიტიკული ლიტერატურის მოძიების უნარ-ჩვევები, უახლეს სამეცნიერო მონაცემებზე დაყრდნობით გერმანისტიკაში ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი. ყოველივე ამის შედეგად მას აქვს ცალკეული დისციპლინების შესახებ არსებული სამეცნიერო ნაშრომების კრიტიკული ანალიზის უნარი, რისი შედეგიცაა მაგისტრანტის საკურსო და სამაგისტრო შრომები. |
| **კომუნიკაციის უნარი** |
| ძირითადი უცხო ენის მაღალ დონეზე შესწავლით და დამატებით მეორე ევროპული ენის კარგი ფლობით მაგისტრს შეუძლია უცხოურ ენაზე წარმართოს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, დისკუსია, ჩამოაყალიბოს კრიტიკული მოსაზრებები. მაგისტრი ეუფლება გერმანული ფილოლოგიის დისციპლინების უახლეს მეთოდოლოგიასა და ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევით მეთოდებს, მას შეუძლია მათი პრაქტიკული გამოყენება, სამეცნიერო კონცეფციებისადმი კრიტიკული მიდგომა. მას იცის სასწავლო და კვლევითი მუშაობის ორგანიზების სტრატეგიები, შეუძლია მათი დამოუკიდებლად გამოყენება, ასევე მშობლიურ და უცხოურ ენებზე დარგობრივი სასწავლო და სამეცნიერო კომუნიკაცია, იგი იყენებს თანამედროვე ინტერდისციპლინარული სამეცნიერო-კვლევითი მეთოდიკის მეშვეობით მუშაობის პროცესში თვითშეფასების მეთოდებს. მაგისტრს გათვალისწინებული აქვს აკადემიური პატიოსნების სტანდარტები და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევები. |
| **სწავლის უნარი** |
| მაგისტრს შეუძლია ქართულ და უცხოურ ენაზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა და კრიტიკული მოსაზრებების ჩამოყალიბება, კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება ფილოლოგიური ანალიზისას, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული გამოყენება, გერმანული ფილოლოგიის სფეროში კვლევითი ხასიათის ნაშრომის დაგეგმვა, ზეპირ და წერილობით ფორმაში ჩამოყალიბება და დადგენილი სტანდარტის ფორმით წარმოდგენა, კვლევის შედეგების პრეზენტაცია, გერმანულ ფილოლოგიაში ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება, გერმანული ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემების გადაჭრის პროცესში ზოგადი კოგნიტური და მეთოდოლოგიური უნარების ადეკვატურად გამოყენება და ინოვაციური გადაწყვეტილების მიღება, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროცესში თვითშეფასების მეთოდიკის გამოყენება. |
| **ღირებულებები** |
| მაგისტრს აქვს სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობა, შეუძლია სხვათა აზრის გათვალისწინება და პატივისცემა, დამოუკიდებელი სწავლა და კვლევა, ჯგუფური მუშაობა და კვლევითი პრობლემატიკის პროექტირება, ასევე ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. ამ საკითხში მისთვის განსაკუთრებით ღირებულია ჰუმანიზმის ის ტენდენციები, რაც ლიტერატურათმცოდნეობითი და სხვა ტიპის დისციპლინების შესწავლის გზით შეიძინა. |

## ფრანგული ენა და ლიტერატურა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ფრანგულ ფილოლოგიაში

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა ფრანგულ ფილოლოგიაში. სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს მაგისტრანტთა პროფესიულ სპეციალიზაციას, რაც სრულყოფს ბაკალავრიატში შეძენილ ცოდნას, ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს, საწავლო პროცესი გულისხმობს ფრანგულენოვან კომუნიკაციას, მუშაობას ავთენტურ და კრიტიკულ ტექსტებზე. პროგრამა ასევე ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წილის მნიშვნელოვან ზრდას, უნარების გაღრმავებას ფრანგულ ფილოლოგიაში შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის, დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შეძენას ფრანგული ფილოლოგიის ფარგლებში და მეთოდოლოგიურად შემდგომი საფუძვლის შექმნას უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე-დოქტორანტურაში- სწავლის გასაგრძელებლად. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **სავალდებულოკურსები** | 70 ECTS კრედიტი |
| **არჩევითი კურსები** | 20 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო შრომა** | 30 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| მაგისტრანტს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ფრანგულ ფილოლოგიაში: ფრანგულ ენათმეცნიერებაში იგი ფლობს ლინგვისტურ დისციპლინათა პრობლემატიკას (ტექსტის ლინგვისტიკა, ლინგვისტური სტილისტიკა, პრაგმატიკა, სოციოლინგვისტიკა, ფრანგული ენა), ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდებს და ლინგვისტური კვლევის ტექნიკას, აქვს ღრმა, დარგობრივი ცოდნა ფრანგულ ლიტერატურათმცოდნეობაში ფრანგული თეორიულ-ესთეტიკური და ფილოსოფიური აზროვნების ჭრილში (ფრანგული რომანის, დრამის, ლირიკის ისტორიული პოეტიკა), ფლობს დას. ევროპული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდებს, აცნობიერებს ფრანგულ ფილოლოგიაში ცალკეული საენათმეცნიერო თუ ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემის გადაჭრის გზებს. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** |
| ფრანგულ ფილოლოგიაში დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შეძენით სტუდენტს აქვს კოგნიტურ-მეთოდოლოგიური საფუძველი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე-დოქტორანტურაში სწავლის გასაგრძელებლად, ასევე მეცნიერული კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების გაღრმავებისა და სრულყოფისათვის. ენობრივი კომპეტენციების გაღრმავების საფუძველზე მისი ცოდნა არის სკალირების C პირველ დონის შესატყვისი. მაგისტრანტს შეუძლია რომანისტიკაში (ლინგვისტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში) ახალი, ორიგინალური კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდების გამოყენებით, ასევე სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის ფრანგული ლიტერატურული ტექსტების (რომანი, დრამა, ლირიკა) თეორიულ-პოეტოლოგიური ანალიზი თანამედროვე ლიტმცოდნეობითი თეორიების, ლიტერატურის კრიტიკისა და ფილოსოფიის საფუძვლების გათვალისწინებით. |
| **დასკვნის უნარი** |

| |
|---|
| მაგისტრანტი ფლობს რომანისტიკაში მეცნიერული თეორიების ანალიზის, კრიტიკული შეფასებისა და პოლემიკის, დასაბუთებული დასკვნების გამოტანის უნარს, დამოუკიდებლად მეცნიერული მუშაობისა და კვლევის, კრიტიკული ლიტერატურის მოძიების უნარ-ჩვევებს, უახლეს სამეცნიერო მონაცემებზე დაყრდნობით რომანისტიკაში ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარს. |
| **კომუნიკაციის უნარი** |
| მაგისტრანტს შეუძლია უცხოურ ენაზე წარმართოს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია, დისკუსია, ჩამოაყალიბოს კრიტიკული მოსაზრებები. მაგისტრანტი ფლობს ფრანგული ფილოლოგიის დისციპლინების უახლეს მეთოდოლოგიასა და ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევით მეთოდებს, შეუძლია მათი პრაქტიკული გამოყენება, სამეცნიერო კონცეფციებისადმი კრიტიკული მიდგომის ჩამოყალიბება. მაგისტრანტმა იცის სასწავლო და კვლევითი მუშაობის ორგანიზების სტრატეგიები, შეუძლია მათი დამოუკიდებლად გამოყენება, ასევე შეუძლია მშობლიურ და უცხოურ ენებზე დარგობრივი საწავლო და სამეცნიერო კომუნიკაცია, ფლობს თანამედროვე ინტერდისციპლინარული სამეცნიერო-კვლევით მეთოდიკას და მუშაობის პროცესში თვითშეფასების მეთოდებს. მაგისტრანტი ითვალისწინებს აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევებს. |
| **სწავლის უნარი** |
| მაგისტრანტს შეუძლია ქართულ და უცხოურ ენაზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა და კრიტიკული მოსაზრებების ჩამოყალიბება, კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება ფილოლოგიური ანალიზისას, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული გამოყენება, ფრანგული ფილოლოგიის სფეროში კვლევითი ხასიათის ნაშრომის დაგეგმვა, ზეპირ და წერილობით ფორმაში ჩამოყალიბება და დადგენილი სტანდარტის ფორმით წარმოდგენა, კვლევის შედეგების პრეზენტაცია, ფრანგულ ფილოლოგიაში ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება, ფრანგული ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემების გადაჭრის პროცესში ზოგადი კოგნიტური და მეთოდოლოგიური უნარების ადეკვატურად გამოყენება და ინოვაციური გადაწყვეტილების მიღება, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროცესში თვითშეფასების მეთოდიკის გამოყენება. |
| **ღირებულებები** |
| მაგისტრანტს აქვს სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობა, შეუძლია სხვათა აზრის გათვალისწინება და პატივისცემა, დამოუკიდებელი სწავლა და კვლევა, ჯგუფური მუშაობა და კვლევითი პრობლემატიკის პროექტირება. მას შეუძლია ასევე ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა. ამ საკითხში მისთვის განსაკუთრებით ღირებულია ჰუმანიზმის ის ტენდენციები, რაც ლიტერატურათმცოდნეობით და სხვა ტიპის დისციპლინების შესწავლის გზით შეიძინა. |

## რუსული ენა და ლიტერატურა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი რუსულ ფილოლოგიაში

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ფილოლოგი, რომელსაც ექნება ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა რუსული ენისა და ლიტერატურის დარგში, გააზრებული ექნება რუსული ენის როგორც სისტემის ფუნქციონალური თავისებურებები, მისი განვითარების თანამედროვე მდგომარეობა და ტენდენციები; გარკვეული იქნება ლიტერატურის თეორიისა და კრიტიკის, უახლესი რუსული ლიტერატურის პრობლემურ საკითხებში; სამაგისტრო პროგრამა მაგისტრანტს გამოუმუშავებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარს, მოამზადებს სპეციალისტს შემდეგი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის, ჩამოუყალიბებს მას საკუთარი დასკვნების საჯაროდ წარდგენის, მკაფიოდ დასაბუთების უნარს, შესაბამის ცოდნასა და უნარებზე დაყრდნობით. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **არჩევითი კურსები** | 15 ECTS კრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 75ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო შრომა** | 30 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| სტილისტური თავისებურებათა გათვალისწინებით საფუძვლიანად იცის რუსული სალიტერატურო ენა – რუსულ ენაზე სწორად და თავისუფლად მეტყველება, კითხვა, წერა, მოსმენილის აღქმა-გაგება; გაცნობიერებული აქვს რუსული ენის ფუნქციონალური მრავალფეროვნება, მისი ფონეტიკური, გრამატიკული და სტილისტური ნორმები; გაცნობიერებული აქვს რუსული ენის სისტემა და სტრუქტურა; გააზრებული აქვს რუსული ენის კავშირი სხვა ენებთან და მისი ტიპოლოგიური თავისებურებები, იცის მისი განვითარების თანამედროვე ეტაპის, მისი ლინგვოკულტუროლოგიის სპეციფიკა; რუსული ენათმეცნიერების თანამედროვე პრობლემები და აქტუალური საკითხები. საფუძვლიანად იცის რუსული ლიტერატურის განვითარების ისტორია, თანამედროვე რუსული ლიტერატურის ტენდენციები; გაცნობიერებული აქვს მისი ადგილი და როლი მსოფლიო კულტურაში, ლიტერატურული პროცესების კანონზომიერები; იცის მხატვრული ნაწარმოების ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი ინტერპრეტაციის თეორიები. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** |
| კურსდამთავრებულს აქვს რუსულ ენაზე დარგობრივი დისკურსის წარმართვის, საკუთარი აზრის ნათლად და დეტალურად გადმოცემის უნარი;სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურის მშობლიურ და რუსულ ენაზე გამოყენების უნარი;სპეციალური ტექსტების თარგმნის უნარი როგორც რუსული ენიდან მშობლიურ ენაზე, ისე პირიქით, ასევე ამ ტექსტების რეფერირებისა და რედაქტირების უნარი;კურსდამთავრებულს შეუძლია ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება ქართულ და რუსულ ენებზე, საკუთარი ცოდნის მობილიზება და მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლისი მეთოდების მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება. |

| |
|---|
| **დასკვნის უნარი** |
| კურსდამთავრებულს შეუძლია დასახული საკვლევი პრობლემის წარმოჩენა, გააზრება, ანალიზი; განსაზღვრული გზების დასახვა მისი გადაჭრისათვის სათანადო მეთოდების გამოყენებით; გამომუშავებული აქვს პრობლემის გაანალიზების შედეგად ლოგიკური დასკვნების გაკეთების უნარი. აღნიშნული უნარის გამოვლენა უპირველეს ყოვლისა შეუძლია სამაგისტრო ნაშრომის შექმნისა და დაცვის პროცესში. |
| **კომუნიკაციის უნარი** |
| კურსდამთავრებულს აქვს ქართულ და რუსულ ენაზე კომუნიკაციის უნარი სამეტყველო სიტუაციის ფაქტორების ერთობლიობისა და სალიტერატურო ნორმების გათვალისწინებით როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით; დაუფლებულია საუბრის ხელოვნებას. შეუძლია კომუნიკაციის უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება. |
| **სწავლის უნარი** |
| კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი სწავლის მიმართულების განსაზღვრა, საკუთარი ცოდნის გაანალიზება/შეფასება; იმის განსაზღვრა, თუ რა ცოდნა და უნარები უნდა შეიძინოს დასახული ამოცანის შესასრულებლად; გამომუშავებული აქვს შესასწავლი საგნის ასათვისებლად საჭირო სტრატეგიული უნარები - დაგეგმვის, ეტაპებად დაყოფის, სირთულეების განსაზღვრის, ხარვეზების გაანალიზებისა და აღმოფხვრის. შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, ავლენს სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა  და სტრატეგიულად დაგეგმის მაღალ დონეს. |
| **ღირებულებები** |
| გაცნობიერებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, ექნება პატიოსანი დამოკიდებულებას პროფესიული მოვალეობის მიმართ; მაგისტრანტს ექნება პატივისცემა ჰუმანიზმის, ქართული, რუსული და ზოგადად მსოფლიო კულტურის ღირებულებებისადმი, სწრაფვა ახალი ღირებულებების დამკვიდრებისადმი. |

## აღმოსავლური ფილოლოგია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** 1. არაბული ფილოლოგიის მაგისტრი 100513. 2. თურქულ ფილოლოგიის მაგისტრი 100514. 3. სპარსული ფილოლოგიის მაგისტრი 100515

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| საქართველოს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან (არაბული, ირანული და თურქული სამყაროები) ისტორიული და თანამედროვე მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა ჩვენი ქვეყნისათვის აღმოსავლური ფილოლოგიის დარგებს აქტუალურსა და სტრატეგიულად მნიშველოვანს ხდის.<br>პროგრამა მოამზადებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრს აღმოსავლური ფილოლოგიის (არაბული ფილოლოგიის, თურქული ფილოლოგიის, სპარსული ფილოლოგიის) სპეციალობით, რომელსაც აღმოსავლური (არაბული / თურქული / სპარსული) ენის, ლიტერატურის, ისტორიოგრაფიისა და საქართველოსთან კულტურულ-ისტორიული კონტაქტების თავისებურებების ღრმა ცოდნა ექნება. პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი უნარების გაღრმავებას შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის.<br>ქვემოთ მოყვანილი კურსები ორიენტირებულია აღმოსავლური ფილოლოგიის (არაბული ფილოლოგიის, თურქული ფილოლოგიის, სპარსული ფილოლოგიის) სპეციალისტთა განათლების გაღმავებაზე როგორც თეორიულ, ასევე სპეციალურ საგნებში.<br>სამაგისტრო პროგრამა გულისხმობს ბაკალავრიატის დონეზე შეძენილი ზოგადი განათლების კონკრეტულ და სიღრმისეულ გაფართოებას. პროგრამის ერთიანობას უზრუნველყოფს შიდადარგობრივი დისციპლინების სტრატეგიული კოორდინაცია და მთელი პროგრამისათვის საერთო სავალდებულო კურსების მიზანმიმართული შერჩევა. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **პროგრამის სავალდებულო კურსები** | 10 ECTSკრედიტი |
| **სპეციალიზაციის სავალდებულო კურსები** | 95ECTSკრედიტი |
| **სპეციალიზაციის არჩევითი კურსები** | 15 ECTSკრედიტი |
| სულ | 120 ECTSკრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| აღმოსავლური ფილოლოგიის მაგისტრატურის კურსდამთავრებული ფლობს სისტემურ ცოდნას სპეციალობის ზოგადთეორიულ და პრაქტიკულ დისციპლინებში. მას აქვს ფუნდამენტური და პრაქტიკული მოზადება აღმოსავლური ფილოლოგიის შესაბამის დარგში და სრულყოფილად ფლობს სპეციალობას.<br>აქვს სისტემური ცოდნა:<br>1. ენის თეორიულ გრამატიკაში;<br>2. დიალექტოლოგიასა და არეალისტიკაში;<br>3. შესაბამის ენათა შედარებით გრამატიკასა და ლექსიკოლოგიაში;<br>4. შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის (არაბულ) საენათმეცნიერო შრომებში;<br>5. სათარჯიმნო დოკუმენტაციის და საქმიანი მიმოწერის აღმოსავლური ენიდან (არაბ–ული/თურქული/სპარსული) ქართულად და პირუკუ თარგმნის; საქმიანი საუბრების არაბულიდან ქართულად და პირუკუ სათარჯიმნო პრაქტიკაში. |

6. დარგის ძველი, შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ლიტერატურის (არაბული /თურქული/სპარსული) წყაროების, ისტორიის, ტენდენციების, სტრუქტურული მოდელების, ჟანრობრივ და ენობრივ–სტილისტურ თავისებურებებსა და ვერსიფიკაციის საკითხებში.
7. ქართულ–აღმოსავლურ ენობრივ და ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიულ–კულტურული კონტექსტის სპეციფიკასა და თავისებურებებში;
8. ყურანის, როგორც ლიტერატურული და ისლამური იდეოლოგიის ძეგლის საფუძვლებისა და ყურანის შუა საუკუნეების არაბ კომენტატორების ნააზრევის შესახებ;
9. მახლობელი აღმოსავლეთის (არაბული სამყარო, თურქეთი, ირანი) ეთნოლოგიისა და კულტურის შესახებ.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

➢ მაგისტრს აქვს ფუნდამენტური სამეცნიერო და პრაქტიკული მომზადება, სრულყოფილად ფლობს აღმოსავლური ფილოლოგიის სპეციალობას, შეუძლია მიღებული მეცნიერული ცოდნის, უნარ-ჩვევების პრაქტიკული გამოყენება. მაგისტრის კომპეტენცია წვდება სხვადასხვა ლიტერატურული, ლინგვისტური გამოკვლევებისა თუ კონცეფციების შეფასებას.

➢ მაგისტრს აქვს ფუნდამენტური სამეცნიერო ცოდნის საფუძვლები აღმოსავლური ფილოლოგიის (არაბული ფილოლოგია/თურუქული ფილოლოგია/სპარსული ფილოლგია) დისციპლინებში და სრულყოფილ დონეზე ფლობს დარგს.

➢ მას შეუძლია მეცნიერული ცოდნის, უნარ-ჩვევების, მეცნიერული ორგანიზაციის პრინციპების პრაქტიკული გამოყენება კონკრეტული სამეცნიერო-პრაქტიკული, საინფორმაციო-ძიებითი და სხვა ამოცანების გადაწყვეტაში, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს დაგეგმვა, ორგანიზება და ხელმძღვანელობა, ენობრივი და ლიტერატურული მოვლენებისა და პროცესების არსისა და გენეზისის წვდომა და კრიტიკული შეფასება, მათი ანალიზი თანამედროვე სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით.

➢ მას აქვს სხვადასხვა ლიტერატურული და ლინგვისტური გამოკვლევებისა თუ კონცეფციების კრიტიკული შეფასების უნარი.

➢ გააჩნია სამეცნიერო შინაარსის ტექსტების რედაქტირების, რეფერირებისა და რეცენზირების, პუბლიკაციისათვის ხელნაწერებისა და სამეცნიერო დოკუმენტების მომზადების, კომენტირებისა და ანოტირების უნარი.

➢ მაგისტრს აქვს ენობრივი და ლიტერატურული ფაქტების, პროცესებისა და მოვლენების ისტორიულ–კულტურულ კონტექსტში დამოუკიდებელად კვლევის განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

მიღებული მეცნიერული ცოდნის, უნარ-ჩვევების, მეცნიერული საქმიანობის ორგანიზაციის პრინციპების პრაქტიკული გამოყენება კონკრეტული ანალიტიკური, სამეცნიერო-პრაქტიკული, საინფორმაციო-ძიებითი, მეთოდიკური და სხვა ამოცანების გადაწყვეტაში.

**დასკვნის უნარი**

- მაგისტრს აღმოსავლური ფილოლოგიის კვლევების ასპექტებიდან, კერძოდ, ლინგვისტური, ძველი, შუა საუკუნეებისა და თანამედროვე აღმოსავლური პოეზიისა და პროზის, ლიტერატურის ისტორიის და თეორიის, პოეტიკის, ვერსიფიკაციის და ყურანის პრობლემატიკიდან რთული და არასრული ინფორმაციასა და უახლეს კვლევებზე დაყრდნობით შეუძლია დარგისდ აქტუალურინ საკითხების კვლევა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება.

მას დამოუკიდებლად შეუძლია სამეცნიერო–თეორიული კვლევის, პრაქტიკული მუშაობის წარმართვა და სხვადასხვა წყაროს კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა.

**კომუნიკაციის უნარი**

მაგისტრს შეუძლია იდეების, თავისი დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის მეთოდების პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ აღმოსავლურ და რომელიმე ევროპულ ენაზე წარდგენა. მას აქვს პროფესიულ წრეებში თავისუფალი კომუნიკაციისა და აკადემიური სტანდარტებისა და საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით ლინგვისტური და ლიტერატურული მონაცემების შესაბამის თეორიულ ცოდნასა და ჩვევებზე დაყრდნობით ისტორილ–კულტურულ ასპექტში ანალიზისა და პრეზენტაციის, საკვლევ თემატიკაზე ჯგუფური პრინციპით

| |
|---|
| მუშაობის უნარი. |
| **სწავლის უნარი** |
| მაგისტრს შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, ავლენს სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და სტრატეგიულად დაგეგმის მაღალ დონეს. შეეძლება ქართულ და უცხოურ ენაზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა და მოსაზრებების ჩამოყალიბება, კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით აღმოსავლური ფილოლოგიის შესაბამის დარგში კვლევითი ხასიათის შრომის დაგეგმვა, პრობლემების გადაჭრა და კვლევის შედეგების პრეზენტაცია |
| **ღირებულებები** |
| • მაგისტრი აფასებს თავის და სხვების დამოკიდებულებას ღირებულებებისადმი.<br>ახლო აღმოსავლეთის ხალხებთან ურთიერთობის პროცესს ხშირად აფერხებს მათი მენტალიტეტისა და ფსიქოლოგიის, ტრადიციული ღირებულებების გაუთვალისწინებლობა. აღმოსავლური ფილოლოგიის სპეციალობის მაგისტრს ამ გარემოებათა გაითვალისწინებით შეუძლია ტოლერანტული დამოკიდებულების გამოჩენა ახლო აღმოსავლეთის მრავალფეროვანი მემკვიდრეობისა და ტრადიციის მიმართ, სხვათა აზრის გათვალისწინება, ახალი ღირებულებების ფორმირების პროცესში ჩართვა და წვლილის შეტანა. |

## ხელოვნების თეორია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ხელოვნების ისტორიასა და თეორიაში

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| პროგრამის მიზანია მაგისტრს<br>• მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ხელოვნების ცალკეული მიმართულებების (სახვითი ხელოვნება,თეატრი, კინო,მუსიკა) ისტორიაში, ფუნდამენტურ ცნებებსა და პრინციპებში, მხატვრული სახის სპეციფიკასა და სტრუქტურაში, ფორმაქმნადობის ნიშნებში, მხატვრული ნაწარმოების ფუნქციონირების მექანიზმებში<br>ჩამოუყალიბოს ხელოვნების სხვადასხვა დარგის პრობლემური საკითხების ინტერდისციპლინარულ ჭრილში განხილვის, განზოგადების, პარალელების გავლების, მხატვრული ნაწარმოების შეფასებისა და კრიტიკისთვის აუცილებელი ანალიტიკური უნარ–ჩვევები. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **სავალდებულო კურსები** | 65 ECTS კრედიტი |
| **აჩევითი კურსები** | 25 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო შრომა** | 30 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:<br>• სიღრმისეულად აღწერს და განსაზღვრავს ხელოვნების ისტორიისა და თეორიის სფეროს ძირითად პრინციპებსა და კონცეფციებს, მხატვრული ნაწარმოების ფუნქციონირების მექანიზმებს და მისი ფორმაქმნადობის სტრუქტურული ელემენტების კანონებს.<br>• ახასიათებს სახვითი ხელოვნების განვითარების მნიშვნელოვან ეტაპებსა და მხატვრული მიმდინარეობების ისტორიულ-ესთეტიკურ პრინციპებს კლასიკური პერიოდიდან თანამედროვეობამდე.<br>გამოკვეთს ევროპული და ამერიკული თეატრისა და კინოს თეორიის პრობლემურ საკითხებს; ფილმის ანალიზისა და თანამედროვე კინემატოგრაფის ძირითად ტენდენციებს; სტილს, როგორც მხატვრულ-ესთეტიკურ და ისტორიულ კატეგორიას; ერკვევა მუსიკის სტილთა თეორიაში |
| **უნარი** |
| • ახდენს სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის ძეგლების ტიპოლოგიურ და ქრონოლოგიურ კლასიფიკაციას; განსაზღვრავს მათ კულტურულ და ეთნიკურ კუთვნილებას;<br>• აფასებს ხელოვნების ნიმუშებს ისტორიული ეპოქის, მიმდინარეობის, სტილის და ჟანრის მიხედვით; |

- განიხილავს ხელოვნების სხვადასხვა დარგში მიმდინარე პროცესებს და ავლებს შესაბამის პარალელებს. სახვით ხელოვნებაში არსებული თემებისა და პრინციპების ხელოვნების სხვა დარგში ინტერპრეტაციის თავისებურებების მხრივ. ხსნის ახალი ფორმაქმნადობის პრინციპებს.
- ახდენს ხელოვნების სფეროდან საკვლევი პრობლემის შერჩევას, ხელოვნების სხვადასხვა დარგში მიღებული კვლევის შედეგების სინთეზს და კონცეპტუალიზაციას, მონაცემების შეგროვებას, სისტემატიზაციას და მეცნიერულ ანალიზს კვლევის რელევანტური მეთოდოლოგიის გათვალისწინებით ინტერდისციპლინარული მიდგომის გამოყენებით;
- აანალიზებს მხატვრულ ნაწარმოებს ისტორიულ–კულტურულ კონტექსტში ხელოვნების ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის და სემიოტიკის ჭრილში;
- საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიის გამოყენებით მიღებულ შედეგებს წარადგენს აკადემიური საზოგადოების წინაშე წერილობითი და ზეპირი ფორმით ქართულ ან უცხო ენაზე.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

- აღიარებს, აფასებს და პატივს სცემს – ხელოვნებაში დამკვიდრებულ პროფესიული ეთიკის სტანდარტებს, პროფესიულ და აკადემიურ აუდიტორიაში გამოთქმულ სხვათა მოსაზრებებს და არგუმენტებს
- მონაწილეობს პროფესიული ცოდნის განვითარება–დანერგვაში და ქართული და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და პოპულარიზაციაში.

## ამერიკისმცოდნეობა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ამერიკისმცოდნეობის მაგისტრი

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ამერიკისმცოდნეობის სპეციალისტები, რომელთაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა აღნიშნულ დარგში. სამაგისტრო პროგრამა აფართოებს ბაკალავრიატში შეძენილ ცოდნას, ავითარებს ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს. პროგრამა ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წილის მნიშვნელოვან ზრდას, უნარების გაღრმავებას ამერიკისმცოდნეობაში შემდგომი კვლევისა და პრაქტიკული საქმიანობისათვის; ასევე, დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შეძენას და მეთოდოლოგიურად შემდგომი საფუძვლის შექმნას უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე --- დოქტორანტურაში --- სწავლის გასაგრძელებლად.<br>სამაგისტრო პროგრამა შედგება სამი მოდულისაგან: ისტორია, ლიტერატურა, საზოგადოება/კულტურა. პროგრამაში ჩართული არიან მსოფლიო ისტორიის, ინგლისური ფილოლოგიის, არქეოლოგიისა და სიძველეთმცოდნეობის, ეკონომიკის, გეოგრაფიის დეპარტამენტები. დღეს, როდესაც ასე ინტენსიურად მიმდინარეობს და ვითარდება მრავალმხრივი პარტნიორული თანამშრომლობა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, აქტუალურ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენს ახალგაზრდა, კვალიფიციური ამერიკისმცოდნეების აღზრდის საკითხი. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **არჩევითი კურსები** | 15 ECTS კრედიტი |
| **ძირითადი კურსები** | 75 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო შრომა** | 30 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| სტუდენტს უნდა ექნეს ღრმა და სისტემური ცოდნა ამერიკისმცოდნეობაში; უნდა ექნეს უნარი კომპლექსურად აღიქვას ქვეყანა. ინტერდისციპლინური მიდგომის წყალობით, უნდა შეძლოს ერთმანეთს დაუკავშიროს მოვლენები სხვადასხვა სფეროდან, მოახდინოს მათი კომპლექსური ანალიზი და გამოიტანოს ლოგიკური დასკვნები; გარდა ამისა უნდა შეიძინოს ღრმა დარგობრივი ცოდნა ამერიკული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესახებ ისტორიაში, პოლიტიკაში, გეოგრაფიაში, ლიტერატურაში, ფილოსოფიაში, კულტურაში; უნდა დაეუფლოს ამერიკული ლიტერატურის, ისტორიისა და გეოგრაფიის, კულტურისა და საზოგადოების ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდებს; სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წილის მნიშვნელოვანი გაზრდით (რეფერატი, სამაგისტრო ნაშრომი ამერიკის ისტორიის, ლიტერატურის, საზოგადოებისა და კულტურის, მკვიდრ ამერიკელთა თუ გენდერულ საკითხებზე) სტუდენტმა უნდაქ გააცნობიეროს კონკრეტული პრობლემის გადაჭრის გზები. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** |
| პროგრამის დასრულების შემდეგ, დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შეძენით სტუდენტს უნდა ექნეს კოგნიტურ-მეთოდოლოგიური საფუძველი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე --- დოქტორანტურაში --- სწავლის გასაგრძელებლად მეცნიერული კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების გაღრმავებისა და სრულყოფისათვის. დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების გაღრმავების საფუძველზე |

| |
|---|
| მისი ცოდნა უნდა იყოს  სკალირების C პირველი დონის შეესატყვისი. მაგისტრატურის დასრულების შემდგომ მან უნდა შეძლოს ამერიკისმცოდნეობაში კვლევის განხორციელება სამეცნიერო ხელმძღვანელის მითითებებით და უახლესი მეთოდების გამოყენებით; სტუდენტებს უნდა ექნეთ ცოდნა და პრაქტიკული უნარები, გადაწყვიტონ სხვადასხვა დარგობრივი თუ ზოგადი პრობლემური საკითხები და მათ გადასაჭრელად მიმართონ სტანდარტულ თუ სპეციფიკურ მეთოდებს.  მათ უნდა შეძლონ ასევე, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. |
| **დასკვნის უნარი** |
| მაგისტრანტმა უნდა შეძლოს ამერიკისმცოდნეობის  მულტიდისციპლინური დარგის სხვადასხვა სფეროში ძირითადი პრობლემების ჩამოყალიბება, ცალკეული თემების შესახებ წერილობითი თუ ზეპირი მსჯელობა, სისტემატიზაცია და კრიტიკული ანალიზის შემდეგ სათანადო დასაბუთებული დასკვნების გამოტანა, ასევე განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით.<br>სამაგისტრო პროგრამამ მაგისტრანტს უნდა შეძინოს ამერიკისმცოდნეობაში  დამოუკიდებლიად მეცნიერული მუშაობის, კვლევის და  ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი. |
| **კომუნიკაციის უნარი** |
| მაგისტრანტს უნდა ექნეს უნარი ამერიკისმცოდნეობის საკითხების მიხედვით, თანამიმდევრულად და აკადემიურად  ჩამოაყალიბოს იდეები, მოსაზრებები და ინფორმაციები, როგორც სპეციალისტთა, ასევე არასპეციალისტთა გასაგები ტერმინოლოგიითა და ენით. მან უნდა შეძლოს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით გადასცეს თავისი  ცოდნა ქართულენოვან და უცხოენოვან მსმენელს; ასევე, მოამზადოს წერილობითი და ზეპირი ანგარიშები სხვადასხვა ტიპის აუდიტორიისთვის. |
| **სწავლის უნარი** |
| მაგისტრანტმა უნდა შეძლოს ქართულ და უცხოურ ენაზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა და კრიტიკული მოსაზრებების ჩამოყალიბება, კვლევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება საკითხის ანალიზისას, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული გამოყენება, ამერიკისმცოდნეობის  სფეროში კვლევითი ხასიათის ნაშრომის დაგეგმვა, ზეპირი და წერილობითი ფორმით ჩამოყალიბება და დადგენილი სტანდარტის ფორმით წარმოდგენა, კვლევის შედეგების პრეზენტაცია, ასევე ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება,  ზოგადი მეთოდოლოგიური უნარების ადეკვატურად გამოყენება და ინოვაციური  გადაწყვეტილების მიღება, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პროცესში თვითშეფასების მეთოდიკის გამოყენება. მაგისტრანტს უნდა შეეძლოს საკუთარი სასწავლო პროცესის თანმიმდევრულად და მარავალმხრივად გააზრება, შეფასება და შემდგომი სწავლის გაგრძელებისათვის საკუთარი შესაძლებლობების განსაზღვრა. |
| **ღირებულებები** |
| მაგისტრანტს უნდა ექნეს სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობა, შეეძლოს  სხვათა აზრის გათვალისწინება და პატივისცემა, დამოუკიდებლად სწავლა და კვლევა, ჯგუფური მუშაობა და კვლევითი პრობლემატიკის პროექტირება. მისთვის განსაკუთრებით ფასეული უნდა იქნეს ჰუმანიზმის ისეთი ტენდენციები, როგორიცაა სხვათა მრავალფეროვანი კულტურული  მემკვიდრეობის  პატივისცემა და დაფასება. |

## ევროპის და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ისტორიის მაგისტრი ევროპისა და ამერიკის ახალ და უახლეს ისტორიაში

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| ისტორიული მეცნიერების თანამედროვე მიღწევების საფუძველზე ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალობით მაგისტრების მომზადება. მაგისტრანტები შეისწავლიან სხვადასხვა სახის ისტორიული წყაროების და მრავალფეროვანი სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ევროპის წამყვანი ქვეყნების და აშშ-ს ისტორიულ-პოლიტიკური განვითარების უმთავრეს მომენტებს, შეიძენენ და განავითარებენ დამოუკიდებელი კვლევა-ძიებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს. ასევე პროგრამა უზრუნველყოფს კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლების შესაძლებლობას სწავლის მომდევნო საფეხურზე დოქტორანტურაში. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **არჩევითი კურსები** | 15ECTS კრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 75 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო შრომა** | 30 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას ახალი და უახლესი ისტორიის უმთავრესი პრობლემების, ევროპის წამყვანი ქვეყნების და აშშ-ს ისტორიულ-პოლიტიკური განვითარების უმთავრესი მომენტების შესახებ; საკუთარი კვლევითი პრობლემატიკის ირგვლივ იცნობს სხვადასხვა თეორიულ მიდგომებს და მათი კრიტიკული გააზრების საფუძველზე აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს ახალი იდეის სახით. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** |
| განსაზღვრავს შესაბამისი კომპეტენციის დონეზე კვლევის მეთოდებს და პრიორიტეტულ მიმართულებებს, აფასებს ისტორიულ პროცესს ობიექტურად და კომპლექსურად; ადგენს თვისებრივად ახალი არგუმენტირებული ცოდნის მიღების გზებს; შეუძლია ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების იდენტიფიცირება-კლასიფიცირება; კარგად ორიენტირებს და პროფესიონალურ დონეზე ერკვევა გაუთვალისწინებელ, (წინასწარ დაუგეგმავ) მულტიდისციპლინარულ გარემოში. |
| **დასკვნის უნარი** |
| კურსდამთავრებულს შეუძლია პრობლემის განზოგადება და ლოგიკური დასკვნების გაკეთება; ის აფასებს სხვა მკვლევართა მიღწეულ შედეგებს და ნათლად აყალიბებს განსხვავებულ შეხედულებებს; ახდენს უახლესი კვლევების კრიტიკულ გაანალიზებას და იძლევა არგუმენტირებულ დასკვნებს. |
| **კომუნიკაციის უნარი** |
| კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და მეთოდოლოგიური პრობლემების კომუნიკაცია აკადემიურ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხო ენაზე; მაგისტრი იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიურ საშუალებებს და ავლენს პროფესიული კამათის, მოსმენის, განსხვავებული აზრის პატივისცემის უნარს. |
| **სწავლის უნარი** |

| |
|---|
| მაგისტრანტი დამოუკიდებლად იძიებს შესაბამის წყაროებს, ლიტერატურას და ადგენს მათ მნიშვნელობას დასმული პრობლემის გადასაჭრელად. აღრმავებს და აფართოებს შემდგომი სწავლისათვის საჭირო უკვე ათვისებულ სამეცნიერო-მეთოდოლოგიურ ბაზას. მას შეუძლია სტრატეგიულად და მაღალ დონეზე დაგეგმოს შემდგომი სწავლის საჭიროება და გზები. |
| **ღირებულებები** |
| მაგისტრი იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს; გამორჩეულად იცნობს და აფასებს დასავლურ ღირებულებებს, დემოკრატიას, ლიბერალიზმს, პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებებს, თანამონაწილეა საკუთარ გარემოში მათი დამკვიდრების პროცესში. |

## ლინგვისტიკა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი ლინგვისტიკაში

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| პროგრამის მიზანია აღზარდოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მაღალკვალიფიციური ფართო პროფილის ლინგვისტი, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი არა მარტო საქართველოში, არამედ უცხოეთის სივრცეშიც. აღნიშნული პროგრამა მაგისტრანტს მისცემს შესაძლებლობას წარმართოს თანამედროვე და აქტუალური სამეცნიერო კვლევა, გააცნობს მათ თანამედროვე ენათმეცნიერების თითქმის ყველა მიღწევას, შეასწავლის დარგის ისტორიის ყველა ღირებულ მიდგომას, კვლევის სპეციალური მეთოდებს, არსებულ მიმდინარეობებს, გამოუმუშავებს ლინგვისტური კვლევის თანამედროვე უნარს, ჩამოუყალიბებს და განუვითარებს პიროვნულ პასუხისმგებლობას მეცნიერული კვლევის დროს ;<br>ლინგვისტიკის მაგისტრმა თავისუფლად უნდა შეძლოს ენათა თეორიული თუ შედარებითი კვლევა სწავლებისა თუ მუშაობის სხვადასხვა ეტაპებზე.<br>ლინგვისტიკის მაგისტრი იქნება გამორჩეული მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა დააქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება. აღნიშნული პროგრამა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **არჩევითი კურსები** | 15 ECTS კრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 75 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო შრომა** | 30 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| ➢ შეუძლია პრობლემის დასმა, კვლევის მიზნის ფორმულირება და გადაჭრის გზების აღწერა, ავლენს მიღებულ სპეციალიზაციაში შესაბამისი პროფესიული დონის დემოსტრირების უნარს, შეუძლია კვლევის ახალი, ალტერნატიული გზების და სტრატეგიის გამოკვლევა. მაგისტრი ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას ენათმეცნიერების უმთავრესი პრობლემების და საკუთარი კვლევითი პრობლემატიკის ირგვლივ, იცნობს სხვადასხვა თეორიულ მიდგომებს და მათი კრიტიკული გააზრების საფუძველზე აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს.<br>შეიძენს ზოგადი და დარგობრივი ლინგვისტიკის ღრმა და სისტემურ ცოდნას, გააცნობიერებს კულტურათაშორისი პრობლემების გადაჭრის გზებს. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** |
| იძიებს შესაბამის წყაროებს, ლიტერატურას და ადგენს მათ მნიშვნელობას დასმული პრობლემის გადასაჭრელად. განსაზღვრავს კვლევის მეთოდებს და თავისებურად ახალი არგუმენტირებული ცოდნის მიღების გზებს. პროფესიონალურად ასკვნის ლინგვისტური ფაქტების იდენტიფიცირება-კლასიფიცირებას და განსაზღვრავს კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებებს. კურსდამთავრებული კარგად ორიენტირებს და პროფესიონალურ დონეზე ერკვევა გაუთვალისწინებელ, (წინასწარ დაუგეგმავ) მულტიდისციპლინარულ გარემოში და კვლევას დამოუკიდებლად წარმართავს. |

| |
|---|
| **დასკვნის უნარი** |
| ახდენს პრობლემის განზოგადებას და გამოაქვს ლოგიკური დასკვნები. ხედავს სხვა მკვლევართა მიღწეულ შედეგებს, აფასებს მათ სათანადოდ და ნათლად აყალიბებს განსხვავებულ შეხედულებებს, ახდენს უახლესი კვლევების კრიტიკულ გაანალიზებას და იძლევა არგუმენტირებულ დასკვნებს, შემოქმედებითად უდგება და ახდენს მოპოვებული ინფორმაციი სინოვაციურ სინთეზს. |
| **კომუნიკაციის უნარი** |
| ➢ ავლენს პროფესიული კამათის, მოსმენის, განსხვავებული აზრის პატივისცემის და საკუთარის დასაბუთების მეცნიერულ დონეს.<br>შეუძლია საკუთარი დასკვნების, არგუმენტაციისა და მეთოდოლოგიური პრობლემების კომუნიკაცია აკადემიურ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, იცნობს და იცავს აკადემიური პატიოსნების სტანდარტებს, იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო-ტექნოლოგიურ საშუალებებს. |
| **სწავლის უნარი** |
| აქტიურად მონაწილეობს, როგორც საკუთარი ასევე სხვათა სწავლებასა და სწავლის თანამედროვე მიდგომების დანერგვაში. აღრმავებს და აფართოებს შემდგომი სწავლისათვის საჭირო უკვე ათვისებულ სამეცნიერო-მეთოდოლოგიურბაზას. დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარ სწავლას, სრულად აცნობიერებს ამ პროცესის თავისებურებებს და შეუძლია სტრატეგიულად და მაღალ დონეზე დაგეგმოს შემდგომი სწავლის საჭიროება და გზები. |
| **ღირებულებები** |
| 1. მაგისტრანტი დაიცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს და სხვათა დამსახურების კეთილსინდისიერად შეფასების საფუძველზე შეეცდება დაამკვიდროს ახალი სამეცნიერო ღირებულებები; განუმტკიცდება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი, ლიტერატურული, მეცნიერული და სხვა სახის დიდმნიშვნელოვანი მოვლენებისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა და პრობლემური საკითხებისადმი სწორი მოქალაქეობრივი პოზიცია; გაუღრმავდება ეროვნული თვითშეგნება. იცავს თავის პროფესიულ საქმიანობაში და სხვებთან დამოკიდებულებაში მეცნიერული ობიექტურობის პრინციპებს და სწავლა-სწავლების პროცესში ხელს უწყობს მათ განვითარებას. კრიტიკულად აფასებს საკუთარ და კოლეგების შესაძლებლობებს ეთიკის ნორმების დაცვით.<br>ლინგვისტიკის მაგისტრი გამორჩეულად იცნობს და აფასებს კვლევის დასავლურ ღირებულებებს. |

## საქართველოს ისტორია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საქართველოს ისტორიის მაგისტრი

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| სამაგისტრო პროგრამა – "საქართველოს ისტორია", სასწავლო კომპონენტისა და სამეცნიერო კვლევის ერთობლიობას წარმოადგენს და თეორიული მასალებისა და ისტორიული წყაროების შეჯერების საფუძველზე მოამზადებს კვალიფიციურ სპეციალისტს საქართველოს ისტორიის მიმართულებით.<br>სამაგისტრო პროგრამის ძირითადი მიზნებია:<br>ბაკალავრიატში შეძენილი ცოდნის გაღრმავება,<br>1. მეცნიერული კვლევის უნარების ათვისება,<br>2. კვლევის ახალი მეთოდების შესწავლა და მეცნიერული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება რაც უპირატესი პირობაა ცოდნის მიღებისა სწავლების მესამე საფეხურზე.<br>სწავლის პროცესში მაგისტრანტი შეისწავლის მისანიჭებელი კვალიფიკაციისათვის შესაბამისი დისციპლინების კომპლექსს, რომელიც საკვალიფიკაციო თემასთან ერთად ხელს შეუწყობს მაგისტრის კვლევის უნარის გაღრმავებას. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **არჩევითი კურსები** | 15 ECTS კრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 75 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო შრომა** | 30 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| საქართველოს ისტორიის პრობლემური საკითხების დეტალური და საფუძვლიანი ცოდნა.ქართული საისტორიო და სასულიერო აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპების ღრმა შეცნობა.საქართველოს როლის შეცნობა და გამოკვეთა მსოფლიო პოლიტიკური პროცესების ცალკეულ და გადამწყვეტ ეტაპებზე. საქართველოს როლის განსაზღვრა მსოფლიო ისტორიის განვითარებასთან მიმართებაში. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** |
| ისტორიული პერიოდების, ისტორიულ წყაროთა, მონოგრაფიულ ნაწარმოებთა აღწერა შედარება და კლასიფიცირება ისტორიული მოვლენის შეფასებისას. წყაროთა შერჩევა და საკუთარი იდეის წარმოდგენა.<br>საისტორიო სწავლების მეთოდიკისა და მეთოდოლოგიის დახმარებით დიდაქტიკური უნარჩვევების განსაზღვრა და გადმოცემის უნარებთან მისადაგება. |
| **დასკვნის უნარი** |
| საკუთარი არგუმენტაციის ლოგიკურად ჩამოყალიბება, დალაგება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა.<br>დარგობრივი ცოდნის, მეცნიერული იდეებისა და მიდგომების კრიტიკული განმარტება, კლასიფიკაცია, სინთეზი და ანალიზი.<br>ადრე მიღებული ცოდნის ახლადშეძენილ ცოდნასთან შეპირისპირება და ურთიერთკავშირში არგუმენტირებულად გაანალიზება. |

| |
|---|
| **კომუნიკაციის უნარი** |
| ინფორმაციის მოპოვების მიზნით სამეცნიერო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების თავისუფლად გამოყენების უნარი.<br>სხვადასხვა ჯგუფებთან საერთო ენის გამონახვისა და თანამშრომლობის უნარი.<br>სახელმწიფო ენაზე კომუნიკაციის უნარი. |
| **სწავლის უნარი** |
| სამეცნიერო ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვებისა და შერჩევის უნარი.<br>საკვლევი ინფორმაციის დიფერენცირებულად აღქმისა და სტურქტურული ელემენტების შერჩევის უნარი.<br>მუშაობის ეფექტურად დაგეგმის უნარი. |
| **ღირებულებები** |
| ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო იდეებისა და ღირებულებების განსაზღვრა. მათი პატივისცემა და დაცვა.<br>ისტორიული საზრისის, მოვლენებისა და ფაქტების შეცნობა და პატივისცემა. სწრაფვა ახალი და პროგრესული ღირებულებების დასამკვიდ-რებლად. სპეციალობის ინტერესებისა და საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის დაცვა. |

## არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაციები (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი არქეოლოგიაში

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| 1. საქართველოს კულტურული და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით, ევროპულ საგანმანათლებლო სისტემაში არსებული თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, მოამზადოს უმაღლესი განათლების II საფეხურისათვის განსაზღვრული კომპეტენციებით, სათანადო ცოდნითა და შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური კადრები ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი ცენტრებისა და არქეოლოგიური ექსპედიციებისათვის, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ არქეოლოგიური ძეგლების კვლევაში (არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა, გათხრა, ფიქსაცია, არტეფაქტების კამერალური დამუშავება, რესტავრაცია-კონსერვაცია, პუბლიკაციისათვის მომზადება). საქართველოსათვის არქეოლოგია პრიორიტეტული დარგია და დიდი ყურადღება ექცევა არქეოლოგიური ძეგლების კვლევას, რაც უპირველეს ყოვლისა საბიუჯეტო და საგრანტო დაფინანსების გაზრდაში გამოიხატა. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრთან და ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმთან მჭიდრო თანამშრომლობით წარმატებით ახორციელებს ქუთაისისა და იმერეთის რეგიონის არქეოლოგიურ კვლევას.<br>2. კადრების მომზადება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებისა (მუზეუმები, ადგილობრივი და საერთაშორისო ძეგლთა დაცვითი პროგრამები) და ტურიზმის სფეროსათვის.<br>სწავლების შემდეგი საფეხურისათვის მომზადება. (დოქტურანტურა). |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **არჩევითი კურსები** | 30 ECTS კრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 55 ECTS კრედიტი |
| **საკურსო ნაშრომი** | 5 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო შრომა** | 30 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| **მაგისტრს აქვს** - ღრმა და სისტემური ცოდნა:<br>✓ საველე არქეოლოგიური კვლევის მეთოდიკასა და საქართველოს არქეოლოგიაში (ანტიკური ეპოქის და ადრებიზანტიური ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესახებ); ეგეოსური სამყაროს ისტორიასა, არქეოლოგიასა და კულტურაში; ბერძნული და რომაული სამყაროს არქეოლოგიასა და ხელოვნებაში; ბიზანტიურ ცივილიზაციაში; ანტიკური ქვეყნების ისტორიასა და ეთნოლოგიაში; ანტიკური ხანის საქართველოს საომარ ხელოვნებაში; საქართველოს სოციოკულტურულ დინამიკასა და ეთნოლოგიაში; არქეოლოგიურ წყაროებში; ანტიკური ლიტერატურის პოეტიკაში და ენათმეცნიერებაში; ძველ ბერძნულ და ლათინურ ენებში; ერთ-ერთ უცხო (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ) ენაში; ინფორმაციულ ტექნოლოგიებში; სამეცნიერო წერის საფუძვლებში.<br><br>**მაგისტრს შეუძლია** - |

- ✓ დარგის წყაროთმცოდნეობითი ბაზის და სამეცნიერო ლიტერატურის განხილვა და შეფასება სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ინტერდისციპლინარული მეთოდების მეშვეობით. სამეცნიერო ნაშრომის წერის პრინციპების და მათი გაფორმების წესების გამოყენება. ინფორმაციის კლასიფიკაცია, ფაქტების შეჯერება და არგუმენტაცია.
- ✓ საქართველოს სხვადასხვა ეპოქის არქეოლოგიური ძეგლების გამორჩევა და
- ✓ აღწერა. მათი ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილების განსაზღვრა. ასევე მათგან ცალკეული ელემენტების გამოკვეთა და შეფასება. არქეოლოგიური წყაროების სახეობების გარჩევა, მათი შემადგენლობის და დამზადების ტექნიკის განსაზღვრს, კლასიფიკაცია. ისტორიული წყაროების გამოყენება, მათი ანალიზი და შეფასება.
- ✓ ანტიკური და ბიზანტიური ცივილიზაციების გავლენის განსაზღვრა ქართული კულტურის განვითარებაზე და თავის მხრივ ქართული ცივილიზაციის როლის გააზრება ევროპის კულტურულ სივრცეში. ანტიკური ქვეყნების ისტორიის რაობის გააზრება და ისტორიული პროცესის განვითარების კანონზომიერების ფლობა.
- ✓ კლასიკური ენების და ლიტერატურის მნიშვნელობის გაცნობიერება ანტიკური და ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის განვითარებაში.
- ✓ განხილვა ანტიკური ცივილიზაციის მსოფლმხედველობრივი საფუძვლებისა და მისი განვითარების კანონზომიერებებისა. ანტიკური არქეტიპისათვის შესაბამისი ფილოლოგიური, ისტორიული და ზოგადად კულტუროლოგიური ხასიათის კომენტარების გაკეთება. სიძველეთმცოდნეობითი სამეცნიერო ტერმინოლოგიური აპარატით ოპერირება.
- ✓ მოპოვებული არქეოლოგიური მასალების კვლევისას წარმოქმნილი ამოცანების გამოკვეთა. ახალი იდეების შემუშავების გზით მის წინაშე წარმოქმნილი ცალკეული სამეცნიერო პრობლემების არსში გარკვევა და მათი გადაჭრის გზების გაცნობიერება.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

**მაგისტრს შეუძლია:**

- ✓ არქეოლოგიური ძეგლების და მასალების დამოუკიდებელი კვლევა უახლესი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით. წარმოქმნილი კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტა ინტერდისციპლინარული ცოდნისა და დარგობრივი კომპეტენციების გამოყენებით.
- ✓ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ქრონოლოგიური და კულტურული კუთვნილების განსაზღვრა. ადგილობრივი და უცხოური არტეფაქტების გამოყოფა და კლასიფიცირება, გამოკვლევა და თეორიულ ცოდნასთან დაკავშირება. რესტავრაცია-კონსერვაციის მეთოდების გამოყენება.
- ✓ ანტიკური კულტურის აქტუალურ საკითხთა გააზრება როგორც ანტიკურობასთან, ისე სხვა კულტურულ პლასტებთან მიმართებაში. ბერძენ-რომაელთა ეთნოსისადმი დამახასიათებელი ეთნიკური კულტურის ელემენტების გამოცნობა.
- ✓ სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობა - სპეციალური და მულტიდისციპლინარული სამეცნიერო ლიტერატურის კითხვა, გააზრება და კრიტიკული ათვისება. ისტორიის წყაროს აღწერა, მისი გადმოცემა ზეპირად და წერითი ფორმით. ასევე წარმოქმნილი სამეცნიერო პრობლემების გადაწყვეტის ახალი და ორიგინალური გზების ძიება.
- ✓ მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და კვალიფიკაციის საფუძველზე, კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით სტრუქტურულად გამართული საკურსო და სამაგისტრო ნაშრომის შექმნა, მათ შორის საოფისე პროგრამების მეშვეობით.
- ✓ ტექსტების, სურათების, დიაგრამის, ანიმაციის საშუალებით საპრეზენტაციო დოკუმენტების შექმნა. საოფისე პროგრამების მონაცემების ურთიერთგაცვლა და ოპერაციული სისტემების საშუალებით დოკუმენტების ორგანიზაცია და მართვა.
- ✓ ბერძნული და ლათინურენოვანი წყაროების გამოყენება - ავთენტური ტექსტების შერჩევა, თარგმნა, დამუშავება და კომენტირება. ლექსიკონებისა და მონაცემთა ბაზის გამოყენება.
- ✓ სასწავლო კურსის ფარგლებში საკვლევი საკითხის განსაზღვრა, სამეცნიერო მასალის მოძიება, სისტემატიზაცია და ანალიზი. სამუზეუმო და საარქივო ფონდებზე მუშაობა.

**დასკვნის უნარი**

**მაგისტრს შეუძლია** -შესწავლილი მასალის საფუძველზე კვლევის წარმართვა - საკვლევი პრობლემის შესაბამისი წერილობითი და ნივთიერი წყაროების მოძიებისა და მათი დამოუკიდებელი დამუშავების გზით მოპოვებული რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება. მსოფლიო არქეოლოგიური პროცესის ზოგადი გააზრება და ამ პროცესში საქართველოს არქეოლოგიური რეალობის ჩვენება.

- ✓ ანტიკური ცივილიზაციების, საქართველოს არქეოლოგიური მემკვიდრეობისა და უახლესი აღმოჩენების ლოგიკური ანალიზი. მიღებული სამეცნიერო ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის მეშვეობით საკუთარი დაკვირვებების წერილობითი თუ ზეპირი სახით ჩამოყალიბება. სამეცნიერო პრობლემათა გადაჭრის გზების მოძიება და საკუთარი გადაწყვეტილებების არგუმენტირება.
- ✓ საკამათო საკითხებზე დისკუსიისათვის თანმიმდევრული და ლოგიკური არგუმენტების მკაფიოდ ფორმულირება, განზოგადება და სინთეზირება საკუთარი კვლევის ინტერესების და მიზნების შესაბამისად.

**კომუნიკაციის უნარი**

**მაგისტრს შეუძლია** -

- ✓ მშობლიურ და უცხოურ ენაზე (უპირატესად ინგლისური) თავისი დასკვნების, არგუმენტაციის და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია დარგისა და მომიჯნავე სფეროს აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებაში სპეციალური ტერმინოლოგიის და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
- ✓ საკუთარი სამეცნიერო შეხედულებების, მოსაზრებების, დასკვნების და არგუმენტების, კვლევის შედეგების ნარატიული ფორმით გადმოცემა და ზეპირი პრეზენტაცია.
- ✓ პროფესიული საქმიანობის სფეროში სამეცნიერო დისკუსიაში და დებატებში მონაწილეობა. კამათში ეთიკური ნორმების გამოყენებით საკუთარი სამეცნიერო შეხედულებების დაცვა და არგუმენტირება.
- ✓ კვლევისათვის შესაბამისი ინფორმაციული წყაროების (მათ შორის ინტერნეტ-რესურსების) აღმოჩენა და გამოყენება სამეცნიერო და სასწავლო პროცესში. საკუთარი და სხვისი კვლევის შედეგების სწორად კომენტირება, ანოტირებას, რედაქტირება და შეფასება აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით.

**სწავლის უნარი**

**მაგისტრს შეუძლია** -

- ✓ შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების საფუძველზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა - ახალი სამეცნიერო-სასწავლო ინფორმაციის მოპოვება, შეთვისება და. ადეკვატურად გამოყენება. სამეცნიერო ბრუნვაში შემოსული ახალი სამეცნიერო მასალების გაცნობა-დამუშავება. ახალი მეთოდების შესწავლა და გამოყენება. დამოუკიდებელი მუშაობისათვის გამოყოფილი დროის სწორი მენეჯმენტის განხორციელება.
- ✓ არქეოლოგიის და მომიჯნავე სფეროებში თითოეული დისციპლინის სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება. მათ დასაუფლებლად შესაბამისი სტრატეგიის მაღალ დონეზე დაგეგმვა და შესაბამისი მეთოდოლოგიის შერჩევა.
- ✓ საკუთარი ცოდნისა და კომპეტენციების ობიექტურად შეფასება და გაანალიზება.
- ✓ სამეცნიერო ინტერესების და საკვლევი მიმართულების განსაზღვრა. კვლევითი ნაშრომის (საკურსო და სამაგისტრო) დაგეგმვა, ამოცანების განსაზღვრა და შესრულება.

**ღირებულებები**

- ✓ საკუთარი ქვეყნის ისტორიის და კულტურისადმი პატივისცემა, პატრიოტიზმი და ეროვნული სიამაყე.
- ✓ საკაცობრიო ცივილიზაციის მიღწევათა გაზიარება და ფასეულებათა სისტემის აღიარება.
- ✓ ტოლერანტული დამოკიდებულება ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური, კულტურული და პოლიტიკური უმცირესობების მიმართ.

- ✓ პროფესიული ეთიკის პატივისცემა და მის ფორმირებაში მონაწილეობა. აკადემიური პატიოსნების პრინციპების დაცვა.
- ✓ საკაცობრიო და პროფესიული ღირებულებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულებების სწორად შეფასება. საკუთარი პასუხიმგებლობის გაცნობიერება საზოგადოების წინაშე.
- ✓ არქეოლოგიასა და ანტიკურ ცივილიზაციებში შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების საფუძველზე ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

## კლასიკური ფილოლოგია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** კლასიკური ფილოლოგიის მაგისტრი

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

### პროგრამის მიზანი

**სამაგისტრო პროგრამის აქტუალობას განაპირობებს:** საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიული და კულტურული კონტაქტები როგორც ანტიკურ საბერძნეთთან და რომთან, ისე ბიზანტიასთან და თანამედროვე საბერძნეთთან; საქართველოში მნიშვნელოვანი ბერძნული დიასპორის არსებობა; ანტიკური და ბიზანტიური სამყაროს როლი და მნიშვნელობა როგორც ევროპული ცივილიზაციის, ისე ქართული კულტურის ფორმირების პროცესში, კლასიკური ფილოლოგიის როლი და ადგილი მსოფლიოს ყველა წამყვანი უნივერსიტეტის კურიკულუმში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალწლოვანი სამეცნიერო კონტაქტები კლასიკური ფილოლოგიის წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებთან და ამ ტრადიციის გაღრმავების აუცილებლობა, რადგან საქართველოში იგი ჯერჯერობით კლასიკური ფილოლოგიის შემსწავლელი ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია. კლასიკური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა მომავალში ხელს შეუწყობს: ანტიკური, კულტურული ფასეულობების შესწავლასა და ბერძნულ–რომაული ფილოლოგიის განვითარებას; ქართული ლიტერატურის, ხელოვნებისა და კულტურის სიღრმისეულ გააზრებას ანტიკურობის, ბიზანტიური და ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში; საქართველოსა და საბერძნეთს შორის უკვე არსებული ურთიერთობების, ქართულ–ბერძნული მრავალსაუკუნოვანი და მრავალმხრივი კავშირების გაღრმავებას.

სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს კლასიკური ფილოლოგიის სპეციალისტები, კლასიკური ენების, ანტიკური ლიტერატურისა და კულტურის მკვლევარები.

### პროგრამის სტრუქტურა

| | |
|---|---|
| **არჩევითი კურსები** | 30 ECTS კრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 55 ECTS კრედიტი |
| **საკურსო ნაშრომი** | 5 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო შრომა** | 30 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

### სწავლის შედეგები

**ცოდნა და გაცნობიერება**

კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტმა იცის: ანტიკური ეპოსი, ლირიკა, დრამა, პროზა ღრმად და სისტემურად; ამ ჟანრებთან დაკავშირებული სამეცნიერო პრობლემატიკა; სრულად და ფრაგმენტულად მოღწეული ნაწარმოებების შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა; ძველი ბერძნული და ლათინური ტექსტების სიმბოლიკა და სტილი; ანტიკური ეპოსის რეცეფციის ძირითადი მიმართულებები; ძველი ბერძნული და ლათინური ენების ისტორია; ფონეტიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის განვითარების ეტაპები და მათი თავისებურებები; დიალექტების თავისებურებები დ ა მათი ჩამოყალიბების ისტორია; მეტრული ლექსთწყობის თეორია, ანტიკური ლექსთწყობის სისტემა, ანტიკური და თანამედროვე ლიტერატურული კონცეფციები; ანტიკური ტრადიციულობის საფუძველი თანამედროვე მხატვრულ აზროვნებაში; ანტიკური ტრადიციის მუდმივობის ისტორიული და კულტურული მიზეზები; ანტიკურობაში გენდერული კვლევების უმთავრესი პრობლემატიკა და თეორიები; ძველი ბერძენი და რომაელი ავტორის (შერჩევით) ცხოვრებისა და შემოქმედების განვითარების ძირითადი ეტაპები და თავისებურებები; შერჩეული ნაწარმოების/ნაწარმოებების მხატვრული და კონცეპტუალური

| |
|---|
| მახასიათებლები; თანამედროვე ბერძნული და იტალიური ენების გრამატიკა, სტილისტიკა, ლექსიკა, ფრაზეოლოგია, იდიომატიკა; ლათინური და იტალიური ენების შედარებითი გრამატიკის საფუძვლები. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** |
| კურსდამთავრებულს შეუძლია - არსებული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების მოძიება ლინგვისტური, ლიტერატურათმცოდნეობითი, კომპარატისტული კვლევის მეთოდების გამოყენებით; კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება და რეფერატული ნაშრომის მომზადება კლასიკური ფილოლოგიის ამა თუ იმ დისციპლინის ცალკეულ ასპექტთა შესახებ; კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებულ კვლევით პროექტებში მონაწილეობა; ძველ ბერძნულ და ლათინურ ტექსტთა ანალიზი და ინტერპრეტაცია ანტიკური და თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიების გათვალისწინებით; ბერძნული და ლათინური პოეტური ტექსტების მეტრული თვალსაზრისით სწორი კითხვა; კლასიკური ფილოლოგიის სფეროს აქტუალური, რთული და კომპლექსური სამეცნიერო პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება; ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) სასპეციალიზაციო დარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგება და დამუშავება, ასევე სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენა (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადება შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში. |
| **დასკვნის უნარი** |
| აქვს კლასიკური ფილოლოგიის სფეროში შემავალი დისციპლინების რთული და კომპლექსური პრობლემატიკის კრიტიკული ანალიზის შედეგად ლოგიკური დასკვნებისა და არგუმენტების ჩამოყალიბების უნარი; არსებული უახლესი ინფორმაციის, შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურის (თანამედროვე ჰიპოთეზების, თეორიებისა და კონცეფციების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი; კლასიკური ფილოლოგიის სფეროში მიღებული უახლესი ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი; ძველი ბერძნული და ლათინური ენების მორფოლოგიის, სინტაქსისა და სტილისტიკის განმარტების უნარი მშობლიურ ენასთან მიმართებაში; დამოუკიდებლად, ან მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის მოპოვების უნარი როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის, ინტერნეტის გამოყენებით, ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი ინოვაციური მეთოდების გამოყენებით. მოპოვებული ან/და მიღებული ინფორმაციის კრიტიკული შეფასების, არგუმენტირებისა და სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; მრავალმხრივი ანალიზის, ფილოლოგიური და შესაბამისი ინტელექტუალური კონტექსტის გააზრების უნარი - შეუძლია სპეციფიკური პრობლემის შეჯამება ევროპულ ლიტერატურასა და კულტურასთან მიმართებაში. |
| **კომუნიკაციის უნარი** |
| სტუდენტს აქვს აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან კლასიკური ფილოლოგიის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით ქართულად და იმ უცხო ენაზე (ენებზე), რომელსაც ის ფლობს, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი მოსაზრებების, იდეების, არგუმენტებისა და დასკვნების გაზიარების მიზნით; კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული უახლესი ელექტრონული რესურსების – საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი; აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ლათინურად კომუნიკაციის უნარი; თანამედროვე ბერძნულ და იტალიურ ენებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი საშუალო სირთულის სინტაქსური კონსტრუქციებისა და ფრაზების გამოყენებით. ჯგუფური მუშაობის, დისკუსიაში მონაწილეობის, პროფესიული კამათის უნარ-ჩვევები; შეუძლია დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობა, მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა; აქვს იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებისა და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემის უნარი; პროფესიულ წრეებში ვერბალური და წერითი კომუნიკაციის კულტურა. |
| **სწავლის უნარი** |

| |
|---|
| სტუდენტს აქვს კლასიკური ფილოლოგიის სფეროში არსებული როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული პუბლიკაციების, ინტერნეტის გამოყენებით ინფორმაციის დამოუკიდებლად და ეფექტურად მოპოვების უნარი; კლასიკური ფილოლოგიის სფეროში დამოუკიდებლად სწავლისა და სამეცნიერო კვლევის გაგრძელების უნარი; სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი; საკუთარ თავზე მუშაობის და ბაკალავრიატში სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფის უნარი; სიტუაციაში ადაპტირების და სამუშაოს დაწყებამდე შესასრულებელი გეგმის შედგენის უნარი, შეუძლია პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვა, სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება და შემდგომი სწავლისათვის საჭირო პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა. აქვს განათლების შემდგომ (სადოქტორო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა; კლასიკური ფილოლოგიის სფეროში საკუთარი ცოდნის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების უნარ-ჩვევები; დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარებით, სპეციალური, ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის გაღრმავების უნარი. |
| **ღირებულებები** |
| სტუდენტს აქვს კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ღირებულებების მიმართ თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასების უნარი; კლასიკურ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის უნარი; კლასიკური ფილოლოგიის ღირებულებების საერთო ევროპული და საკაცობრიო მნიშვნელობის გაცნობიერების უნარი და მათ მიმართ პატივისცემის გრძნობა; კლასიკური და თანამედროვე ევროპული ცივილიზაციების ორგანული კავშირის შეფასების უნარი; იცის კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა; სოციალური და ეთიკური, მორალური პასუხისმგებლობის გამომუშავება; პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა; აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების დაცვა; აქვს ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკა; კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის უნარი. |

## ფილოსოფია რელიგიის კვლევები (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი არქეოლოგიაში

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| პროგრამის მიზანია ფუნდამენტური ტექსტების წაკითხვისა და ინტერპრეტაციის საფუძველზე სტუდენტს მისცეს სიღრმისეული და სისტემური ცოდნა ანტიკური და შუასაუკუნეების, ასევე თანამედროვეობის რელიგიურ - ფილოსოფიური იდეების, მიმდინარეობების და მათი წარმომადგენლების შესახებ, ფილოსოფიის და ქრისტიანული ეთიკის პრობლემურ საკითხებზე, ადამიანის ადგილსა და როლზე სამყაროში, უფლებებსა და მოვალეობებზე, გარემოს დაცვაზე, ზნეობის საყოველთაოობაზე, აუცილებლობისა და თავისუფლების აბსტრაქტულ-მეტაფიზიკურ თუ პრაქტიკულ საკითხებზე.<br>პროგრამა განავითარებს რეფლექსიის, მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების უნარს, ხელს უწყობს დიალოგს მრავლობითი საზოგადოებრივი ღირებულებების აღიარებითა და პატივისცემით. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **არჩევითი კურსები** | 30 ECTS კრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 55 ECTS კრედიტი |
| **საკურსო ნაშრომი** | 5 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო შრომა** | 30 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| **კურსდამთავრებული ავლენს ღრმა და სისტემურ ცოდნას:**<br>✓ ფილოსოფიის და ქრისტიანული ეთიკის, ფილოსოფიის ისტორიის როგორც ანტიკურ და შუასაუკუნეობრივ, ასევე თანამედროვე პრობლემების მიმართულებით<br>✓ დასავლური და აღმოსავლური ქრისტიანული ფილოსოფიური ტრადიციის ფუნდამენტური ტექსტების და მათი ინტერპრეტაციების, ასევე მათ შესახებ არსებულ სამეცნიერო თვალსაზრისების შესახებ<br>✓ ფილოსოფიური მეცნიერებების მეთოდოლოგიური პრინციპების, ეთიკურ-რელიგიური პრობლემების შესახებ |
| **უნარი** |
| ✓ ახდენს ფილოსოფიურ რეფლექსიას ფუნდამენტურ რელიგიურ, კულტურულ, მეცნიერების ეთიკურ - პოლიტიკურ საკითხებზე<br>✓ ეთიკური თვალსაზრისით განიხილავს სოციალურ მოვლენებს, უსადაგებს მათ სხვადასხვა თეორიებს, ფილოსოფიურ ცოდნას იყენებს კონტექსტების |

| |
|---|
| გასაანალიზებლად, მათ შორის გარემოს დაცვის, ადამიანის უფლებების და მოვალეობების, თავისუფლების აბსტრაქტულ-მეტაფიზიკური და პრაქტიკული საკითხების მიმართულებით<br>✓ საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს არგუმენტირებულად, გამართულად და თანმიმდევრულად, ითვალისწინებს კონტრარგუმენტებს; ავლენს ღიაობას კრიტიკისა და ოპონირებისადმი; კრიტიკულად იაზრებს, აფასებს და დიალოგს მართავს მრავლობითი საზოგადოებრივი ღირებულებების ფილოსოფიური ასპექტების გათვალისწინებით<br>✓ ფილოსოფიურ საკითხებთან მიმართებით წერილობითი, დებატებისა თუ ზეპირი ფორმით. თანამიმდევრულად და აკადემიურად აყალიბებს აზრს, ახდენს საკვლევი პრობლემატიკის იდენტიფიცირებას, მსჯელობს არგუმენტირებულად და წამოჭრის ფილოსოფიურ საკითხებს;<br>✓ ეფექტურად იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს, საბიბლიოთეკო და ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებს კვლევით საქმიანობაში. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| - პატივს სცემს აკადემიური ეთიკის სტანდარტებს, ტოლერანტულია განსხვავებული აზრის მიმართ<br>- მართავს სამუშაო დროს, შეიმუშავებს სტრატეგიულ მიდგომას კვლევასთან მიმართებით ნაშრომის მოსამზადებლად; ერთვება ჯგუფურ პროექტებში, გეგმავს საქმიანობას, ადაპტირდება არაპროგნოზირებად სამუშაო გარემოსთან<br>- ავლენს სამეცნიერო ლიტერატურის დამოუკიდებლად მოძიებისა და სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს. |

## ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## ბიზნესის ადმინისტრირება (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- ✓ **მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა** ცვალებად გარემოში მიმდინარე ბიზნეს პროცესების აღქმის, ანალიზის, სიტუაციათა შეფასების, მართებული მმართველობითი გადაწყვეტილების შემუშავებისა და გუნდში ეფექტური მუშაობით მისი განხორციელების გზების შესახებ კომპანიის საქმიანობის ეფექტური ადმინისტრირებისთვის;

**გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარები** როგორც ბიზნეს სექტორში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების, სიღრმისეული შეფასების, კრიტიკული ანალიზის და გადაწყვეტის

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები | 108 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი კომპონენტები (არჩევითი სასწავლო კურსები და/ან თავისუფალი კრედიტები) | 12 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| 1.1. განსაზღვრავს ცვალებად გარემოში მიმდინარე ბიზნეს პროცესებს და გადაწყვეტილებათა ალტერნატივების შემუშავების მეთოდებს;<br>არჩევს როგორც ბიზნესის ადმინისტრირების პროცესისთვის თანმხლები საფრთხეების იდენტიფიცირებისა და შეფასების, ისე მენეჯერული, მარკეტინგული და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანი მოლაპარაკებების წარმოებისა და კონფლიქტური სიტუაციების მართვის მეთოდებს. |
| **უნარები** |
| 2.1. აფასებს და შესაბამის დასკვნებს აყალიბებს ბიზნეს სუბიექტის მმართველობით საქმიანობაში არსებული პრობლემების შესახებ უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;<br>2.2. ახდენს ადაპტირებას ბიზნეს გარემოში მიმდინარე ცვლილებებისადმი და კომპანიის საქმიანობის დამოუკიდებლად ადმინისტრირებას ახალი სტრატეგიული მიდგომების გამოყენებით;<br>აყალიბებს და წარადგენს კვლევის შედეგების თემატურ და სრულ ანგარიშს როგორც აკადემიურ, ისე ბიზნეს სექტორში ჩართულ სუბიექტებთან. |

| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| --- |
| 1. იღებს პასუხისმგებლობას, თანამედროვე ბიზნეს გარემოში ბიზნესის მართვასთან დაკავშირებული პროცესების დამოუკიდებლად წარმართვაზე, პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დაცვით. |

## ჟურნალისტიკა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი ჟურნალისტიკაში
**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

სამაგისტრო პროგრამა ფოკუსირებულია რეგიონული ჟურნალისტიკის განვითარებაზე, რეგიონში არსებულ მედიასაშუალებებში მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე. პროგრამა განკუთვნილია ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრიატდამთავრებულთათვის. შესაბამისად, პროგრამის მიზანია ღრმად და საფუძვლიანად შეასწავლოს და გამოუმუშაოს ჟურნალისტისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, მოამზადოს როგორც მაღალკვალიფიციური ჟურნალისტი, რაც ქართულ მედიას და განსაკუთრებით იმერეთის რეგიონულ მედიას, შემატებს განათლებულ, პროფესიული ჩვევების თვალსაზრისით კარგად მომზადებულ, კონკურენტუნარიან კადრს.
შემოთავაზებულიპროგრამამ უნდა უზრუნველყოს:

- მაგისტრების მომზადება ჟურნალისტიკის სპეციალიზაციით; მათი ცოდნის გაღრმავება და გამდიდრება თანამედროვე უცხოური და ქართული ჟურნალისტიკის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების გათვალისწინებით.

მაგისტრები შეისწავლიან ჟურნალისტიკის მენეჯმენტს, თანამედროვე პოლიტიკის, ეკონომიკისა და ყოფის აქტუალურ საკითხებს, მოვლენების ანალიზის ფორმებსა და საკითხისადმი პროფესიული მიდგომის მეთოდებს.

-

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **თავისუფალი კრედიტები** | 15 ECTS კრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 105 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამის ათვისებით კურსდამთავრებული ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას ჟურნალისტიკის ძირითადი ტენდენციების შესახებ, როგორ იმუშაოს წყაროებთან და მონაცემთა ბაზებთან.<br>▪ აცნობიერებს მედიასისტემების როლს დემოკრატიზაციისა და საზოგადოების განვითარების პროცესში; მედიისა და მედიამკვლევარის როლს და მნიშვნელობას საზოგადოებაში. |
| **უნარი** |
| კურსდამთვრებულს შეუძლია:<br>• შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკულად გააზრება და დასაბუთებული დასკვნების გამოტანა; აქვს დოკუმენტებზე მუშაობის ჩვევები, რაც გამოისახება პრობლემების და ამოცანების შესატყვისი ინფორმაციის გამოყოფაში, დამუშავებასა და კლასიფიცირებაში, შენახვასა და ადეკვატურ გამოყენებაში.<br>• რესპონდენტებთან კორექტული უთიერთობების დამყარება;<br>• დისკუსიებში აქტიური მონაწილეობის მიღება;<br>• არგუმენტების დამარწმუნებლად ფორმულირება და ეფექურად გამოხატვა;<br>✓ კრიტიკული აზრის საფუძვლიანად გამოთქმა და განსხვავებული მოსაზრებების გათვალისწინება |

| პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა |
| --- |
| ▪ პროგრამის შესწავლის შედეგად მაგისტრანტს ჩამოუყალიბდება პროფესიული შეგნება და თვითშეგნება, ობიექტურობა და პრინციპულობა; პრაქტიკულ მუშაობაში მაგისტრები დაამკვიდრებენ ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა პროფესიული ჟურნალისტური სტანდარტისა და ეთიკური ნორმების დაცვა. |

## საჯარო მმართველობა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

**საჯარო მმართველობის** სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

- უზრუნველყოს სტუდენტთა მიერ საჯარო მმართველობის სხვადასხვა მიმართულების თავისებურებებისა და , თანამედროვე სახელმწიფოს განვითარების ტენდენციების ღრმად შესწავლა რაც მათ ხელს შეუწყობს ლიდერობასა და წარმატებულ მენეჯერულ საქმიანობაში.
- მოამზადოს მაღალკვალიფიციური მმართველობითი კადრები საჯარო მმართველობის სფეროსთვის, რომლებიც შეძლებენ რთულ და დინამიურად ცვალებად სოციალურ-ეკონომიკურ გარემოში მართვის ეფექტიანი სტრატეგიების განსაზღვრას და სწორი გადაწყვეტილებების მიღებას, დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად და პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვით;
- განუვითაროს სტუდენტებს თანამედროვე მენეჯერული აზროვნება და ლიდერული უნარ-ჩვევები, მულტიდისციპლინურ გარემოში ადაპტირებისა და ეფექტიანი მოქმედების/ კომუნიკაციის შესაძლებლობა, რათა შეძლოს კომპლექსური პრობლემებისათვის თავის გართმევა, როგორც დამოუკიდებლად, ასევე გუნდთან ერთად;
- ჩამოუყალიბოს კვლევის კულტურა, გაუღრმავოს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, პრობლემების ხედვის, ანალიზისა და მათი გადაჭრის ორიგინალური გზების შემუშავების შესაძლებლობა, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გაზიარებით.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები | 92 ECTS კრედიტი |
| ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები | 9 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი | 15 ECTS კრედიტი |
| თავისუფალი არჩევითი კომპონენტი | 4 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| - განსაზღვრავს თანამედროვე სახელმწიფოს განვითარების ტენდენციებს, სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებათა რეალიზაციის სხვადასხვა ასპექტებს, საჯარო მართვის განხორციელების ძირითად პრინციპებს;<br>- ხსნის ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, განხორციელების წესებს, სამართალწარმოების პრინციპებსა და თავისებურებებს;<br>- განიხილავს ქვეყნის ფინანსური სისტემის ფუნქციონირების თავისებურებებს და განსაზღვრავს სხვადასხვა დონის ბიუჯეტების ურთიერთმიმართებებსა და თვითმმართველობის რეალიზების წინააღმდეგობებს . |
| **უნარი** |
| - კომპლექსური და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, აკეთებს დასკვნებს საჯარო მმართველობის, მათ შორის სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხების გადაჭრის მიზნით და |

| |
|---|
| იყენებს  უახლეს მიდგომებსა და ტექნოლოგიებს მართვის/გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში თანამშრომელთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად.<br>- ახდენს მუდმივად ცვალებად გარემოში არსებულ გამოწვევებზე რეაგირებას და ახალ მოცემულობებზე ადაპტირებას, ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით;<br>- ახორციელებს მმართველობითი გამოწვევების სიტემატიზაციას და რეგულირების გავლენის შეფასებას, საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებით;<br>- აკავშირებს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის მნიშვნელობას ორგანიზაციის სტრატეგიულ განვითარებასთან, პროექტების მართვის პრინციპების გათვალისწინებით; |
| **პასუხისმგებლ9ობა და ავტონომიურობა** |
| - პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში იჩენს დაკისრებული მოვალეობების მიმართ პასუხისმგებლობას, პროფესიული ეთიკითა და კოლეგიალურობით, აღიარებს ადგილობრივი თვითმართველობის როლს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში, გლობალური კონტექსტის გათვალისწინებით;<br>ცნობს კველვითი საქმიანობის ყველა ფუნდამენტურ პრინციპს, იცავს აკადემიურ პატიოსნებას, გამოხატავს განსხვავებული აზრის მიმართ პატივისცემას ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის დაცვით. |

## დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა  იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:**

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს

- მისცეს და განუვითაროს დიპლომატიის, საერთაშორისო ურთიერთობების და პოლიტიკის შესახებ თეორიული, სისტემური და სიღრმისეული ცოდნა,
- შეძინოს საერთაშორისო პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებული კონცეფციების, თეორიებისა და ანალიზის მოდელების საფუძვლიანი ცოდნა და კრიტიკული აზროვნების უნარი.

შეეძლოს შესაბამის პროფესიულ თანამდებობებზე სამართლიანობის, აქტიური მოქალაქეობის, დემოკრატიული ფასეულობებისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე დაყრდნობით ლიდერული ფუნქციების შესრულება

-

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები | 105 ECTS კრედიტი |
| პროფესიული პრაქტიკა | 5 ECTS კრედიტი |
| ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები | 15 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| კურსდამთავრებული<br>• აღწერს საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების კომპლექსურ ხასიათს და მათი გავლენის შესაძლებლობებს სახელმწიფოთა ეროვნულ უსაფრთხოებასა და ინტერესებზე;<br>• აყალიბებს საერთაშორისო პოლიტიკასა და სისტემაში  აქტორებს შორის არსებული ურთიერთობების მოტივებს, მიზნებს და ურთიერთქმედების შესაძლო შედეგთა ფორმებს. |
| **უნარი** |
| • აანალიზებს საერთაშორისო ვითარებას  ეროვნულ ინტერესებთან გათვასლისწინებით და აწარმოებს ეფექტურ დიპლომატიურ მოლაპარაკებებს;<br>• ახდენს სწავლის პროცესში მიღებული ინფორმაციის შესაბამისობას, დიპლომატიურ პრაქტიკაში ან საერთაშორისო პოლიტიკაში შექმნილ გარემოებებთან, კონკრეტული პრობლემის გადაჭრისათვის.<br>• შეუძლია კვლევის დაგეგმვა და განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;<br>შეუძლია გააცნობიეროს საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული პრობლემები ეროვნული, ან კონკრეტული ინტერესის კუთხით, შეიმუშაოს ამ ინტერესის დამცველი პოზიცია, გამართოს დისკუსია ამ პოზიციის დაცვის მიზნით. |

| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| --- |
| ითვალისწინებს საერთაშორისო ურთიერთობებსა და დიპლომატიაში აღიარებული პასუხისმგებლობებსა და ეთიკურ ნორმებს. |

## სამართალი (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სამართლის მაგისტრი

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

1. შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ეროვნული და უცხოური სამართლის სფეროში მიმდინარე ცვლილებების, სხვადასხვა სამართლებრივი კულტურისა და ინსტიტუციების საქმიანობისა და იურიდიული პროფესიის ეთიკური ნორმებისა და ღირებულებების შესახებ;
2. გაუღრმაოს კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების დამოუკიდებლად იდენტიფიცირების, არგუმენტირებული გადაწყვეტილებების ჩამოყალიბების, სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის შემუშავების და საკუთარი კვლევის შედეგების წერითი და ზეპირი ფორმით გადმოცემის უნარები;
3. ჩამოუყალიბოს იურიდიული პრაქტიკის კონტექსტში პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის, სამართლიანობის ძირითადი პრინციპების დაცვის უნარი აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების გათვალისწინებით.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები | 30 ECTS კრედიტი |
| ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები | 30 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტი1 | 20 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო სამეცნიერო კვლევის კომპონენტი | 30 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| I. აღწერს საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის სფეროში ეროვნული და სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების თანამედროვე იურიდიული მეცნიერების მეთოდოლოგიურ პრინციპებს, პროცესებს და კონცეფციებს, განვითარების პერსპექტივებს; ქართული სამართლის განვითარებაზე ევროკავშირის სამართლის ეფექტურ გავლენას; შიდასახელმწიფოებრივი მოქმედი კანონმდებლობის განვითარების ტენდენციებს, ხარვეზებსა და სრულყოფის გზებს; სამოსამართლო ეთიკის სტანდარტულ წესებს და საკომუნიკაციო მეთოდებს, დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებებს; სამეცნიერო კვლევის თანამედროვე დარგობრივ მეთოდებს, დასაბუთებული პროფესიული სამეცნიერო ტექსტის შექმნის ძირითად წესებსა და პრინციპებს შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით. |
| **უნარი** |

1 სტუდენტი პროფესიული პრაქტიკა ჩაბარებულად ჩაეთვლება, თუ მუშაობს იურისტის სპეციალობით, რასაც იგი ადასტურებს სამსახურებრივი ცნობით დამსაქმებლისა და მისი უშუალო სამუშაო ფუნქციების შესახებ. აგრეთვე, თუ სტუდენტი იმყოფება სტაჟირებაზე, აღნიშნული ჩაეთვლება პრაქტიკის ობიექტად.

| |
|---|
| II. აანალიზებს სამართლის  სხვადასხვა დარგში მოქმედ შიდაეროვნულ, საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებს და სასამართლო პრაქტიკას, შედარებითი ურთიერთკავშირის საფუძველზე აფასებს იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს, არსებულ პრობლემებს, სავარაუდო შედეგებს და შეიმუშავებს საკუთარ ორიგინალურ დასკვნებს საკუთარი პროგნოზირებისადმი ნდობის შესაბამისი დონის დასადგენად ადამიანის ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლებების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.<br>III. ამოიცნობს აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას, სამართლის სფეროს უახლეს მეთოდებზე დაყრდნობით, ნორმატიული ბაზის, სასამართლო გადაწყვეტილებების, სამეცნიერო სტატიების, უცხოური სამართლებრივი რესურსების განზოგადებული ანალიზის საფუძველზე იურიდიული კვლევის ფუნდამენტური ინსტრუმენტების იდენტიფიცირებით და იურიდიული პრინციპების ეფექტურად გამოყენებით გეგმავს სამეცნიერო-კვლევით პროცესს.<br>IV. ახდენს მრავალფეროვან პროფესიულ გარემოში ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების ძირითად ტექნიკაზე დაყრდნობით, პრობლემების გადაწყვეტის, სრულიად ახალი ორიგნალური გზების, უახლესი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით ეფექტურ კომუნიკაციას ლოგიკური და ობიექტური დამაჯერობლობით, როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმით აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.<br>V. ავლენს იურიდიული კვლევებისთვის ინფორმაციის მოძიების თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენების, ბეჭდური და ონლაინ წყაროების იდენტიფიცირების  უნარს; ელექტრონული კვლევის მონაცემთა ბაზის გამოყენებით სწავლასთან დაკავშირებულ ინფორმაციის საძიებო მოთხოვნების დამოუკიდებლად წარმართვის უნარს. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| VI. პატივს სცემს პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისას სამოსამართლეო ეთიკის სტანდარტებს, სამართლიანობისა და მორალის ძირითად პრინციპებს, პროფესიულ ღირებულებებს და პასუხისმგებლობას იმოქმედოს ეთიკურად და თანმიმდევრულად მაღალი ზნეობრივი სტანდარტებით.<br>VII. აღიარებს და პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების წესებს და აკადემიური ეთიკის საკითხებს; მართავს თავის დროს ეფექტურად, ფაქტობრივი ვითარების ზუსტი შეფასებითი უფლებამოსილებით შეიმუშავებს ინდივიდუალურ მიდგომას კვლევითი ნაშრომის მოსამზადებლად და საბოლოო პროფესიული პროდუქტის შესაქმნელად.<br>VIII. ავლენს თანამედროვე სამართლებრივი ინფორმაციის ინდივიდუალურად მოძიების და სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის, პიროვნული და პროფესიული განვითარების უნარს, კომპეტენციას თანამშრომლობისა და თვითშეფასების სფეროში. |

## ეკონომიკა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ეკონომიკის მაგისტრი

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| - ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე, მოამზადოს მიკრო/მაკრო- და რეგიონულ დონეზე ეკონომიკური საქმიანობის ეფექტური წარმართვის უნარების მქონე სპეციალისტები, რომლებსაც შეეძლებათ ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირება, შეფასება და გადაწყვეტის ეფექტიანი გზების შერჩევა. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| არჩევითი სასწავლო კურსები | 16 ECTS კრედიტი |
| სავალდებულო სასწავლო კურსები/კრედიტები | 104 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| ▪ **ახსნას** წარმოქმნილი ეკონომიკური პრობლემების მიზეზები და გავლენის შედეგები;<br>▪ **შეარჩიოს** ეკონომიკურ განვითარებაზე მოქმედი საფრთხეების იდენტიფიცირების, შეფასების და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების მეთოდები;<br>▪ **განსაზღვროს** მიკრო/მაკრო- და რეგიონულ დონეზე, ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი მიმართულებები; |
| **უნარი** |
| ✓ **შეიმუშაოს**, მიკრო/მაკრო- და რეგიონულ დონეზე, ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი მიმართულები;<br>✓ **გამოარჩიოს** ეკონომიკური პრობლემების იდენტიფიცირების, შეფასების და გადაწყვეტის ეფექტიანი გზები;<br>✓ სიღრმისეული ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე, **მოახდინოს** მოვლენების/პროცესების პროგნოზირება და **გამოიტანოს** განვითარების სტრატეგიაზე შესაბამისი დასკვნები;<br>✓ არგუმენტირებული დასკვნების საფუძველზე, **ჩამოაყალიბოს** კვლევის შედეგებიდა **დაიცვას** საკუთარი პოზიციები დაინტერესებულ მხარეებთან; |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| ▪ ეკონომიკური ანალიზის პროცესში, **დაიცვას** აკადემიური კეთილსინდისიერების და პროფესიული ეთიკის ნორმები;<br>▪ მუდმივად **გაიღრმავოს** ცოდნა და **მოახდინოს** მისი ტრანსფორმირება პრაქტიკაში; |

## ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში ინგლისურენოვანი

(იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** განათლების მენეჯმენტის მაგისტრი

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

პროგრამის მიზანია - მოამზადოს მოტივიებული ლიდერები, რომლებიც უმაღლესი განათლების სისტემაში წარმატებულად დანერგავს და გაატარებს ყველა შესაძლო სიახლესა თუ ცვლილებას, რომელიც განახორციელებს ეფექტურ კომუნიკაციასა და კოლაბორაციას განათლების სისტემის ყველა რგოლთან, როგორც ადგილობრივ და რეგიონალუ, ასევე საერთაშოისო დონეზე.

პროგრამის მიაზანია ლიდერობისა და უმაღლეს განათლებაში მიმდინარე პროცესებისა და შესაბამისი ცვლილებების მართვისათვის სათანადო ცოდნისა და უნარ-ჩვევებისგამომუშავება, როგორიცაა:

- ✓ უმაღლესი განათლების სისტემის მენეჯმენტის გაუმჯობესება და ხელის შეუწყობა და ორგანიზაციული ცვლილებების მხარდაჭერა;
- ✓ გადაწყვეტილების მიღებისა და სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში მონაწილეობის მიღება;
- ✓ კვლევითი უნარების განავითარება, რასაც უშუალოდ საჭიროებს აქტიური კვლევა და სტუდენტებზე ორიენტირებული სწავლება.
- ✓ უმაღლესი განათლების სფეროსთან დაკავშირებული ეკონომიკური, პოლიტიკური, საკანონმდებლო და თეორიული საკითხების სრული ფლობა.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **არჩევითი კურსები** | 24 ECTS კრედიტი |
| **ძირითადი კურსები** | 54 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო შრომა** | 30 ECTS კრედიტი |
| **თავისუფალი კრედიტი** | 6 ECTS კრედიტი |
| **პრაქტიკა** | 6 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| ✓ ფლობს ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი ღირებულებების, პრინციპებისა და საუკეთესო პრაქტიკების მხარდასაჭერად, ეფექტური ლიდერობისა და მენეჯმენტის განმაპირობებელ ცოდნას.<br>✓ იცის უნივერსიტეტების როლი, მათი ვალდებულებანი და სარგებელი საზოგადოებასთან მიმართებაში, დანახული სხვადასხვა პერსპექტივიდან.<br>✓ ფლობს ინფორმაციას სტუდენტზე ორიენტირებულ სათანადო და ვალიდურ ლიტერატურაზე, რაც შესაბამისად ზრდის განათლების ეფექტურობას.<br>✓ იცის ხარისხის უზრუნველყოფის, პოლიტიკის განვითარების, ხელმძღვანელობასა და ცვლილებების მართვისსახელმძღვანელო პრინციპები და საუკეთესო პრაქტიკები, რომელიც ხლს შეუწყობს უმაღლესი განათლების ხარისხის ზრდას.<br>✓ მიდგომებითსახელმძღვანელო პრინციპები და კარგი პრაქტიკა ხარისხის უზრუნველყოფის, პოლიტიკის განვითარების, ხელმძღვანელობასა და მართვაში ცვლილებების მყისიერი გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების ხარისხის ზრდას. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება** |

| |
|---|
| შეუძლია:<br>✓ მიიღოს ძირითადი გამოწვევები, რომელსაც უნივერსიტეტი აწყდება პერსონალისა და სტუდენტებისხელშეწყობის პროცესში;<br>✓ უნივერსიტეტისათვის შექმნილ საჭიროებათა გადაჭრა ლოკალურითუ ეროვნული მასშტაბით, დაინტერესებული პირებისა და დამსაქმებლების შეხედულებების გათვალისწინებით;<br>✓ სტუდენტის მხარდაჭერა უმაღლესი განათლებით მიღებული ცოდნის შემდგომში ნაყოფიერად გამოყენებისათვის, კერძოდ პროფესიულ პრაქტიკისა და სწავლების გაუმჯობესებისათვის;<br>✓ მენეჯმენტის პროსესის სტანდარტიზაცია და მათი გამოყენება უნივერსიტეტის დეპარტამენტების და სხვადასხვა სამსახურების სტრატეგიული მიზნების მისაღწევად; |
| **დასკვნის გაკეთების უნარი** |
| ✓ უმთავრეს და საკვანძო მეთოდთა და მონაცეთა (ხარისხობრივი და რაოდენობრივი) გამოყენება, მათი ინტერპრეტაცია და პრეზენტაცია;<br>✓ მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და ეფექტურად წარდგინება ეთიკის პრინციპების დაცვით;<br>✓ ობიექტური კრიტიკით საკუთარი პროფესიული გამოცდილების შეფასება და თვითგანვითარების ხერხებიდ და შესაძლებლობათა იდენტიფიცირება; |
| **საკომუნიკაციო უნარები** |
| ✓ გამართული წერა,კარგი კომუნიკაციური უნარი, ანგარიშების პრეზენტაცია, ასევე სხვა დოკუმენტაციის გასაგებად და აკადემიურ დონეზე წარდგინება;<br>✓ ITტექნოლოგიების გამოყენება პროფესიული აქტივობების თვალსაჩინოებისა და ეფექტურობისათვის;<br>✓ უმაღლესი განათლების გაუმჯობესების შესაძლებლობების განსაზღვრა, რომელიც დაფუძნებული იქნება მენეჯმენტის პრინციპებისმყარ ცოდნაზე, კარგი ლედერობის, კოლეგია-ლობისა და გუნდურობის პრინციპებზე. |
| **სწავლის უნარები** |
| ✓ მონახაზთა გაკეთება, ინიცირება და პრეზენტაცია (დისერტაციის ან პროექტის შემუშავების)მოცულობითი და ავთენტური კვლევითი სამუშაოს ჩატარება უმაღლესი განათლების დარგში თანამედროვე და აქტუალურ პრობლემებზე;<br>✓ სწავლისა და კვლევის დამოუკიდებლად წარმართვა;<br>✓ თვითშეფასების უნარები. |
| **ღირებულებები** |
| ✓ პროფესიული საზოგადოების ჩამოყალიბებაში წვლილის შეტანა აქტიური პაქტიკული ჩართულობით,აზრთა და შედეგთა გაზიარება;<br>✓ სხვათა აზრის და დამოკიდებულებისადმი პატივისცემის თვისებათა გამომუშავება;<br>✓ განათლების პრობლემების ხედვა მულტიკულტურულ კონტექსტში;<br>✓ პროფესიული პატიოსნების თვისების ჩამოყალიბება. |

## პედაგოგიური ფაკულტეტი

## განათლების მეცნიერებები (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** განათლების მეცნიერებების მაგისტრი

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- მოამზადოს ქალაქისა და რეგიონის მასშტაბით განათლების სისტემის განვითარებაზე და კვლევაზე მომუშავე სამთავრობო (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რესურსცენტრები, მასწავლებელთა სახლები) და არასამთავრობო ორგანიზაციების სპეციალისტი, რომელსაც ექნება ზოგადპედაგოგიკური და სწავლება/სწავლასთან დაკავშირებული ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარ-ჩვევები მაღალი აკადემიური სტანდარტის მისაღწევად. კერძოდ, შეასწავლოს: სწავლება-სწავლის პროცესისა და სხვებისათვის ცოდნის გადაცემის თეორიები, შეფასების მეთოდები და ტექნოლოგიები, კვლევის სხვადასხვა მეთოდები, საგანმანათლებლო სივრცის საჭიროებები, ინკლუზიური და მულტიკულტურული განათლების პრინციპები, ბავშვის უფლებები, განათლების სისტემის აგების სამართლებრივ საფუძვლები, ადამიანური რესურსებთან მუშაობის პოლიტიკა და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები;

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **არჩევითი კურსები** | 20 ECTS კრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 65ECTS კრედიტი |
| **პროფესიული პრაქტიკა** | 10 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო შრომა** | 25 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| **მაგისტრი:**<br>– აღწერს სწავლება-სწავლის პროცესისა და სხვებისათვის ცოდნის გადაცემის თეორიებს, შეფასების მეთოდებს და ტექნოლოგიებს, ინკლუზიური და მულტიკულტურული განათლების პრინციპებს, განათლების სისტემის მკვლევარისათვის საჭირო პროფესიულ მახასიათებლებს, განათლების მეცნიერებებში თანამედროვე კვლევის მეთოდებს, განათლების სისტემის აგების სამართლებრივ საფუძვლებს, ბავშვთა უფლებებს, განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესებს, პრაქტიკის და კვლევის ურთიერთმიმართებებს და განაზოგადებს მათ;<br>– განაზოგადებს განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებს, ღრმა სისტემურ ცოდნაზე დაყრდნობით ქმნის ინოვაციებს და ახალ ორიგინალურ იდეებს მათ გადასაჭრელად. |
| **უნარი** |
| **მაგისტრს:**<br>▪ შეუძლია სწავლება-სწავლის პროცესში არსებული პრობლემების ახალი ორიგინალური გზების გამოყენებით ძიება-გადაწყვეტა, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა - ჩატარება, კვლევის პროცესში მიღებული შეფასებების საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება და მათი გამოყენება პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით; |

| |
|---|
| ▪ შეუძლია განათლების მაგისტრისათვის საჭირო პროფესიული და პიროვნული უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენება, ადამიანური რესურსების მუდმივი პროფესიული ზრდის ხელშეწყობა;<br>▪ შეუძლია განათლების მეცნიერებებში საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისათვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით; |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:** |
| **მაგისტრს:**<br>- შეუძლია სწავლა/სწავლების პროცესის თავისებურებების გაცნობიერება /განხორციელება, განათლების სისტემაში სასწავლო და სამუშაო გარემოს მართვა, ადაპტირება, ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით პროფესიული ცოდნის და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა.<br>- სწავლა-სწავლების პროცესში პრობლემის დამოუკიდებლად იდენტიფიცირება, დასმა და გადაწყვეტა ეთიკური ნორმების დაცვით. |

## ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

### მათემატიკა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მათემატიკის მაგისტრი

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

- მისცეს სტუდენტს მათემატიკის ღრმა და სისტემური ცოდნა;
- გამოუმუშაოს სტუდენტს მაღალი დონის პროფესიული საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევის დამოუკიდებლად წარმართვისათვის აუცილებელი უნარები.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **არჩევითი კურსები** | 10 ECTS კრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 50 ECTS კრედიტი |
| **სპეციალიზაციის არჩევითი მოდული** | 35 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო შრომა** | 25 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| 1. აქვს მნიშვნელოვანი საკითხების ღრმა სისტემური ცოდნა მოცემული სპეციალიზაციის ფარგლებში;<br>2. აქვს მათემატიკის განვითარებისა და მის დარგებს შორის ურთიერთკავშირის ასპექტების სიღრმისეული ცოდნა;<br>3. არჩეული მოდულის ფარგლებში აყალიბებს საკვანძო თეორემებს და მათი დამტკიცების ეტაპებს. |
| **უნარები** |
| ▪ იყენებს მათემატიკურ თეორიებსა და კვლევის მეთოდებს რთული და კომპლექსური ამოცანების გადასაჭრელად და ახდენს მიღებულ შედეგების დემონსტრირებას;<br>▪ დამოუკიდებლად ეცნობა და ამუშავებს არჩეული სპეციალიზაციის ფარგლებში სამეცნიერო ლიტერატურას და უახლეს კვლევებს;<br>▪ ახდენს დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის შედეგების სპეციალისტებისათვის ნათლად წარმოდგენას როგორც ზეპირად, ისე წერილობით;<br>▪ ადგენს მისი სპეციალიზაციის სფეროში მეცნიერების, ტექნიკის და სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი ამოცანების მათემატიკურ მოდელებს. ახდენს მათი მათემატიკური მხარის გააზრებას და მიღებული მათემატიკური შედეგების ანალიზს. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| 1. საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელება;<br>2. აქვს პროფესიულ საქმიანობაში საკუთარი შესაძლებლობების ობიექტურად შეფასების და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით წვლილის შეტანის უნარი. |

## გეოგრაფია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი გეოგრაფიაში

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

გეოგრაფიის სამაგისტრო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს

- მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა გეოგრაფიულ გარსში მიმდინარე დინამიური პროცესების კანონონზომიერებების, გეოგრაფიის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავებისა და გამოყენების შესახებ;
- გამოუმუშაოს გეოგრაფიული გარემოს სისტემური აღქმისა და მიმდინარე მოვლენათა ანალიზის უნარი მდგრადი განვითარების (შენარჩუნების, აღდგენისა და კვლავწარმოების) კუთხით, როგორც ადგილობრივ, ისე რეგიონულ დონეზე;

გამოუმუშაოს საველე და კვლევითი სამუშაოების ჩატარების, მიღებული მასალების ანალიზის, დამუშავების და გამოსახვის პრაქტიკული უნარები გეოინფორმაციული სისტემების გამოყენებით;

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები | 105 ECTS კრედიტი |
| ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები | 15 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| ○ განსაზღვრავს ბუნებრივი გარემოს ევოლუციის, მდგრადი განვითარების, ბუნებრივი რისკების და სტიქიური პროცესების მართვის საკითხებს;<br>○ აანალიზებს ქვეყანასა და რეგიონში არსებული ბუნებრივი პირობებისა და რესურსების რაციონალური გამოყენების მნიშვნელობას;<br>▪ კრიტიკულად იაზრებს გარემოზე საზოგადოების ზემოქმედების შედეგად წარმოქმნილ გეოეკოლოგიურ პროცესებს და ახდენს პრობლემების იდენტიფიცირებას; |
| **უნარები** |
| ○ თანამედროვე და საველე მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად იკვლევს გეოგრაფიულ პრობლემებს და წარადგენს მიღებულ შედეგებს, როგორც აკადემიური, ასევე სხვა დაინტერესებული აუდიტორიის წინაშე;<br>○ ახდენს გეოინფორმაციული სისტემების გამოყენებით, სხვადასხვა სახის კარტოგრაფიული გამოსახულებების შექმნას და ანალიზს;<br>○ ახდენს გეოგრაფიული კვლევების და გარემოს მდგრადი განვითარების კრიტიკულ შეფასებას და მის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებას. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |

9.1. იღებს პასუხისმგებლობას გეოგრაფიული გარემოს მართვასთან დაკავშირებული პროცესების დამოუკიდებლად ან გუნდურად წარმართვაზე პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით;

9.2. ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას კეთილსინდისიერებისა და პასუხიმგებლობის პრინციპების დაცვით.

## ბიოლოგია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიოლოგიის მაგისტრი**
**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

პროგრამის მიზანია ბიოლოგიის მაგისტრს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ბიოლოგიაში სავალდებულო და კონცენტრაციების შემადგენელი სასწავლო კურსებით. კერძოდ,

- მომავალ სპეციალისტებს განუვითაროს სამეცნიერო კვლევის მიმართულებების პრიორიტეტების დასახვისა და შეფასების უნარი, წაახალისოს და წინ წამოსწიოს ორგანიზატორული მუშაობისა და კვლევისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარები;
- მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ პროფესიული უნარ–ჩვევების ფართო სპექტრი, მათ შორის: რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გაკეთების, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის, თავისი დასკვნებისა და არგუმენტაციის შესახებ აკადემიურ, პროფესიულ საზოგადოებაში, ასევე არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარები.
- კონცენტრაციის „უჯრედის ბიოლოგია“ მიზანია მაგისტრანტს მისცეს ფუნდამენტური ცოდნა ცოცხალი სისტემის ელემენტარული მორფოლოგიური ერთეულის – უჯრედის შესახებ და მოამზადოს მკვლევარი მორფოლოგი, რომელსაც შეეძლება კვლევების წარმოება როგორც უჯრედის, ასევე ქსოვილების დონეზე და თანამედროვე მიკროსკოპული ტექნიკის გამოყენებით ციტოლოგიური და ჰისტოლოგიური პრეპარატების დამზადება, აღწერა და დიაგნოსტირება;
- კონცენტრაციის „ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია” მიზანია მაგისტრანტებს მისცეს ფუნდამენტური ცოდნა ნერვული სისტემის სტრუქტურულ–ფუნქციური ორგანიზაციის, ნერვულ სისტემაში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების და უმაღლესი ნერვული მოქმედებების ნეიროფიზიოლოგიური საფუძვლების შესახებ.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **არჩევითი კურსები** | 35 ECTS კრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 55 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო შრომა** | 30 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| • ახდენს თანამედროვე ბიოლოგიის ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას.<br>• განიხილავს ბიოლოგიაში არსებულ თეორიებს<br>• აღწერს სტატისტიკური კვლევის მეთოდებს  და მათი გამოყენების გზებს ბიოლოგიაში.<br><br>**კონცენტრაცია - უჯრედის ბიოლოგია**<br>• საუბრობს უჯრედის სტრუქტურული და ფუნქციური ორგანიზაციის შესახებ;<br>• აღწერს ორგანოებისა და ორგანოთა სისტემების აგებულებას უჯრედებისა და ქსოვილების დონეზე, განიხილავს მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის უჯრედულ საფუძვლებს.<br>• აღწერს კვლევის დაგეგმვის და განხორციელების მეთოდოლოგიას უჯრედის ბიოლოგიაში.<br><br>**კონცენტრაცია -ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია**<br>• აღწერს ნერვული სისტემის სტრუქტურულ–ფუნქციურ ორგანიზაციას;<br>• განიხილავს ნერვულ სისტემაში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების და უმაღლესი ნერვული მოქმედებების ნეიროფიზიოლოგიურ საფუძვლებს.<br>• აღწერს კვლევის დაგეგმვის და განხორციელების მეთოდოლოგიას ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიაში. |

| |
|---|
| **უნარი** |
| • დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;<br>• განსაზღვრავს ბიოლოგიურ პროცესებს და ქმნის სამუშაო მოდელს, განსხვავებულ სიტუაციაში წამოჭრილი პრობლემების სწორად შეფასებისა და გადაჭრისთვის.<br>• აგროვებს მონაცემებს ბიოლოგიაში სამეცნიერო სიახლეების შესახებ, მათი კრიტიკული ანალიზის საფუძველზე აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს და წარუდგენს აკადემიურ და/ან პროფესიულ საზოგადოებას, არასპეციალისტებს განხილვისთვის.<br><br>**კონცენტრაცია - უჯრედის ბიოლოგია**<br>• ახდენს თანამედროვე მიკროსკოპული ტექნიკის გამოყენებით ციტოლოგიური და ჰისტოლოგიური პრეპარატების დამზადებას, აღწერას და დიაგნოსტირებას;<br><br>**კონცენტრაცია -ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია**<br>• გეგმავს და ახორციელებს ფიზიოლოგიური მეთოდების გამოყენებით ცდებს და აკვირდება საკვლევ ობიექტში მიმდინარე ფიზიოლოგიურ პროცესებს. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| ▪ იცავს უსაფრთხოების წესებს ლაბორატორიაში ხსნარებთან, აღჭურვილობასთან და კვლევის ობიექტთან მუშაობის დროს.<br>▪ აჩვენებს პროფესიულ პასუხისმგებლობას ეთიკის ნორმების დაცვსთან მიმართებაში. |

## გამოყენებითი ბიომეცნიერებები ბიოტექნოლოგია

(იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** გამოყენებითი ბიომეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის მაგისტრი

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| ✓ მაგისტრანტებს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა გამოყენებითი ბიომეცნიერებების, როგორც ფუნდამენტურ დისციპლინებში: ბიოტექნოლოგიის მიღწევები, ჯენომიკსი, მიკრობული ტექნოლოგიები, ტოქსიკოლოგიის მიღწევები, ბიოუსაფრთხოების პრინციპები, ბიოტექნოლოგიის საკანონმდებლო, ეთიკური და კომერციული ასპექტები, ასევე სპეციალური ცოდნა ჯანდაცვის, გარემოს დაცვისა და კვების ბიოტექნოლოგიის მიმართულებით.<br>✓ განავითაროს მაგისტრანტის პრაქტიკული უნარ-ჩვევები ბიოტექნოლოგიისა და გამოყენებითი ბიომეცნიერებების თანამედროვე მიმართულებების ფარგლებში, რომლებიც დაეხმარება მათ გამოიყენონ მიღებული ცოდნა პრაქტიკაში; იმოქმედონ ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში;<br>✓ განუვითაროს მომავალ სპეციალისტს სამეცნიერო კვლევის მიმართულებების პრიორიტეტების დასახვისა და შეფასების უნარი; წაახალისოს და წინ წამოსწიოს ორგანიზატორული მუშაობისა და კვლევისადმი შემოქმედებითი მიდგომის უნარები. ხელი შეუწყოს მაგისტრანტების მჭიდრო კავშირს ინდუსტრიასთან – დასაქმებაზე ორიენტირებული საწარმოო პრაქტიკის შემოღების გზით;<br>✓ მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ პროფესიული უნარ-ჩვევების ფართო სპექტრი, მათ შორის: რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების გაკეთების უნარი, რომელშიც განისაზღვრება ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობები; უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი; თავისი დასკვნებისა და არგუმენტაციის შესახებ აკადემიურ, პროფესიულ საზოგადოებაში, ასევე არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი; მათ შორის უცხოურ ენაზე თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი, დარგის თავისებურებების გათვალისწინებით. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **არჩევითი კურსები** | 15 ECTSკრედიტი |
| კონცენტრაციის სავალდებულო კურსები, | 15 ECTSკრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 60 ECTSკრედიტი |
| **სამაგისტრო შრომა** | 30 ECTSკრედიტი |
| სულ | 120 ECTSკრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:<br>▪ ახდენს ბიომეცნიერებების გამოყენებით დისციპლინებში: კვლევის დაგეგმა და მეთოდოლოგია; ინტელექტუალური საკუთრება, ბიოტექნოლოგიის საკანონმდებლო, ეთიკური და კომერციული ასპექტები მიღებული ცოდნის დემონსტრირებას.<br>▪ ახდენს გამოყენებითი ბიომეცნიერებების ფუნდამენტური დისციპლინების: ჯენომიკსი; ბიოტექნოლოგიის მიღწევები; გამოყენებითი ტოქსიკოლოგია; მიკრობული ტექნოლოგიები; ბიოუსაფრთხოების პრინციპები ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას.<br>**კონცენტრაცია - ჯანდაცვის ბიოტექნოლოგია**<br>განიხილავს ჯანდაცვის ბიოტექნოლოგიის ძირითად საკითხებს სამედიცინო მიკრობიოლოგიის, კლინიკური ფიზიოლოგიისა და იმუნოლოგიის მიმართულებით |

**კონცენტრაცია - გარემოს დაცვის ბიოტექნოლოგია**
განიხილავს ბიოტექნოლოგიების გამოყენებით გლობალური ეკოლოგიური, გარემოს დაცვისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზებს.

**კონცენტრაცია - კვების ბიოტექნოლოგია**

- განიხილავს საკვები პროდუქტების ქიმიურ შედგენილობას, მის წარმოებასა და გაფუჭებაში მონაწილე მიკროორგანიზმებს და სურსათის უსაფრთხოების საკითხებს.

**უნარი**

კურსდამთავრებულს შეუძლია

- გამოყენებით ბიომეცნიერებებში მიღებული ცოდნის საფუძველზე ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში პრობლემის იდენტიფიკაცია და მისი გადაწყვეტის გზების განსაზღვრა.
- კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის საქმიანობის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციებისა და ინსტრუქციების მიხედვით.
- სამაგისტრო ნაშრომის ექსპერიმენტული ნაწილის დაგეგმვა და განხორციელება, დაწერა, გაფორმება და წარდგენა.
- ბიოტექნოლოგიებში ინფორმაციის შეგროვება, მონაცემების კრიტიკული ანალიზი, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება და მიწოდება აუდიტორიისათვის.

**კონცენტრაცია - ჯანდაცვის ბიოტექნოლოგია**
სამედიცინო მიკრობიოლოგიაში, კლინიკურ ფიზიოლოგიასა და იმუნოლოგიაში გამოყენებადი ტექნოლოგიების და კვლევის მეთოდების ფლობის უნარის დემონსტრირება.

**კონცენტრაცია - გარემოს დაცვის ბიოტექნოლოგია**
გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტის ეფექტური და ეკოლოგიურად გამართლებული ბიოტექნოლოგიური მეთოდების შერჩევა და გამოყენება.

**კონცენტრაცია - კვების ბიოტექნოლოგია**
საკვები პროდუქტების შემადგენლობის, ვარგისიანობის, უსაფრთხოებისა და ხარისხის შემოწმება სტანდარტული ტექნოლოგიების გამოყენებით.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

- იღებს პასუხისმგებლობას თავის ქმედებებზე, იცავს პროფესიულ და ეთიკის სტანდარტებს.

## კომპიუტერული მეცნიერებები (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

- მოამზადოს მაღალკვალიფიციური პროფესიონალები, რომელთაც ექნებათ უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის შესაბამისი განათლება კომპიუტერული მეცნიერების სფეროში, რის საფუძველზეც ისინი შეძლებენ განახორციელონ სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობა.
- განუვითაროს კურსდამთავრებულებს პროფესიული და ტრანსფერული უნარები, რის საფუძველზეც ისინი იქნებიან მაღალკონკურენტუნარიანნი დასაქმების ბაზარზე როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.
- მისცეს კურსდამთავრებულს თანამედროვე და სიღრმისეული ცოდნა, რითაც ისინი შეძლებენ შეეჭიდონ, გაანალიზონ და ადეკვატურად უპასუხონ დარგის თანამედროვე გამოწვევებს.
- გამოუმუშაოს კურსდამთავრებულებს ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის უნარები, რის შედეგადაც საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებით შეძლებენ წვლილი შეიტანონ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **არჩევითი კურსები** | 20 ECTS კრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 70 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო შრომა** | 30 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| **პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული**<br>✓ განსაზღვრავს კომპიუტერული მეცნიერების ძირითად კონცეფციებს, პროექტებსა და ამოცანებს და აფასებს მათი განვითარების ძირითად ტენდენციებს.<br>✓ ჩამოთვლის მონაცემთა სტანდარტულ სტრუქტურებს და ირჩევს ინფორმაციის დამუშავების ფუნდამენტურ მეთოდებს.<br>✓ გამოყოფს ალგორითმების კომპიუტერზე რეალიზაციის თანამედროვე პროგრამულ საშუალებებსა და ხსნის მათ შესაძლებლობებს.<br>✓ აღწერს მონაცემთა ბაზების კონსტრუირებისა და ინტელექტუალური სისტემების აგების ძირითად პრინციპებს. |
| **უნარი** |
| **პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული**<br>– ეფექტურად ახორციელებს კომპიუტერული მეცნიერების სფეროსთან დაკავშირებულ სამეცნიერო, თეორიულ და პრაქტიკულ კვლევებს.<br>– შეიმუშავებს რთული და კომპლექსური ამოცანების გადაწყვეტის ეფექტურ ალგორითმებსა და პროგრამებს, ახდენს მათ რეალიზაციასა და მიღებული შედეგების პროფესიულ ანალიზს. |

| |
|---|
| – აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.<br>– ახდენს კვლევის შედეგების წარდგენას სამეცნიერო საზოგადოების წინაშე აკადემიური ეთიკის ნორმების გათვალისწინებით. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| **პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:**<br><br>– იღებს პროფესიულ პასუხისმგებლობას ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და წარმატებით ახორციელებეს მათ;<br>– კრიტიკულად აფასებს საკუთარ ცოდნას, გეგმავს საკუთარ სწავლას და ვითარდება სწრაფი ტემპით მზარდი კომპიუტერული ტექნოლოგიების კვალდაკვალ;<br>– იღებს გადაწყვეტილებებს კომპიუტერული ტექნოლოგიების იურიდიული, ეთიკური და უსაფრთხოების პრინციპების საფუძველზე. |

## მედიცინის ფაკულტეტი

### ფარმაცია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ფარმაციის მაგისტრი

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

სამაგისტრო პროგრამის ძირითადი მიზანია მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე, კონკურენტუნარიანი ფარმაციის მაგისტრი, რომელსაც ექნება როგორც ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინების ღრმა და სისტემური ცოდნა, ასევე ფარმაცევტულ სექტორში პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის საჭირო უნარებიც:

1. მრავალკომპონენტიანი სამკურნალო პრეპარატების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზის ჩასატარებლად (წამლის ვარგისიანობის დადასტურების მიზნით);
2. აფთიაქის პირობებში, წამლების დასამზადებლად;
3. მზა წამალთფორმების სერიული წარმოებისათვის;
4. ფარმაკოლოგიური საშუალებების ან ფარმაკოთერაპიული სქემების ეფექტურობის შესაფასებლად (კონკრეტულ დაავადებასთან მიმართებაში);
5. კლინიკურ კონტექსტში მოსახლეობის მხარდასაჭერად, განსაკუთრებით, პანდემიების, ეთნიკური კონფლიქტების და სტიქიური უბედურებების დროს;
6. წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის ხარისხის კონტროლის სახელმწიფო სისტემების და ფარმაკოზედამხედველობის სამსახურის „სასიცოცხლო“ ფუნქციების შესაფასებლად;
7. სააფთიაქო ნარკომანიისა და ტოქსიკომანიის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გასატარებლად;
8. ძლიერი კონკურენციის პირობებშიც კი, დამოუკიდებლად, საკუთარი ფარმაცევტული ბიზნესის დასაწყებად და განსავითარებლად;
9. ავტორიზებული აფთიაქის და ფარმაცევტული პროფილის ნებისმიერი დაწესებულების მართვა/ხელმძღვანელობისათვის;

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **არჩევითი კურსები** | 5 ECTS კრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 115 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| პროგრამის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობირება** |
| 1. ფუნდამენტური ფარმაცევტული დისციპლინების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირება;<br>2. ფარმაცევტული საქმიანობის ხარისხის კონტროლის სახელმწიფო სისტემების, ფარმაცევტული დაწესებულებების ფუნქცია-მოვალეობების და სახელმწიფოს მხრიდან, ფარმაცევტული პროფილის დაწესებულებებზე, უწყვეტ რეჟიმში, მკაცრი ფარმაკოზედამხედველობის მნიშვნელობის გააზრება (მოსახლეობის ეფექტური და უსაფრთხო ფარმაცევტული პროდუქციით უზრუნველყოფის მიზნით). |
| **უნარები** |

- კვალიფიციური ფარმაცევტული დახმარების ორგანიზება და კლინიკურ კონტექსტში მოსახლეობის მხარდაჭერა ძირითადი ვექტორით ,,პაციენტი ფოკუსში" (ფარმაკოლოგიაში, კლინიკურ და სოციალურ ფარმაციაში უახლესი მიღწევების გათვალისწინებით);
- ექიმის მიერ დანიშნული ფარმაკოლოგიური საშუალებების მოქმედების დიაპაზონის განსაზღვრა; მათი გვერდითი ეფექტების პროგნოზირება; ფარმაკოთერაპიული სქემების ეფექტურობის შეფასება; გართულებების ნიველირება/თავიდან აცილება; თავსებადობის გათვალისწინება (მედიკამენტების კომბინირებისას) და მეცნიერულად საკუთარი პოზიციის დასაბუთება;
- განახორციელოს მრავალკომპონენტიანი სამკურნალო პრეპარატების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი (წამალთა ანალიზის ფიზიკურ-ქიმიური მეთოდების გამოყენებით); მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ნედლეულის სტანდარტიზაცია და ფარმაკოგნოსტული ანალიზი;
- როგორც მყარი და რბილი წამლის ფორმების, ასევე ასეპტიკურ პირობებში, სტერილური, საინექციო (საინფუზიო) ხსნარების დამზადება (შესაბამისი გამოთვლების და ტექნოლოგიური სტადიების თანმიმდევრობის დაცვით) და მომზადებული წამლის ფორმების კეთილხარისხოვნების შემოწმება (შიგა სააფთიაქო კონტროლი);
- „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტის შესაბამისად, აფთიაქში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული შხამების, ნარკოტიკული საშუალებების, ძლიერმოქმედი ნივთიერებებისა და პრეპარატების შეძენა, აღრიცხვა, შენახვა, მომზადება, გაცემა და რეალიზაცია;
- ფარმაციის სფეროში კვლევის დაგეგმვა, განხორციელება, აკადემიურ დონეზე ანგარიშის წარდგენა როგორც მშობლიურ, ასევე ერთ-ერთ უცხო ენაზე ლაბორატორიული დაკვირვებებისა და გაზომვების შედეგების სწორი ინტერპრეტაციით;

2. მოახდინოს ფარმაცევტული დაწესებულების მენეჯმენტის ობიექტური შეფასება და იმსჯელოს მარკეტინგული საქმიანობის სტრატეგიაზე; საფუძველი ჩაუყაროს და დამოუკიდებლად მართოს საკუთარი ფარმაცევტული ბიზნესი (მაგ., ავტორიზებული აფთიაქი, ფარმაცევტული პროფილის საწარმო), კანონით განსაზღვრული რეგულაციების სრული დაცვით.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

3.1 ჯეროვნად გაიაზროს ის მაღალი პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება მას ფარმაცევტულ სექტორში პროფესიული საქმიანობის დროს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება შხამების, ძლიერმოქმედი მედიკამენტების, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ანალგეზიური სამკურნალო საშუალებების აღრიცხვას, დოზების შემოწმებას და გაცემას;

3.2 დამოუკიდებლად, ფარმაციის სფეროში მიმდინარე პროცესების შესწავლა, სასწავლო პროცესის ორგანიზება, ცოდნის გაღრმავება და კოლეგების - ფარმაცევტების პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება.

## ბიოსამედიცინო ინჟინერია (იხ. სასწავლო გეგმა)

(აწსუ; თსსუ; სტუ)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:**

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

ბიოსამედიცინო ინჟინერია ჩვენი საუკუნის მეცნიერების განსაკუთრებულად მზარდი მულტიდისციპლინარული დარგია, რომელიც აერთიანებს ინჟინერიის, ბიოლოგიის, მედიცინისა და კომპიუტერული მეცნიერებების ცოდნას და მიმართული არა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფაზე, განსაზღვრავს მაღალი დონის სამედიცინო მომსახურების მიწოდებას. პროექტის - BME-ENA Biomedical Engineering Education Tempus Initiative in Easten Neighboring Area (Project number: 543904-TEMPUS-1-2013-1-GR-TEMPUS-JPCR) მიზანი იყო სწორედ ბიოსამედიცინო ინჟინერიის სპეციალობით პრაქტიკოსების მომზადების არეალის გაფართოება ევროპიდან აღმოსავლეთით, რისთვისაც პროექტის ფარგლებში დაიგეგმა ისეთი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის იმპლემენტაცია, რომელიც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს წარმატებული და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას, აღნიშნულიდან გამომდინარე ეჭვს არ იწვევს სამედიცინო და ტექნიკური მიმართულებების უნივერსიტეტების მიერ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ასეთი ოპტიმალური მოდელის მიზანშეწონილობა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობს სიცოცხლის მეცნიერებათა შესწავლის მრავალწლიანი გამოცდილება, ხოლო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ბიოსამედიცინო ინჟინერიის მიმართულებით სპეციალისტების მომზადება მიმდინარეობს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე. ეს მრავალწლიანი გამოცდილება გამოყენებულ იქნა ახალი სამაგისტრო პროგრამის შექმნისა და განხორციელებისათვის. ერთობლივი პროგრამა არის კომპლექსური და მასში რეალიზებულია პარტნიორების კოორდინირებული აქტივობა.

პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებსაც ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ექნებათ ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესებისა და შესაბამისი ცვლილებების მართვისათვის სათანადო ცოდნა და უნარ-ჩვევები, შეძლებენ სამედიცინო პროფილის დაწესებულებებში სამედიცინო აპარატურის და სისტემების მუშაობის მართვას, ბიოსამედიცინო სფეროში მენეჯმენტის გაუმჯობესებასა და ხელის შეწყობას, ორგანიზაციული ცვლილებების მხარდაჭერას; სამაგისტრო პროგრამა ხელს შეუწყობს აქტიური კვლევისა და სტუდენტებზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების გამოყენებითკვლევითი უნარების განვითარებას. პროგრამა მაგისტრანტს საშუალებას აძლევს ინტერდისციპლინარული განათლება გამოიყენოს ბიოსამედიცინო პრობლემების გადასაწყვეტად, რაც საფუძველს ქმნის მათი, როგორც ბიოსამედიცინო ინჟინრების, კარიერული ზრდისათვის, უზრუნველყოფს დარგობრივი ცოდნის მიღებას იმ ხარისხით, რაც აუცილებელია ინჟინერ-მკვლევარის ჩამოყალიბებისთვის.

აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები ექიმებთან თანამშრომლობით მიიღებენ მონაწილეობას საავადმყოფოების სამედიცინო ტექნიკით აღჭურვის პროცესში და შეძლებენ რთული სამედიცინო აპარატურის და სისტემების მუშაობის უზრუნველყოფას კლინიკებსა და სხვა სამედიცინო პროფილის დაწესებულებებში.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **არჩევითი კურსები** | 5 ECTS კრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 115 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| პროგრამის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობირება** |
| კურსდამთავრებულს აქვს ღრმა, სისტემური, კვლევაზე დაფუძნებული ცოდნა:<br>-ჩატარებული კვლევების შესაბამისად ინჟინერიის, ფიზიკის ან შესაბამისად ბიოსამედიცინო მეცნიერებების სფეროში;<br>- აქვს ბიოსამედიცინო ინჟინერიის დარგის პროგრამით გათვალისწინებული თეორიისა და პრინციპების, სპეციფიკური მეთოდების/საკითხების უახლესი ცოდნა, რომელთა ძირითადი ნაწილი ასახავს კვლევაზე ან/და პროფესიულ პრაქტიკაზე დაფუძნებულ გამოცდილებას.<br>- იგი ფლობს ინფორმაციას ჯანდაცვის სფეროში ახალი სადიაგნოსტიკოდასამკურნალოტექნოლოგიების თანამედროვე მიღწევების შესახებ, პაციენტების მონიტორინგის და ჯანდაცვის მართვის პროცესში საინფორმაციო და კომუნიკაციური ტექნოლოგიების როლის შესახებ.<br>კურსდამთავრებული აცნობიერებს ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედ ღირებულებებსა და პრინციპებს, ბიოსამედიცინო ინჟინერიის დარგში კვალიფიცირებული სპეციალისტის ჩამოყალიბების განმაპირობებელ ფაქტორებს.<br>კურსდამთავრებული ფლობს ინფორმაციას ბიოსამედიცინო სფეროშიეთიკურინორმებისა და კვლევის პრინციპების შესახებ. |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** |
| სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:<br>- ახალ, მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენება სამედიცინო მრეწველობის, სამკურნალო/სადიაგნოსტიკო დაწესებულებების, ლაბორატორიებისა და აპარატურის მომსახურებისა და ადმინისტრირების სფეროში.<br>- მიიღოს ახალი გამოწვევები თანამედროვე ბიოსამედიცინო ინჟინერიის სფეროში.<br>- კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების ძიება.<br>- დამოუკიდებლად განახორციელებს კვლევას უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.<br>- მონაწილეობის მიღებას თანამედროვე სამედიცინო თერაპიული და სადიაგნოსტიკო აპარატურის მომსახურების, კვლევითი და პრაქტიკული პროექტების განხორციელებაში;<br>- კონკრეტული ტიპის სამკურნალო/სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტულ პროცედურებთან დაკავშირებული რისკების შეფასებას პაციენტის ინდივიდუალური მეტაბოლური და კონსტიტუციური თავისებურებების გათვალისწინებით.<br>- სამედიცინო პროცედურებთან დაკავშირებულ „სარგებელი-რისკის“ პრინციპების გაანალიზებას და პროცედურის „მიზანშეწონილობის“ შეფასებისას სხვადასხვა საერთაშორისო თუ ეროვნული „გაიდლაინების“ გამოყენებას.<br>- მარტივ, საყოფაცხოვრებო დონეზე პაციენტისათვის ინფორმაციის მიწოდებას სამედიცინო პროცედურასთან დაკავშირებული სარგებლისა და რისკის შესახებ.<br>- აქვს უნარი გამოიყენოს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები და გამოთვლითი ინსტრუმენტარიები ტექნიკური მიზნით. შეუძლია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; შეუძლია მოქმედება ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლი- ნურ გარემოში. |
| **დასკვნის უნარი** |
| სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:<br>- უახლესი კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ჩამოაყალიბოს დასაბუთებული დასკვნები ეთიკური და სოციალური პასუხისმგებლობების გათვალისწინებით.<br>- უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციურიანალიზი. |

- სხვადასხვა გაიდლაინებითა და ნორმატიული დოკუმენტებით ოპერირება; მრავალმხრივი განათლების გამოყენება გლობალურ და სოციალურ ასპექტში ტექნიკური გადაწყვეტილებების მისაღებად, მონაცემების და/ან სიტუაციების ანალიზისტანდარტების მიხედვით, განსხვავებული მეთოდებით მიღებული შედეგების საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების გაკეთება.

**კომუნიკაციის უნარი**

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:

- თავისი დასკვნებისა და არგუმენტაციის გარშემო კომუნიკაცია აკადემიურ, პროფესიულ საზოგადოებაში, სხვადასხვა პროფილისა და კომპეტენციის დონის სამედიცინო და დამხმარე პერსონალთან, ასევე არასპეციალისტებთან, მათ შორის უცხოურ ენაზე;

– სხვადასხვა დოკუმენტაციის წერილობით გასაგებად და გამართულად მომზადება, აკადემიურ დონეზე ანგარიშების პრეზენტაცია;

- დარგის თავისებურებების გათვალისწინებით პროფესიული აქტივობების თვალსაჩინოებისა და ეფექტური წარდგენის მიზნით თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითი გამოყენება.

**სწავლის უნარი**

- კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი პროფესიული გამოცდილების ობიექტური შეფასება და თვითგანვითარების აუცილებლობისა და შესაძლებლობის იდენტიფიცირება, სპეციალიზირებული სამეცნიერო პერიოდიკის კრიტიკული ანალიზის გზით საკუთარი ცოდნისა და უნარების ობიექტური შეფასებას;
- შეუძლია მუდმივად განაახლოს და შეავსოს ცოდნა ახალი გაუმჯობესებული ტექნოლოგიების, მათი შესაძლებლობების და ექსპლუატაციის წესების შესახებ.
- აცნობიერებს თავისი პროფესიული დონის პერმანენტული სრულყოფის აუცილებლობას და შეუძლია დამოუკიდებლად სწავლის დაგეგმვა და განხორციელება.
- დამოუკიდებლად წარმართავს სწავლისა და კვლევის პროცესს; ანალიზებს და აცნობიერებს ბიოსამედიცინო ინჟინერიის სფეროში სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნული, საექსპერტო და „პროფესიული“ ორგანიზაციების ინტერნეტ-რესურსების ინფორმაციებს.

**ღირებულებები**

– სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ ბიოსამედიცინო ინჟინერიის მაგისტრი, შეიძენს რა დარგის საბაზისო ღირებულებების პრაქტიკაში რეალიზაციისათვის აუცილებელ ახალ ცოდნასა და პროფესიულ უნარებს, შეაფასებს თავის და სხვების დამოკიდებულებას ღირებულებებისადმი და შემლებს წვლილის შეტანას პროფესიული საზოგადოების ჩამოყალიბებაში, ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში აქტიური პრაქტიკული ჩართულობითა და აზრთა გაზიარებით;

– ფლობს სხვათა აზრისა და დამოკიდებულებისადმი პატივისცემის უნარს;

- უყალიბდება ჯანდაცვისა და ბიოსამედიცინო ინჟინერიის პრობლემების თანამედროვე ხედვა; პროფესიული პატიოსნების დამახასიათებელი თვისებები.

## საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის მაგისტრი

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:**

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| სამაგისტრო პროგრამის მიზანია:<br>1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ასევე ჯანდაცვის პოლიტიკის დარგში თეორიული ცოდნის, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომლის პროფესიული საქმიანობა ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ეფექტურობის და ეფექტიანობის გაზრდას მოსახლეობის სპეციფიურ ჯგუფებსა და/ან მთლიანად მოსახლეობის ჯანმრთე-ლობის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანით.<br>2. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვადასხვა რგოლში ეფექტურად მომუშავე მაგისტრის ხარისხის მქონე პროფესიონალის მომზადება, რომელიც შეძლებს კომპეტენტურად შეიმუშაოს, დაგეგმოს და განახორციელოს პრევენციული და ჯანმრთელობის ხელშემწყობი, გარემოს მედიცინის, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის და სხვ. პროგრამები/ღონისძიებები.<br>ჯანდაცვის პოლიტიკისა და ადმინისტრირების სფეროში სისტემური თეორიული ცოდნის დაუფლების საფუძველზე, ბიოეთიკურ და სამართლებრივ ასპექტებზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემის ადმინისტრირებისა და პაციენტზე ფოკუსირებული სამედიცინო დაწესებულების მართვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტის მომზადება |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **არჩევითი კურსები** | 5 ECTS კრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 115 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| პროგრამის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობირება** |
| **კურსდამთავრებულს აქვს:**<br>▪ ღრმა და სისტემური ცოდნა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და მისი მომიჯნავე სფეროების, ასევე ჯანდაცვის პოლიტიკის არსის, თეორიული მიდგომების, მეთოდების, უახლესი მიღწევების შესახებ, რომელიც ქმნის საფუძველს ახალი, ინოვაციური/ორიგინალური იდეების განვითარებისათვის<br>▪ საფუძვლიანი ცოდნა დაავადებათა ეპიდემიოლოგიის, პრევენციისა და მართვის, ცხოვრების ჯანსაღი წესისა და ქცევის მნიშვნელობის თაობაზე საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის, ასევე ჯანდაცვის სექტორის მარეგულირებელი გარემოს,ადმინისტრირების, დაფინანსების პოლიტიკის, ეთიკური ასპექტების, პაციენტის უფლებების, ლიდერობის,საქმიანი კომუნიკაციის სპეციფიკის და თანამედროვე კვლევის მეთოდების შესახებ. |
| **უნარი** |
| ▪ შეუძლია: მიზნობრივ ჯგუფებსა და პოპულაციაში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მდგომა-რეობის შეფასება. პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება; უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება - აკადემიური |

| |
|---|
| კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.<br>▪ ჯანდაცვის პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან დაკავშირებული მონაცემების და ინფორმაციის სისტემატიზაცია, ურთიერთშეთანადება, რაოდენობრივი და თვისებრივი შეფასება და კრიტიკული ანალიზი, ინოვაციური სინთეზი, შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები.<br>▪ საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| ▪ შეუძლია კომპლექსური, არაპროგნოზირებადი/მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება საზოგადოებრივ ჯანმრთელობასა და ჯანდაცვის პოლიტიკის სფეროში ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით, ასევე პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა.<br>▪ საკუთარი სწავლის/ცოდნის მუდმივად განახლება და დამოუკიდებლად წარმართვა; პროფესიული ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება. პრაქტიკულ საქმიანობაში ეთიკის, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებისა და სტანდარტების დაცვა |

## საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი

### სატრანსპორტო ლოჯისტიკა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მაგისტრი სატრანსპორტო ლოგისტიკაში
**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| პროგრამის მიზანს წარმოადგენს ისეთი სპეციალისტის მომზადება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს გაღრმავებული, ფუნდამენტური და პროფესიული მოთხოვნების შესაბამისი მოღვაწეობა ტრანსპორტის სფეროში, მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საწარმოო-ტექნოლოგიური, საორგანიზაციო-მმართველობითი და პედაგოგიური საქმიანობა. პროგრამა უზრუნველყოფს სატრანსპორტო ლოგისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტების მომზადებას, რომელთა პროფესიული საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით მიწოდებათა ერთიანი ლოგისტიკური ჯაჭვის ცალკეული რგოლების უსაფრთხო და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა კონკრეტულ ბიზნეს გარემოში. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **არჩევითი კურსები** | 67,5 ECTS კრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 22,5 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო შრომა** | 30 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| პროგრამის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| ფლობს ღრმა სისტემურ ცოდნას სატრანსპორტო–ლოჯისტიკურ სისტემებში მიმდინარე სოციალურ–ეკონომიკური და ორგანიზაციული პროცესების განვითარების პროგნოზირების შესახებ და შეუძლია მათი კრიტიკული გააზრება.<br>2. იცის მიწოდებათა ერთიანი ჯაჭვის ლოჯისტიკური მენეჯმენტის უახლესი მიღწევები, რომლებიც მოიცავს სატვირთო და მგზავრთნაკადების მოზიდვასთან დაკავშრებული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო მეთოდების გენერირების პროცესს, აგრეთვე ტრანსპორტირების პროცესში წარმოშობილი ავარიული შემთხვევების იდენტიფიცირების და მათი დაძლევის გზების გადასაწყვეტად ორიგინალური იდეების განვითარებას.<br>3. ინტელექტუალური სატრანსპორტო სისტემების მოდელირების ინოვაციური პრინციპების ცოდნა უქმნის მდგრად საფუძველს ტექნიკურ–ინტელექტუალურ სისტემებში მიმდინარე მოვლენების პროგნოზირებისათვის, მათი ხრისხობრივი და რაოდენობრივი ანალიზისათვის. |
| **უნარი** |
| 4. საფუძვლიანად აღწერს სატრანსპორტო მომსახურების საბაზრო მოდელის პარამეტრებისა და კრიტერიუმების მოქმედების მექანიზმებს, სატრანსპორტო პროცესის მართვის ტექნიკას და ტექნოლოგიას, უსაფრთხო სატრანსპორტო გადაზიდვებზე მოთხოვნის წარმოქნის სპეციფიკას.<br>5. გადამზიდავი კომპანიის გასული და მიმდინარე პერიოდის ლოგისტიკური მენეჯმენტის განზოგადების საფუძველზე დამოუკიდებლად ირჩევს კომპლექსური ტექნიკურ-ეკონომიკური და უსაფრთხო მოძრაობის პრობლემების გადაჭრის ორიგინალურ გზებს და სახავს მათი რეალიზების ეფექტურ კრიტერიუმებს.<br>6. ახდენს სატრანსპორტო ბიზნეს-გარემოში რისკების მართვის ორგანიზაციას, კონტროლს, და რისკების მართვის ეფექტიანობის შეფასებას; |

| |
|---|
| 7. შეუძლია დაამუშაოს მმართველობითი გადაწყვეტილებების ვარიანტები და შეარჩიოს ოპტიმალური არჩევანი გამომდინარე სატრანსპორტო გადაზიდვების სოციალურ–ეკონომიკური ეფექტიანობისა და ეკოლოგიური და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების კრიტერიუმიდან. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| 8. ახდენს პროფესიული პასუხისმგებლობით და ავტონომიურობის სათანადო ხარისხით ბიზნეს-პროცესების მართვას სატრანსპორტო გადაზიდვების სწრაფად ცვლად გარემოში;<br>9. იცავს პროფესიული ან/და აკადემიური ქცევის წესებსა და ეთიკის პრინციპებს, ობიექტურად აფასებს საკუთარ და სხვების ქმედებებს;<br>10. იღებს პასუხიმგებლობას საკუთარი სწავლის შედეგების ადექვატურად შეფასებასა და გააზრებაზე თავისი საქმიანობის მაღალი ეფექტურობის მისაღწევად და ასევე, ავტონომიურად გეგმავს შემდგომ სწავლას და პროფესიულ განვითარებას. |

## ელექტროენერგეტიკული მრეწველობის ტექნოლოგია და მენეჯმენტი

(იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მაგისტრი ენერგეტიკასა და ელექტროინჟინერიაში
**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

პროგრამის მიზანია ელექტროენერგეტიკის დარგისათვის მოამზადოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის შესაბამისი სპეციალისტი, რომელიც:

- მიღებული კომპეტენციებით უპასუხებს ბაზრის მოთხოვნებს და მაღალ დონეზე განახორციელებს ტექნოლოგიურ, საორგანიზაციო-მმართველობით და საპროექტო საქმიანობას.
- ფლობს ღრმა, სისტემურ და ფუნდამენტურ ცოდნას ენერგიის წარმოების, გადაცემის, განაწილების და მოხმარების ტექნოლოგიებში.
- ფლობს რაოდენობრივი შეფასებების, ენერგეტიკული პრობლემების ანალიზის, პროგნოზირების, კაპიტალდაბანდებების და დანახარჯების გაანგარიშების, გარემოზე ზეგავლენის შეფასების, საქმიანობის ეფექტური დაგეგმვის და მართვის უნარებს.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო სასწავლო კურსები | 100 ECTS კრედიტი |
| ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები | 20 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| 1. აანალიზებს ელექტროენერგეტიკულ სისტემებში მიმდინარე ელექტრომაგნიტურ და ელექტრომექანიკურ პროცესებს, აფასებს ელექტრული სისტემის მუშაობის ნორმალურ, გარდამავალ და ავარიულ რეჟიმებს.<br>2. აანალიზებს ენერგეტიკის სფეროს ახალ მეცნიერულ მიღწევებს და ტექნოლოგიებს<br>3. აანალიზებს ელექტროენერგეტიკულ სისტემებში გამოყენებულ ტექნიკურ საშუალებებსა და ტექნოლოგიური პროცესების შესახებ მიღებულ ცოდნას;<br>4. აანალიზებს და კრიტიკულად აფასებს ელექტროენერგეტიკულ ობიექტებზე მიმდინარე მოვლენებს და პროცესებს. |
| **უნარი** |
| 1. გაიანგარიშებს ელექტროენერგეტიკული ობიექტების ძირითადი და დამხმარე მოწყობილობების ელემენტებისა და სქემების, ელექტროენერგეტიკული დანადგარების მუშაობის რეჟიმებსა და ძირითად საბაზო ენერგეტიკულ მახასიათებლებს;<br>2. შეისწავლის ელექტროენერგეტიკულ სისტემაში წარმოქმნილ ავარიულ სიტუაციებს და სახავს მათი ლიკვიდაციის გზებს;<br>3. არსებული მეთოდებით და მათი ახლებურად ინტერპრეტირების გზით იკვლევს ელექტრული ენერგიის ხარისხს და სახავს მისი განმსაზღვრელი ძირითადი პარამეტრების (ძაბვა, სიხშირე) სახელმწიფო სტანდარტის ფარგლებში დაბრუნების (რეგულირების) ღონისძიებებს; |

4. ახორციელებს დარგისათვის  დამახასიათებელ საპროექტო სამუშაოებს, გეგმავს სასერვისო და საინსტალაციო სამუშაოებს;
5. გეგმავს დარგის შესაბამის ტექნოლოგიურ პროცესებს;
6. მონაწილეობს  საწარმოო ობიექტების მუშაობის რეჟიმებისა და ძირითადი მახასიათებლების შერჩევასა და გაანგარიშებაში.
7. ახორციელებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ტექნიკური ან ტექნოლოგიური პრობლემის იდენტიფიკაციას, ფორმულირებას და განსაზღვრავს მათი გადაჭრის გზებს ეფექტური მიდგომების გამოყენებით.

აწარმოებს კვლევით საქმიანობას პროფესიული ეთიკის დაცვით. წარადგენს კვლევების შედეგებს პროფესიულ და აკადემიურ გარემოში.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

1. ითვალისწინებს ენერგეტიკის  ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობის დროს წარმოქმნილ  საშიშროებებს კონკრეტული, პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისას, განსაკუთრებით, ავარიული რეჟიმების ლიკვიდაციის დროს;
2. საზღვრავს საკუთარი პროფესიული ზრდის  აუცილებლობასა და შესაძლებლობებს,  მოიძიებს შესაბამის ინფორმაციასა  და რესურსებს შემდგომი პროფესიული ზრდის მიზნით.

## მშენებლობა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მშენებლობის ინჟინერიის მაგისტრი
**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| მისცეს მაგისტრს მშენებლობის სფეროში უახლესი ტექნოლოგიების სისტემური და კომპლექსური ცოდნა. ჩამოუყალიბოს სამშენებლო ობიექტების პროექტირების და მშენებლობისათვის ახალი იდეების გენერირების; სფეროს რთული, არასტანდარტული პრობლემების კვლევის და გადაჭრის; კვლევების აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებით წარმართვის, წარმოდგენის და სფეროს ცოდნის გადაცემის უნარ-ჩვევები. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **საფაკულტეტო არჩევითი კურსები** | 5 ECTS კრედიტი |
| **საფაკულტეტო სავალდებულო კურსები** | 12,5 ECTS კრედიტი |
| **პროგრამის სავალდებულო კურსები** | 62,5 ECTS კრედიტი |
| პროგრამის არჩევითი მოდულები | 40 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| ▪ კრიტიკულად გაიაზრებს სამშენებლო ამოცანების გადაჭრის ფუნდამენტალურ და გამოყენებით თეორიებს;<br>▪ აანალიზებს სამშენებლო სფეროს ახალ ცოდნასა და ტექნოლოგიებს და აკავშირებს მათ კონკრეტული ამოცანის კვლევის პროცესთან. |
| **უნარი** |
| ▪ არსებული მეთოდებით და მათი ახლებურად ინტერპრეტირების გზით გაიანგარიშებს სხვადასხვა ფორმის, დანიშნულების, მასალების და მუშაობის პირობების მქონე სამშენებლო კონსტრუქციებს.<br>▪ გაიანგარიშებს და აპროექტებს შენობებს და ნაგებობებს, გეგმავს მშენებლობის პროცესს ცნობილი მეთოდების გამოყენებით. შეარჩევს პრობლემის გადაჭრის ოპტიმალურ ვარიანტს, შეიმუშავებს საპროექტო დოკუმენტაციას<br>▪ აქტიურად იყენებს პროფესიულ საქმიანობაში ინფორმაციულ ტექნოლოგიებს.<br>▪ იკვლევს კონსტრუქციების და შენობა-ნაგებობების სამშენებლო თვისებებს ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასების მეთოდების გამოყენებით;<br>▪ აწარმოებს კვლევით საქმიანობას პროფესიული ეთიკის დაცვით. წარადგენს კვლევების შედეგებს პროფესიულ და აკადემიურ გარემოში. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| ▪ სწავლის შედეგების და შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე განსაზღვრავს კვალიფიკაციის ამაღლების და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების აუცილებლობას (და შესაძლებლობას).<br>▪ ითვალისწინებს ტექნოგენური საშიშროების საკითხებს პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისას. |

## საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი

## გარემოს დაცვის ტექნოლოგიები (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მეცნიერების მაგისტრი გარემოს დაცვის ტექნოლოგიებში

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების მქონე სპეციალისტი გარემოს დაცვის ტექნოლოგიის სფეროში, რომლებსაც ექნებათ ღრმა და სისტემური ცოდნა

- გარემოსდაცვითი ტექნოლოგიის სხვადასხვა სფეროში (ჰაერის დაცვა, წყლის მენეჯმენტი, ნარჩენების მართვა, შრომის უსაფრთხოება და სხვა),
- გარემოს დაცვის პოლიტიკურ-სამართლებრივი და საზოგადოებრივი ღონისძიებების შესახებ.

და შეძლებენ:

- კომპლექსური პრობლემების გადაჭრასა და დასაბუთებულ დასკვნების გამოტანას,
- გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების ახალი და ორიგინალური იდეების შემუშავებას,
- საკუთარი პროფესიული ცოდნის გაზიარებას და სხვების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| ძირითადი სავალდებულო სასწავლო კომპონენტები | 70 ECTSკრედიტი |
| კვლევითი პროექტი და სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა | 34 ECTSკრედიტი |
| არჩევითი სასწავლო კომპონენტები | 16 ECTSკრედიტი |
| სულ | 120 ECTSკრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| - აფასებს გარემოს კომპონენტების მდგომარეობას კომპლექსური მონაცემების საფუძველზე, სტაციონალური და მობილური მოწყობილობების, უახლესი მეთოდებისა და ორიგინალური მიდგომების გამოყენებით.<br>- შეარჩევს გარემოს დაცვის ღონისძიებებს გარემოსდაცვითი ტექნოლოგიებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე, ახალი და ორიგინალური იდეების შემუშავების გზით.<br>- გეგმავს გარემოს კომპონენტების მდგომარეობისა და საწარმოო კონტროლის სამუშაოებს დამ-ტკიცებული გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების, მოქმედი ნორმების, წესების და სტანდარტების დაცვით. |
| **უნარი** |
| - აყალიბებს დასაბუთებულ დასკვნებს კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირების, მათთან დაკავშირებული ინფორმაციის გადახედვის, კრიტიკული ანალიზისა და სხვადასხვა ვარიანტების შეფასების გზით. |

| |
|---|
| - შეიმუშავებს ინდივიდუალური საპროექტო წინადადების/კვლევის კონცეფციას ლოგიკური ჩარჩოს, ამოცანების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და მეთოდოლოგიური მიდგომების გათვალისწინებით.<br>- წარადგენს საკუთარ კვლევას, მომზადებულ ანგარიშს, არგუმენტებსა და დასკვნებს აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| 1. პროფესიული მოვალეობების შესრულებისას იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უახლეს მიღწევებს.<br>2. დამოუკიდებლად გეგმავს და წარმართავს საკუთარი სწავლის პროცესს, აზიარებს საკუთარ პროფესიულ ცოდნას სხვების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვის მიზნით. |

## სასურსათო ტექნოლოგია

(იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** მაგისტრი სასურსათო ტექნოლოგიაში

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| სამაგისტრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაგისტრი საკვები პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიასა და სურსათის უვნებლობის სფეროში ღრმა, სისტემური ცოდნითა და კრიტიკული გააზრების უნარით, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკულ საქმიანობასა და/ან სწავლის გაგრძელებაზე დოქტორანტურაში. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები | 20 ECTS კრედიტი |
| სპეციალობის სავალდებულო კურსები | 65 ECTS კრედიტი |
| სპეციალიზაციის არცევითი კურსები | 35 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი შეძლებს:<br>• საკვები პროდუქტების ტექნოლოგიასა და სურსათის უვნებლობის სფეროში არსებული პრობლემების გადაწყვეტას ახალი, ორიგინალური გზებით;<br>• სასურსათო ტექნოლოგიასთან დაკავშირებული მიდგომების კრიტიკული ანალიზს;<br>• დამოუკიდებელად კვლევის განხორციელებას საკვები პროდუქტების ტექნოლოგიასა და სურსათის უვნებლობის ღრმა სისტემური ცოდნის საფუძველზე;<br>• საკვები პროდუქტების საწარმოებში ცალკეული ტექნოლოგიურ პროცესების დაგეგმვას და სრული ტექნოლოგიურ ციკლის დამოუკიდებლად წარმართვას;<br>• საკვები პროდუქტების წარმოებაში გამოყენებული ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა და მზა ნაწარმის ხარისხისა და უვნებლობის შეფასებას;<br>• საკვები პროდუქტების HACCP-ის (საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა) სრული გეგმის შედგენას;<br>• ჯანსაღი კვების პრინციპების გათვალისწინებით დიეტური და პროფილაქტიკური დანიშნულების კვების რაციონების შემუშავებას; |
| **უნარი** |
| • სტრუქტურულად გამართული სამეცნიერო ნაშრომის, რეფერატის, ანოტაციის, რეზიუმეს, რეცენზიის შექმნას და მათ გაფორმებას;<br>• საკვები პროდუქტების ტექნოლოგიასა და სურსათის უვნებლობის სფეროში აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვით საკუთარი ორიგინალური თვალსაზრისის დასაბუთებულად წარდგენას აუდიტორიის წინაშე;<br>• ნოვატორული წინადადების ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მექანიზმის გამოყენებით განაცხადის გაკეთებას ინტელექტუალურ საკუთრებაზე; |

- კვების მრეწველობის მცირე საწარმოთა დაგეგმარებასა და ორგანიზაციას საწარმოო პროგრამის შესაბამისად;
- დადგენილი ნორმების, წესებისა და სტანდარტების დაცვით ტექნიკური საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების ექსპლუატაციას.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

**შეძლებს:**

- საკვები პროდუქტების წარმოების და სასურსათო უვნებლობის განსაზღვრის პროცესში სამუშაო გარემოს მართვას და ადაპტირებას ახალი სტრატეგიული მიდგომებით სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის გათვალისწინებით;
- საკვები პროდუქტების ტექნოლოგიასა და უვნებლობის სფეროში პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა.

პროფესიული უნარების უწყვეტად განვითარების მიზნით საკუთარი ცოდნის დონის თანმიმდევრულად შეფასებას და შემდგომი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას.

## კოსტუმის დიზაინი (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** დიზაინის მაგისტრი

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| დიზაინის პროგრამის მიზანია მოამზადოს მსუბუქი მრეწველობის და მოდის ინდუსტრიის სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და მისცეს მათ საფუძვლიანი თეორიული ცოდნა მოდისა და სტილის თანამედროვე კონცეფციების შესახებ, განუვითაროს მათ შემოქმედებითი ინტუიცია და აზროვნება, ჩამოუყალიბოს დახვეწილი გემოვნება. პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს ექნება ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა უახლესი დარგობრივი ტექნოლოგიების და მასალების შესახებ. მიღებული ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად შეძლებს კონკრეტული მხატვრულ-ესთეტიკური ამოცანის გადაჭრის გზების განსაზღვრას. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები** | 10 ECTSკრედიტი |
| **საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები** | 10 ECTSკრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 97 ECTSკრედიტი |
| **არჩევითი კურსები** | 3 ECTSკრედიტი |
| სულ | 120 ECTSკრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| ფლობს საფუძვლიან ცოდნას მოდის და სტილის თანამედროვე კონცეფციე- ბის შესახებ; ზედმიწევნით იცნობს ზოგად სტილისტურ მიმართულებებს და პი როვნების იმიჯის შექმნის ასპექტებს; ფლობს მოდის ინდუსტრიისა და კოსტიუ- მის დიზაინის სიღრმისეულ ცოდნას; გააჩნია ცოდნა ადამიანის ფიგურის ან- ტროპომეტრიის, პლასტიკური ანატომიისა და კოსტუმის კომპოზიციის კანონ- ზომიერებების შესახებ; გააჩნია სისტემური ცოდნა მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის დაგეგმარების შესახებ; ფლობს სიღრმისეულ ცოდნას სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ. |
| **უნარი** |
| შეუძლია მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის მხატვრული მოდელირებისა და დაგეგმარების ამოცანების გადაჭრა მასალების ეკონომიის, ტექნოლოგიური პრო- ცესების რაციონალური ორგანიზების გათვალისწინებით; შეუძლია მოდის ტენდენციების წინასაპროექტო კვლევის პროცესში განსაზღვროს ახალი ფორმების ხასიათი, მოახდინოს მათი კლასიფიცირება და ტიპიზაცია ნაწარმის ასორტიმენტის მიხედვით; შეუძლია კონკრეტული მხატვრულ-შემოქმედებითი ამოცანის გადაჭრის დროს გონივრულად გამოიყენოს სტანდარტიზაციისა და უნიფიკაცი- ის მეთოდები; აქვს უნარი გაითვალისწინოს ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ტანსაცმლის დაგეგმარებაზე; შეუძლია ახალი ფორმებისა და მოდელების კონსტრუქციის ტექნოლოგიურობის განსაზღვრა; ფლობს პედაგოგიური საქმიანობის უნარ-ჩვევებს და შეუძლია სწავლების პროცესის წარმატებით განხორციელება სხვადასხვა საფეხურზე.<br>შეუძლია კონკრეტული მხატვრულ-შემოქმედებითი ამოცანების გადასაჭრელად წინასაპროექტო კვლევის შედეგების გაანალიზება, განზოგადება და ლოგიკური დასკვნების ჩამოყალიბება, კვლევის შედეგების საფუძველზე შემოქმედე- ბითი პროექტის (იდეა, მიზნები, მოცანები, განხორციელების საშუალებანი) დაგეგმარება; ფუნქციონალური, ერგონომიული, ტექნიკური (მასალის შერჩევა, კონსტრუქტორული გადაწყვეტა, ტექნოლოგიური დამუშავება) და ეკონომიკური ფაქტორების |

| |
|---|
| გათვალისწინებით; შეუძლია ჩატარებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით მო- პოვებულ ინფორმაციასთან შედარება, გაანალიზება და ლოგიკური დასკვნის გამოტანა.<br>შეუძლია თავისუფლად ორიენტირება მოდის ინდუსტრიაში, მსოფლიო მოდის მიმართულებებისა და ტენდენციების თვალყურის დევნება; მოდური კონცეფციის შემუშავება, დახასიათება და დასაბუთებული აზრის გამოხატვა; მოდის განვითარების ანალიზი და პროგნოზირება; დამკვეთისათვის ინდივიდუალური სტილისა და იმიჯის შექმნა, მისი გემოვნებისა და გარეგნული თავისებურებების გათვალისწინებით; შეუძლია ასევე პროექტის, საავტორო ნაშრომის, კოლექციის და ა.შ. ახსნა-განმარტების წერილობითი სახით ჩამოყალიბება, საჯარო წარმოდგენა, დასაბუთება და დაცვა მშობლიურ და უცხო ენებზე, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან; სამოდელო სააგენტოების, მოდელების სალონებისა და სახლების ხელმძღვანელობა; სხვადასხვა მოდელების ჩვენების, მხატვრული ნამუშევრების გამოფენის, დეფილეს მოწყობა-პრეზენტაცია და შედეგების შეჯამება; ინფორმაციების მოპოვება მოდის ინდუსტრიის საერთაშორისო ფირმების შესახებ თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; კავშირის დამყარება პარტნიორებთან, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| შეუძლია საკუთარი განათლების დონის შეფასება, სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურაზე დამოუკიდებლად მუშაობის გზით სწავლის გაგრძელება, შემენილი განათლებისა და დაუფლებული უნარ-ჩვევების ობიექტურად და კრიტიკულად შეფასება და ცოდნის გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა.<br>პროფესიულ და სამეცნიერო საქმიანობაში ხელმძღვანელობს კოლეგიალობისა და ობიექტურობის პრინციპებით, აცნობიერებს თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებისათვის დიზაინის სფეროს და საზოგადოდ მოდის ინდუსტრიის აქ- ტუალობას და მუდმივად ითვალისწინებს ინოვაციებსა და დამკვეთის მოთხოვნებს შემოქმედებითი მუშაობის პროცესში. აქტიურად ეწევა საზოგადოებაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში საუნივერსიტეტო განათლების პოპულარიზაციას. |

## ფარმაცევტული პრეპარატების ტექნოლოგია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ფარმაცევტული პროდუქციის წარმოების ინჟინერიის მაგისტრი

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| პროგრამის მიზანია: მისცეს მაგისტრებს ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა; შეუქმნას მყარი საფუძველი ფარმაცევტული პროდუქციის წარმოების სფეროში; განუვითაროს მათ სამეცნიერო კვლევის ჩვევები. ისინი შეძლებენ, როგორც ცნობილი მეთოდოლოგიის გამოყენებას, ისე ახალი მეთოდიკის შემუშავებას; შეისწავლიან ფარმაცევტული პროდუქციის სინთეზისა და ტექნოლოგიის თანამედროვე მეთოდებს, დანადგარებსა და მოწყობილობებს, რომლებიც გამოიყენება ქიმიურ-ფარმაცევტულ წარმოებაში, გაეცნობიან ახალი პროცესების, ოპერაციებისა და ტექნოლოგიების შემუშავების მეთოდებს. ისინი შეძლებენ: სამკურნალო საშუალებების წარმოების თანამედროვე ტენდენციებისა და ზოგადი პერსპექტივების განსაზღვრას, სინთეზის სტრატეგიის შერჩევას, საწარმოო ტექნოლოგიის მუდმივ განახლებას და განვითარებას სხვადასხვა ასპექტების (გარემოს დაცვა, ხარისხის უზრუნველყოფა, უსაფრთხოება და ა.შ) გათვალისწინებით. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **არჩევითი კურსები** | 11 ECTS კრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 74 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო შრომა** | 30 ECTS კრედიტი |
| **საწარმოო პრაქტიკა** | 5 ECTS კრედიტი |
| **სულ** | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| აქვთ ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ფარმაცევტული ტექნოლოგიის სფეროში საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის შესახებ.<br>მაგისტრებმა სრულყოფილად და საფუძვლიანად იციან:<br>-სამკურნალო ნივთიერებების სინთეზი, რომლებმაც ფართო გამოყენება ჰპოვეს პრაქტიკულ მედიცინაში და იწარმოება ქიმიურ-ფარმაცევტულ საწარმოებში.<br>-სამკურნალო ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიის შემუშავება;<br>-პროდუქციის ხარისხის კონტროლისა და რეალიზაციის მეთოდების შემუშავება:<br>-ფარმაცევტული წარმოების პროცესში ნედლეულის, დამხმარე მასალების, აპარატების, მოწყობილობების, დანადგარების შერჩევა ეკოლოგიურად და ეკონომიურად მიზანშეწონილი გზების გამოყენებით;<br>-ახალი სამკურნალო ნივთიერებების შექმნისა და გადამუშავების კვლევების დაგეგმვა უახლესი მეთოდოლოგიური მიდგომების გამოყენებით.<br>- გაცნობიერებული აქვთ სამკურნალო პროდუქციის მაღალხარისხიანი და ეკოლოგიურად სუფთა წარმოების აუცილებლობა; ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების გავლენა, როგორც წარმოების პროცესზე, ისე მიღებული პროდუქციის ხარისხზე. |
| **უნარი** |
| მაგისტრებს უნარი აქვთ:<br>- დაგეგმონ და ჩაატარონ ექსპერიმენტები, ასევე მოახდინონ მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტაცია, რომლებიც უმნიშვნელოვანესია ქიმიური და ფარმაცევტული პროცესების შემუშავებასა და ანალიზში;<br>- გამოკვეთონ პრობლემა და მოახდინონ მისი მეცნიერული გაანალიზება და გადაწყვეტა; |

| |
|---|
| - გამოიყენონ ტექნოლოგიური პროცესების კონტროლის თანამედროვე სისტემები  და შეიმუშავონ ახალი მექანიზმები;<br>- უზრუნველყონ ფარმაცევტული წარმოების ნედლეულისა და პროდუქციის ხარისხის შეფასება. ნედლეულისა და მასალების ეკონომიური გამოყენება, მათ შორის მეორადი გადამუშვების ტექნოლოგიის შემუშავებისა და დანერგვის ჩათვლით.<br>მაგისტრებს შეუძლიათ:<br>- ფარმაცევტული მრეწველობის განვითარების ანალიზი და პერსპექტივების განსაზღვრა თანამედროვე მსოფლიოში ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისად;<br>- განსაზღვრონ ქვეყნის პერსპექტივები დარგის  განვითარების მიმართულებით;<br>- საინჟინრო გადაწყვეტილებების კრიტიკული ანალიზი: უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით: მათემატიკური მეთოდებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის სინთეზი და შესაბამისი დასკვნის გაკეთება.<br>შეუძლია ქართულ და უცხოურ ენებზე კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების გამოყენება, ტექნიკური დოკუმენტაციის გაცნობა და მომზადება. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| აცნობიერებს  სწავლის პროცესის თავისებურებებს და მათი გათვალისწინებით შეუძლია სწავლის პროცესის სწორი დაგეგმვა.<br>- -თეორიაზე დაყრდნობით მაგისტრანტები განივითარებენ  ანალიზისა და კრიტიკული აზროვნების უნარს, დაეუფლებიან  კვლევის პრინციპებს, რაც დაეხმარება მათ ისეთი პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებაში, როგორიცაა სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობა და სწავლის გაგრძელების განსაზღვრა სწავლების შემდგომ საფეხურზე.<br>- მათ აქვთ მაღალი პროფესიული, ეთიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა. ფარმაცევტული პრეპარატების დამზადებისა და წარმოებისას იცავს პროფესიულ სტანდარტებს. შეუძლია თავისი დამოკიდებულების შეფასება, საკუთარი მიღწევების თვითკრიტიკული ანალიზი და სხვათა მიღწევების რეალური შეფასებისა და პატივისცემის თვისება; მონაწილეობს ახალი ღირებულებების დამკვიდრების პროცესში. |

## აგრარული ფაკულტეტი

## ტურიზმი (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმში

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

პროგრამის მიზანია დინამიური და მზარდი ინდუსტრიის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ღრმა თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ–ჩვევების, მეცნიერული კვლევებისა და კრეატიული მუშაობის უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ საჭირო ცოდნა და უნარები ტურისტულ ინდუსტრიაში წარმატებული კარიერისათვის და შეეძლებათ დაიკავონ მმართველობითი პოზიციები ტურისტულ ორგანიზაციებში, სახელმწიფო სტრუქტურების შესაბამის სამსახურში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, მონაწილეობა მიიღონ ტურიზმის სახელმწიფო დაგეგმვასა და განვითარების პოლიტიკის განსაზღვრაში, შექმნან და მართონ საკუთარი ბიზნესი.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **სპეციალობის კურსები** | 65 ECTS კრედიტი |
| **თავისუფალი კრედიტები** | 10 ECTS კრედიტი |
| **პროფესიული პრაქტიკა** | 10 CTS კრედიტი |
| **სამაგისტრო შრომა** | 30 ECTS კრედიტი |
| **არჩევითი კრედიტები** | 5 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| • ავლენს ღრმა და სისტემურ ცოდნას ტურიზმთან დაკავშირებული ბიზნესპროცესებისა და სამართლებრივი რეგულაციების შესახებ;<br>• ახდენს ტურიზმთან დაკავშირებული მეცნიერული კვლევის უახლესი მეთოდების, საერთაშორისო და საქართველოს ტურიზმის განვითარების დინამიკის, ტენდენციებისა და შესაძლებლობების, ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების, საფუძვლიანი ცოდნის დემონსტრირებას |
| **უნარი** |
| ▪ გეგმავს და შეიმუშავებს ახალ ტურისტულ პროდუქტს თანამედროვე ტურისტული ბაზრის მოთხოვნების, ბაზრის მეცნიერული კვლევის, სტრატეგიული ხედვის, ტურიზმის საერთაშორისო გამოცდილებისა და ინოვაციური მიდგომების, ქვეყნის მდგრადი განვითარების სახელმწიფო პოლიტიკასთან მისადაგების საფუძველზე;<br>▪ ახდენს ტურისტული დანიშნულების ადგილის, ტურისტული საწარმოს მმართველობითი/ფინანსური საქმიანობის, უსაფრთხოების არსებული პრობლემების იდენტიფიცირებას, ანალიზს და ასაბუთებს გადაჭრის ინოვაციურ გზებს;<br>▪ შეძენილი ცოდნის საფუძველზე, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტისა და რისკების შეფასების მიზნით, იყენებს ანალიზისა და პროგნოზირების უახლეს მეთოდებსა და ინოვაციურ მიდგომებს, იღებს ოპტიმალურ მმართველობით გადაწყვეტილებას ეთიკური, სოციალური და კორპორაციული პასუხისმგებლობების გათვალისწინებით; |

| |
|---|
| ▪ იკვლევს და კრიტიკულად აფასებს ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურების განვითარების და მართვის პროცესებს; ქმნის საფუძველს ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის<br>▪ ეფექტიანად მუშაობს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე გუნდის წევრად; ახდენს ადაპტირებას სამუშაო ადგილზე; პასუხისმგებლობით ოპერირებს მულტიდისციპლინარულ გარემოში;<br>▪ დამოუკიდებლად გეგმავს და ატარებს კვლევას, რომელიც იძლევა ვალიდურ შედეგებს, საჯაროდ წარმოადგენს ჩატარებული კვლევის შედეგებსა და დასკვნებს, ასაბუთებს და იცავს ზეპირი და წერილობითი სახით ქართულ და უცხო ენაზე, როგორც სპეციალისტებთან ისე არასპეციალისტებთან, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით და აკადემიური ეთიკის დაცვით; |
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება** |
| ▪ იცავს პროფესიული და სოციალური პასუხისმგებლობის, სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში აკადემიური პატიოსნებისა და სამართლიანობის პრინციპებს, აფასებს საკუთარი და სხვების შესაძლებლობებსა და ქმედებებს; მონაწილეობს გუნდის წევრების პროფესიული ცოდნისა და უნარების განვითარებაში;<br>▪ შეძენილი ცოდნისა და უნარების, საკუთარი შესაძლებლობების ობიექტურად და კრიტიკულად შეფასების საფუძველზე, დამოუკიდებლად იფართოებს ცოდნის არეალის საზღვრებს, იმაღლებს და განივითარებს კვლევაში დახელოვნების ხარისხს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტურანტურა) ასათვისებლად;<br>**(სწავლის შედეგების რუქა და კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და სასწავლო კურსებს შორის იხილეთ დანართი 2 და 3 სახით)** |

## აგროეკოლოგია (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრი აგროეკოლოგიაში

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| მოამზადოს აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრი აგროეკოლოგიაში, რომელიც აღწერს და გამოიყენებს სუბტროპიკულ ზონაში გარემოს დაცვის პირობებს, იკვლევს ნიადაგების ნაყოფიერების სახეს, განსაზღვრავს ეროზირებული და მელიორირებული მიწების ასათვისებლად კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების მოქმედების ხერხებს, იყენებს მიწათმოქმედების მაღალრენტაბელურ სისტემებსა და მცენარეთა დაცვის საშუალებებსხარისხიანი და უხვი მოსავლის მოვლა-მოყვანის მეთოდებს. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **არჩევითი კურსები** | 5 ECTS კრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 50 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო შრომა** | 30 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| შესწავლილი აქვს და იცის საქართველოს სუბტროპიკული ზონის ტენიანი და მშრალი სუბტროპიკების აგროეკოლოგიური დახასიათება.<br>იცის აგრარული გადამამუშავებელი საწარმოებისა და სასურსათო პროდუქციის წარმოების ეკოლოგიური ასპექტები, განიხილავს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების პრობლემებს, იცის ენერგეტიკული რესურსების გამოყენების ეკოლოგიური არსი, აგროეკოლოგიური უსაფრთხოების პრინციპები და გაცნობიერებული აქვს ეკოლოგიური განათლების მნიშვნელობა ცივილიზაციისათვის.<br>იცის მეცნიერული კვლევის მეთოდები სოფლის მეურნეობაში, აღწერს თითოეულს ცალ-ცალკე, აცნობიერებს მინდვრის ცდის მეთოდებს და მასზე წაყენებულ მოთხოვნებს, ჩამოაყალიბებს მინდვრის ცდის სხვადასხვა სქემებს.<br>შეუძლია ახალი მიწების ასათვისებელი, სარწყავი და დამშრობი სისტემების გამოყენება.<br>განსაზღვრავს ეკოლოგიური ნიადაგთმცოდნეობას, როგორც ნიადაგთმცოდნეობის დამოუკიდებელ ნაწილს. გამოკვეთავს ნიადაგების გენეზისის საფუძველზე ნიადაგების გეოგრაფიულ გავრცელებას და აღწერს ნიადაგისთვისებას -ნაყოფიერებას, განმარტავს ნაყოფიერების მნიშვნელობას მიწათმოქმედებაში;<br>ჩამოთვლის და დაახასიათებს სამელიორაციო ფართობებს და განმარტავს მელიორაციულ ღონისძიებათა არსებულ აგროეკონომიკურ პირობებზე დამოკიდებულებას.<br>მსჯელობს სასუქების გამოყენების აუცილებლობაზე სოფლის მეურნეობაში; განიხილავს სასუქების გამოყენების ეკონომიკურ ეფექტურობას; განსაზღვრავს სასუქების მოქმედებას მოსავლის რაოდენობასა და ხარისხზე;<br>იცის სასოფლო სამეურნეო კულტურებში გამოყენებული ბიოენერგოაქტივატორები და გაცნობიერებული აქვს მათი როლი თესლის გაღივების ენერგიასა და აღმოცენების უნარზე, ნამყენი ნერგის აღმოცენებასა და ზრდა–განვითარებაზე;<br>შეუძლია სასოფლო სამეურნეო კულტურების მავნე მწერების აღწერა. მათი სახეობრივი დასახელება, კვების სპეციალიზაცია. გამორჩევა სასარგებლო მწერებისაგან, მწერების გამრავლების სახეები. მათი ურთიერთობა გარემოსთან.<br>- იცის უმაღლეს სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობის, განათლების მენეჯმენტის და ხარისხის მართვის არსი და გაცნობიერებული აქვს უმაღლესი სკოლის დიდაქტიკის კომპლექსური ცნებები, სწავლების /სწავლის/ ძირითადი პრინციპები და საშუალებები. იცის ლექტორის, როგორც უმაღლესი სკოლის მასწავლებლის, პროფესიული მახასიათებლები.შეუძლია მეცადინეობების ჩატარება დარგობრივი მიმართულებით. |

| |
|---|
| **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** |
| აქვს უნარი დააჯგუფოს სუბტროპიკული კულტურები მათგან მიღებული პროდუქციის მიხედვით და შეუძლია პრაქტიკულად აგროტექნოლოგიური ღონისძიებების გატარება ცალკეული კულტურების მიხედვით.<br>აქვს უნარი ერთმანეთისგან განასხვავოს ეკოლოგიურად სუფთა და ბიოლოგიურად სრულფასოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და ხელი შეუწყოს ეკოლოგიურად სუფთა აგროსამრეწველო პროდუქციის წარმოებას, შეუძლია აგროსამრეწველო აირების გაუვნებელყოფა ქიმიური მეთოდებით და აქვს უნარი განახორციელოს სამრეწველო აირებისაგან გარემოს დაცვითი ღონისძიებები.<br>გამოყოფსმცენარეთა ეკოლოგიურ ჯგუფებს (ტიპებს) მაფორმირებელი გარემოს გათვალისწინებით.აქვს უნარი განსაზღვროს სუბტროპიკული კლიმატის აგროეკოლოგიური მახასიათებლები. შეადგენს მინდვრის ცდის სქემებს, განალაგებს ცდაში ვარიანტებსა და განმეორებებს, გააფორმებს დოკუმენტაციას.შეუძლია ახალი მიწების ათვისება, სარწყავი და დამშრობი სისტემების მოწყობა. ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებების ჩატარება;<br>ახსნის ნიადაგს, როგორც სასიცოცხლო სივრცეს, როგორც მექანიკურ საყრდენს, როგორც თესლის შემნახველს, როგორც წყლისა და საკვები ნივთიერებების შემნახველს. გამოიყენებს დაშრობისადარწყვის (სარწყავი) ნორმებისდადგენისხერხებს და შეიმუშავებს მოსავლიანობის გაზრდის ღონისძიებებს.<br>შეუძლია ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისა და გაკულტურების გზები შერჩევა მცენარისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად.<br>აქვს უნარი პრაქტიკულად დაგეგმოს სასუქების შეტანის ვადები, წესები, დოზები, დაავადებული მცენარიდან ნიმუშების აღება და საანალიზოდ მომზადება, სუფთა კულტურაში ჩათესვა და გამოკვლევა. მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია დაცული ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესების შეფასება, ანალიზი, მათი დაცვის ღონისძიებების შემუშავება.<br>- შეუძლია მეცადინეობებისს ჩატარება დარგობრივი მიმართულებით სტუდენტთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებებისგათვალისწინებით. |
| **დასკვნის უნარი** |
| შეუძლია შეაფასოს საქართველოს ტენიანი და მშრალი სუბტროპიკული ზონის ნიადაგები ოროგრაფიული პირობები და აგროკლიმატური მაჩვენებლები.<br>- აქვს უნარი ეკოლოგიური პრობლემის გამოკვეთის შემთხვევაში, მიღებული ცოდნის საფუძველზე, გაანალიზოს სიტუაცია, მიიღოს სწორი გადაწყვეტილება და ხელი შეუწყოს ეკოლოგიურად სუფთა აგროსამრეწველო პროდუქციის წარმოებას გადამამუშავებელი მრეწველობის ეკოლოგიური პრობლემების გათვალისწინებით.შეაფასებს სამელიორაციო მიწების ათვისების დონეს ფერმერულ მეურნეობებში. მოამზადებს ნიადაგს მარცვლეულის, მევენახეობის, მეციტრუსეობის და სხვა სას. სამეურნეო თუ ტექნიკური კულტურების მოვლა-მოყვანის ღონისძიებათა გასატარებლად. |
| **კომუნიკაციის უნარი** |
| შეუძლია სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ცალკეული მიმართულების და კულტურების თაობაზე თავისი მოსაზრებების და დასკვნების შესახებ საუბარი და მსჯელობა კოლეგებთან, პროფესიონალებთან და აკადემიურ საზოგადოებასთან.<br>შეუძლია უხელმძღვანელოს ეკოლოგიური მონიტორინგის ჩატარებას და განახორციელოს კომუნიკაცია მონიტორინგის სუბიექტებთან. აქვს უნარი და შეუძლია მშობლიურ და უცხო ენაზე ეკოლოგიურ პრობლემებზე იკამათოს, იმსჯელოს, დისკუსიაში შევიდეს, როგორც ნებისმიერ დაინტერესებულ პირთან, ისე დარგის სპეციალისტებთან.<br>განუვითარდებათ პრეზენტაციისა და საკუთარი მოსაზრებების კომუნიკაციის უნარი აუდიტორიის წინაშე. გაუძლიერდებათ წერილობით საკუთარი მოსაზრებების გადმოცემის უნარი.<br>- მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია დაცული ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესების შეფასება,ანალიზი და მათი დაცვის ღონისძიებების შემუშავება. |
| **სწავლის უნარი** |

| |
|---|
| შეუძლია სწავლის პროცესში დამოუკიდებლად ჩართვა და საკუთარი სწავლის პროცესის მაქსიმალურად ნაყოფიერად წარმართვა, ასევე სწავლის გაგრძელების ან შეწყვეტის აუცილებლობის განსაზღვრის დასაბუთება.მუშაობსახალი ცოდნის მიღებისთვის დამოუკიდებლად.<br>უწყვეტი სწავლების უზრუნველყოფისა და სტიმულირებისათვის განსაზღვრავს პროფესიულ ინტერესს და სურვილს სწავლა/სწავლების, კვლევისა და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის.<br>კურსის შინაარსით გათვალისწინებული მასალის ათვისებისთვის გამოყენებული სწავლების სხვადასხვა მეთოდი უზრუნველყოფს მაგისტრანტს განუვითაროს სწავლის უნარი და მისცეს საშუალება განსაზღვროს შემდგომი სწავლის საჭიროება.<br>- შეძლებსთეორიული და პრაქტიკული ნაწილის შეჯამებას. მიღებული ცოდნის საფუძველზე დაკვნის გაკეთებას შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მიზნით. |
| **ღირებულებები** |
| გააჩნია მაღალმოქალაქეობრივი ღირებულებები გარემოს დაცვისა და სურსათის უვნებლობის საკითხებთან დაკავშირებით და ახორციელებს საქმიანობას ეკოლოგიური პრობლემების თავიდან ასაცილებლად.ბიოსფეროში მიმდინარე ეკოლოგიური პრობლემების დადგენისა და გადაწყვეტის საქმეში ხელმძღვანელობს მწვანე ნარგავების შეუცვლელობის გათვალისწინების პრინციპით.<br>მსჯელობს დაგეგმილი მელიორაციული ღონისძიებების დასკვნის შესაბამისად. აფასებს ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის პროცესს. გადაწყვეტს სამეურნეო ბრუნვაში ახლად მელიორირებული ნიადაგების დაბრუნების ღონისძიებებს.შესთავაზებს დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ალტერნატივებს.<br>- პასუხისმგებლობით ეკიდება პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებას და ცვალებად სიტუაციაში მოქმედებს მათ შესაბამისად, აქვს დისციპლინირებული და პუნქტუალური მიდგომა დაკისრებული მოვალეობისადმი, გათავისებული აქვს ფუნქციები და პასუხისმგებლობა, შეუძლია მარტივი ფინანსური ხარჯთაღრიცხვის წარმოება. |

## ლანდშაფტური არქიტექტურა (იხ. სასწავლო გეგმა)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** მაგისტრატურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ლანდშაფტური არქიტექტურის მაგისტრი

**პროგრამის მოცულობა:** 120 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| პროგრამის მიზანია ლანდშაფტური არქიტექტურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადება, რომელიც ღრმა თეორიული ცოდნის საფუძველზე დაუფლებული იქნება: საქართველოს ტყეების და დასახლებული ტერიტორიების მცენარეული საფარის კვლევის მეცნიერულ საფუძვლებს, ლანდშაფტების დაგეგმარებისა და პროექტირების, ბაღ-პარკების მშენებლობის და ექსპლუატაციის თანამედროვე მეთოდებს. გარდა ამისა, შეძლებს საქართველოს რეკრეაციული რესურსების კვლევას, ტურისტულ-რეკრეაციულ ინდუსტრიაში მათი როლის და პოტენციალის შეფასებას, ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტების დაცვის, განახლების და კეთილმოწყობის ღონისძიებების შემუშავებას.<br>სპეციალობა ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანია რადგანაც თანამედროვე ურბანიზაციისა და გლობალიზაციის პირობებში აქტუალურია ადამიანისათვის ეკოლოგიურად სუფთა და კომფორტული სასიცოცხლო პირობების შექმნა, რაშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ლანდშაფტების სწორ ორგანიზაციას და გამწვანება-კეთილმოწყობის საკითხებს ენიჭება.<br>რეგიონების განსხვავებულ პირობებში მცენარეების სრულფასოვნად გამოყენებისათვის აუცილებელია მათი აკლიმატიზაციისა და აგროტექნიკის, აგრეთვე კლიმატის გლობალური ცვლილების ფონზე არსებული პრობლემური საკითხების სათანადო დამუშავება, რისთვისაც აუცილებელია მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც დარგში მსოფლიო გამოცდილებისა და შეძენილი ცოდნის საფუძველზე შეძლებენ არსებული პრობლემური საკითხების დასმას და კვლევის შედეგების პრაქტიკაში დანერგვას. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **არჩევითი კურსები** | 10 ECTS კრედიტი |
| **სავალდებულო კურსები** | 80 ECTS კრედიტი |
| **სამაგისტრო შრომა** | 30 ECTS კრედიტი |
| სულ | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| ***ზოგადი კომპეტენციები*** - სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრება, რომელიც მოიცავს სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის.<br><br>***დარგობრივი კომპეტენციები***<br>▪ ახდენს საქართველოში გავრცელებული დეკორატიული მცენარეების ძირითადი ასორტიმენტის იდენტიფიცირებას მორფოლოგიური თავისებურებების შესაბამისად; ბიო-მორფოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით განსაზღვრავს მცენარეების სასიცოცხლო პირობებს, გეგმავს გამწვანების პროცესში მათი გამოყენებისა და მოვლის ოპტიმალურ ღონისძიებებს; ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებით დეკორატიულ მცენარეთა სანერგისათვის ადგენს მცენარეთა ასორტიმენტს, განსაზღვრავს ნერგების გამოყვანის მოცულობას და აგროტექნოლოგიებს; |

- თანამედროვე ურბანიზაციის პირობებში, ლანდშაფტური ხელოვნების თანამედროვე თეორიებზე დაყრდნობით აღწერს და განსაზრვრავს სხვადასხვა სტილში ტერიტორიების პროექტირების, მხატვრული და სივრცით-კომპოზიციური გადაწყვეტის შესაძლებლობებს; ობიექტის არსებული პირობების გათვალისწინებით, პროექტის შესაბამისად, აკეთებს მონახაზს ტერიტორიების დაგეგმარების და ჩანაფიქრის რეალურად განხორციელების შესახებ;
- ქვეყნის უნიკალური ბუნებრივი პოტენციალის შესაძლებლობებზე დაყრდნობით, ადგილობრივი კლიმატურ-ნიადაგობრივი და ეკოლოგიური პირობების კვლევის საფუძველზე, ტერიტორიების პროექტირებისა და გამწვანება-კეთილმოწყობის პროცესში განსაზღვრავს ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც მიმართული იქნება ობიექტის არსებული საუკეთესო მხარეების წარმოჩენასა და ადამიანისათვის კომფორტული სასიცოცხლო პირობების შექმნაზე, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებაზე;
- ახდენს ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან და თანამედროვე ლანდშაფტის დიზაინის 3D პროგრამებთან მუშაობის, ინფორმაციის კრიტიკულად და შემოქმედებითად გააზრების, სამეცნიერო ნაშრომის წერისა და გაფორმების, პედაგოგიური საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის დემონსტრირებას.

**უნარები**

***ზოგადი კომპეტენციები*** - უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება ან/და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, შეფასება და დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები. საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა, როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით.

***დარგობრივი კომპეტენციები***

- ახდენს ტერიტორიების წინასაპროექტო ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ შეფასებას და არსებული მდგომარეობის პროექტის შესრულებას გრაფიკულად ან 3D პროგრამების გამოყენებით; მერქნიანი და ბალახოვანი მცენარეების ინვენტარიზაციის ჩატარებას, მათი სისტემატიკური შემადგენლობის დადგენას, მდგომარეობის შეფასებას, ბიო-ეკოლოგიურ კვლევას;
- გამწვანებისათვის არჩევს მცენარეთა ასორტიმენტს ობიექტის ნიადაგურ–კლიმატური და ეკოლოგიური პირობების, საპროექტო მოცემულობის გათვალისწინებით; გაგმავს მცენარეების გამოყენების ფორმებს პროექტირების წესების შესაბამისად, მარადმწვანეობის, წლის განმავლობაში ფერთა ცვალებადობის, მხატვრულ-ესთეტიკური იერსახის ფორმირების, ობიექტის სანიტარულ–ჰიგიენური მოთხოვნების, აგრეთვე არსებული კონდიციური სარგავი მასალის არსებობის პოტენციალის გათვალისწინებით;
- ლანდშაფტური არქიტექტურის თანამედროვე მოთხოვნების და ტენდენციების, აგრეთვე იბიექტების ფუნქციონალური და არსებული თავისებურებების გათვალისწინებით ახდენს ტერიტორიების გამწვანება/რეკონსტრუქციის პროექტების შესრულებას გრაფიკულად, აგრეთვე კომპიუტერული არქიტექტურული და ლანდშაფტის დიზაინის თანამედროვე 3D პროგრამების გამოყენებით; პროექტის მიხედვით ქმნის მუშა ნახაზებს (დაკვალვითი, დარგვითი, ვერტიკალური გეგმარების), ახდენს პროექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გაანგარიშებას;
- გეგმავს საპროექო ტერიტორიაზე მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას, პროექტის შესაბამისად ახდენს რელიეფის შესწორებას, ობიექტის დაკვალვას და მცენარეების დასარგავი ადგილების იდენტიფიცირებას/მონიშვნას; გეგმავს და ხელმძღვანელობს ვერტიკელური

| |
|---|
| გეგმარების ელემენტების, გზების და მოედნების მოწყობის, მცენარეების ტრანსპორტირებისა და დარგვის სამუშაოებს; პასუხს აგებს შესრულებული სამუშაოს ხარისხიანად შესრულებაზე;<br>▪ ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე კრიტიკულად იაზრებს მიღებულ ინფორმაციას, განსაზღვრავს ძირითადი და დამხმარე საინფორმაციო წყაროების მნიშვნელობას, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ახდენს ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს და საკუთარი დასკვნების ჩამოყალიბებას, დასაბუთებას, პრობლემის გადაჭრის გზების პოვნას, ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებას;<br>▪ შეუძლია ლანდშაფტური არქიტექტურის სფეროში როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საზოგადოებაში დამაჯერებელი, დამოუკიდებელი და კომპეტენტური კომუნიკაცია მშობლიურ და უცხო ენაზე; მოცემულ საკითხზე უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად კვლევის წარმართვა და შედეგების გადმოცემა სამეცნიერო ტექსტის აუცილებელი მოთხოვნების დაცვით, სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა და აუდიტორიის წინაშე მოხსენებით გამოსვლა. |
| **პასუხიმგებლობა და ავტონომიურობა** |
| ***ზოგადი კომპეტენციები*** - კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით. პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება; საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.<br><br>***დარგობრივი კომპეტენციები***<br>▪ იაზრებს მწვანე საფარის დაცვის, განახლების მნიშვნელობიას და მაღალმოქალაქეობრივი თვითშეგნებით ისწრაფის იმ ღირებულებების დამკვიდრებისკენ, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს ბუნებრივ–კლიმატური პირობების შენარჩუნებას, გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის და ესთეტიკური იერსახის გაუმჯობესებას;<br>▪ ღებულობს სპეციალობაში ეთიკისა და სამართლებრივი პრინციპების დაცვის, დაკისრებული სამუშაოს ხარისხიანად შესრულების, მომხმარებლის ინტერესების დაცვის; ცოდნის გაღრმავების, საკუთარი აზრის ფორმირებისა და დაცვის, სწავლის შემდგომი დაგეგმვის, სასწავლო/სამეცნიერო თუ სხვა სახის პროცესის სწორად ორგანიზების, შესაბამის ამოცანასთან სამეცნიერო სტანდარტის მისადაგების, მეცნიერული ეთიკის ნორმებისა და აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის, პლაგიატის მიუღებლობის საჭიროებას. |

# სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები

## ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

## დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურა

**უმაღლესი განათლების საფეხური:** დოქტორანტურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ფილოლოგიის დოქტორი

**პროგრამის მოცულობა:** 60 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

სადოქტორო პროგრამის ,,დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის",(მოიცავს ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, ამერიკულ ლიტერატურის მიმართულებებს) მიზანია, დოქტორანტს მისცეს უახლესს მიღწევებზე დამყარებული სისტემური ცოდნა:

- ✓ დარგის კვლევისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების შესახებ; ლიტერატურათმცოდნეობის მნიშვნელოვან თეორიებსა და კონცეფციებზე;
- ✓ ინტერდისციპლინურ კონტექსტში ფილოლოგიური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპებზე
- ✓ ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული ლიტერატურის მნიშვნელოვან და ნაკლებად შესწავლილ, აქტუალურ საკითხებზე;

გამოუმუშაოს:

- ➢ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლებისა და მეთოდების კრიტიკულად გააზრების უნარი.
- ➢ დასავლეთევროპული და ამერიკული, დასავლეთევროპული და ქართული, ქართულ-ამერიკული ლიტერატურული ურთიერთობების საკითხებზე ახალი, წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი.
- ➢ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, დამოუკიდებლობის დემონსტირირებით სამეცნიერო კვლევის დაგეგმვის და განხორციელების, ახალი ინოვაციური იდების დასაბუთებულად წარმოჩენისა და გადმოცემის უნარი

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **სასწავლო კომპონენტი** | 60 ECTS კრედიტი |
| **კვლევის კომპონენტი** | 120ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| **კურსდამთავრებული** კრიტიკულად იაზრებს და აანალიზებს:<br>➢ მე-20 საუკუნისა და უახლესი პერიოდის ლიტერატურულ-თეორიული სკოლების ძირითად კვლევით პრინციპებსა და დებულებებს, მეთოდოლოგიური კონცეფციებსა და მიმდინარეობებს;<br>➢ შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის, მე-17-18 საუკუნეების ევროპული ლიტერატურის პრობლემურ საკითხებს, მე-19-20 საუკუნეების დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურული მიმდინარეობების პოეტიკის საკითხებს ისტორიულ, ფილოსოფიურ, კულტურულ კონტექსტში<br>➢ სხვადასხვა ლიტერატურული ეპოქის ზოგად მხატვრულ-ესთეტიკურ პარადიგმებსა და ლიტერატურულ პროცესებს, ლიტერატურული მოდერნიზმის, პოსტმოდერნიზმის ესთეტიკის, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლების კვლევით პრინციპებს |
| **უნარი** |

| |
|---|
| **კურსდამთავრებულს შეუძლია**<br>➢ დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურის კვლევის სფეროში არსებული რთული და წინააღმდეგობრივი იდეების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება, პრობლემათა კომპლექსური, კრიტიკული გააზრებით ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება<br>➢ ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლების, ინტერდისციპლინური თეორიების, ფუნდამენტური კვლევითი პრინციპებისა და მეთოდოლოგიების გამოყენებით ლიტერატურული ძეგლების კვლევის საფუძველზე ღირებული სამეცნიერო დასკვნების გამოტანა;<br>➢ ახალი სამეცნიერო იდეების განვითარება ფუნდამენტურ ლიტერატურათმცოდნეობით შრომებზე, უახლეს სამეცნიერო მიღწევებზე დაყრდნობით.<br>➢ იკვლევს ლიტერატურულ ნაწარმოებებს სხვადასხვა მეთოდოლოგიური პრინციპებით;<br>➢ დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს გერმანული, ინგლისური, ამერიკული და ფრანგული ლიტერატურის ინოვაციურ კვლევას<br>➢ დასაბუთებულად და გარკვევით წარმოაჩენს ახლად მიღებულ ცოდნას არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში, ლოგიკურად და მისაწვდომად აყალიბებს თავის მოსაზრებებს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| • აცნობიერებს და ამკვიდრებს მეცნიერულ კეთილსინდისიერებას;<br>• შეუძლია არაპროგნოზირებად სასწავლო, ან სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება, ხელმძღვანელობს უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტებს |

## ფილოლოგია

**უმაღლესი განათლების საფეხური:** დოქტორანტურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ფილოლოგიის დოქტორი

**პროგრამის მოცულობა:** 60 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| პროგრამის მიზანია ფილოლოგთა ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრის მომზადება, მისთვის ჰუმანიტარული აზროვნების თანამედროვე მიღწევების, სიახლეების და გამოწვევების გაცნობა, ქართული სამეცნიერო დონის ამაღლებასა და წინსვლაზე ზრუნვის ჩანერგვა, მისი უნარების საერთაშორისო სტანდარტებთან გათანაბრება; დოქტორანტისთვის ქართული მეცნიერების მსოფლიო კულტურის კონტექსტში კვლევის წარმოების და საკუთარი კვლევების საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში ინტეგრირების სწავლება; კონკურენტუნარიანი კადრის ადგილობრივი თუ საერთაშორისო ბაზრისთვის მომზადება; დოქტორანტისთვის ღრმა და სისტემური ცოდნის შეძენა; დამოუკიდებელი, თვითკრიტიკული, პასუხისმგებლიანი და ინიციატივიანი სპეციალისტის გაზრდა, რათა დოქტორანტმა შეძლოს ფილოლოგიის სფეროში პრობლემის დასმა და სინთეზირებული მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად და ორიგინალური გზით გადაჭრა, ახალი ცოდნის შექმნა და კვლევის თანამედროვე მეთოდების თუ მიდგომების შემუშავება, ჯგუფის მუშაობის დამოუკიდებლად დაგეგმვა და ხელმძღვანელობა, ფილოლოგიის სფეროში სამეცნიერო აპარატის სრულყოფილად ფლობა და გამოყენება ამა თუ იმ პრობლემის ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ კონტექსტში ანალიზისას, არჩეულ სპეციალობაში სალექციო კურსების მომზადება, ფილოლოგიაში მაღალკვალიფიციური სამეცნიერო გამოკვლევების დაწერა, ახალი მეთოდების დამოუკიდებელი კვლევისას გამოყენება. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **სასწავლო კომპონენტი** | 60 ECTS კრედიტი |
| **კვლევის კომპონენტი** | 120ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| **ფილოლოგიის დოქტორმა იცის:**<br>დარგის კვლევითი და სწავლების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები; ლიტერატურათმცოდნეობისა და ენათმეცნიერების განვითარების ძირითადი კანონზომიერებები, უახლესი კონცეფციები, მნიშვნელოვანი თეორიები; ფილოლოგიური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები.<br>**ფილოლოგიის დოქტორი შერჩეული საკვლევი მიმართულების მიხედვით ფლობს:**<br>შესასწავლი მწერლობის აქტუალურ საკითხებსა და მათი კვლევის უმთავრესი მიმართულებებს თანამედროვე ეტაპზე; ქართული მწერლობის თავისებურებებს ევროპული ლიტერატურის კონტექსტში; ლიტერატურის განვითარების ძირითად ეტაპებს, ჟანრებს, მნიშვნელოვან ავტორებს, მათი შემოქმედების ძირითადი პრობლემატიკას; ცალკეული ნაწარმოებების კონცეპტუალურ და სტილისტური მახასიათებლებს; ანტიკურობისა და თანამედროვეობის ურთიერთმიმართების მთავარ მიმართულებებს; ლიტერატურათმცოდნეობით სამეცნიერო-ტერმინოლოგიურ აპარატს; ღრმა და სისტემურ ცოდნას არჩეულ ქვედარგში; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მუშაობის წარმართვის უნარს; ლიტერატურათმცოდნეობითი სამეცნიერო ტექსტების შექმნისა და გაფორმების უნარს. ენების მორფოლოგიას, სინტაქსს, სტილისტიკას, ლექსიკას და ფრაზეოლოგიას; ლინგვისტურ სამეცნიერო-ტერმინოლოგიურ აპარატს; სტრუქტურულ, დესკრიფციულ, ფუნქციონალურ გრამატიკას და კომპიუტერული ლინგვისტიკის მოდელების აგების პრინციპებს; ქართველური, გერმანული, შეპირისპირებითი, თეორიული ენათმეცნიერების ძირითად და აქტუალურ პრობლემებს; სინქრონულ და დიაქრონულ მეთოდებს; ღრმა და სისტემურ ცოდნას არჩეულ ქვედარგში; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მუშაობის წარმართვის უნარს; ენათმეცნიერებითი სამეცნიერო ტექსტების შექმნისა და გაფორმების უნარს; ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდების მუშაობის, |

| |
|---|
| საგრანტო პროექტების და სამეცნიერო ნაშრომების შედგენის პრინციპებს; საგანმანათლებლო ტექნოლოგიებსა და ელექტრონული სწავლების პრინციპებს. |
| **უნარი** |
| **ფილოლოგიის დოქტორს აქვს:**<br>არსებული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების მოძიების ლინგვისტური, ლიტერატურათმცოდნეობითი, კომპარატისტული კვლევის მეთოდების გამოყენებით უნარი; კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების და რეფერატული ნაშრომის მომზადების უნარი ფილოლოგიის ამა თუ იმ დისციპლინის ცალკეულ ასპექტთა შესახებ; ფილოლოგიასთან დაკავშირებულ კვლევით პროექტებში მონაწილეობის, მხატვრული ტექსტების ანალიზის და ინტერპრეტაცის უნარი თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი თეორიების გათვალისწინებით; ფილოლოგიის სფეროს აქტუალური, რთული და კომპლექსური სამეცნიერო პრობლემების გადაჭრის გზების მოძიების, ერთ-ერთ ევროპულ ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) არჩეულ ქვედარგში სამეცნიერო ლიტერატურის გაგებისა და დამუშავების, სამეცნიერო ხასიათის ტექსტის შედგენის (საკონფერენციო მოხსენება, სამეცნიერო სტატია და სხვ.) და დარგობრივი პრეზენტაციის მომზადების უნარი შესწავლილი ენის შესაბამის უცხოენოვან აუდიტორიაში.<br><br>კრიტიკული ანალიზის შედეგად ლოგიკური დასკვნებისა და არგუმენტების ჩამოყალიბების უნარი; სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების გაკეთების უნარი; ფილოლოგიის სფეროში მიღებული ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი; მოპოვებული ან/და მიღებული ინფორმაციის კრიტიკული შეფასების, არგუმენტირებისა და სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; მრავალმხრივი ანალიზის, ფილოლოგიური და შესაბამისი ინტელექტუალური კონტექსტის გააზრების უნარი; კვლევის მონაცემების კრიტიკული და შემოქმედებითი ანალიზის, შეფასების, არგუმენტირების, სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი.<br><br>ფილოლოგიის აქტუალურ საკითხებზე მოსაზრებების, დასკვნების, არგუმენტების გაზიარების უნარი ქართულ და უცხოურ ენებზე; უახლესი ელექტრონული რესურსების გამოყენების უნარი; დისკუსიაში მონაწილეობის, პროფესიული კამათის უნარ-ჩვევები; დისკუსიაში პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მონაწილეობის, მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობის, ჩამოყალიბებისა და მისაღები ფორმულირებით გადმოცემის უნარი; იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებისა და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემის უნარი; ოპონენტის არგუმენტირებული მოსაზრების მოსმენის უნარი; სამეცნიერო დიალოგის წარმართვის უნარი. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| **ფილოლოგიის დოქტორს აქვს:**<br>კრეატიული აზროვნება და ახალი იდეების გენერირების უნარი; სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვის და მართვის უნარი; უწყვეტი განათლების მნიშვნელობის ცოდნა, სამეცნიერო პროფილის შეცვლის და ახალ ვითარებასთან ადაპტირების უნარი; ფილოლოგიის სფეროში არსებული ბეჭდური და ელექტრონული პუბლიკაციების, ინტერნეტის გამოყენებით ინფორმაციის მიღების უნარი; სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი; საკუთარ თავზე მუშაობის და მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფის უნარი; სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებისა და შემდგომი სწავლისათვის საჭირო პრიორიტეტების სწორად განსაზღვრის უნარი.<br>პროფესიული ღირებულებების დაცვა; ფილოლოგიის ღირებულებების საერთო ევროპული და საკაცობრიო მნიშვნელობის გაცნობიერების უნარი და მათ მიმართ პატივისცემის გრძნობა; სპეციალისტთა მიმართ კოლეგიალური დამოკიდებულება; კულტურათაშორისი განსხვავებების აღიარება, კულტურული მრავალფეროვნების აღქმა, ადეკვატური გაგება, ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურების, აზრის, დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა; პროფესიული ეთიკის ნორმების, აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების დაცვა. |

## საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტი
### საინჟინრო ტექნოლოგიები და სისტემები

**უმაღლესი განათლების საფეხური:** დოქტორანტურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ინჟინერიის დოქტორი სამრეწველო ინჟინერიაში და ტექნოლოგიაში

**პროგრამის მოცულობა:** 60 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|
| პროგრამის მიზანია ინჟინერიის სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც შეეძლებათ სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების გათვალისწინებით, მეცნიერული კვლევის საფუძველზე ინჟინერიის სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრა, ახალი საანგარიშო მოდელების შექმნა და ანალიზი, საინჟინრო ტექნოლოგიური პროცესების და ტექნიკური სისტემების პარამეტრების დადგენა და ოპტიმიზაცია, ასევე სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობა. |

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **სასწავლო კომპონენტი** | 60 ECTS კრედიტი |
| **კვლევის კომპონენტი** | 120 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |
| 1. კრიტიკულად აანალიზებს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ინფორმაციას. საკუთარი კვლევების საფუძველზე აღწერს დარგის უახლეს მიღწევებს, კვლევის და საწავლების თანამედროვე მეთოდებს და ხერხებს<br>2. აკავშირებს საინჟინრო სისტემების შექმნის, ტექნოლოგიური პროცესების განვითარების, სამეცნიერო კვლევების და რიცხვითი ანალიზის პროცესებს. |
| **უნარი** |
| 1. მეცნიერულ კვლევებში და საინჟინრო ამოცანების ამოხსნაში იყენებს ბუნების ფუნდამენტალურ კანონებს, თანამედროვე კომპიუტერულ ტექნოლოგიებს;<br>2. მეცნიერული კვლევების შედეგების საფუძველზე ადგენს პრაქტიკულ რეკომენდაციებს, აფასებს საინჟინრო სისტემების საიმედობას რეალურ საექსპლუატაციო პირობებში;<br>3. ადგენს საინჟინრო სისტემების და ტექნოლოგიური პროცესების პარამეტრებს მათემატიკური მოდელირების საფუძველზე;<br>4. სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში იყენებს მეცნიერების და მოწინავე ტექნოლოგიის თანამედროვე მიღწევებს;<br>5. სამეცნიერო კვლევების საფუძველზე აყალიბებს დასკვნებს საინჟინრო სისტემების საიმედოობასა და ტექნოლოგიური პროცესების ძირითადი პარამეტრების სანდოობაზე;<br>6. აკეთებს დასკვნას კვლევითი პროექტის აქტუალობის შესახებ;<br>7. ანგარიშებში, რეფერატებში, სამეცნიერო პუბლიკაციებში და საჯარო განხილვების დროს წარმართავს დისკუსიას და წარმოაჩნს კვლევის შედეგების (მათ შორის უცხოურ ენაზე); |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| 1. დამოუკიდებლად გეგმავს პროფესიული ზრდის პროცესს, სწავლის უნარით და რთული საკითხების გადაწყვეტის გზით;<br>2. იცავს აკადემიური პატიოსნების და სამეცნიერო კვლევების ეთიკის პრინციპებს, ებრძვის პლაგიატსა და დაუსაბუთებელ შედეგებს; |

ახდენს დარგში არსებული პრობლემების დამოუკიდებლად იდენტიფიცირებას და გადაწყვეტის გზების მოძიებას. ითვალისწინებს ტექნოგენური უსაფრთხოების პრინციპებს.

## საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი
## სურსათის მეცნიერება და ტექნოლოგია

**უმაღლესი განათლების საფეხური:** დოქტორანტურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორი
**პროგრამის მოცულობა:** 50 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

სადოქტორო პროგრამის ძირითადი მიზანია - ღრმა, სისტემური და უახლესი ცოდნით აღჭურვილი მაღალკვალიფიციური მკვლევარ-მეცნიერის მომზადება, რომელიც კვლევის თანამედროვე და ინოვაციური მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად შეძლებს საკვები პროდუქტების მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფეროში აქტუალური ორიგინალური, ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების განხორციელებას, ახალი ცოდნის შექმნას, გადაცემასა და გავრცელებას.

პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და სრულ თანხვედრაშია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერისტეტის მისიასთან - უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები, წვლილი შეიტანოს რეგიონისა და ქვეყნის განვითარებაში.

ძირითადი მიზნის მიღწევისათვის პროგრამის განხორციელების პროცესში წყდება შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

- დოქტორანტისათვის საკვები პროდუქტების მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში ლოკალური, რეგიონალური თუ გლობალური პრობლემის იდენტიფიცირებისა და მათი გადაჭრის ინოვაციური გზების ძიების უნარის გამომუშავება;
- პრობლემის ირგვლივ უახლესი სამეცნიერო ინფორმაციის მოპოვების, კრიტიკული ანალიზის, დასკვნების გაკეთებისა და ახალი კვლევის დაგეგმვის უნარის გამომუშავება;
- მეცნიერული კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებელი, ორიგინალური, ინოვაციური, ფუნდამენტალური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების განხორციელებისა და ახალი ცოდნის დაგროვების უნარის გამომუშავება;
- კვლევის შედეგების გაანალიზების, შეჯამებისა და საერთაშორისო რეფერირებედ ჟურნალებში პუბლიკაციისათვის თეორიული და კვლევითი მასალის მომზადების უნარის გამომუშავება;
- წამყვან საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით ცენტრებთან და გამოცემებთან კონტაქტების დამყარებისა და სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, დისკუსიებში, დებატებში მონაწილეობის უნარის განვითარება, პრეზენტაციის ხელოვნების დახვეწა და სრულყოფა;
- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, კონკრეტული სამეცნიერო თუ პრაქტიკული პრობლემის დაძლევის, ოპტიმალური, ორიგინალური და ინოვაციური გადაწყვეტილების მიღების უნარის განვითარება;
- დაგროვილი ცოდნის გაღრმავების, გადაცემის, გავრცელებისა და სწავლების პედაგოგიური უნარების გამომუშავება.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **სასწავლო კომპონენტი** | 50 ECTS კრედიტი |
| **კვლევის კომპონენტი** | 130 ECTS კრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|

| ცოდნა და გაცნობიერება |
|---|
| სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორის ხარისხის მქონე პირი იცნობს:<br>• საკვები პროდუქტების მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციებს, თეორიებსა და კონცეფციებს, სფეროს ლოკალურ, რეგიონალურ თუ გლობალურ პრობლემებს; წამყვანი სამეცნიერო ცენტრების მიერ წარმოებულ თანამედროვე კვლევებსა და უახლეს მიღწევებს.<br>• საკვები პროდუქტების (პურ-ფუნთუშეული და საკონდიტრო ნაწარმის, ხორცისა და რძის პროდუქტების, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების და სხვ. ) წარმოების ტრადიციული ტექნოლოგიების მეცნიერულ-პრაქტიკულ საფუძვლებს, უახლეს მიღწევებს და აქტუალურ პრობლემებს ამ სფეროში.<br>• ფუნქციონალური (მათ შორის სამკურნალო-პროფილაქტიკური) დანიშნულების საკვები დანამატებისა და პროდუქტების წარმოების თანამედროვე მიმართულებებს, მათი წარმოების მეცნიერულ-პრაქტიკულ საფუძვლებს; პრობლემებსა და პერსპექტივებს.<br>• სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფის საერთაშორისო სისტემებსა და სტანდარტებს.<br>იცის :<br>• სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების კვლევის თანამედროვე ქრომატოგრაფიული და სპექტრალური მეთოდები, საკვებ პროდუქტებში შემავალი ნაერთების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზის მეთოდები;<br>• სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები და მათი მეტაბოლიზმის ძირითადი პრინციპები;<br>✓ • ფუნქციონალური დანიშნულების საკვები დანამატებისა და პროდუქტების პროფილაქტიკური ეფექტურობის შეფასების ბიოლოგიური და კლინიკური კვლევის მეთოდები; |
| **უნარი** |
| საკვები პროდუქტების მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში პრობლემის იდენტიფიცირება, ანალიზი და კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით პრობლემის გადაჭრის ინოვაციური გზების მიგნება;<br>მიღებული ცოდნის ხელახალი გააზრება, ნაწილობრივი გადაფასება, ახალი იდეების გენერაცია, ახალი ცოდნის შექმნა, მისი სისტემური აღწერა, გადაცემა და გავრცელება.<br>• ორიგინალური, ფუნდამენტალური და გამოყენებითი კვლევების საფუძველზე ტრადიციული ტექნოლოგიების ინოვაციური მოდერნიზაცია და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი, მაღალი კვებითი ღირებულების საკვები პროდუქტების (პურ-ფუნთუშეული და/ან საკონდიტრო ნაწარმის, ხორცისა და რძის პროდუქტების, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების და სხვათა ) ორიგინალური ტექნოლოგიების მეცნიერულ-პრაქტიკული საფუძვლების დამუშავება კვების თანამედროვე თეორიებისა და სურსათის უვნებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით.<br>• ადგილობრივი მცენარეული, ცხოველური თუ მინერალური რესურსების ფუნდამენტალური კვლევის საფუძველზე, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ახალი თაობის, ფუნქციონალური (მათ შორის სამკურნალო- პროფილაქტიკური) დანიშნულების საკვები დანამატებისა და პროდუქტებისა ტექნოლოგიების კვლევა და მათი წარმოების მეცნიერულ-პრაქტიკული საფუძვლების დამუშავება.<br>• ბიოლოგიურად აქტიური ნატურალური პროდუქტების წარმოება. მიკრობული ლიპიდების, ცილების და ნახშირწყლების მიღება<br>• ახალი თაობის ფუნქციონალური დანიშნულების საკვები პროდუქტების პროფილაქტიკური ეფექტურობის დასადგენად ბიოლოგიური (წინაკლინიკური) და კლინიკური კვლევების დაგეგმვა და განხორციელება.<br>• ახალი პროდუქტის დამუშავების პროცესში მისი უვნებლობის უზრუნველყოფის ინოვაციური სტრატეგიის შემუშავება და მეცნიერულ- პრაქტიკული დასაბუთება. |

| |
|---|
| • სასწავლო პროცესის წარმართვა (ლექცია-ლაბორატორიული-პრაქტიკული სამუშაოების დაგეგმვა და ჩატარება); სტუდენტის (ბაკალავრი, მაგისტრი) სამეცნიერო კვლევითი მუშაობის დაგეგმვა და ხელმძღვანელობა.<br>•მეცნიერული კვლევის შედეგების შეჯამება და გაანალიზება, თეორიული და კვლევითი მასალის მომზადება საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციისთვის. |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
| როგორც აკადემიურ ისე პროფესიულ კონტექსტში უახლოეს მიღწევებზე დაფუძნებული პროექტების განხორციელება საკვები პროდუქტების მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით.<br>- ინოვაციური და ორიგინალური კვლევების დამოუკიდებლად წარმოება და დარგის განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელება.<br>– აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა მოღვაწეობის ყველა დარგში. |

## აგრარული ფაკულტეტი

### აგრონომია

**უმაღლესი განათლების საფეხური:** დოქტორანტურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი

**პროგრამის მოცულობა:** 60 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

<u>**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია**</u> მომზადდეს მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებიც დაუფლებული იქნებიან: აგრონომიის დარგის უახლეს ტექნოლოგიებს; მცენარეთა მოვლა–მოყვანის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს სასოფლო – სამეურნეო კულტურების ბიოლოგიური თვისებების, კლიმატურ–ნიადაგობრივი პირობების, მეცნიერების მიღწევებისა და წარმოების გამოცდილების გათვალისწინებით; ნიადაგების აგრომელიორაციას; ექსტრემალურ ვითარებაში პლანტაციებისა და ნარგაობების აღდგენა–განვითარების (რეკულტივაციის) მეცნიერულ საფუძვლებს; სარგავი მასალის მიღების თანამედროვე ტექნოლოგიებს; ახალი ჯიშების გამოყვანის და წარმოებაში დანერგვის ხერხებსა და გზებს; მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვის მეთოდებს, მიღებული მოსავლის ეკოლოგიური საიმედოობის პირობებს; ბიოლოგიურად უსაფრთხო სოფლის მეურნეობის წარმოებას; აგრონომიაში დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევების ჩატარების უნარს და შემდგომში მიღებული დადებითი შედეგების განზოგადოებას და წარმოებაში დანერგვას; ფართოდ გავრცელებული და პერსპექტიული დეკორაციული მცენარეების აგროტექნიკური საკითხების დამუშავებას, მათ გამრავლებას, გასხვლა–ფორმირებას, გამოზრდის თანამედროვე ტექნოლოგიების შემუშავებას; კლიმატის გლობალური ცვლილების და გარემოს ეკოლოგიურად დაბინძურების ფონზე მცენარეთა ზრდა-განვითარების შესაძლებლობების გამოვლენას, ამ პირობებისადმი გამძლე სახეობებისა და ჯიშების შერჩევას.

**პროგრამის სავარაუდო საკვლევი თემატიკა:**

**ა) მოდული: აგროეკოლოგია**

– საქართველოს სხვადასხვა ტიპის ნიადაგების ფიზიკო–ქიმიური შედგენილობის გავლენა ყურძნის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე;

– ალუვიური ნიადაგების თვისებების შესწავლა სუბტროპიკული კულტურების გასაშენებლად;

– ყომრალი ნიადაგების აგროეკოლოგიური მახასიათებლების შესწავლა ერთწლიანი კულტურებისათვის;

- ყომრალი და ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების აგროეკოლოგიური გარემოს შესწავლა კენკროვანი კულტურებისათვის (ჟოლო, მოცვი, უეკლო მაყვალი);

– წითელმიწა ეწერი ნიადაგების აგროეკოლოგიური თვისებების შესწავლა ციტრუსოვანი კულტურებისათვის;

– ყვითელმიწა ეწერი და ჭარბტენიანი ნიადაგების აგროეკოლოგიური თვისებების შესწავლა კაკლოვანი კულტურისათვის;

- ხანძრით დაზიანებული ნიადაგების დაბინძურების ხარისხის შესწავლა და რეკულტივაცია.

**ბ) მოდული: აგროტექნოლოგია**

- ლიმონის ბიოლოგიური თავისებურებები და მისი სამეურნეო შეფასება დახურულ გრუნტში იმერეთის პირობებში;

✓მიკროელემენტების გავლენის შესწავლა მანდარინის ფიზიოლოგიურ–ბიოლოგიურ პროცესებზე;

✓ფეიჰოას სხვადასხვა ფორმის ბიოლოგიური და სამეურნეო თავისებურებების დადგენა იმერეთის რეგიონში;

✓ჩაის კულტურის ინტენსიური ტექნოლოგიების დამუშავება დასავლეთ საქართველოს პირობებში;

✓მინერალური სასუქების ეფექტურობის განსაზღვრა ჩაის პლანტაციებში, იმერეთის ყვითელმიწა ნიადაგების პირობებში;

- ჩაის ბუჩქის გასხვლისა და ფოთლის კრეფის აგროტექნოლოგიური პროცესის ოპტიმიზაცია მთისწინეთის პირობებში;

- მიკროელემენტების გავლენის შესწავლა ჩაის ფოთლის მოსავლიანობასა და ხარისხზე;

- კენკროვანი კულტურების -მოვლა მოყვანის ინტენსიური აგროტექნოლოგია.

**გ) მოდული: მცენარეთა დაცვა**

– ვაზის კულტურის მავნებელ–დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები;

– ხეხილოვანი კულტურების მავნებელ–დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები;
– ციტრუსოვანი კულტურების მავნებელ–დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები;
– ჩაის კულტურების მავნებელ–დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები;
– ბოსტნეულის და პარკოსანი კულტურების მავნებელ–დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები;
– მარცვლოვანი და გოგროვანი კულტურების მავნებელ–დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები;
– კაკლოვანი და კენკროვანი კულტურების მავნებელ–დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები;
– ტყისა და დეკორაციული მავნებელ–დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები;
– ტექნიკური კულტურების მავნებელ–დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები.

**დ) მოდული: მცენარეთა სელექცია**

– ლიმონის სხვადასხვა კლონის ბიო–მორფოლოგიური და სამეურნეო მაჩვენებლების შესწავლა;
ფორთოხალ ვაშინგტონ–ნაველის ნუცელარული თესლნერგების საწარმოო ნარგაობის მცენარეების ზრდა და განვითარება იმერეთის პირობებში;
– ლიმონ დიოსკურიას იჩანგენზისთან შეჯვარებით მიღებული თაობის მორფო–გენეტიკური თავისებურებები;
– ლიმონ ოდიშის სამეურნეო მაჩვენებლები იმერეთში;
–მანდარინ ადრეულას ტრიფოლოატასთან შეჯვარებით მიღებულ თაობაში ფორმათაწარმოშობის შესწავლა;
– მანდარინ უნშიუს ნუცელარული თესლნერგების სრულმსხმოიარე მცენარეების ნაყოფმსხმოიარობის თავისებურებები;
– ეთერზეთოვანი და ცხიმზეთოვანი მცენარეების ჯიშებისა და ფორმების აგრო-ბიოლოგიური და სამეურნეო თავისებურებების შესწავლა სხვადასხვა კლიმატურ-ნიადაგობრივ პირობებში.

**ე) მოდული: საბაღო – საპარკო მეურნეობა**

✓ ავტოტრანსპორტით გარემოს დაბინძურების ფონზე საქართველოს დასახლებული ტერიტორიების ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასება და სარეაბილიტაციო ღონისძიებათა შემუშავება;
✓ სხვადასხვა ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში მცენარეთა ზრდა- განვითარების თავისებურებების კვლევა და გარემოს გამწვანებაში მათი მიზანშეწონილობის დასაბუთება;
✓ ინტროდუცირებული დეკორაციული მცენარეების მწვანე მშენებლობაში გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
✓ გამწვანებისათვის პერსპექტიული დეკორაციული მცენარეების სარგავი მასალის გამოყვანის, დარგვის და შემდგომი მოვლის თანამედროვე ტექნოლოგიების შემუშავება;
✓ მცენარეთა ენდემური სახეობებისზრდა-განვითარების მდგომარეობა და მათი შენარჩუნება-აღდგენის აგროტექნიკური ღონისძიებების შემუშავება;
✓ საქართველოს ავტობანის და მაგისტრალების მიმდებარე ტერიტორიების გამწვანების ღონისძიებების მეთოდების შერჩევა;
ქალაქების ბაღ-პარკების და შემოგარენის გამწვანება-რეაბილიტაცია.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **სასწავლო კომპონენტი** | 60 ECTSკრედიტი |
| **ძირითადი სასწავლო კურსები** | 30 ECTSკრედიტი |
| **სემინარი** | 15 ECTSკრედიტი |
| **მოდულები (არჩევითი):**<br>**1. აგროეკოლოგია**<br>**2. აგროტექნოლოგია**<br>**3. მცენარეთა დაცვა**<br>**4. მცენარეთა სელექცია**<br>**5. საბაღო-საპარკო მეურნეობა** | 15 ECTSკრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|

| ცოდნა და გაცნობიერება |
| --- |
| აქვს აგრონომიული მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა და გაცნობიერებული აქვს მისი ინტენსიფიკაციის შესაძლებლობები;<br>- იცის სასოფლო–სამეურნეო კულტურების გაშენების, მოვლა–მოყვანის, მცენარეთა სწრაფი გამრავლების, ჯანსაღი სარგავი მასალის მიღების, ახალი ჯიშების წარმოებაში დანერგვის უახლესი ტექნოლოგიები; ექსტრემალურ პირობებში მცენარეთა ბიომორფოლოგიური და ნიადაგურ–ბიოკლიმატური პირობების გათვალისწინებით პლანტაციებისა და ნარგაობების რეაბილიტაციისათვის გასატარებელ ღონისძიებათა ინოვაციური მეთოდები, მერქნიანი და ბალახოვანი მცენარეების, ტყის კულტურებისა და დეკორაციული მცენარეების გამრავლების, ფორმირების და მათგან ლანდშაფტების შექმნის თანამედროვე მეთოდები და მცენარეთა დაცვის შესაძლებლობები;<br>- გაცნობიერებული აქვს პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების ინოვაციური იდეების რეალიზაციის გზები;<br>- ფლობს სასწავლო და კვლევითი მუშაობის, ნაწილობრივ გადაფასების გზით მიღებულ ღრმა და სისტემური ცოდნას დარგობრივ მეცნიერებებში.<br>**საუნივერსიტეტო კურსები**<br>✓ იცის მეცნიერული კვლევის მეთოდები სოფლის მეურნეობაში;<br>✓ გაცნობიერებული აქვს მინდვრის ცდის მეთოდების თავისებურებები და მათზე წაყენებულ მოთხოვნები;<br>✓ აყალიბებს მინდვრის ცდის სხვადასხვა სქემებს. იცის ცდის დოკუმენტაციის აღწერა.<br>**ზოგადაგრარული კურსები**<br>II.1 იცის საქართველოს ნიადაგების აგროეკოლოგიური გარემო ბიოკლიმატური ფორმაციების მიხედვით;<br>II.2 იცის საქართველოს ნიადაგები და ახასიათებს მათ ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით;<br>II.3 იცის სასოფლო–სამეურნეო მცენარეთა სელექციასა და პომოლოგიაში გამოყენებული კვლევის მეთოდები;<br>II.4 დაუფლებულია ნიადაგების კვლევის ფიზიკო–ქიმიურ მეთოდებს, მცენარის ჯიშის პომოლოგიური დახასიათების წესებს, სორტიმენტის გაუმჯობესებისა და განახლების ხერხებს.<br>**მოდული 1. აგროეკოლოგია**<br>II.5 შესწავლილი აქვს თანამედროვე კვლევითი მუშაობისათვის აგრობიოლოგიური ტექნოლოგიები;<br>II.6 გაცნობიერებული აქვს მიწის რესურსების დარგთაშორისი გადანაწილების პრინციპები აგროეკოლოგიურ გარემოში;<br>II.7 აცნობიერებს დარგში არსებული პრობლემების გადაჭრის გზებს. იცნობს ნიადაგის დამუშავების სისტემებს, იცის ბაღ–ვენახების გაადგილების რეზერვები, ბოსტნეული და სუბტროპიკული კულტურების მოყვანის აგროეკოლოგიური პირობები;<br>**II.8** იცის კენკროვანი კულტურების (ჟოლო, მოცვი, უეკლო მაყვალი) აგროეკოლოგიური პირობები.<br>**მოდული 2. აგროტექნოლოგია**<br>- იცის მცენარეთა ბიოლოგიური თავისებურებები და შეუძლია, როგორც დახურული ისე ღია გრუნტისთვის მისი სამეურნეო შეფასება;<br>- იცის ჩაის და სხვა კულტურების ინტენსიური ტექნოლოგიების დამუშავება;<br>- იცის და შეუძლია ჩაის ბუჩქის გასხვლისა და ფოთლის კრეფის აგროტექნოლოგიური პროცესის ოპტიმიზაცია მთისწინეთის პირობებში;<br>III.1 ფლობს ექსტრემალურ პირობებში სასოფლო–სამეურნეო მცენარეთა ბიო-მორფოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით პლანტაციებისა და ნარგაობების რეაბილიტაციისათვის გასატარებელ ღონისძიებათა ცოდნას და გაცნობიერებული აქვს მისი რეალიზაციის გზები;<br>III.2 აქვს ცოდნა მიკროელემენტების, მინერალური სასუქების გავლენის შესახებ მცენარეთა ზრდა–განვითარების პროცესებზე და შეუძლია მათი ეფექტურობის განსაზღვრა, ასევე დეტალურად ჩამოაყალიბოს ამ კუთხით, როგორც გამოუყენებელი, ისე გამოყენებული ნიადაგების ათვისებისა და მათი ნაყოფიერების გადიდების მექანიზმები.<br>**მოდული 3. მცენარეთა დაცვა**<br>III.3 იცის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მცენარეთა დაცვის აქტუალური პრობლემები და ამ სფეროში მკვლევართა ექსპერიმენტული კვლევის შედეგები უახლესი მიღწევების დონეზე; |

✓ იცის საქართველოსათვის მცენარეთა იშვიათი და ახალი სახეობები, მათზე მოსახლე მავნე ორგანიზმების სახეობრივი შემადგენლობა, გამოჩენის, გავრცელების და განსახლების ვადები;
✓ იცის მცენარეთა მავნე ორგანიზმებისაგან, დაავადებებისგან, სარეველებისგან დაცვის ეკოლოგიურად უსაფრთხო, მაღალეფექტური ღონისძიებები და გაცნობიერებული აქვს ახალი საკარანტინო ობიექტების გამოვლენისა და გასატარებელი სალიკვიდაცო ღონისძიებების არსი;
✓ გაცნობიერებული აქვს აგროეკოლოგიასა და მცენარეთა დაცვის კუთხით არსებული ცოდნის ხელახალი გააზრების და ახლი ცოდნის შექმნის აუცილებლობა და მნიშვნელობა,

**მოდული 4. მცენარეთა სელექცია**

III.4 იცის სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სელექციაში გამოყენებული კვლევის მეთოდები, სელექციის ამოცანები და მათი გადაწყვეტის ძირითადი პრინციპები;

III.5 იცნობს ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების სელექციის აქტუალურ პრობლემებს და ამ სფეროში მკვლევართა მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტული კვლევის შედეგებს;

III.6 დაუფლებულია სელექციური პროცესის ორგანიზაციის, მისი დაჩქარებისა და გაადვილების, საწყისი მასალის ფორმათა მრავალფეროვნების შექმნის თანამედროვე მეთოდებს და გაცნობიერებული აქვს მათი არსი;

III.7 იცის სუბტროპიკულ მცენარეთა ჯანსაღი სარგავი მასალის მიღების, ახალი ჯიშების წარმოებაში დანერგვის თანამედროვე ტექნოლოგიები.

**მოდული 5. საბაღო–საპარკო მეურნეობა**

II.9 იცის საქართველოს ტერიტორიაზე მოზარდი დეკორაციული მერქნიანი მცენარეების ძირითადი ასორტიმენტი, მათი ბიო–მორფოლოგიური თავისებურებები, ფენოლოგიური კვლევების და ბიომეტრიული გაზომვების წარმართვის მეთოდები და ტექნიკა;

II.10 იცის დეკორაციულ მერქნიან მცენარეთა სანერგეების სტრუქტურა;

II.11 ფლობს სანერგეებში დეკორაციული მერქნიანი მცენარეების მოვლა–მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიებს;

იცის ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტების კლასიფიკაცია, საქართველოს ლანდშაფტების ბუნებრივი რესურსები და გაცნობიერებული აქვს მათი შეფასების კრიტერიუმები.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

- დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს სასოფლო–სამეურნეო კულტურების სწორი გაადგილება აგროეკოლოგიურ გარემოში, რეგიონის აგროკლიმატური პირობების საფუძველზე;
✓ შეუძლია მავნე მეტეოროლოგიური ფაქტორების გავლენისაგან მცენარეების დაცვის ღონისძიებების გატარება;
✓ შეუძლია შეასრულოს პლანტაციებისა და ნარგაობების გასაშენებლად წინასწარ ჩასატარებელი სამუშაოები უახლესი ტექნოლოგიებით;
✓ აქვს მცენარეთა კვებისა და დაცვის, ნიადაგისა და მცენარის მოვლის თანამედროვე ტექნოლოგიების პრაქტიკული რეალიზაციის უნარი;
- შეუძლია დაკნინებულ მცენარეთა ნარგაობის აღდგენის აგროტექნიკურ ღონისძიებათა სისტემის შემუშავება;
- აქვს მცენარეთა კლონური მიკროგამრავლების, მიკრომყნობის და სარგავი მასალის გაჯანსაღების უახლესი მეთოდების გამოყენების უნარი;
- შეუძლია დარგის პრობლემების გადაწყვეტა და აპრობირებული მეთოდების გამოყენება კვლევის პროცესებში;
- გააჩნია გარემოს მდგომარეობაზე მონიტორინგისა და კონტროლის პრაქტიკული უნარი, შეუძლია ტერიტორიების ლანდშაფტურ - ეკოლოგიური შეფასება და ქალაქების ბაღ-პარკების და შემოგარენის გამწვანება-რეაბილიტაცია;
- შეუძლია აგრარულ სფეროში ინოვაციური კვლევის დაგეგმვა და განხორციელება, ახალი მეთოდებისა და მიდგომების შემუშავება, მოპოვებული შედეგების დამუშავება და ახალი ცოდნის ასახვა საერთაშორისი რეფერირებად პუბლიკაციებში.

**საუნივერსიტეტო კურსები**

✓შეუძლია მინდვრის ცდის სქემების შედგენა, ცდაში ვარიანტებისა და განმეორებების განლაგება, დოკუმენტაციის გაფორმება;
✓აქვს უნარი შეარჩიოს ფერდობებზე, სარწყავ მიწებზე, დაშრობილ მიწებზე მინდვრის ცდების წარმოების სქემები;

✓ გამოიყენებს საველე და ლაბორატორიულ მეთოდებს;
✓მოახდენს მოსავლის აღრიცხვას სხვადასხვა მეთოდებით კულტურების თავისებურებებიდან გამომდინარე;
✓ გამოიყენებს მათემატიკურ მეთოდებს ცდიდან მიღებული მონაცემების დასამუშავებლად.

**ზოგადაგრარული კურსები**

II.12 შეუძლია განსაზღვროს საქართველოს ნიადაგების აგროეკოლოგიური გარემოს მდგომარეობა, მათი თვისებები; დაგეგმოს აგროკლიმატური პირობების საფუძველზე დეგრადირებული სისტემების აღდგენის შესაძლებლობები და უზრუნველყოს მათთვის ბუნებრივი მდგომარეობის დაბრუნება;

II.13 აქვს მცენარის ახალი ჯიშების გამოყვანის უნარი და შეუძლია უკვე არსებული სორტიმენტის გამორჩევა-დადგენა;

II.14 შეუძლია დარგის აქტუალური საკითხების გადაწყვეტა, მცენარეთა სელექციისა და ჯიშთმცოდნეობასთან დაკავშირებული ანალიტიკური სამუშაოების შესრულებით;

II.15 აქვს საქართველოს ნიადაგებზე აგროეკოლოგიური გარემოს თანამედროვე საველე კვლევის მეთოდების გამოყენების უნარი და სუბტროპიკული ზონის ძირითად სასოფლო - სამეურნეო კულტურათა ახალი ჯიშების მიღებასთან დაკავშირებული პრაქტიკული სამუშაოების ჩატარების უნარი.

**მოდული 1. აგროეკოლოგია**

**II.16** შეუძლია: კონკრეტულ ტერიტორიულ სამუშაოთა ორგანიზება, დამშრობი და სარწყავი ქსელის დაგეგმარება და მოწყობა; ნიადაგის საფარის თანამედროვე მდგომარეობის განსაზღვრა და ნიადაგის დამუშავება სისტემების მიხედვით;

**II.17** აქვს უნარი დააჯგუფოს ბაღ–ვენახების და ბოსტნეული კულტურების გაადგილების ხვედრითი წილი ბიოლოგიურად უსაფრთხო პროდუქციის წარმოებაში და შეუძლია კენკროვანი კულტურების (ჟოლო, მოცვი, მაყვალი) აგროეკოლოგიური პირობების შერჩევა.

**მოდული 2. აგროტექნოლოგია**

- შეუძლია, როგორც დახურული ისე ღია გრუნტისთვის მცენარეთა სამეურნეო შეფასება ბიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით;
- შეუძლია ჩაის და სხვა კულტურების ინტენსიური ტექნოლოგიების დამუშავება;
- შეუძლია ჩაის ბუჩქის გასხვლისა და ფოთლის კრეფის აგროტექნოლოგიური პროცესის ოპტიმიზაცია მთისწინეთის პირობებში და ექსტრემალურ პირობებში სასოფლო – სამეურნეო მცენარეთა ბიო-მორფოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით პლანტაციებისა და ნარგაობების რეაბილიტაცია;

III.8 შეუძლია როგორც ათვისებული, ისე აუთვისებელი ნიადაგების ნაყოფიერების გადიდება მცენარეთა ფიზიოლოგიურ-ბიოლოგიურ პროცესებზე მიკროელემენებისა და მინერალური სასუქების გავლენის ეფექტურობის დადგენით.

**მოდული 3. მცენარეთა დაცვა**

შეუძლია:
✓ფიტომრავალფეროვნების ახალი მავნე ორგანიზმების გამოვლენა და იდენტიფიკაციია;
✓ დაავადებების გამომწვევი პათოგენთა ახალი პოპულაციების გამოვლენა და ვირულენტობის დადგენა;
✓ მავნე ორგანიზმების ახალი ფენოლოგიური კალენდრის შემუშავება – შედგენა;
✓ კულტურათა ცალკეული დაავადებებისა და მავნებლების გამოცნობა და მათ წინააღმდეგ ჩასატარებელი ღონისძიებების შერჩევა;
✓ საკარანტინო მავნებლებისა და დაავადებების გამოვლენა, მათი ლიკვიდაცია და კერების ლოკალიზაცია;
✓ მცენარეთათვის ნაკლებტოქსიკური პრეპარატების შერჩევა;
✓ დარგში კვლევის ინოვაციური მეთოდების დაგეგმვა და მის განხორციელებაზე ზედამხედველობა.

**მოდული 4. მცენარეთა სელექცია**

III.9 ფლობს დაგროვილი ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით სასოფლო-სამეურნეო კულტურების სელექციის მიმართულებით პრობლემის გაცნობიერებისა და ახალი ინოვაციური იდეების შემუშავების უნარს;

III.10 შეუძლია სელექციური პროცესების ორგანიზაციის აქტუალური საკითხების გადაწყვეტა და სელექციასთან დაკავშირებული ანალიტიკური სამუშაოების შესრულება;

III.11 აქვს უნარი შეასრულოს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ახალი ჯიშების მიღებასთან დაკავშირებული პრაქტიკული (შეჯვარება, გამორჩევა, ნათესარების მოვლა) და კვლევითი სამუშაოები;

III.12 შეუძლია ახალი ჯიშების, კლონების, ჰიბრიდების კლონური მიკროგამრავლება, მიკრომყნობა და ვირუსებისაგან გაჯანსაღებული სარგავი მასალის მიღება.

**მოდული 5. საბაღო–საპარკო მეურნეობა**

II.18 შეუძლია საქართველოს ტერიტორიაზე მოზარდი დეკორაციული მერქნიანი მცენარეების ძირითადი ასორტიმენტის გამოცნობა, მათი სისტემატიკური შემადგენლობის დადგენა, სასიცოცხლო პირობების შეფასება, მერქნიან მცენარეებზე ფენოლოგიური დაკვირვებების და ბიომეტრიული სამუშაოების ჩატარება, გამწვანების ობიექტებზე მერქნიანი მცენარეების გამოყენებით ისეთი ნარგაობების შექმნა, რომლებიც გამართლებული იქნება როგორც სანიტარულ-ჰიგიენური, ისე მხატვრულ - ესთეტიკური თვალსაზრისით;

II.19 შეუძლია შეარჩიოს დეკორაციულ მერქნოვან მცენარეთა სანერგისათვის ადგილი, დააგეგმაროს ტერიტორია სკოლების მიხედვით;

II.20 აქვს უნარი შეადგინოს გამოსაყვან მცენარეთა ასორტიმენტი და შექმნას სადედე განყოფილება;

შეუძლია ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების დიფერენციაცია, ბუნებრივ-ანთროპოგენური ლანდშაფტების შეფასება, დაცული ტერიტორიების, ქალაქების მიმდებარე რეკრეაციული ზონების, დასახლებული ტერიტორიების მონიტორინგი, კომპლექსური შესწავლა და სარეკომენდაციო ღონისძიებების შემუშავება.

**დასკვნის უნარი**

შეუძლია ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება; მეცნიერული პრობლემის განსაზღვრა, კვლევის ამოცანის და გეგმის ფორმულირება; მათი გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება; ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე სრულყოფილი სამუშაო გეგმის და მისი რეალიზაციის უახლესი მეთოდების ჩამოყალიბება; ექსპერიმენტის შედეგების გაანალიზება და შესაბამისი დასკვნის გაკეთება.

**საუნივერსიტეტო კურსები**

✓ კვლევით მიღებული მონაცემების საფუძველზე განმარტავს ცდიდან მიღებული შედეგების უპირატესობას და მათემატიკური მეთოდების გამოყენებით ასაბუთებს მიღებული მონაცემების დამაჯერებლობას, ცდის სიზუსტეს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

**ზოგადაგრარული კურსები**

II.21 აქვს უნარი მოიპოვოს და გაანალიზოს ინფორმაცია საქართველოს ნიადაგების აგროეკოლოგიური გარემოს გამოყენების შესახებ და განსაზღვროს მათი პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო გზები;

II.22 აქვს უნარი მოიპოვოს ინფორმაცია და ანალიზის საფუძველზე სელექციისა და ჯიშთმცოდნეობის საკითხებზე არსებული შეუსაბამობისას განსაზღვროს მათი გადაჭრის საჭირო გზები.

**მოდული 1. აგროეკოლოგია**

II.23 აქვს უნარი მოიპოვოს ინფორმაცია გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე და განსაზღვროს არსებული პრობლემების გადაჭრის გზები;

II.24 შეუძლია შეაფასოს სოფლის მეურნეობის განვითარების პირობები საქართველოს მაღალმთიანეთში და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება პრობლემის გადასაჭრელად;

II.25 აქვს უნარი მოპოვებული მონაცემების საფუძველზე გამონახოს ბაღ–ვენახების, ბოსტნეული და სუბტროპიკული კულტურების გაადგილების რეზერვები და მიიღოს გადაწყვეტილება მათ გაშენებაზე.

**მოდული 2. აგროტექნოლოგია**

III.13 აქვს უნარი და შეუძლია სასოლო–სამეურნეო კულტურების განვითარების თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით განსაზღვროს დარგის პრობლემები, იმსჯელოს მათ შესახებ, შეაფასოს და ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით მოახდინოს ინფორმაციის სინთეზი;

III.14 შეიმუშაოს სასოფლო - სამეურნეო კულტურების განვითარების ძირითადი მიმართულებები;

- შეუძლია მცენარეთა სამეურნეო შეფასება ბიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით დასკვნის გამოტანა და გადაწყვეტილების მიღება ჩაის და სხვა კულტურების ინტენსიური ტექნოლოგიების დამუშავებაზე;

III.15 ოპტიმიზაციაზე;

- შეუძლია მცენარეთა სამეურნეო შეფასება ბიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით და მიიღოს გადაწყვეტილება ჩაის და სხვა კულტურების ინტენსიური ტექნოლოგიების დამუშავებაზე;
- ექსტრემალური პირობების გათვალისწინებით შეუძლია გამოიტანოს დასკვნა პლანტაციებისა და ნარგაობების რეაბილიტაციისათვის გასატარებელ ღონისძიებებზე და მიიღოს გადაწყვეტილება დასკვნის რეალიზების შესაძლებლობებზე.

განმარტავს სასოფლო–სამეურნეო კულტურათა ზრდა–განვითარების პირობებს, ახდენს შედარებას და იღებს გადაწყვეტილებას აგროტექნოლოგიური პროცესების

**მოდული 3. მცენარეთა დაცვა**

✓ აქვს დასკვნის გაკეთების უნარი, მცენარეთა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ეკოლოგიურად უსაფრთხო, ახალი ეფექტური ღონისძიებების გათვალისწინებით მიღებული შედეგების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე;

III.16 შეუძლია ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მცენარეთა დაცვის აქტუალური პრობლემების გათვალისწინებით მკვლევართა ექსპერიმენტული კვლევის შედეგების გაანალიზება და შესაბამისი დასკვნის საფუძველზე მიღწევების დანერგვა;

- შეუძლია საქართველოს მცენარეთა იშვიათ და ახალი სახეობებზე მოსახლე მავნე ორგანიზმების სახეობრივი შემადგენლობის შეფასება და გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ დასკვნის გამოტანა მათი გამოჩენის, გავრცელების და განსახლების ვადების გათვალისწინებით;

- მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გათვალისწინებით, შეუძლია გაანალიზოს გასატარებელი ღონისძიებების არსი და საკარანტინო ობიექტების გამოსავლენად მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

**მოდული 4. მცენარეთა სელექცია**

III.17 აქვს უნარი და შეუძლია მცენარეთა სელექციის განვითარების თანამედროვე მდგომარეობის გათვალისწინებით განსაზღვროს დარგის პრობლემები, იმსჯელოს მათ შესახებ, შეაფასოს და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით მოახდინოს ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;

III.18 აქვს უნარი შეიმუშაოს ძირითადი კულტურების სელექციის განვითარების მიმართულებები;

III.19 აანალიზებს in vitro კულტურაში სასოფლო–სამურნეო მცენარეთა მიღების ხერხებს, განსაზღვრავს შესაბამისი უპირატესობის აქტუალობას და აკეთებს დასკვნას მცენარეთა გამორჩევაზე;

- აქვს უნარი მოიპოვოს და გაანალიზოს ინფორმაცია მცენარეთა სელექციის საკითხში არსებული პრობლემების შესახებ, განსაზღვროს მათი გადაჭრის გზები და მიიღოს გადაწყვეტილება მისი განხორციელების ხერხზე.

**მოდული 5. საბაღო–საპარკო მეურნეობა**

II.26 მცენარეების შესწავლის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ადგენს მცენარეთა ტაქსონომიურ შემადგენლობას, აკვირდება განვითარების ფენოლოგიურ ფაზებს, გარემო პირობებისადმი მათი შეგუების ხარისხს, აფასებს სასიცოცხლო პირობებს და აკეთებს შესაბამის დასკვნებს;

II.27 დასახლებული ტერიტორიების გამწვანება - რეაბილიტაციის მოთხოვნების გათვალისწინებით ადგენს სანერგეში თანამედროვე ინტენსიურ აგროტექნოლოგიურ ღონისძიებებს და იღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას;

ბუნებრივ-ანთროპოგენური ლანდშაფტების შესწავლის და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მონიტორინგის პროცესში აანალიზებს მიღებულ შედეგებს, რის საფუძველზეც შეიმუშავებს მათი აღდგენა - რეაბილიტაციის ღონისძიებებს, ასაბუთებს მათ და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

**კომუნიკაციის უნარი**

აქვს ახალი ცოდნის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენის უნარი; თანამედროვე კომპიუტერული პროგრამებისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი; ბიბლიოთეკებისა და სხვა საინფორმაციო წყაროების ეფექტურად გამოყენების უნარი; შეუძლია მოპოვებული ცოდნის სწორად და ეფექტურად გადაცემა სამეცნიერო საზოგადოებისათვის, მათ შორის უცხოურ ენაზე; ასაბუთებს და არგუმენტირებულად იცავს საკუთარ პოზიციას; შეუძლია საკუთარი იდეების პრეზენტაცია ფართო საზოგადოებისათვის მათი მომზადების დონის გათვალისწინებით.

**ზოგადაგრარული კურსები**

II.28 შეუძლია საუბარი და მსჯელობა საქართველოს ნიადაგების აგროეკოლოგიური გარემოს თავისებურებებზე, სუბტროპიკული ზონის სასოფლო–სამეურნეო კულტურების სელექციისა და ჯიშთმცოდნეობის სპეციფიურობაზე, აგრეთვე, საქართველოს ბუნებრივ რესურსებსა და მათ გამოყენების პერსპექტივებზე კოლეგებთან და აკადემიურ საზოგადოებასთან მშობლიურ და უცხო ენაზე.

**მოდული 1. აგროეკოლოგია**

**II.29** შეუძლია: დარგის თავისებურებებზე საუბარი და მსჯელობა კოლეგებთან და აკადემიურ პერსონალთან. შეუძლია აგროეკოლოგიური სოფლის მეურნეობის ცალკეული მიმართულების და სასოფლო–სამეურნეო კულტურების შესახებ თავისი მოსაზრებისა და დასკვნების მსმენელამდე მიტანა და კამათი;

**II.30** შეუძლია აქტიური მონაწილეობის მიღება საგრანტო-სატენდერო, სამეცნიერო და პრაქტიკულ-გამოყენებითი პროექტების, სიმპოზიუმების, კონფერენციების მომზადება, განხორციელებასა და მათ ირგვლივ დისკუსიაში ჩართვა.

**II.31 მოდული 2. აგროტექნოლოგია**

II.32 შეუძლია სასოფლო–სამეურნეო კულტურების განვითარების შესახებ თავის მოსაზრებებსა და დასკვნებზე საუბარი კოლეგებთან, პროფესიონალებთან და აკადემიურ საზოგადოებასთან;

II.33 განსაზღვრავს სასოფლო სამეურნეო კულტურების სხვადასხვა მიმართულებით გამოყენების ხერხებს და კოლეგებთან ერთად დაადგენს მათ პერსპექტიულობას;

II.34 განსაზღვრავს სამელიორაციო და მელიორირებული მიწების გამოყენების მეთოდებსა და კოლეგებთან მსჯელობით დააზუსტებს დაზიანებული ნიადაგების აღდგენის ღონისძიებებს.

**მოდული 3. მცენარეთა დაცვა**

II.35 შეუძლია მცენარეთა დაცვის აქტუალური საკითხების დაყენება და პროფესიულ დონეზე თემატურ დისკუსიაში ჩართვა, ინფორმაციის გაცვლა კოლეგებთან და აკადემიურ საზოგადოებასთან მშობლიურ და უცხო ენაზე;

II.36 აქტიური მონაწილეობის მიღება მცენარეთა დაცვის მიმართულებით სამეცნიერო და პრაქტიკულ-გამოყენებითი პროექტების, სიმპოზიუმების, კონფერენციების მომზადება და განხორციელება.

**მოდული 4. მცენარეთა სელექცია**

II.37 შეუძლია მცენარეთა სელექციის პრობლემების შესახებ თავის მოსაზრებებსა და დასკვნებზე საუბარი და მსჯელობა კოლეგებთან, პროფესიონალებთან და აკადემიურ საზოგადოებასთან;

II.38 შეუძლია სელექციის აქტუალური საკითხების დაყენება და პროფესიულ დონეზე თემატურ დისკუსიაში ჩართვა, როგორც ზეპირად, ისე წერილობით ქართულ და უცხო ენაზე.

**მოდული 5. საბაღო–საპარკო მეურნეობა**

II.39 შეუძლია საუბარი და მსჯელობა საბაღო–საპარკო მეურნეობის პრობლემურ საკითხებზე, საქართველოს ლანდშაფტებზე და ბიომრავალფეროვნებაზე;

შეუძლია ინფორმაციის გაცვლა კოლეგებთან და აკადემიურ საზოგადოებასთან მშობლიურ და უცხო ენაზე და მსჯელობით საკითხის ჭეშმარიტობის დადგენა.

**სწავლის უნარი**

შეუძლია საკუთარი ცოდნის შეფასება და ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გაღრმავების მიზნით საჭიროებების განსაზღვრა;

აქვს დამოუკიდებლად სწავლის უნარი შემდგომი პროფესიული განვითარების მიზნით;

აქვს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალი იდეების ან მოსაზრებების განვითარების მზაობა სწავლისა და კვლევის პროცესში.

**მოდული 1. აგროეკოლოგია**

- აგროეკოლოგიური მიმართულებით სწავლების უზრუნველყოფისა და სტიმულირებისათვის, განსაზღვრავს პროფესიულ ინტერესს და სურვილს სწავლა/სწავლების, კვლევისა და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის;

- შემლებს მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე ასწავლოს და თავადაც განვითარდეს შემდგომი საჭიროებისათვის.

**მოდული 2. აგროტექნოლოგია**

– შეუძლია აგროტექნოლოგიაში ახალი მეცნიერული ინფორმაციის კრიტიკულად ათვისება და მისი მნიშვნელობის პერსპექტივების სწორად წარმოდგენა;

– აქვს სასოფლო–სამეურნეო კულტურების მოვლა–მოყვანის უახლოეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი იდეებისა და მიდგომების სწავლისა და გამოყენების, კვლევის პროცესში ჩართვის უნარი.

**მოდული 3. მცენარეთა დაცვა**

- უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, განავითარებს სწავლასა და კვლევებს მცენარეთა მავნე ახალი ორგანიზმების გამოსავლენად აგროეკოსისტემებში შექმნილი არასახარბიოლო მდგომარეობის გამოსასწორებლად;

- შეუძლია სიღრმისეული კვლევების ჩატარებით მიღებული ცოდნის გამოყენება და აგრობიოცენოზებში მცენარეთა მავნე ორგანიზმების გამოვლენის და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ეკოლოგიურად უსაფრთხო მეთოდების შერჩევა-შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის მეთოდების სრულყოფა.

**მოდული 4. მცენარეთა სელექცია**

– შეუძლია ადეკვატურად შეაფასოს საკუთარი ცოდნა, აქვს მზაობა მუდმივი სწავლის და ცოდნის განვითარება-სრულყოფისათვის, სამეცნიერო და სწავლების მეთოდების გაუმჯობესებისათვის, ახალი იდეების გენერირებისათვის;

– შეუძლია სასოფლო–სამეურნეო მცენარეთა სელექციის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, ახალი მიდგომების გამოყენება როგორც სწავლის, ისე მეცნიერული მუშაობის, თუ პრაქტიკული საქმიანობის პროცესში.

**მოდული 5. საბაღო–საპარკო მეურნეობა**

1კრიტიკულად აფასებს საკუთარ ცოდნას და მიღებულ ინფორმაციას საბაღო-საპარკო მეურნეობის მიმართულებით, სწორად განსაზღვრავს პროფესიულ ინტერესს, ამჟღავნებს მზაობას სწავლისდა ცოდნის შემდგომი განვითარებისათვის, კვლევისა და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის;

აქვს გარემოს და მცენარეული საფარის ბიო-ეკოლოგიური კვლევის საფუძველზე მიღებული ცოდნის კრიტიკულად გააზრების, შემდგომი სწავლისა და გამოყენების, კვლევის პროცესში ჩართვის უნარი.

**ღირებულებები**

გაცნობიერებული აქვს აგრარული დარგის მნიშვნელობა ქვეყნის გაძლიერების საქმეში და კარგად მოიაზრებს თავის თავს ამ პროცესში. აღიარებს სოფლის მეურნეობის თითოეული დარგის განვითარების პოტენციალს; შეუძლია იყოს ამ დარგის სპეციალისტთა შორის და იმავდროულად იკისროს ლიდერის ფუნქცია; მსჯელობს დაგეგმილი მელიორაციული ღონისძიებების დასკვნის შესაბამისად; აფასებს ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენის პროცესს; გადაწყვეტს სამეურნეო ბრუნვაში ახლადმელიორირებული ნიადაგების დაბრუნების ღონისძიებებს; შესთავაზებს დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ალტერნატივებს; შეუძლია მცენარეთა ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ძირითადი პრინციპების დაცვა; ასრულებს სელექციურ სამუშაოს ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით; ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე უყალიბდება ბიომრავალფეროვნების და ეკოლოგიური წონასწორობის შენაჩუნების ღირებულებები; იცის საცხოვრებელი გარემოს იერსახის გაუმჯობესების აუცილებლობის მნიშვნელობა ადამიანისათვის კომფორტული სასიცოცხლო პირობების შესაქმნელად; როგორც მეცნიერ–მკვლევარს და პედაგოგს გაცნობიერებული აქვს განათლების მნიშვნელობა აგრარული მეცნიერებების აღორძინებაში. აგრარულ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირს გათვითცნობიერებული აქვს პროფესიული ეთიკის ნორმები (პიროვნული თავისუფლების აღქმა, პიროვნების ღირსების პატივისცემა და საკუთრების ხელშეუხებლობა).

**ზოგადაგრარული კურსები**

II.40 საქართველოს გარემო აგროკლიმატურ პირობებში არსებული სამეურნეო ობიექტების გამოყენებისას სამართლიანობისა და ობიექტურობის დაცვა.

**მოდული 1. აგროეკოლოგია**

✓საქართველოს ნიადაგების აგროეკოლოგიური გარემოს ბიოკლიმატურ პირობებში განსაზღვრავს აგრომელიორაციული ღონისძიებების საჭიროებასა და ღირებულებებს;

II.41 პასუხისმგებლობით ეკიდება თავის პროფესიულ საქმიანობას და ცვალებად სიტუაციაში მსჯელობით იცავს თავის პოზიციას როგორც კოლეგებთან, ისე საჯაროდ მშობლიურ და უცხო ენაზე.

**მოდული 2. აგროტექნოლოგია**

III.20 შეაფასებს სასოფლო-სამურნეო კულტურათა უხვი მოსავლის მიღების შესაძლებლობებს და სამომხმარებლო და ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებით შეარჩევს სხვადასხვა წარმოშობისა და თვისებების მქონე ჯიშებსა და ფორმებს.

**მოდული 3. მცენარეთა დაცვა**

✓ პასუხისმგებლობით ეკიდება თავის პროფესიულ საქმიანობას, მცენარეთ დაცვის საკითხებში,მ სჯელობით იცავს თავის პოზიციას კოლეგებთან. გათავისებული აქვს პროფესიული ეთიკის ნორმები;

✓ პატივს სცემს სხვათა კვლევებს და შესწევს უნარი დაიცვას საკუთარი კვლევის დროს მიღებული შედეგები;

✓ განახორციელებს კვლევის შედაგად მიღწეულ შედეგებს.

✓ **მოდული 4. მცენარეთა სელექცია**

✓ გამოიყენებს და შეიმუშავებს კვლევის ინოვაციურ მეთოდებს;

- იყენებს სელექციის სფეროსთან დაკავშირებული ღირებულებების, პროფესიული ეთიკის სტანდარტების (ციტირების კულტურა, კოლეგიალობა, პლაგიატის კრიტერიუმები და სხვა) ძირითად პრინციპებს;

III.21 შეუძლია უჯრედული კულტურების სოფლის მეურნეობაში გამოყენების მნიშვნელობის მოსალოდნელი ეფექტიანობის შეფასება და პრაქტიკულ საქმიანობაში ფრთხილი, გააზრებული სამუშაოების ჩატარება.

**მოდული 5. საბაღო–საპარკო მეურნეობა**

პასუხისმგებლობით ეკიდება თავის პროფესიულ საქმიანობას, გარემოს ლანდშაფტურ–ეკოლოგიური მონიტორინგის და კვლევის პროცესში მსჯელობით იცავს თავის პოზიციას კოლეგებთან და საჯაროდ მოქმედებს ესთეტიკური პრინციპებით.

## პედაგოგიური ფაკულტეტი

### **განათლების მეცნიერებები** (თსუ, აწსუ, ბსუ, თესაუ)

**უმაღლესი განათლების საფეხური:** დოქტორანტურა

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** განათლების მეცნიერებების დოქტორი
**პროგრამის მოცულობა:** 40 კრედიტი

| პროგრამის მიზანი |
|---|

განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს მკვლევარი, რომელიც შეძლებს თანამედროვე ქართული საგანმანათლებლო სივრცის საჭიროებებისა და გამოწვევების გადაწყვეტას საფუძვლად დაუდოს მეცნიერული კვლევები. ასევე, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის გამოცდილებისა და განვითარების გაზიარების კვალდაკვალ, შეძლებს ახალი ცოდნის შექმნას და მის საფუძველზე სერიოზული წვლილის შეტანას ქართული და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის განვითარების პროცესში. პროგრამის მიზანი კონცეპტუალურად ეფუძნება პროგრამის განმახორციელებელი უნივერსიტეტების მისიასა და ხედვას, კერძოდ, განათლების მეცნიერებების დარგების მკვლევარის მომზადებას, რომელსაც ექნება სფეროს ფუნდამენტური ცოდნა, კვლევითი უნარ-ჩვევები და პროფესიული კომპეტენციები, გაცნობიერებული ექნება საკუთარი როლი ქვეყნის ტრადიციული ღირებულებების დაცვისა და ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით.
სადოქტორო პროგრამის მიზანია, მოამზადოს განათლების მეცნიერებების დარგების სპეციალისტი, მკვლევარი, რომელსაც შეუძლია:

- განათლების სფეროს საჭიროებების ანალიზსა და გამოწვევების კვლევას საფუძვლად დაუდოს განათლების მეცნიერებების დარგების მეცნიერული ცოდნა;
- განათლების მეცნიერებების დარგების ცოდნის საფუძველზე განათლების სფეროში წამოჭრილი კომპლექსური პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტა;
- განათლების მეცნიერებების დარგებში არსებული უახლესი სამეცნიერო მიღწევების ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე ინოვაციური სამეცნიერო პროდუქტის შექმნა, ქვეყნის კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;
- განათლების მეცნიერებების დარგების საერთაშორისო სივრცეში აკადემიური და სამეცნიერო მონაწილეობა;

სწავლა-სწავლების პროცესის კანონზომიერებების ფუნდამენტური ცოდნის საფუძველზე უმაღლეს სკოლაში სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა.

| პროგრამის სტრუქტურა | |
|---|---|
| **სასწავლო კომპონენტი** | 40 ECTSკრედიტი |
| **ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები** | 35 ECTSკრედიტი |
| **არჩევითი სასწავლო კურსები** | 5 ECTSკრედიტი |

| სწავლის შედეგები |
|---|
| **ცოდნა და გაცნობიერება** |

| |
|---|
| პროგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტი ფლობს განათლების მიმართულების უახლეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას, რის საფუძველზეც ახდენს:<br><br>• პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის, კვლევის მეთოდების შესახებ არსებული თეორიული ცოდნის განზოგადებას და მის სიტუაციების შესაბამისად ფორმულირებას/შეფასებას;<br>• ზოგადი და შესაბამისი კონკრეტული დარგის დიდაქტიკის - სწავლა სწავლების პრინციპების, მეთოდების, ტექნოლოგიების, შეფასების მეთოდების, რომლებიც დაფუძნებულია საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკებზე - კლასიფიცირებასა და მოდიფიცირებას;<br>• ქვეყნის განათლების პოლიტიკის ძირითადი ტენდენციების - ისტორიული რაკურსი და თანამედროვეობა - გაანალიზებასა და შეფასებას;<br>• განათლების სფეროში არსებული პრობლემის დამოუკიდებლად გამოკვლევისთვის ინოვაციური მეთოდების ინტეგრირებას მულტიდისციპლინურ/ ინტერდისციპლინურ კონტექსტში;<br><br>განათლების სფეროში არსებული პრობლემის/გამოწვევის შესაბამისი ქმედებების დაგეგმვასა და შესრულებას; დარგში და დარგთაშორის არსებული ცოდნის იმგვარ სისტემატიზირებას და კომბინირებას, რომ შეიქმნას ახალი, ლოგიკური ერთიანობა/ ორიგინალური პროდუქტი |
| **უნარი** |
| როგრამის დასრულების შემდეგ დოქტორანტი ახდენს:<br><br>• განათლების მეცნიერებების დარგებში სამეცნიერო სიახლეებისა თუ მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას;<br>• პედაგოგიური საქმიანობის პროცესში, დოქტორანტი თვითრეფლექსიისა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მიდგომების საფუძველზე, სათანადოდ იყენებს სწავლების თანამედროვე მიდგომებს, მეთოდებსა და ტექნოლოგიებს, და ახდენს მათი მოდიფიცირების ინიცირებას;<br>• განათლების სფეროში დამოუკიდებელად გეგმავს და ახდენს კვლევის კონსტრუირებას, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; ახდენს ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული კვლევითი ან ანალიტიკური მეთოდების ან/და მიდგომების კომბინირებას, კონსტრუირებას და აკადემიურ წრეებში მათ ინიცირებას (საერთშორისო რეფერირებადი პუბლიკაციისათვის აუცილებელი სტანდარტის დონეზე) ;<br>• ახდენს განათლების სფეროში(მათ შორის განათლების პოლიტიკის) არსებული ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზს და მათ ინიცირებას დარგში არსებული პრობლემების გადასაწყვეტად, მეცნიერული რეკომენდაციების და ნორმატიული ხასიათის წინადადებების კონსტრუირებას სფეროს განვითარების ხელშეწყობისათვის; |
| **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა** |
